ირაკლი გოგოლაური

დუშეთის თეატრალური ცხოვრების მატიანე

გამომცემლობა „აღმაშენებელი"
თბილისი
1997

წინამდებარე წიგნი, „დუშეთის თეატრალური ცხოვრების მატიანე“, ავტორის მიერ შევსებული და გადამუშავებული გამოცემაა. იგი პირველად დაიბეჭდა 1983 წელს, სახელწოდებით — „დუშეთის სახალხო თეატრი“. პირველი გამოცემა მკითხველმა გულთბილად მიიღო.

წიგნი დუშეთის თეატრის დაარსების 115 წლისთავს ეძღვნება და წარმოადგენს დუშელთა ხანგრძლივი თეატრალური ცხოვრების საინტერესო მატიანეს. სათაურით „სცენური პორტრეტების მაგიერ“, წარმოდგენილია ცნობები თვალსაჩინო სცენისმოყვარეთა და თეატრის მოამაგეთა შესახებ. ცალკე თავადაა გამოყოფილი დუშეთის საბავშვო თეატრის ისტორია და ამასთანავე ხელმისაწვდომი მასალების საფუძველზე ნაჩვენებია პერიფერიებში მოსწავლე-ახალგაზრდობის სასცენო საქმიანობაც. სცენისმოყვარე მსახიობთა და რეჟისორ-ხელმძღვანელთა სიებში დაინტერესებულ მკითხველს საშუალება ეძლევა სწრაფად მონახოს სასურველი პიროვნება, გაეცნოს 115 წლის მანძილზე დუშეთის თეატრის სცენაზე დადგმულ სპექტაკლებს.

გამოთქმულია ავტორის მოკრძალებული შენიშვნები და მოსაზრებანი თეატრის მუშაობის ზოგიერთ პრობლემურ საკითხზე.

წინათქმა

დუშეთის ხსენებაზე დღევანდელ ქართველ კაცს მთელი საარაგვო წარმოუდგება თვალწინ თავისი წყალ-ჭალით, მთითა და ბარით, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მრავალფეროვანი მოსახლეობით, არაგვის პირებზე თუ მთის ფერდობებზე შეფენილი სოფლებით, ცხვრით გადათოვლილი იალაღებით, გულალალი და პურადი ხალხით.

დუშეთი ტერიტორიულად ერთ-ერთი დიდი რაიონია საქართველოში და ცნობილია თავისი მდიდარი ისტორიული წარსულით, ნაქალაქარი ჟინვალით, საქართველოს ფეოდალური და წინაფეოდალური ხანის ჯერ კიდევ წყედიადით მოცული ცხოვრების უტყვი მატერიალური ძეგლებითა და წარმართული ხანისა და ქრისტიანული საზოგადოებრივი საკულტო ძეგლებით, მდიდარი ხალხური პოეზიით.

დუშეთის რაიონი ამჟამად მოიცავს ისეთ ეთნოგრაფიულ ერთეულებს, როგორიცაა: ქართლი (ნაწილი), ფშავი (ნაწილი), ხევსურეთი, მთიულეთი, გუდამაყარი. იგი არის მრავალი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, მწერლის, პოეტის, მხატვრის, მეცნიერის, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირის აგრეთვე სახალხო გმირის სამშობლო.

მეც, როგორც მის მკვიდრს, უსაზღვროდ მიყვარს ჩემი გამზრდელი მიწა. ამ სიყვარულმა გამაბედვინა წიგნის დაწერაც. შევეცდები მკითხველს უფრო სრული სახით წარვუდგინო დუშეთის მოსახლეობის სულიერი ცხოვრების ერთი საინტერესო მხარე თავისი წარსული ტრადიციით.

წიგნი ეძღვნება დუშეთის თეატრის 115 წლისთავს და, ცხადია, მკითხველი ინტერესით შეხვდება მის მეორედ გამოცემას. ავტორი კი ყოველ საქმიან შენიშვნას კვლავაც მადლიერების გრძნობით მიიღებს.

წიგნის დაწერისას ვისარგებლეთ როგორც გამოქვეყნებული

შევამკევ, რაოდენ ძალ მედვა, და ვინც აღმოიკითხოთ, ხსენებასა ჩემსა ჰყოფდეთ. განსრულდა კათათვის კბ ქრონიკონსა ჩღნა."[1]

აღა მაჰმად ხანისაგან ლტოლვილმა ერეკლემ 1795 წლის 12 სექტემბერს [2] ამ სასახლეს შეაფარა თავი. სიძემ, ქიზიყის მოურავმა ზაქარია ანდრონიკაშვილმა აქვე მოართვა მას ახალი ტანისამოსი. ამავე სასახლეში იმყოფებოდა წინასწარ გამოხიზნული დედოფალიც. თ. ჟორდანიას „ქრონიკებში" ვკითხულობთ: 1795 წლის 12 სექტემბერს „ასორმოცდაათი გადარჩენილი ვაჟკაცით ერეკლე გადავიდა გლდანზედ, გადაიარა ცხვარიჭამია, ბიწმენდი და იმ ღამეს დუშეთში გავიდა. იქ ერთი დღე დარჩა და ანანურში ავიდა" [3]

ეს სასახლე თავისი კოშკებითა და გალავნით დანგრეულია. ამჟამად მის ტერიტორიაზე სამხედრო კომისარიატია მოთავსებული. ალაგ-ალაგ შემორჩენილია გალავნის ნაწილი.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქალაქი დუშეთი სამაზრო ცენტრი გახდა. რუსეთის იმპერატორის ბრძანებით 1802 წელს აღმოსავლეთ საქართველოს გუბერნია ხუთ მაზრად დაიყო. მათ შორის ერთი მაზრა დუშეთისა იყო, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, 1803 წელს, მაზრის ცენტრი დუშეთიდან ანანურში გადაიტანეს. ანანურის მაზრა 17 წლის განმავლობაში არსებობდა, შემდეგ იმპერატორ ალექსანდრე პირველის ბრძანებით სამაზრო ცენტრი კვლავ დუშეთში გადმოიტანეს. 1840 წელს კვლავ გაუქმდა დუშეთის მაზრა და მისი ტერიტორია სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის დანაწილდა. 27 წლის შემდეგ, 1868 წლისათვის, დუშეთის მაზრა კვლავ აღდგა. მას ესაზღვრებოდა თიანეთის მაზრა, ვლადიკავკავის „ოკრუგი", თბილისისა და გორის მაზრები.

XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის დუშეთი თბილისის გუბერნიაში შედიოდა. მისი ტერიტორია მოიცავდა დღევანდელი დუშეთის, ყაზბეგის, მცხეთის რაიონებსა და სამაჩაბლოს ნაწილს. ფშავ-ხევსურეთი, რომელიც შემდგომ დუშეთის რაიონში გაერთიანდა, თიანეთის მაზრაში შედიოდა და ისტორიულადაც კახეთის მთიანეთს წარმოადგენდა.

---

[1] გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებათა სრული კრებული, 1959, გვ. 156—157.

[2] წინათ საქართველოში ახალი წელი იწყებოდა 1 სექტემბრიდან, ამის მიხედვით, 12 სექტემბერი უკვე 1796 წლისაა.

[3] თ ე დ ო ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. III, გვ. 431.

თვით სახელწოდება „დუშეთის“ შესახებ რამდენიმე გადმოცემა და მოსაზრება არსებობს: 1. დუშეთი წარმოსდგება „მოუშეთისაგან“. „მოუშეთი“ კი მთათა შორის მოქცეული ადგილია. 2. „დუშეთი“ წარმომდგარა ჩერქეზული სიტყვის „დიშეთისაგან“, რაც თურმე შესვენებას ნიშნავს. 3. თემურ-ლენგს შესვენება მოუსურვებია და ჯარისათვის გაუცია განკარგულება: „დუშათ!“ (შესდექ ცხენო!), მაგრამ „ქართულ ენციკლოპედიაში“ მითითებულია, რომ „დუშეთი წყაროებში პირველად 1215 წ. იხსენიება“.

ზემოთ მოტანილი ვერსიებიდან რომელია მართალი, ძნელი სათქმელია. ეს კია, რომ მეფის მოხელენი (და ხშირად ბარისა და ქალაქის მოსახლეობაც) ერთმანეთში ურევდნენ „დუშეთსა“ და „თუშეთს“. ეს ისეთივე ფაქტია, როგორც ის, რომ ერთნაირი შავი ნაბდის ქუდების გამო, ფშავლებსაც ძალიან ხშირად თუშებად თვლიდნენ და ზოგჯერ ახლაც ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან.

XIV საუკუნის დასასრულს თემურ-ლენგის ურდოებმა დუშეთის ტერიტორიაზეც გაითარეშეს. მთლიანად გადაწვეს და აოხრეს არაგვის ხეობის სოფლები, ხოლო ქალაქი ჟინვალი მიწასთან გაასწორეს... აუარებელი ნადავლითა და ტყვეებით გაემგზავრნენ. სომხური „ანდერძების“ ცნობითაც: „აიღეს ბევრი ციხე, მოკლეს (მათში) მყოფთაგან მრავალი, თითქმის ყველა მამაკაცი გაწყვიტეს, მათი ცოლები და შვილები კი, აურაცხელი, უთვალავი, ტყვედ წაასხეს. მათი მხილველნი სიბრალულით იწვოდნენ“. [1]

დუშეთი ბევრი ამბის მომსწრეა. მის მახლობლად, კანჭის ქედზე, 1625 წელს მოხდა დიდი სისხლისმღვრელი ომი გიორგი სააკაძესა და თეიმურაზ პირველს შორის.

1828 წელს საქართველოში ჩამოსული ა. ს. პუშკინი გზად ჩერდება დუშეთში და იქვე ათენებს ღამესაც.

გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველო რუსეთს დაუკავშირდა სამხედრო გზით. ამავე წლებში დუშეთში აგებენ სამხედრო ყაზარმებს და ბანაკდება რუსეთის ჯარის ნაწილი. მაშინ სამხედრო გზა დუშეთზე გადიოდა, აქ ჩერდებოდნენ შესასვენებლად და ღამის გასათევად საქართველოდან რუსეთს

---

[1] სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV), მეცნიერება, 1978, გვ.28.

და რუსეთიდან საქართველო'ში მიმავალი მოგზაურნი, საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები. მა'შინდელი „სტანციის" შენობა'ში ახლა დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმია.

მიუხედავად იმისა, რომ დუშეთი XIX საუკუნის მეორე ნახევარ'შიც პატარა პროვინციული ქალაქი იყო, იქაური ინტელიგენცია მაინც აქტიურად უბამდა მხარს თბილის'ში წამოწყებულ ყველა კულტურულ ღონისძიებას; ყველაფერი საკუთარი სახსრებითა და საქველმოქმედო მიზნით კეთდებოდა.

დუშეთ'ში 1874 წელს დაარსდა ქალთა სასწავლებელი, ხოლო 1880 წლის 1 აპრილს „სახლი კითხვისა". გაზეთი დროება იუწყებოდა: „ამ ერთი წლის წინათ შეიყარნენ, მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, გახსნან „სახლი კითხვისა". დაწერეს უსტავი, წარადგინეს გუბერნატორთან, რომელმაც დაამტკიცა და დართო ნება. ამ უსტავით ყველას ნება აქვს, იყოს წევრად საკითხავისა, მხოლოდ უნდა აძლიოს წელიწად'ში 5 მანეთი და ვისაც სურს მეტიცა. ბევრმა მოაწერა ხელი და დაწყების დროსვე შეგროვდა 165 მანეთი. დაიბარეს სხვადასხვა გაზეთები და ჟურნალები. საკითხავი ღიაა ყოველდღე, 4 საათიდან... საკითხავი გაიხსნა პირველს აპრილს... ვერ წარმოიდგენ, რა გვარის სიხარულით შემოუსხდნენ ყმაწვილები სტოლს" [1].

ამავე ხანებ'ში დუშეთის საზოგადოებას გადაუწყვეტია, საქველმოქმედოდ შეკრებილი თანხებით დაეარსებინა გიმნაზია, მაგრამ რაღაც გარემოებას შეუშლია ხელი და კეთილი განზრახვა ვერ შეუსრულებია. ქალთა სასწავლებლის გარდა დაარსდა ვაჟთა სახელმწიფო სასწავლებელი სახელმწიფოს ხარჯზე [2]. დაინიშნა ორი მასწავლებელი, მაგრამ სწავლის მსურველი იმდენად ბევრი ყოფილა, რომ სკოლას ორი მასწავლებელი ვერ გაუძღვებოდა. ისევ ქალაქის მოსახლეობა ჩაერია საქმეში, შეაგროვეს ფული და ყოველწლიურად დამატებით 40 თუმანი გამოუყვეს, რომ სასწავლებელს ერთი მასწავლებელი კიდევ მოეწვია თავისი ხარჯით. უნდა ითქვას, რომ ამ კეთილ განზრახვას ადგილობრივი მოსახლეობაც და მოხელეებიც უჭერდნენ მხარს: „ადგილობრივი ჩინოვნიკობაც თანაზიარია ამ საზოგადოებისა... ითვლებიან წევრად ამ საზოგადოებაში". — კო-

---

[1] გაზ. „დროება", 1880. №78

[2] იხილეთ უფრო ერცლად ელ.გოგოლაურის ნაშრომი — „სახალხო განათლების ისტორიიდან რეეოლუციამდელ დუშეთში", ალმანახი „პირიმზე", 1993, №1, გვ. 216–242.

რესპონდენტი აღფროოვანებულია დუშელთა საქმიანობით და იქვე დასძენს, — ეს დაწყობილება მგონია პირველია პროვინციაში და ინებოს ღმერთმა, რომ სხვა ქალაქებმაც მიბაძონ დუშეთის საზოგადოებას".[1]

დუშეთში დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება თავისი გამგეობითა და სარევიზიო კომისიით, რომელიც შემდგომ ერთგვარ შეფობას უწევდა დუშეთის სახალხო თეატრსაც. იგი ხელმძღვანელობდა ქალაქის კულტურულ ცხოვრებას და გარკვეული მიმართულებით წარმართავდა მას.

დუშეთის რაიონს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული კულტურის განვითარებაში. ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფშაურ, ხევსურულ, მთიულ-გუდამაყრულ ხალხურ პოეზიას, როგორც მხატვრულობით, ისე ფილოსოფიური და რომანტიკულ-საგმირო შინაარსით. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დასმულია საკითხი იმაზე, თუ რა როლი აკისრია ფშაურ სატრფიალო პოეზიას ქართულ ლიტერატურაში და კერძოდ „ვეფხისტყაოსანში" ქალის კულტის შექმნა-შემუშავებაში".[2]

დუშეთის რაიონი არის ვაჟა-ფშაველას, გიორგი და დავით ერისთავების, შიო არაგვისპირელის, დანიელ ჭონქაძის, თედო და ბაჩანა რაზიკაშვილების, ა. როინაშვილის, გრ. აფშინაშვილის, ვ. აბაშიძის, ქაიხოსრო და მიხეილ ზანდუკელების და სხვათა სამშობლო. აქვე დაიბადა შ. მშველიძეც.

დუშეთში ცხოვრობდნენ და შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდნენ ილია ჭავჭავაძე და პლატონ იოსელიანი.

დუშეთი ცნობილია 1905 და 1918 წლის გლეხთა აჯანყებებით, რომელთაც გარკვეული როლი შეასრულეს შემდგომში ახალი ცხოვრების დამყარებაში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დუშეთის რეალიეფურმა და მცხოვრებთა ეთნიკურმა თავისებურებებმა განაპირობეს ისიც, რომ პირველი კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა 1927 წელს (წითელსოფელი), ხოლო უკანასკნელი — 1950 წელს (ხევსურეთი). 1934 წელს დამთავრდა ჟინვალ-ბარისახოს გზა. საუკუნეობით ჩამორჩენილი ხევსურეთი საავტომობილო გზით და-

---

[1] გაზ. დროება,1880. №78.

[2] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ.I, 12974, გვ.9

უკავშირდა რაიონისა და რესპუბლიკის ცენტრებს, ხოლო იმავე ხანებში ფშავში, ჩარგლისა და შუაფხოს მოსახლეობამ თავისი ინიციატივით გაიყვანა სოფელში მისასვლელი გზები.

1941 წელს გაიყვანეს ჯიქურაულების სარწყავი არხი, დაიწყო ფასანაურისა და მლეთის ელექტროსადგურების მშენებლობა...

დიდი სამამულო ომის პერიოდში 6000_ზე მეტი დუშელი ვაჟკაცი წავიდა სამშობლოს დასაცავად. საკოლმეურნეო მინდვრებზე მამაკაცები დედაკაცებმა და ბავშვებმა შეცვალეს. ხალხი თავდადებით შრომობდა, თავსაც ირჩენდნენ და ფრონტსაც ეხმარებოდნენ. მარტო 1942 წლის შემოდგომისათვის დუშელებმა წითელ არმიას 7800-ზე მეტი წყვილი წინდა და 4000-ზე მეტი ხელთათმანი გაუგზავნეს. მრავალმა კოლმეურნეობამ ისახელა თავი საკოლმეურნეო შრომაში.

სამამულო ომში მრავალმა დუშელმა მეომარმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი. მათი საბრძოლო დამსახურება აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით. ორ მათგანს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, ხოლო მატროსოვის გმირობა გაიმეორა მებრძოლმა ა. ქავთარაძემ.

ბევრი რამ გაკეთდა სამამულო ომის შემდგომ პერიოდში დუშეთის მშრომელთა კულტურული ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად და ომით მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად. მშრომელთა სამსახურში ჩადგა ახალი სარაიონო კულტურის სახლი, კინოთეატრი, ჭოპორტისა და ბარისახოს კულტურის სახლები, ჟინვალჰესი, აშენდა მეფრინველეობის ორი ფაბრიკა, 1959 წელს ოფიციალურად მიენიჭა სახალხო თეატრის წოდება დუშეთის თეატრს.

1936 წელს ნიკო ხეთაგურის ინიციატივით რაიონული გაზეთის რედაქციასთან დაარსდა ლიტერატურული წრე, რომელიც აერთიანებდა ქალაქისა და სოფლების ნიჭიერ ახალგაზრდობას. მუშაობაც ნაყოფიერად წარიმართა, მაგრამ გერმანიის თავდასხმამ კარგად დაწყებული მუშაობა შეაფერხა. წრის წევრთა უმრავლესობა ფრონტზე გაიწვიეს. ომში დაიღუპნენ ახალგაზრდა პოეტები: კ. ნამგალაური, გ. თურმანაული, ს. ავეტიქოვი, ფ. რაზიკაშვილი და სხვ.

50-იანი წლების შემდეგ კვლავ აღორძინდა წრის მუშაობა, რამაც თანდათან ორგანიზებული ხასიათი მიიღო პედაგოგ ვ. კასრაძის ინიციატივით.

60-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა ლიტერატურული გაერთია-

ნება (ხელმძღ. ირ. გოგოლაური). მოეწყო შეხვედრები, ლიტერატურული საღამოები; მომზადდა ხელნაწერი კრებულები და გადაიდგა პირველი ნაბიჯები საკუთარი ჟურნალის დასაარსებლად.

გაერთიანების ყოფილი წევრები დღეისათვის უკვე ცნობილი მწერლები არიან რესპუბლიკაში: თ. ბექიშვილი, ჯ. ფხოველი, დ. მჭედლური, მ. წიკლაური, შ. ქავთარაძე და სხვ.

ლიტერატურული გაერთიანების თაოსნობითა და რაიონის ხელმძღვანელობის უშუალო მხარდაჭერით 1967 წელს რესპუბლიკაში პირველად მოეწყო ცნობილი სახალხო მელექსის ნიკო ბულალაურის შემოქმედებითი საღამო დაბადების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით. მისი ბევრი ლექსი ხალხმა ზეპირად იცის, ხოლო სამამულო ომისა და მშვიდობიანი მშენებლობისადმი მიძღვნილი ლექსები პატრიოტიზმის თემაზე შექმნილ ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს.

ნ.ბულალაურის ლირიკული ლექსები თავის დროზე შეტანილი იყო V კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოშიც. რამდენიმე ნაწარმოები თარგმნილი და გამოქვეყნებულია რუსულ ენაზე.

დუშეთის რაიონის სკოლებში მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა აღიზარდა, მათ შორის: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლევან ჟიჟიაშვილი, პოეტი გაბრიელ ჯაბუშანური; მხატვრები: ირაკლი ოჩიაური, გიორგი ოჩიაური; მსახიობი: იაკობ ტრიპოლსკი, მომღერალი ილია ზაქაიძე და სხვ.

სოციალისტური შრომის გმირები გახდნენ: ყარამან გაგაძე, ალექსი ბექაური, ელენე კოწიწაშვილი. მრავალი დაჯილდოვდა მთავრობის ორდენებითა და მედლებით.

დუშეთი მდიდარია ისტორიული ძეგლებით; ესენია: ანანურის ციხე-ქალაქი, ჭილაშვილების სასახლე, ხადის ისტორიული ძეგლები, კართანის ძველი ციხე-ქალაქი, „სიმაგრენი" კუდო-გომეწრის ხეობაში, ფშავის წარმართული ხანის საზოგადოებრივი საკულტო ძეგლები და სხვა.

დუშეთის რაიონში ნაყოფიერად იმუშავა ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი რ. რამიშვილი), რომელიც აწარმოებდა ძველი ნაქალაქარი ჟინვალის გათხრებს. აღმოჩენები ფრიად საყურადღებოა.

ჟინვალის ჰიდროკომპლექსის მშენებლობა მნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკის ისტორიაში.

დუშეთის რაიონი მდიდარია ხალხური თეატრალური ტრადიციებითაც: ძველად ქალაქში ყოველწლიურად იმართებოდა სახალხო სანახაობანი — დოღი (ყაბახი), ბერიკაობა, ხოლო სახალხო დღესასწაულებზე სხვადასხვა სალაღობო და საბრძოლო შინაარსის ცეკვა-სიმღერები სრულდებოდა.

დუშეთის რაიონის მოსახლეობის მდიდარმა ფოლკლორულმა ტრადიციებმა განაპირობეს ისიც, რომ 1981 წელს დაბა ჟინვალში დაარსდა საქართველოს სსრ აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების დუშეთის სექტორი.

სახალხო შეჯიბრებებზე გამოდიოდნენ როგორც ქალაქის, ისე ახლომახლო სოფლის წარმომადგენლები თავიანთი ცხენებით და მონაწილეობდნენ დოღსა და ჯირითში, რომლის ილეთებშიც შედიოდა ძველი მხედრული ვარჯიშობანი. ამისათვის შერჩეული იყო წელიწადში ერთი დრო, სახელდობრ, „სამებობის დღესასწაული", რომელიც აგვისტოს ბოლო რიცხვებში იმართებოდა.

პენსიონერ ლ. ბუჩაშვილის განმარტებით, ძველად ყანის სამკალად მოწყობილ მამითადშიც მუდამ იმართებოდა სახალხო სანახაობანი. ამიტომაც მამითადში ყველა ხალისით მიდიოდა. მან ასეთი ამბავი გვიამბო: „მუხრან ბატონმა თავის მოურავს ჰკითხა: ჯეჯილი ყვითელი რად არისო. მოურავმა თავი იმართლა, მორწყვა მეტი მომივიდაო. მუხრან ბატონმა აღარაფერი თქვა. მოვიდა მკის დრო. მოიწვია ნადი. ნადში ერთი ჭილურტელი ვაჟკაციც იყო, გვარად ხოსროშვილი. ის ისე მძლავრი იყო, რომ ხალხის გასართობად თავის ძნის მკონავს ზურგზე მოისვამდა და ისე მკიდა, ხოლო მომკილ ძნას შესაკონად მას მიაწვდიდა. მკონავიც მის კისერზე გრეხდა ულოს და კონავდა ძნას. ხალხი იცინოდა. ეს გლეხი მუხრან ბატონს ცალკე გაუხმია და უთქვამს: დაჯექი, რაც გინდა, სვი, ჭამე, ოღონდაც სამკალში ნულარ გახვალ, მუშა მომიცდებაო. სადილობისას ბატონმა მოახლე გლეხებს უთხრა: ღვინოს მუშებს რომ ჩამოურიგებთ, მოურავს არ მიაწოდოთო. გლეხებიც ასე მოიქცნენ. მოურავმა გლეხებს უსაყვედურა, ღვინოს რატომ არ მასმევთო. გლეხებმა მიზეზი უთხრეს. ნაწყენმა მოურავმა ახლა ბატონს მიმართა, რატომ არ მასმევენო. იმიტომ, რომ ბევრი ღვინო ფეხებში წაგივა და გაგაყვითლებსო, — მოუჭრა ბატონმა".

ლადომ გვიამბო აგრეთვე დუშეთში ბერიკაობის ტრადიციის შესახებაც: „2-დან 25 კაცამდე შეიკრიბებოდა. მათ შემადგენ-

ლობა'ში იყვნენ: 1. „ღვდელი" წინ მიდიოდა და საქნეველას აქნევდა: 2. „ღორს" – ღორის ნიღაბი პქონდა: ოჯახში შეეიდოდა, საჭმელს ეცემოდა, ზოგს გააფუჭებდა და ზოგს წამოიღებდა; 3. „დამწერი" წერდა გამოხრულ ძვალზე ბატის ფრთით. 4. „ნეფე-დედოფალი" (ორივე ვაჟი) იმისთვის, რომ მეტი პატივი ეცა ხალხს ბერიკეებისათვის; 5. „მესტვირე" – საჭიდაოს დასაკრავად. ბერიკეები ჭიდაობას მართავდნენ. 6. „არაბი" – ვირზე უკულმა შემჯდარი, რომელსაც ვირის კუდი ხელში ეჭირა. 7. „ბერიკა" – წვერიანი კაცი ნიღბით. 8. მესანოვაგენი... თუ ერთი სოფლის ბერიკა მეორე სოფლის ბერიკას შეხვდებოდა, მათ შორის ჭიდაობა უნდა გამართულიყო. რომელიც დაძლევდა, სანოვაგე მას რჩებოდა. შემდეგ შეიკრიბებოდნენ და გამართავდნენ ლხინს. ბერიკეები ნიღბოსნები იყვნენ.

ნიღბიანთა საფერხულო წყობა, ცეკვები, მუსიკის, ჩასაბერი საკრავების აქტიური გამოყენება, ნიღბიანთა ფიგურების მრავალფეროვნება ხალხური სანახაობრივი კულტურის მაღალ დონეზე მიგვანიშნებს.

ხალხი არანაკლებ ეტანებოდა წარმართულ და ქრისტიანულ დღესასწაულებთან დაკავშირებულ სარიტუალო სანახაობებს. ესენია: საფერხისო სიმღერები, სამაია, ფერხისა, ლექსში პაექრობა, სხვადასხვა სახის სპორტული ვარჯიშობანი: სირბილი გასწრებაზე, ხტომები სიგრძეზე და სიმაღლეზე, ჯირითის სროლა, ლოდის ტყორცნა და სხვა; შრომის სიმღერა-თამაშობანი, ცეკვები ფანდურის თანხლებით, „კუკნების" თამაში, სალამურისა და გუდასტვირის დაკვრა, გლოვის მგოსნობა...

დუშეთში არსებულ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამოფენილია რაიონის ძველი და ახალი ყოფის ამსახველი ექსპონატები, რითაც მნახველს გარკვეული წარმოდგენა შეექმნება დუშეთის რაიონის წარსულზე და აწმყოზე.

რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულია აგრეთვე გიორგი და დავით ერისთავების მემორიალური სახლ-მუზეუმი (ს. ოძისში), დ. ჭონქაძის მემორიალური მუზეუმი (ს. ყვავილში), შ. ხიტალიშვილის მემორიალური მუზეუმი (ს. არანისში), „ხევსურული ბინა" (ს.შატილში). საყურადღებოა ვაჟა-ფშაველას სახელმწიფო მუზეუმის მემორიალური კომპლექსი ს. ჩარგალში, რომლის ახალი სასიცოცხლო აღორძინება და სრულყოფა განხორციელდა 1985-1990 წლებში მუზეუმის მაშინდელი დირექტორის ირ. გოგოლაურის ინიციატივითა და საქართველოს მაშინდელი მთავრობისა და რაიონის ხელმძღვანელობის მხარდაჭერითა და თა-

ნადგომით. აღდგენილი იქნა ვაჟას კარ-მიდამოს იერსახე იმ სახით, როგორიც იყო იგი ვაჟას სიცოცხლეში. სახელდობრ, თავის ნაფუძარზე აღდგენილი იქნა: ვაჟას წისქვილი (მოქმედი), საფუტკრე, გომურ-საბძელი, კალო, საოჯახო წყარო; აშენდა საექსპოზიციო შენობა ხუთი დარბაზით, სადაც ექსპონირებული იქნა ვაჟას და მისი მწერალი ძმების ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი მასალები. მოწყობილია ვაჟას დროინდელი ფშაური ყოფის ამსახველი გამოფენა, რომელიც ფაქტიურად ფშავის ეთნოგრაფიულ მუზეუმს წარმოადგენს. აღდგენილი იქნა ვაჟას პირადი ბიბლიოთეკაც და დასაბამი მიეცა სამეცნიერო მუშაობას.

რაიონის ტერიტორიაზე არქეოლოგიური ძიებით გამოვლენილი მასალები ექსპონირებულია ამილახვრიანთკარის დასახლებაში არსებულ ე. წ. „ჭილაანთ სასახლეში", რომელსაც შეიძლება არქეოლოგიური მუზეუმი ეწოდოს.

1992 წელს დაარსდა საქართველოს მწერალთა კავშირისა და დუშეთის რეგიონის ლიტერატურული ალმანახი „პირიმზე", რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1993 წელს (მთ. რედ. ირ. გოგოლაური).

1996 წლის აგვისტოში შეიქმნა საქართველოს მწერალთა კავშირის დუშეთის რეგიონალური განყოფილება (მდივანი ბაღათერ არაბული).

ჩვენ შევეცადეთ ძალიან მოკლედ გვეჩვენებინა ის გარემო, რომლის წიაღშიაც ჩაისახა და მუშაობდა დუშეთის სახალხო თეატრი, რომელიც ასთხუთმეტი წლის მანძილზე ემსახურებოდა მშრომელთა სულიერ ცხოვრებას.

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ

გასული საუკუნის მეორე ნახევარში „თერგდალეულებმა“ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლისა და განვითარებისათვის მრავალმხრივი მუშაობა გააჩაღეს. თვითმპყრობელობა კი გააფთრებით სდევნიდა როგორც ეროვნულ საქმეს, ისე თვით პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზნებისადმი კულტურულ ღონისძიებათა წამოწყება და მათი მიმართულების დაქვემდებარება დროის კარნახით იყო გამოწვეული. დიდი ილია მიუთითებდა: „ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენი ცხოვრების მომავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყველაფერი ჩვენი ვინაობის საქმეს უნდა შეეურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ, სკოლაა, ბანკია თუ თეატრი“[1].

ილია ჭავჭავაძის სახელთანაა დაკავშირებული სასცენო მართლმეტყველების დაწმენდისა და გახალხურების საქმეც. მას კარგად ესმოდა და სხვებსაც შთააგონებდა, რომ როცა საზოგადო მნიშვნელობის აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ თვითონ თქმა ქმნად გადაიქცევა ხოლმე. აი როგორ აფასებდა იგი მსახიობ ლ. მესხიშვილს: „რიგიანი და წინდახედული არტისტია, ყოველ როლში იგი სასიამოვნო სანახავია, ხოლო მეტად უყურადღებოდ ექცევა ქართულ ენას...კილო ლაპარაკისა ყოველთვის ქართული არა აქვს. ვწუხვარ, რომ მაგისთანა არტისტს ამისთანა უსიამოვნო ნაკლოვანება აქვს“[2]. ამგვარად, ქართულ თეატრს იმის გარდა, რომ იგი ხალხის ესთეტიკური ზემოქმე-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებანი, ტ. VI, 1927, გვ.128.

[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებანი, ტ. III, 1958, გვ.97.

დების იარაღად ქცეულიყო, დაკისრებული ჰქონდა როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების ქადაგება, ისე ქართული ენისა და მეტყველების განვითარების ფუნქცია. ქართული თეატრის აღდგენით აღფრთოვანებული ილია წერდა: ძლივს ეროი საჯარო ადგილი მაინც გვექნება, საცა ჩვენის ენით ვილხინებთ, ჩვენი ენით ვინაღვლებთო.

ქართული სახალხო თეატრი ეროვნულ ძირებზე წამოიმართა და თერგდალეულთა პროგრამის მიხედვით უაღრესად ხალხური მიმართულება მიეცა მისი მუშაობის შინაარსს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ თეატრში ხელოვნების ხალხურობისა და დემოკრატიული მიმართულების დანერგვა და წარსულის მემკვიდრეობა უკრიტიკოდ უნდა ყოფილიყო მიღებული და სცენა დაყვანილიყო პრიმიტივიზმის დონემდე.

ქართული თეატრის არსებობის მატიანე შორეულ საუკუნეებში იღებს სათავეს. შუა საუკუნეებში შემუშავდა „სახიობა". წარმოდგენები იმართებოდა სასახლეებში და სახალხო დღესასწაულებზე. საინტერესოდ ეწყობოდა „ბერიკაობა" და „ყეენობა". XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართული თეატრის ფუძემდებელი გახდა დრამატურგი გიორგი ავალიშვილი. თბილისში და თელავში იდგმებოდა როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი პიესები. XIX საუკუნის 50-იან წლებში ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში უდიდესი მოვლენა იყო გიორგი ერისთავის მიერ დაარსებული თეატრი, რომელმაც 1856 წლამდე იარსება. მისმა მემკვიდრეობამ დიდად შეუწყო ხელი 1879 წელს ქართული თეატრის აღდგენას და შემდგომ განვითარებას.

ქართველმა სამოციანელებმა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით განაახლეს ქართული თეატრი. დიდი მუშაობა გასწიეს ქართული სასცენო მეტყველების დახვეწისა და შემდგომი განვითარებისათვის.

აღორძინებული ქართული თეატრის მისამართით XIX საუკუნის მიწურულში გაზეთი „ივერია" მაინც საყვედურით შენიშნავდა: „აწინდელი ქართული სცენა სახალხო არ არის და ამიტომ სავსებით არ ასრულებს თავის მოვალეობას... თეატრი საყოველთაო და საეროვნო სახლად უნდა გარდაიქმნეს"[1]. მიუხედავად ამისა, ქართულმა თეატრმა მაინც დიდად შეუწყო ხელი როგორც ხალხური სალაპარაკო ენის დამკვიდრებას ლიტერა-

[1] გაზ. ივერია, 1896, №44.

ტურაში, ისე ხელოვნებისადმი ხალხის ინტერესის გაღვივებას. ქართულ პროფესიულ თეატრს კეთილშობილური მიზნების განხორციელებაში გვერდში ერთგულად ამოუდგნეს სახალხო თეატრებიც. ახალი ქართული პროფესიული თეატრის მხარდამხარ სახალხო დრამატული დასების ჩამოყალიბება და წარმოდგენების მოწყობა თბილისის გარეუბნებში მოდად იქცა. და თანდათან დამკვიდრდა, რომლის ბაზაზე ჩამოყალიბდა ჯერ ავჭალის მუშათა თეატრი, ხოლო შემდეგ წლებში აელაბრისა და ხარფუხის სახალხო თეატრები.

სახალხო თეატრების ქსელის გაფართოვებას უაღრესად კეთილშობილური მიზანი პქონდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ეროვნული თავისუფლებისა და სოციალური გარდაქმნის მიზნებს დაქვემდებარებული სცენა ხალხის ინტერესების სამსახურში დადგა.

ქართულ სცენას მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის პირობებში უაღრესად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ცარიზმისაგან ქართული კულტურის ფარული და არაფარული დევნის პირობებში ხალხს სცენიდან უნდა მოესმინა მსჯელობა მშობლიურ ენაზე და ჩაფიქრებულიყო ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე, რაც მათ ეროვნულ თვითშეგნებას გაუღრმავებდა. დიდი ილია დაბეჯითებით განმარტავდა: „სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა, იგი ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედებს, ვიდრე სხვა რამე... სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს, და ამასთანავე იმისთანა შემაქცევარიც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს ადგმევინებს, ფრთას აშლევინებს“[1].

სახალხო თეატრის სცენიდან სცენის მოყვარეები მგზნებარე სიტყვებით აღვივებდნენ ხალხში ეროვნულ თვითშეგნებას და ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად განაწყობდნენ. სახალხო თეატრის მაყურებელიც უბრალო მშრომელი ხალხი იყო. მათში რევოლუციური შეგნების შეტანის გზაზე იმ დროს სცენა ერთ-ერთი პირველხარისხოვანი საშუალება იყო და, მართლაც, თეატრი იქცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების, ხოლო შემდგომ — რევოლუციის ტრიბუნად.

ზემოაღნიშნულ კეთილშობილურ ფუნქციასთან ერთად სა-

---

[1] ნ. გურაბანიძე, ილია ჭავჭავაძე თეატრის შესახებ, თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1955, გვ.57.

ხალხო თეატრები საქართველოში საქველმოქმედო მიზნებს ისახავდნენ. მოელი შემოსავალი ხალხის კულტურულ-საგანმანათლებლო საჭიროებას ხმარდებოდა, ამიტომ იყო, რომ სახალხო თეატრის სცენისმოყვარულნი უსასყიდლოდ მოხაწილეობდნენ სპექტაკლებში.

სახალხო თეატრის ავტორიტეტი თანდათან იზრდებოდა. გასული საუკუნის ბოლოს პრესა უკვე აღნიშნავდა, რომ სახალხო სცენისმოყვარულნი ისე დახელოვნდნენ როლების შესრულებაში, რომ პროფესიონალ მსახიობებს გაუტოლდნენო. „ივერია" ალ. ყაზბეგის „არსენას" დადგმის შესახებ საზოგადოებას აუწყებდა: „წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო... მოთამაშენი „ვაშა, ვაშას" ძახილითა და ტაშის ცემით დააჯილდოვეს. სწორედ დიდის მადლობისა და თანაგრძნობის ღირსნი არიან ეს ახალგაზრდა შეგნებული მუშები, რომელნიც არავითარს საშუალებას არა ჰზოგავენ თავის დაწყებულ საქმის გასაუმჯობესებლად!"[1].

სპექტაკლის მონაწილე ცნობილი ლექსიკოგრაფი და ავჭალის სახალხო თეატრის ხელმძღვანელი ი. იმედაშვილი ავჭალის სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობის მიერ მცხეთაში გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპოს" დადგმის შესახებ ასეთ ცნობას გვაწვდის: „წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო, დასასრულს ტაშით დაგვაჯილდოვეს და პარტერიდან ცოცხალი ყვავილების თაიგული მოგვაწოდეს. ამ წარმოდგენის მთელი შემოსავალი მცხეთის ბიბლიოთეკის დაარსებასა და სკოლას მოხმარდა"[2].

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახალხო თეატრების მუშაობის აღმოცენება-განვითარებას განაპირობებდა ახალგაზრდობის უანგარო სიყვარული სასცენო ხელოვნებისადმი, მიღებული შემოსავლის საქველმოქმედო დანიშნულება და არა სცენისმოყვარეთა პირადი ეკონომიური კეთილდღეობის გაუმჯობესება. აი როგორ შეფასებას იძლევა ამ მოვლენის შესახებ ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება": „არ გვეგონა, თუ დუშეთში „სამშობლო" დაიდგმებოდა (ტეხნიკურის მხრივა), მაგრამ აქაურმა სცენისმოყვარეებმა შეუძლებელი შესძლეს და მოლოდინს გა-

---

[1] გაზ.ივერია, 1895, №108

[2] ი. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი „ჩემი ცხოვრების წიგნი", „ხელოვნება", 1979, გვ. 69.

დააჭარბეს... ყველანი ერთის აზრით შეერთებულიყვნენ და მოსულიყვნენ დარბაზში თავიანთი დაწიოკებული მოძძე აჭარლების დასახმარებლად"[1].

ასევე საერთო იყო მატერიალური უზრუნველყოფის მდგომარეობა ყველა თეატრისათვისაც. სახელდობრ, დუშეთის სცენისმოყვარეთა მიერ პირველ ხანებში სცენისათვის გამოყენებული ყოფილა კერძო სახლების დარბაზები, შემდეგ — საზოგადოებრივი საკრებულო დარბაზები, ხოლო საბჭოთა პერიოდში კი — კლუბები. სცენისმოყვარენი თავიანთი სახსრებით ჰქმნიდნენ დეკორაციებს, აწყობდნენ სცენებს, იკერავდნენ კოსტიუმებს, მაგრამ ისე დიდი იყო დაწყებული საქმისადმი მისწრაფება და თავდადება, რომ ასეთ დაბრკოლებასაც არაფრად მიიჩნევდნენ, გაჭირვებას არ ეპუებოდნენ. ისინი შორი მანძილიდან ფეხით დაიარებოდნენ რეპეტიციებზე, სადაც დამყარებული იყო სანიმუშო წესრიგი: დაგვიანება და მინდობილ როლზე ჭოჭმანი, როგორც ეს ახლა ზოგჯერ შეხლა-შემოხლას იწვევს და ყველას მთავარი როლისაკენ უჭირავს თვალი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა.

1880-1900 წლები

როგორც უკვე ითქვა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში დაიწყო მოძრაობა სახალხო თეატრებისა და თეატრალური დასების შესაქმნელად. ყველა კუთხეში ჩამოყალიბდა დრამატული კოლექტივები და სცენისმოყვარეთა „გუნდები". პერიფერიებშიც ამ საერთო სახალხო მოძრაობას იგივე კეთილშობილური მიზნები ჰქონდა, რაც სამოციანელებმა დაუსახეს ქართულ თეატრს.

თეატრალური სანახაობები ხალხში აღვივებდა ინტერესს ხელოვნებისა და სწავლა-განათლებისადმი, ხელს უწყობდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას.

თუ ნათლად წარმოვიდგენთ, რომ მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის ბატონობის პერიოდში ხალხთა კულტურული ცხოვრების აღორძინება მოკლებული იყო სახელმწიფო ყურადღებას და ენთუზიაზმზე დამყარებული ხალხის ინიციატივაც იზღუდებოდა ცენზურით, ადვილად წარმოსადგენია, თუ რა დიდი მნიშ-

---

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1915, №24, გვ. 15.

ვნელობა უნდა ჰქონოდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში თეატრს.

1880 წლის 20 იანვარს დასაბამი მიეცა სახალხო თეატრის დაფუძნებას დუშეთში.

გაზეთი „დროება“ იუწყებოდა: „... შესდგა გროვა (დასი. ი. გ.) თეატრის მოყვარულთა. აღმოაჩინეს, გამართეს სახლი და 20 იანვარს წარმოადგინეს ორი პიესა: ერთი რუსულსა და მეორე ქართულს ენებზედ, სასარგებლოდ დუშეთის საქალაქო საქალებო სასწავლებლისა, რომელიც დაარსდა 8 ნოემბერს 1874 წელს“[1]. დრამატული ნაწარმოებები ნახსენები არ არის.

იმავე წერილის მიხედვით ირკვევა, რომ მსახიობთა „მომეტებული ნაწილი“ სცენაზე პირველად გამოსულა, ხოლო ნაწილს უკვე ჰქონია სამსახიობო გამოცდილება, რაც გვაგულისხმებინებს, რომ წარმოდგენების გამართვა დუშეთში უფრო ადრე დაწყებულა, მაგრამ საბუთი არ შემორჩენილა და ამიტომ დუშეთში სახალხო თეატრის დაარსების თარიღად რჩება 1880 წლის 20 იანვარი, ახალი სტილით 2 თებერვალი. ამ წელს დუშეთის დრამატულ დასს („გროვას“) ძალიან აქტიურად დაუწყია მუშაობა და ხალხის ყურადღებაც დაუმსახურებია. გაზეთი „დროება“ იმავე წლის აგვისტოში მკითხველებს ახალ ცნობას აწვდიდა დუშეთის სახალხო თეატრის მუშაობის შესახებ: „ამ თვის 11-ს დღეს დუშეთში იყო წარმოდგენა სასარგებლოდ ერთის ყმაწვილის კაცისათვის, რომელსაც დაუსრულებია სწავლა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, არა ჰრგებია სტიპენდია უნივერსიტეტში წასასვლელად“[2]. საყურადღებოა, რომ ამ სპექტაკლში მონაწილეობა მიუღია სახელგანთქმულ მსახიობ ნატო გაბუნიას, რომელიც თბილისიდან დუშეთში მოუწვევიათ და მისი მონაწილეობით დუშეთის სცენისმოყვარეებს მაყურებლისათვის უჩვენებიათ სპექტაკლი „ბიძიასთან გამოხუმრება“.

სცენისმოყვარეთა ენთუზიაზმი დიდი იყო. მათ თავიანთი ძალებით უშოვიათ ბინა და სათანადოდ მოუწყვიათ სცენა. ამასთან „გამოცდილნიც“ და „უმეცარნიც“ ისე გულიანად მოჰკიდებიან როლების შესრულებას, რომ ხალხი აღტაცებაში მოუყვანიათ.

პრესა პირველი სპექტაკლის შესახებ იტყობინებოდა: „იმ პი-

---

[1] გაზ. „დროება“, 1880, №24.

[2] გაზ. „დროება“, 1880, №183.

ესებში (ლაპარაკია ქართულ და რუსულ პიესებზე; სამწუხაროდ, როგორც ითქვა, მათი სახელწოდება არაა აღნიშნული. ი. გ.) მოქმედი პირნი, მომეტებული ნაწილი, იყვნენ იმისთანანი, რომ პირველად თამაშობდნენ სცენაზედ, მაგრამ ყველამ ითამაშა თავისი როლი საკმაოდ კარგად და კეთილსინდისიერად, იმიტომ, რომ გულითა და სულით შეუდგნენ საქმესა. პუბლიკა დიდ აღტაცებაში იყო, სახეზეც ანდათ მხიარულება და კმაყოფილება, განსაკუთრებით სასიამოვნო სურათს წარმოადგენდნენ ის პირნი, რომელთაც არ ენახათ თეატრი და წარმოდგენა. იმავე ღამესვე მრავალნი ჰკითხულობდნენ: როდის იქნება კიდევაო?"[1].

ამ სასარგებლო საქმის დაწყებამდე დუშეთში, პროვინციული ქალაქის კვალობაზე, ერთგვარი მოწყენილობა და უმიზნო დროსტარება ყოფილა დამკვიდრებული. პრესა იტყობინებოდა: „დუშეთის საზოგადოებამ ამ წელიწადს (ლაპარაკია 1880 წელზე. ი. გ.) თითქო გაიღვიძა, თვალები მოიფშვნიტა, მიიხედ-მოიხედა და იგრძნო თავის უმსგავსო და უნაყოფო ცხოვრება, რომელიც მიმდინარეობდა მხოლოდ ქაღალდისა და ლოტოს თამაშობაში, უმსგავსო „ვეჩერებში" და სიმღერებში"[2].

სპექტაკლებზე დასასწრებად მოდიოდნენ მეზობელი სოფლებიდანაც. ისინი თეატრში გართობას კი არ ეძებდნენ, მასში ცხოვრების სარკესა და სკოლას ხედავდნენ. ისიც საყურადღებოა, რომ სპექტაკლს თუ არ ჰქონდა საქველმოქმედო დანიშნულება და ბილეთები არ იყიდებოდა, ისე ბევრი მაყურებელი არ ესწრებოდა. განსაცვიფრებელია მაშინდელი ხალხის საქველმოქმედო განწყობილება!

დუშეთის თეატრალური ცხოვრების გარიჟრაჟზე სცენისმოყვარეთა შეკრების, დასის შედგენისა და პირველი სპექტაკლების დადგმის ინიციატორი ყოფილა თამარ კვალიაშვილი (კვალიევი), ქ. დუშეთში მცხოვრები მანდილოსანი: „დამწყობი ამ საქმის იყო ერთი დუშეთში მცხოვრებელი ქალთაგანი, სახელდობრ თამარ კვალიაშვილისა"[3]. თამარ კვალიაშვილი უნდა ჩაითვალოს დუშეთის სახალხო თეატრის პირველ რეჟისორად და მოამაგედ. როგორც ჩანს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ძა-

---

[1] გაზ. „დროება", 1880, №24.

[2] იქვე.

[3] გაზ. „დროება", 1880, №183.

ლიან ახლო ურთიერთობა ჰქონია თბილისის პროფესიული და სახალხო თეატრების მსახიობებთან. ამას ისიც ადასტურებს, რომ მისი თხოვნითა და ინიციატივით 1880 წლის აგვისტოში ქ.დუშეთში ჩამოდის ცნობილი მსახიობი ნატო გაბუნია, რომელიც იქაურ სცენისმოყვარეებთან ერთად მონაწილეობს სპექტაკლში: „თამარ კვალიაშვილმა სთხოვა ქართულის თეატრის აქტრისას ნატალია გაბუნიას, მიეღო მონაწილეობა და გაბუნიამაც პატივი სცა ამათ თხოვნას და მოვიდა დუშეთში“[1].

თეატრის მოყვარულებს შეუდგენიათ სამუშაო გეგმა, რომლის თანახმადაც უნდა წარმოედგინათ თვეში ერთი სპექტაკლი, ხოლო შემოსავალი მთლიანად გადასცემოდა დუშეთის ქალთა სკოლას, სადაც იმ დროს 30 ქალი სწავლობდა. იმავე წელს კიდევ რამდენჯერმე გაუმართავთ სპექტაკლი, რაც იმასაც ნიშნავს, რომ დუშელმა სცენისმოყვარეებმა გეგმა საქმედ აქციეს. ისინი ენერგიულად შეუდგნენ საქმეს. ნატო გაბუნია შემდგომაც აქტიურად ეხმარებოდა ენთუზიასტ დუშელ სცენისმოყვარეებს.

დუშეთის მკვიდრი, შემდგომში საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის მეცნიერმუშაკი გიორგი პავლეს ძე მოზდოკელი იგონებს, რომ 1884 წელს ნიჭიერი მსახიობი ნატო გაბუნია დიმიტრი კვალიაშვილს სწორედ იმ სახლში ესტუმრა, სადაც ილიამ 10 წელი იცხოვრა. ეს სახლი ეკუთვნის იოსებ ვასილის ძე მოზდოკელს და სწორედ წარმოდგენისათვის იყო გამოსადეგი, რადგანაც სახლში უზარმაზარი ზალა იყო. აქ მოაწყვეს სცენა და დადგეს გ. ერისთავის პიესა „გაყრა“[2]. ნატო გაბუნიას თათელას როლი შეუსრულებია და მაყურებელი მოუხიბლავს საშემსრულებლო ოსტატობით. ანდუყაფარის როლი კი დიმიტრი კვალიაშვილს შეუსრულებია, რომელიც დუშეთში მაზრის უფროსის თანაშემწედ ყოფილა დანიშნული და, როგორც ჩანს, მეცენატობას უწევდა ახლად ჩამოყალიბებული დასის მუშაობას.

დუშეთის მაზრის მმართველობა და მოხელეები თავიდანვე დაინტერესებულან სახალხო თეატრის მუშაობით. ისინი აქტიურად ეხმარებოდნენ სცენისმოყვარეებს, უფრო მეტიც, მაზრის უფროსები და მათი თანაშემწეები ოჯახის წევრებთან ერთად

---

[1] გაზ. „დროება“, 1880, №183

[2] გ. მ ო ზ დ ო კ ე ლ ი ს მოგონება, დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალა.

მონაწილეობდნენ სპექტაკლებში, თუმცა სხვა ადგილებში ასე როდი ყოფილა; მაგალითად: ზესტაფონის სცენისმოყვარეებს სპექტაკლის დადგმის ნებართვა ქუთაისის გუბერნატორისაგან უნდა გამოეთხოვათ, ისე სპექტაკლის დადგმა არ შეეძლოთ.

დოდო ანთაძე თავის წიგნში „თეატრალური ზესტაფონი" წერს: წარმოდგენების ხშირ მოწყობას დიდად უშლიდა ხელს ის გარემოება, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ნებართვა ქუთაისში გუბერნატორისაგან უნდა აეღოთ, თუმცა ზოგან, სხვა ადგილებში, მაზრის უფროსის ნებართვაც კმაროდა"[1].

დუშელ სცენისმოყვარეებს ამ მხრივ ხელსაყრელი პირობები ჰქონდათ. მათ არა მარტო ნებას რთავდნენ, არამედ მოხელეები თვითონვე ეხმარებოდნენ სცენის მოწყობასა და სხვა საქმეების მოგვარებაში. პრესაში ხშირადაა მადლობით მოხსენიებული ისინი, რომლებმაც დიდი დახმარება აღმოუჩინეს წარმოდგენას.

გ. მოზდოკელი 1884 წელს გ. ერისთავის „გაყრის" დადგმას დუშეთის სცენაზე პირველ წარმოდგენად მიიჩნევს, რაც არ არის სწორი. თუ „პირველი წარმოდგენა" დუშეთში კომედია „გაყრის" პირველად დადგმას გულისხმობს, მაშინ სადავო აღარაფერია და ნათელი ხდება ისიც, რომ ნატო გაბუნია, როგორც მსახიობი და დუშელ სცენისმოყვარეთა მორალურად მხარის დამჭერი, რამდენიმეჯერ ყოფილა დუშეთში. საყურადღებოა, რომ „გაყრაც" დუშეთში პირველად ამ სახელოვანი მსახიობის მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით დადგმულა.

მაშინდელი პრესა დიდად ახალისებდა სცენისმოყვარეთა მუშაობას. ხშირად იბეჭდებოდა შესაბამისი კორესპონდენციები, რომელშიც სახალხო სცენისმოყვარეთა მიმართ კეთილი დამოკიდებულება და სრული მხარდაჭერა იგრძნობოდა. სცენისმოყვარეები უფრო ენერგიულად ირაზმებოდნენ სახალხო თეატრის წინაშე დასახული საზოგადოებრივი მისიის შესასრულებლად, არჩევდნენ რეპერტუარს და ხვეწდნენ სცენურ ოსტატობას...

სცენისმოყვარეები ცდილობდნენ დედაქალაქისათვის მხარის გასწორებას როგორც რეპერტუარით, ისე საშემსრულებლო ხელოვნებით.

---

[1] დ. ა ნ თ ა ძ ე. „თეატრალური ზესტაფონი", თბ., 1978, გვ.48.

საყურადღებოა, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგისათვის ქ. დუშეთში ქართულ წარმოდგენებთან ერთად იდგმება რუსული სპექტაკლებიც. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ იმ დროს დუშეთში იმყოფებოდა სათადარიგო ჯარის ნაწილი ოფიცერთა შემადგენლობით და ქალაქს, როგორც სამაზრო ცენტრს, ჰყავდა შესაბამისი მოხელეებიც.

პრესის ცნობით, 1880 წლის 20 იანვარს დუშეთის სცენისმოყვარეებმა „წარმოადგინეს ორი პიესა ერთი რუსულს და მეორე ქართულს ენებზედ"[1]. ქართული თეატრის გვერდით ერთდროულად მუშაობა დაიწყო რუსულმა თეატრმაც. ეს ტრადიცია შემდგომ წლებში თანდათან ჩვეულებრივ ხასიათს იღებს ქ. დუშეთში. 1898 წელს „ცნობის ფურცელი" იტყობინებოდა: „25 ნოემბერს ადგილობრივმა სცენისმოყვარეთ ქართულ-რუსული წარმოდგენა გამართეს. ქართულად ოთხმოქმედებიანი კომედია „ხანუმა" ცაგარელის, რუსულად „ბეზ ჟენი" — ერთ მოქმედებიანი ვოდევილი, „იშჩუ ჟენიხა" — ფარსი ერთ მოქმედებად. მონაწილეობას იღებდნენ: ქ. ვერა ვლადიმეროვისა, ნინა მცხვედაძისა, ნ. დაფქვევაძისა, ნ. ბარნაბოვისა და ნ. ჯინჭველაძისა, ბ. ბ. ალექსანდრე ვლადიმიროვი, ალ. ლალიაშვილი, გრ. ვლადიმიროვი და შ. ჟინჭველაძისა. როგორც ქართულმა, აგრეთვე რუსულმა წარმოდგენამ კარგად და მწყობრად ჩაიარა"[2].

ერთი თვალის გადავლებით აშკარა ხდება მსახიობთა შემადგენლობაც: ზოგჯერ იგი მოიცავდა მთელ ოჯახებს (ცოლი და ქმარი) და მოვლინებულ მოხელეებთან ერთად თანდათან ადგილობრივი მცხოვრებნიც გაერთიანდნენ სცენისმოყვარეთა წრეში (მაგ. ალ.ლალიაშვილი).

1898 წელს „პარასკევს, 6 ნოემბერს ადგილობრივმა სცენისმოყვარეთ ქართულ-რუსული წარმოდგენა გამართეს. ქართულად დადგა ოთხმოქმედებიანი კომედია „ციმბირელი", ხოლო რუსულად ორი ვოდევილი ცაგარლის „უსლუჟი" და „ნეჩაიანნოე ოგორჩენიე". სპექტაკლებში როლებს ასრულებდნენ: ვერა ვლადიმიროვისა, ნ. ჯინჭველაძისა, კობიევისა,[3]. ნ. დაფქვიაშვილისა და ნ. ბარნოვისა. კაცები: ალ. ვლადიმიროვი, ლადო დაფქვი-

---

[1] გაზ. „დროება", 1880, №24.

[2] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1898 №702.

[3] სახელი არაა მითითებული.

ა'შვილი, შ. ჯინჯველაძე, ალ. ლალიაშვილი, გრ. ელადიმიროვი და გ. შახმადიანი"[1].

ქართულ-რუსული წარმოდგენების ერთდროული მოწყობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ქ. დუშეთ'ში მყოფი ჯარის ნაწილის ქართველი ოფიცრების თაოსნობით სცენისმოყვარეთა მუშაობაში აქტიურად ჩაებნენ ჯარისკაცებიც. პრესის ცნობით „1899 წელს, 27 თებერვალს ('შაბათს) ადგილობრივი ადმინისტრაციის ნებართვით მუსიკალურ დარბაზ'ში ჯარისკაცებმა საქველმოქმედო მიზნით გამართეს წარმოდგენა ქართულად. ითამაშეს: ვოდევილი „ნა ხუტორე" და ვ. გუნიას კომედია „ვაის გავეყარე". ქალების როლებს ვაჟებივე ასრულებდნენ და ყველას სასიხარულოდ უნდა ითქვას, რომ წარმოდგენა ჩინებულად და ლაზათიანად გამოვიდა"[2].

1900 წელს „ქ–ბ. ვ. ე. იაშვილის მეცადინეობით და მეთაურობით ქრისტეშობის თვეს გაიმართა ქართულ-რუსული წარმოდგენა. დადგმული იქნა ქართულად: „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", რუსულად „მუჟ ი ჟენა" და „დიმ ბეზ ოგნია"[3].

მოყვანილი მაგალითები უეჭველად ადასტურებენ, რომ დუშეთის სახალხო თეატრის სცენაზე დამკვიდრდა ქართულ-რუსული სპექტაკლების ერთდროულად წარმოდგენის პრაქტიკა. ეს იმ დროისათვის ნაკარნახევი იყო მეფის თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკით. ამასთან, როგორც ჩანს, ანგარიში ეწეოდა ჯარისკაცთა სულიერ ცხოვრებასაც.

საყურადღებოა ისიც, რომ სცენისმოყვარეთა მეცადინეობით წარმოდგენების შინაარსი თანდათან მრავალფეროვანი გახდა. 1898 წლიდან დუშეთის სცენაზე სპექტაკლებთან ერთად ცეკვებისა და სიმღერების წარმოდგენაც ხდებოდა, ნობის ფურცელი" კმაყოფილებით აღნიშნავდა: „სპექტაკლებით საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა. დასასრულს გამართული იყო „ლეკური" (მაშინ ასე იწოდებოდა ქართული ცეკვა. ი. გ.). ითამაშა ცნობილმა მელეკურემ კახელმა სიკო პაიჭაძემ, რომელმაც მშვენივრად ითამაშა, როგორც პირველ წარმოდგენაში, აგრეთვე მეორეშიც და რამდენჯერმე „ვაშას" ძახილითა და ტაშის კვრით იქნა გამოწვეული და თამაშობა გაამეორებინეს. საზოგადოება

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1898, №681

[2] გაზ. „ცნობის ფურცელი" 1899, №767

[3] გაზ. „ცნობის ფურცელი"1900, №1342.

დიდად ნასიამოვნები დარჩა... ითამაშა ლეკური აერეთვე ტიტო კობიაშვილმა"[1].

1901 წელს კორესპონდენტი საზოგადოებას აცნობებდა, რომ დუშეთის მომღერალთა გუნდს სათავეში ჩასდგომია ალექსანდრე კავსაძე და ქართული და რუსული სიმღერებისაგან შემდგარი პროგრამიით წარმდგარა დუშელი მაყურებლის წინაშე. „ადგილობრივი გალობის მოყვარულთა შემწეობით"გამართულ კონცერტს დიდი მოწონება დაუმსახურებია: „საზოგადოებას ისე მოეწონა კონცერტი, რომ თითქმის ყველა ნომერი გაამეორებინეს და ტაშით დააჯილდოვეს. ბ-ნ კავსაძეს ტკბილი ტენორი აქვს და, აბა რაღა თქმა უნდა, რომ „გადმიშვი მთაო" ხალხს აღტაცებაში მოიყვანდა!"[2]. ა.კავსაძეს ეს კონცერტი გაუმართავს 1900 წლის დეკემბერში.

დუშეთში ქალთა და ვაჟთა სიმღერის გუნდი („მგალობელი გუნდი") ჩამოყალიბებულა 1899 წელს. გაზეთი „ივერია" გვამცნობს გუნდის შექმნის საქველმოქმედო დანიშნულებას: „აქ შედგა ქალთა და ვაჟთა მგალობელი გუნდი, რომელიც მალე მომავალში აპირებს მცხეთის ტაძრის განსაახლებელი თანხის სასარგებლოდ კონცერტების გამართვას"[3]. ამგვარად, სცენისმოყვარეთა დასს მიემატა მგალობელთა გუნდიც. წარმოდგენები სახალისო და მრავალფეროვანი ხდება. მაყურებელი რიცხვობრივად მატულობს. სოფლებიდან მოდიან ურმებით, ცხენებით, ფეხით... სცენისმოყვარეთა გულმოდგინებას საზღვარი არა აქვს...

პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა ასეთი ცნობები: „დიდი დახმარება აღმოუჩინეს წარმოდგენას ბაზალეთის ბოქაულმა გ. ჭონქაძემ, ვ. ტერ-გრიქუროვმა და ი. გრძელიძემ, რომელთაც დიდი შემწეობა გაუწიეს სცენის მოწყობაში და სხვა საქმეებში, რისთვისაც მადლობის ღირსნი არიან. განსაკუთრებით მადლობის ღირსია ბ. პორუჩიკი ადგილობრივი დრუჟინისა კონსტანტინე სიმონის ძე ბაჩიევი, რომელმაც დიდი შრომა გასწია მსახიობთა მოკაზმაში."[4]. ცხადია, ასეთი ვითარება სცენისმოყვარეთა ინიციატივას წაახალისებდა.

მძიმე პირობების მიუხედავად, სცენისმოყვარენი ხალისიანად

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1898, №702

[2] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1901. №1347.

[3] გაზ. „ივერია", 1899, №160.

[4] გაზ„ცნობის ფურცელი", 1898, №68.

უძღვებოდნენ თავიანთ საქმეს. ცდილობდნენ გაეძრავალფეროვნებინათ წარმოდგენები.

კორესპონდენციებში ხაზგასმული იყო, რომ დუშელები თეატრს უყურებდნენ როგორც „სარკეს ცხოვრებისას". ქალაქის მოსახლეობისა და ინტელიგენციის მოწინავე ნაწილს კარგად ესმოდა, რომ თეატრი იყო ერთ-ეროი ადგილი, საიდანაც შეიძლებოდა მოწინავე იდეების ქადაგება მშობლიურ ენაზე, საზოგადოებაში ეროვნული სულის აღდგენა და ცხოვრების ავკარგში გარკვევა. ამიტომაც სცენისმოყვარენი სამუშაოს დამთავრების შემდეგ შორი მანძილიდან დაუზარებლად მოდიოდნენ რეპეტიციებზე და დაუგვიანებლად ცხადდებოდნენ. ისინი ცდილობდნენ სცენური ოსტატობით გატოლებოდნენ პროფესიული თეატრის სახელმოხვეჭილ მსახიობებს, რასაც ხშირ შემთხვევაში კიდევაც აღწევდნენ, რადგანაც სახალხო სცენისმოყვარეენი დღითიდღე ხვეწდნენ თავის ხელოვნებას; წლითი-წლობით მდიდრდებოდა თეატრის რეპერტუარიც. ნიჭიერი ენთუზიასტი რეჟისორების მეცადინეობით, დაარსებიდან მოყოლებული 900-იან წლებამდე, დუშეთის სახალხო თეატრალურმა დასმა სასცენო საქმიანობის შინაარსიანი გზა განვლო და საზოგადოების ყურადღება მიიქცია. დუშეთში ამოდიოდნენ გამოჩენილი სცენის ოსტატები: ნ. გაბუნია, ალ. კავსაძე და სხვები. დუშეთის სახალხო თეატრი ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ზრუნვის საგანი ხდებოდა.

დუშელ მსახიობთა დამსახურებად უნდა ჩაითვალოს სახალხო თეატრით მაყურებლის დაინტერესება.

დუშეთის სახალხო თეატრის შესახებ შემორჩენილი მასალები გვაუწყებს, რომ 1880 წლიდან 1900 წლებს შორის, ოცი წლის განმავლობაში, სცენისმოყვარეებმა მრავალი ორიგინალური და თარგმნილი პიესა დადგეს, დააარსეს სიმღერის გუნდი, შინაარსობრივად გაამრავალფეროვნეს რეპერტუარი.

დუშეთის სახალხო თეატრის დრამატული დასის დამფუძნებლის თამარ კვალიაშვილის წამოწყებულ საქმეს ენთუზიასტი გამგრძელებლები გამოუჩნდნენ, რომელთა თაოსნობით თითქმის ყოველთვე იმართებოდა სპექტაკლები.

1900 — 1921 წლები

დუშეთის თეატრალური ცხოვრება განსაკუთრებით სისხლსავსე გახდა 900-იანი წლებიდან. სცენამ ახალი პათოსი შეიძინა და ქართულმა თეატრმა მასების განწყობილებას მხარი აუბა.

თეატრი, როგორც ხელოვნების თავისებური სახე, თანდათან უფრო მიმზიდველი და დახვეწილი გახდა, პერიფერიებში არსებული ქართული ხალხური თეატრები და დრამატული დასები კელავ მხარში ედგნენ ქართულ პროფესიულ თეატრს. ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად თეატრი ახალი იდეებისა და განწყობილების პროპაგანდის ტრიბუნად იქცა.

დუშეთის სახალხო თეატრის მუშაობა აქტიურად გაიშალა 900-იან წლებში. თუ მანამდე სცენისმოყვარეთა შემოქმედებითი შრომა მაინც სეზონური ხასიათისა იყო, სპექტაკლების დადგმას თანდათან სისტემატური ხასიათი მიეცა. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ პრესა სათანადოდ ვერ აშუქებდა ყოველივე ამას, თუმცა კანტიკუნტად გამოქვეყნებული კორესპონდენციები მაინც გვიქმნიან წარმოდგენას იმ პერიოდში დუშეთის სცენისმოყვარეთა მიერ გაწეული ენერგიული შრომის შესახებ. სპექტაკლების საქველმოქმედო დანიშნულებით დადგმა ისევ ძალაში რჩება. 1900 წელს „ცნობის ფურცელი" გვაუწყებს: „ქ—ბ. ვ. ეიაშვილის მეცადინეობითა და მეთაურობით 27 ქრისტეშობისთვეს გაიმართა ქართულ-რუსული წარმოდგენა. წმინდა შემოსავალი იყო ექვსი თუმანი, რაიცა მოხმარდა სკოლის საჭიროებას. ხალხი ბლომად დაესწრო. 30 ქრისტეშობისთვეს ა. კავსაძე აპირებს კონცერტის გამართვას"[1].

ძველი დუშეთის თეატრალური ცხოვრების მატიანეში საპატიო ადგილი უჭირავს ალექსანდრე კავსაძეს, ცნობილ მომღერალსა და მსახიობს.

1900 წლიდან სცენები კერძო დარბაზებიდან საზოგადოებრივი კუთვნილების ბინებში ინაცვლებს. დუშეთის სახალხო თეატრის მესვეურებმა გამალებული ზრუნვა დაიწყეს სცენის კე-

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1900, №1342. გაზ„ცნობის ფურცელი", 1898, №68.

თილმოწყობისათვის. მართალია, რეჟისორები ხშირად იცვლებოდნენ, მაგრამ მუშაობა მაინც გრძელდებოდა სცენისმოყვარულთა ენთუზიაზმის წყალობით. 1902 წელს „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი წერილი გვაუწყებს: „ხუთშაბათს, 25 ივლისს ბატონ იაშვილის მეთაურობით აქაურმა სცენისმოყვარულებმა სასცენო თანხის გასამდიდრებლად წარმოადგინეს ა. ყაზბეგის „არსენა“, ამ წარმოდგენის აზრმა და თვით პიესამ დიდძალი ხალხი მიიზიდა სკოლის დარბაზში. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა და საზოგადოებაც ნასიამოვნები დაიშალა. არსენას როლს ო. კობიაშვილი თამაშობდა, გარსევანისას — გ. მოზდოკელაშვილი, რომანოზისას — ქაიხოსრო ზანდუკელი. სამივენი კარგად მომზადებულიყვნენ. გ. ვლადიმიროვმა კარგად დაასურათა მოღალატე ნათლიმამა... არა უშავდა რა აგრეთვე ბ-ნ ღელუბნელს გაიძვერა მოურავის როლში. ბ-ნმა რატიშვილმა სირაჯის როლში საზოგადოება ბევრი აცინა. არც ქალები ჩამორჩნენ მამაკაცებს. ქ-ნმა ნინა ზანდუკელიშვილისამ და მარია გრძელიძისამ ისე შნოიანად შეასრულეს თავიანთი როლები, რომ ტაშის ცემითა და ვაშას ძახილით იწვევდნენ“[1]. წერილს ხელს აწერს „ნატო ქალი“.

სპექტაკლი იმითაც არის საყურადღებო, რომ მასში როლებს ძირითადად ადგილობრივი სცენისმოყვარეები ასრულებდნენ. მათ შორის ქაიხოსრო ზანდუკელი, შემდეგში ცნობილი ექიმი და პროფესორი.

შემდგომ პერიოდში დუშეთის დრამატული დასის შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ ძუნწი ცნობები შემოგვრჩა. პრესა რატომღაც სდუმს. სხვა წერილობითი საბუთებიც აღარაფერს გვეუბნებიან დუშეთის თეატრალური ცხოვრების შესახებ.

საფიქრალია, რომ 1905 წლის რევოლუციის პერიოდში და შემდგომაც დუშელი სცენისმოყვარენი მუშაობას უფრო გააქტიურებდნენ, მაგრამ ამან სათანადო ასახვა ვერ ჰპოვა, რაზედაც მიგვანიშნებს 1911 წელს გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენ მხოლოდ ქებით შეგვიძლია სცენისმოყვარეთა მოხსენიება, რომელთაც ფრიად დიდი შრომა და მეცადინეობა სჭირდებათ წარმოდგენის მოსაგვარებლად და რომელთა შორის, როგორც დაგვანახვა ამ წარმოდგენამ და აგრეთვე წინა წლებისამ, საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდები ურევიან“[2]. წინა წლებში ჩატარებული წარმოდგენები უფლებას

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902, №188.

[2] გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911, №363.

გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დუშელი სცენისმოყვარენი ენერგიულად იღვწოდნენ 1900–1910 წლების პერიოდშიც.

1911 წლის თეატრალური საქმიანობა აქტიურად გამოიყურება. წარმატებით იდგმება საქველმოქმედო დანიშნულების სპექტაკლები: „დუშეთის სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნა გულისაშვილის ხუთმოქმედებიანი პიესა „დრონი მეფობენ“, ხელმოკლე, მაგრამ იმედითა და ენერგიით სავსე ახლად გათავებულ ქართულ გიმნაზიის მოწაფის გ. ჯ.-ის სასარგებლოდ“[1].

იქვე ვკითხულობთ: „მადლობის ღირსნი არიან ბ. ტ. მაისურაძე, ნ.ზანდუკელი, ს. კობიაშვილი, უმეტესად ეს ჩვენი მუდმივი სცენისმოყვარე ქალი, რომელსაც ამ სიცხე-პაპანაქებაში არ ეზარება და სოფლიდან ორივე ვერსის მანძილიდან დაიარება რეპეტიციებზე“[2]. მადლობითაა მოხსენიებული გრიმიორი ს. აზიზოვიც.

სცენისმოყვარეები თანდათან აფართოებენ თავიანთ საქმიანობას. სასცენო საქმეში აქტიურად აბამენ ბავშვებსაც. წარმატებით დგამენ სპექტაკლებს ბავშვთა მონაწილეობით... ამ საქმეში განსაკუთრებული მუშაობა გაუწევია ალექსანდრე ინაშვილს, რომელმაც „პატარა ბავშვებს პიესა შეასწავლა და საუცხოოდაც წარმოადგინეს“. ეს იყო 1914 წელს. მოზრდილთა თეატრის გვერდით არსებობა დაიწყო მოზარდთა თეატრმაც.

1914 წლის 18 აგვისტოს დუშეთში ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებული საზოგადოების დუშეთის განყოფილების სასარგებლოდ მოეწყო საბავშვო-სალიტერატურო საღამო. საღამო შედგა ე. წ. „საკრებულო დარბაზში“. პატარა დუშელმა ბავშვებმა ითამაშეს საყმაწვილო ფანტასტიკური პიესა ლუკაშრევიჩისა „ყვავილთა შორის“. თარგმანი ლ. ბოცვაძისა. ყველას ეტყობოდა ხალისი და სურვილი თავიანთი როლების კარგად შესრულებისა. თვითონ პიესაც მეტად მდიდარი შინაარსისაა, ეფექტოვანი სურათებითა და ცოცხალი ენით თარგმნილი გამოდგა. საეროოდ ყმაწვილებმა კარგად ითამაშეს. საზოგადოებას უფრო მოეწონა ბუნებრივი თამაში 6 წლის თამარ ნამორაძისა... მეორე განყოფილებაში წაიკითხეს ლექსები და სცენები. ამაკე საღამოზე ადგილობრივი ქალების

---

[1] გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911, №368.

[2] იქვე

სიმღერის გუნდმა („ქალთა ხორომ“) გ. გოლაშვილის ლოტბარობით შეასრულა ქართული სიმღერები — კორესპონდენტი დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ მოვლენას და აღნიშნავს, — გ. გოლაშვილს სწორედ სანთლით უპოვნია ამისთანა საუცხოო ხმები. საზოგადოებას უფრო მოეწონა „სულ ძილი, ძილი“, „სამშობლო ხევსურისა“ და „სურამის ციხე“[1].

ლიტერატურულ საღამოს სათავეში ჩასდგომია იულია აბელის ასული იაშვილი. ამ მანდილოსანს დიდი შრომა გაუწევია საღამოს ორგანიზაციისა და სცენის მოწყობისათვის, ხოლო „საკრებულოს მამასახლისთა საბჭოს“ უფასოდ დაუთმია დარბაზი. საღამოზე დასასწრებლად ბევრი ხალხი მოსულა. ბილეთებიც სულ გაყიდულა. „დარბაზის სიპატარავის გამო ბევრი დაბრუნდა უბილეთო შინ. მაშინაც ხარჯის გარდა წმინდა შემოსავალი დარჩა 45 მანეთი, რომლიდანაც 40 მანეთი გადაეცა ახლად დაარსებულს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებული საზოგადოების განყოფილებას და 5 მანეთი სამაზრო კომიტეტს“. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებული საზოგადოების დუშეთის განყოფილებისადმი თანხის ნამდვილად გადაცემას ადასტურებს ამ გამგეობის წევრის ნიკიფორე კანდელაკის მადლობის წერილი, რომელიც იმავე წელს გამოქვეყნდა „სახალხო ფურცელში“. „უმორჩილესად გთხოვთ ბ. რედაქტორს, მომცეთ საშუალება თქვენის გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა განვუცხადო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებული საზოგადოების დუშეთის განყოფილების მხრით ყველა იმ პირთ, რომელთაც ხელი შეუწყვეს ამ თვის 18 ქ. დუშეთში გამართულ საბავშვო-ლიტერატურულ საღამოს, რომლის შემოსავალი 43 მან. 49 კაპ. მივიღე, ვისგანაც ჯერ იყო განყოფილების სასარგებლოდ.“[2]. იქვე ავტორი მადლობით იხსენიებს იულია იაშვილს (საღამოს განმგებელს), ალექსანდრე ინაშვილს (ბავშვების მომზადებელს) და გიორგი გოლაშვილს (ქალთა გუნდის ლოტბარს).

რეპერტუარის მრავალფეროვნება თავის მხრივ მიუთითებს დუშეთის თეატრალური დასის მუშაობის იდეურ მიმართულებასა და ორგანიზაციაზე.

---

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1914, №73.

[2] გაზ„სახალხო ფურცელი“,1914, №69.

1914 წელს, როგორც ირკვევა, გადახალისდა დრამატული კოლექტივი. „თეატრი და ცხოვრება“ საზოგადოებას აუწყებდა: „დუშეთში შესდგა სცენისმოყვარეთა წრე. საქმის გამგედ არჩეული არიან დ. კობიაშვილი, ს. ნამორაძე, გ. მაისურაძე. უკვე გამართეს ერთი წარმოდგენა სცენის სასარგებლოდ. ხალხი ბლომად დაესწრო და ისიამოვნა“[1]. მომდევნო ნომერში ქვეყნდება ასეთი განცხადება: „დუშეთის სცენისმოყვარეთა წრე მომავალ კვირაში დასდგამს „პატარა კახს“ ადგილობრივ სასწავლებლის სასარგებლოდ“[2].

აშკარად ჩანს, რომ დრამწრის ახლადარჩეული ხელმძღვანელობა საქმეს ენერგიულად ჩასდგომია სათავეში და მუშაობისათვის მწყობრი და სისტემატური ხასიათი მიუცია.

დასის მუშაობამ კვლავ საზოგადოებრივი აღიარება მოიპოვა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დუშეთის განყოფილებამ მასზე მეურვეობა იკისრა. ამავე განყოფილების პირველ საზოგადო კრებაზე დაისვა საკითხი ამ საზოგადოებასთან დრამწრის შეერთების შესახებ. მუშაობა გაორკეცდა: „წინათ წელიწადები გაივლიდა ზედიზედ, მაგრამ დუშელები ერთ წარმოდგენასაც ვერ ეღირსებოდნენ, ახლა კი თვეში ორ-ორსა მართავენ“[3] — იტყობინებოდა პრესა.

თეატრის მუშაობამ სისტემატური ხასიათი მიიღო. 1915 წლის პირველ აპრილს დუშეთის სცენაზე კვლავ დაიდგა „ხანუმა“. როლებს ასრულებდნენ: ვარ.სიდამონიძე — ხანუმა, ს. ბერიშვილი — ქაბატუა, თ. კანდელაკი — სონა. აგრეთვე: მეტრეველი (სახელი არაა მოხსენიებული. ი. გ.), ს. ნამორაძე, დ. კობიაშვილი, მ. ოსიტაშვილი და სხვა. 1915 წლის 12 აპრილს ლ. ხანდოელის (ლადო ბერიძე) მონაწილეობითა და რეჟისორობით წარმოადგინეს ვ. გუნიას ისტორიული დრამა „და-ძმა“, რომელშიც დ. ხანდოელმა შეასრულა ფაიად-ფაშას როლი და დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა „თავისი ნიჭიერი, დაკვირვებული თამაშითა“. საინტერესოა, რომ ამ სპექტაკლს „დაესწრო აგრეთვე ჩვენი მგოსანი ვაჟა ფშაველა“[4] 1915 წლის 7 მაისს წარმოადგინეს სამი პიესა: ვ. გუნიას „არც აქეთ, არც

---

[1] ჟურნ.„თეატრი და ცხოვრება“, 1914, №18, გვ. 16.

[2] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914, №19, გვ. 16.

[3] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №16, გვ.14.

[4] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №17, გვ.16.

იქით“, სუნდუკიანცის „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“ და ვ. გუნიას „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“.

დუშეთის დრამატულ დასს აქტიურ დახმარებას უწევდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დუშეთის განყოფილების გამგეობა. პრესის მასალები ცხადყოფენ, რომ მათ შორის იყო შეთანხმებული მუშაობა, რაც დიდად უწყობდა ხელს დრამატული დასის წარმატებას: „ქ. დუშეთში ორშაბათს, 3 აგვისტოს სამხედრო საკრებულოს დარბაზში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებამ ადგილობრივ ძალთა მონაწილეობით თავის სასარგებლოდ წარმოადგინა „ქართველი დედა“- ისტორიული დრამა 4 მოქმედებად ა. ცაგარელისა. მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, პიესა მაინც გვარიანად ჩაატარეს“[1].

კარგი იყვნენ: ქ-ნი ს. ებიტა'შვილი (დედა),— გრიმი არ უვარგოდა, ქ-ნი კანდელაკი (ლეილა), რომელიც დიდი ხანი არ არის სცენაზე გამოვიდა, ეტყობა ნიჭი და სიყვარული ხელოვნებისადმი, ქ-ნი ვ. მოლოდინი (ფატმა), ბ. ინაშვილი — განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში, როდესაც სატრფოს დასტირის.

ბ. ლ. ბერიძე (ფაშა),— უნაკლოდ ასრულებს როლს. ამას ხელს უწყობენ ს. კობაიძე (ომარ-ხანი) და ლ. მერაბიშვილი (პაპუა), რომელიც სცენაზე გამოვიდა პირველად. დანარჩენებს როლების უცოდინარობა ეტყობოდათ“[2].

ამ წერილში უფრო საყურადღებოა შემდეგი: „საერთოდ იმ საღამომ მოლოდინს გადააჭარბა. საზოგადოებაც, როგორც ყოველთვის, ბლომად დაესწრო, მიუხედავად იმისა, რომ ამ კვირაში სამი წარმოდგენა დადგეს. ხალხი კმაყოფილი დაიშალა ღამის 1 საათზე“.

ერთი კვირის განმავლობაში სამი სპექტაკლის დადგმა უდავოდ მიუთითებს სცენისმოყვარეთა ინტენსიურ მუშაობაზე და გვიჩვენებს ახლად არჩეული გამგეობის უნარიან ხელმძღვანელობასა და პასუხისმგებლობას დაკისრებული საქმისადმი. თუ იმასაც წარმოვიდგენთ, რომ სცენისმოყვარენი სრულიად უსასყიდლოდ (უხელფასოდ) მოღვაწეობდნენ, ჩვეთვის უფრო ნათელი იქნება მათი ენთუზიაზმი.

---

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №17, გვ.16

[2] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 34, გვ. 15

დასის წეერთა ქ�elმოქმედების მიზნები თანდათან სცილდება ადგილობრივი საჭიროების ფარგლებს. ისინი მტკიცე სოლიდარობას უცხადებენ დარბეულ აჭარლებს და 1915 წლის 2 და 24 მაისს მათ დასახმარებლად წარმოადგინეს დ. ერისთავის „საშობლო“.

. „მართალია, პიესა უნაკლოდ არ იყო დადგმული, მაგრამ თუ მხედველობაში მიიღება ის პირობები, რა პირობებშიც აქაურ სცენისმოყვარეებს უხდებათ მუშაობა, მაშინ თამამად ითქმის, რომ პიესა თავისდა კვალობაზე უნაკლოდ იყო წარმოდგენილი“[1].

ამ საინტერესო სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ: „ა. ბერიშვილი (ხიმშიაშვილი), ვ. სიდამონიძე (ქეთევანი), დ. კობიაშვილი (ს. ლიონიძე), ლ. ხანდოელი (შაპი); ა. ბერიშვილს საზოგადოება აღტაცებაში მოუყვანია.

კორესპონდენტი აღტაცებულია დუშელ სცენისმოყვარეთა დაინტერესებითა და საქმის ერთგულებით. დეკორაციების გაკეთებით თავი გამოუჩენია ლ. ხანდოელს. უფრო მეტიც: თურმე „ანტრაქტში ზურნა უკრავდა“. არავის დაუზოგავს ძალა, არც სცენისმოყვარეებს და არც ხალხს, „ყველანი ერთი აზრით შეეროებულიყვნენ და მოსულიყვნენ დარბაზში დაწიოკებული მოძმე აჭარლების დასახმარებლად“.

1915 წლის 26 ივლისს დუშელმა სცენისმოყვარეებმა მოაწყეს კულტურული დასვენება-სეირნობა დივერტისმენტით (მუსიკალურ-დრამატული წარმოდგენა, რომელიც შესდგება ცალკეული ნორმებისაგან და ეწყობა ძირითადად სპექტაკლის წინ, ან შემდეგ). ამ ღონისძიებაში მონაწილეობდა საქართველოს სახალხო არტისტი ვასო აბაშიძე. სეირნობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად დუშელმა სცენისმოყვარეებმა ბაღი აირჩიეს. იგი წინასწარ საგანგებოდ მორთეს და მოამზადეს, დადგეს ფარდულები, ფარნები და სხვა. ღონისძიება დაწყებულა საღამოს 5 საათზე და გვიან ღამემდე გაგრძელებულა.

დივერტისმენტის შემდეგ დაიწყო წარმოდგენა. დადგეს ვოდევილები რაფიელ ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და ვ. გუნიას „არც აქეთ, არც იქით“. ამ სპექტაკლებში ვასო აბაშიძეს ხალხი მოუხიბლავს თავის აქტიორული ხელოვნებით. მისი როლში ხილვა ყველას ოცნება იყო. როგორც წე-

---

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №24 გვ. 15

რილის ავტორი აღნიშნავს, „ამისათვის დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, ენახათ ვასოს მოხდენილი თამაში და დამტკბარიყვნენ ამით“. მართლაც იგი „მოხდენილი მანერებით უსაზღვრო სიცილსა გვრიდა მაყურებელს, რისთვისაც იყო, რომ ყოველ მის გამოსვლას ტაშით და ვაშას ძახილით ეგებებოდა საზოგადოება“.

მიმზიდველად ჩატარებულა დივერტისმენტიც: „საინტერესო იყო დივერტისმენტი, სადაც ლექსები იქნა წაკითხული. კარგად წაიკითხეს: ბ. ბუთლიაშვილმა თავისი ლექსი — პროზით — „სიყვარულის ტაძარი“ და გრიშაშვილის — „ღამე ტყეში“, ნ. მაჩხანელმა გრძნობით წაიკითხა ახოსპირელის ლექსი „ჩემი სიმღერა“. ბ. ინაშვილმა — ევდოშვილის „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა“. ქალთა ტრიომ — ნ. კანდელაკმა, ნ. ბერძენიშვილმა და გიორგობიანმა (სახელი არ არის მოხსენებული. ი. გ.) — შეასრულა სიმღერები. აღსანიშნავია დ. კობიაშვილის „ურმული“ და „ოროველა“[1]. ასეთი შეფასება მაყურებლის დადებითი შთაბეჭდილების მაჩვენებელია.

კორესპონდენციაში მინიშნებულია, რომ სცენისმოყვარეთა მუშაობას კვლავ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დუშეთის განყოფილება. განყოფილების გადაწყვეტილებით, მიღებული შემოსავალი სცენის კეთილმოწყობისათვის გამოუყენებიათ. „მეორე დღეს, 27 ივლისს გაიმართა საბავშვო საღამო-წარმოდგენა, რომლის გვირგვინს შეადგენდა ვასო. საბავშვო საღამოთიც საზოგადოება ძლიერ ნასიამოვნები დარჩა. ხალხი ბლომად დაესწრო. წარმოდგენაც და საღამოც წერა-კითხვის გამავრცელებული საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების სასარგებლოდ იყო გამართული, თუმცა ჯერ არ გამოქვეყნებულა და არ ვიცით, რამდენი დარჩა შემოსავალი განყოფილებას“[2]. როგორც ჩანს, ვასო აბაშიძე დუშელებისათვის ჩვეულებრივი სტუმარი როდი იყო. იგი, როგორც დუშეთში დაბადებული, საქმიან დახმარებას უწევდა მათ და ამხნევებდა მუშაობაში. მართალია, წერილში ბუნდოვნადაა აღწერილი ვ. აბაშიძის მონაწილეობით მოწყობილი საღამო-წარმოდგენის მსვლელობა და შინაარსი, მაგრამ თვით ფაქტი ფრიად საყურადღებოა.

ეს ღონისძიება პრესაში დადებითად არის შეფასებული: „ეს პირველი ნაბიჯი და ცდაა, რასაც ყოველთვის თან სდევს დაბრ-

---

[1] გაზ. „საქართველო“6 1915, №63.
[2] გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915, №360.

კოლეგები. ჯერ იყო და 26 ივლისს, დილით ადრე წვიმა მოვიდა. გამგეები ეჭვმა და დარდმა მოიცვა, ვეღარც კი ბედავდნენ სეირნობის გამართვას... სიმებიანი ორკესტრი უნდა ყოფილიყო და არ იყო, ზურნა მოწვეული იყო და იმანაც უღალატა, — ამხანაგი გახდომოდათ ავად და არ მოვიდნენ მეზურნეები". და ა. შ. მაგრამ საღამომ მაინც წარმატებით ჩაიარა.. დუშელი სცენისმოყვარენი დაბრკოლებებს ახალ-ახალი სპექტაკლების დადგმით პასუხობდნენ.

ამ წარმოდგენა-სეირნობის მომწყობთა შორის დასახელებულია ქ. ცაგარელისა. ჩვენ არ მოგვეცა საშუალება დაგვეზუსტებინა თუ ვინ არის ეს მანდილოსანი. ჩვენი აზრით „ქ" „ქალბატონს" უნდა ნიშნავდეს და არა სახელის ინიციალს.

1915 წლის ზაფხულში ვაჟა- ფშაველას გარდაცვალების ამბავმა დუშელები დიდად დაამწუხრა. „3 აგვისტოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივმა გამგეობამ ვაჟას მოსახსენებელი პანაშვიდის გადახდის შემდეგ აჭარლების დღე გამართა"[1]. წინასწარ შედგენილი გეგმით დუშეთში აჭარლების დღის გამართვა და სპექტაკლის დადგმა გათვალისწინებული ყოფილა 2 აგვისტოსათვის, მაგრამ ვაჟას პატივსაცემად დუშელებს ამ დღეს ვაჟას მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაუხდიათ და წარმოდგენა კი 3 აგვისტოსათვის გადაუტანიათ.

1915 წლის 3 აგვისტოს წარმოადგინეს ა. ცაგარლის „ქართველი დედა". პრესა გვატყობინებს, რომ წარმოდგენამ მოლოდინს გადააჭარბა და კარგად ჩაიარა, ხალხიც ბლომად დაესწრო და ნასიამოვნები დარჩა. ეს მესამე წარმოდგენა იყო აჭარელთა დასახმარებლად მოწყობილი.

დრამატული დასი თანდათანობით ადგილობრივი ძალებით ივსებოდა და მუშაობაც უფრო ნაყოფიერი ხდებოდა. სცენისმოყვარეებმა ხალხში თანდათანობით საკმაოდ კარგი ავტორიტეტი მოიპოვეს, რასაც ისიც ადასტურებს, რომ სპექტაკლებზე ხალხის ტევა არ იყო და მსახიობებს მქუხარე ტაშით აჯილდოვებდნენ. თუმცა ამასთან იმის საბუთიცაა შემონახული, რომ ყველას ჯეროვნად როდი ესმოდა თეატრის როლი და მნიშვნელობა. ამის შესახებ ერთი მეტად საჩოთირო მაგალითია დასახელებული ჟურნალში: „აკაკი წერეთლის ხსოვნის პატივისცე-

---

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი", 1915, №360.

მისათვის დუშელმა სცენისმოყვარეებმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დუშეთის განყოფილების ინიციატივით 1915 წლის 7 მარტს ლიტერატურული საღამო გამართეს. დრამატული დასის ერთ-ერთმა მესვეურმა დავით კობიაშვილმა წაიკითხა მოხსენება აკაკის ცხოვრება-შემოქმედების შესახებ. შემდეგ სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს აკ. წერეთლის „პატარა კახი"[1].

დუშელებმა როლების კარგად შესრულებით კვლავ თავი ისახელეს: განსაკუთრებით საზოგადოების ყურადღება და ტაში დაიმსახურეს გ. მაისურაძემ (პატარა კახი), ა. ბერიშვილმა (რევაზ ბებურიშვილი), ს. ნამორაძემ (გივი ჩოლოყაშვილი), დ. კობიაშვილმა (გელა), ვ. ოსტიაშვილმა (მწყემსი), კანდელაკმა (ტურფა)"[2].

სპექტაკლის შემდეგ გაიმართა დიდი მგოსნის ლექსების კითხვა. კორესპონდენტი აღტაცებულია დუშეთის ვაჟთა სკოლის ერთი მოსწავლით, რომელსაც მშვენივრად წაუკითხავს აკაკის ლექსი (ლექსი დასახელებული არაა. ი. გ.) მაგრამ იქვე დასძენს, რომ მოსწავლე „დაჯილდოვების ნაცვლად სასტიკად დასაჯა თავისმა მასწავლებელმა. ქართველთა ეს „პედაგოგი" და საკვირველი „მეცენატი" ადგილობრივი სცენისა, მტკიცე ფიცს სდებს, შემდეგშიაც ხელი შეუშალოს ყოველის ძალით ყოველ კეთილ საზოგადო საქმეს"[3].

ცხადია, აქ რაღაც გამონაკლისთან თუ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, თორემ მასწავლებელს მოსწავლის წარმატება უნდა გახარებოდა... თავისთავად ფაქტი მეტად საჩოთირო და შეუფერებელია მასწავლებისათვის.

ამავე საღამოზე სიმღერის გუნდმა, რომელსაც კვლავ გ. გოლაშვილი ლოტბარობდა, შეასრულა ქართული სიმღერები. ეს ფაქტი მოწმობს, რომ დუშეთის სცენისმოყვარენი მუშაობის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, ენერგიულად იღვწოდნენ სახალხო თეატრის რეპეტუარის გაფართოვებისა და გამშვენიერებისათვის. ამის შესახებ იქვე ნათქვამია: „სადაც ახლა იმართება წარმოდგენები, ყოველმხრივ ძლიერ შეუსაბამოა: შენობა ვიწრო და დაბალია, სცენისათვის ადგილი უვარგისია. ამას

---

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1915, №16, გვ.16.

[2] იქვე

[3] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება". 1915, №16, გვ.14.

რომ დავუმატოთ დეკორაციების სიღარიბე, სხვა მოწყობილობათა უქონლობა, ინტელიგენტურ ძალთა სიმცირე, ზოგიეროი ვაჟბატონისაგან ხელის შეშლა და სხვა, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა პირობებში უხდება წარმოდგენების გამართვა აქაურ ნორჩ სცენისმოყვარულთა წრეს, მიუხედავად ამისა, წრეს ჯერ რიგიანად და სინდისიერად მიჰყავს საქმე"[1].

საყურადღებოა, რომ მაშინდელი პრესა მხოლოდ ფაქტების აღნუსხვით როდი კმაყოფილდებოდა. იგი ყურადღებას აქცევდა მსახიობთა მიერ როლების საშემსრულებლო მხარეს და სცენური ოსტატობის დონეს. გამოქვეყნებულ წერილებში როლების კარგად შემსრულებელი მსახიობები ქებით იხსენიებიან, ამასთანავე, იქვე დაუფარავადაა გაცხადებული სცენური ნაკლოვანებანიც: „ბ. ა. ბერიშვილმა (ხიმშიაშვილი) საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა, რის გამოც იგი ტაშით დააჯილდოვეს... ვ. სიდამონიძე (ქეთევანი) პირველ ორ მოქმედებაში მოისუსტებდა, მაგრამ თანდათან გასწორდა და ბოლო მოქმედებაში, როდესაც ლევანი ჰკლავს, მეტად კარგი შეიქნა... ლ. ხანდოელს (ბერიძე) ქება არ უნდა, იგი დუშეთის სცენის დამამშვენებელია... დ. კობიაშვილმა (ლიონიძე) თავისი დინჯი, აუჩქარებელი თამაშით ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აშკარად ეტყობოდა, რომ შესმენილ-შეტყობილი ჰქონდა როლი. ა. ინაშვილი (დადიანი) ნამდვილი ლაღი თავადიშვილი იყო, იგივე გოგიას როლში — თავგანწირული მამულიშვილი. ორთავე როლი კარგად ჩაატარა ს. ბერიშვილმა. თავისი დაკვირვებული თამაშით დაგვიხატა ნაზი, მშვიდი, ავადმყოფი, მეტად გულკეთილი ფაიხოში. საჩუქრად ტაში და ყვავილები მიიღო. მ. ოსიტაშვილი (ისმაილ), ს. კობაიძე (ისმაილ). ი. ფავლენიშვილი (ისკანდერ-ბეგ), სამაშვილი (დაუდ-ბეგ) და აგრეთვე სხვებიც კარგები იყვნენ"[2].

1917—1918 წლების სეზონისათვის ხელახლა იქნა გადახალისებული დუშეთის სცენისმოყვარეთა წრე. მის შემადგენლობაში შევიდნენ: ელისო და სიმონ ნავაძეები (სუფლიორი), გიგუცა ლაგაზაშვილი, ქაიხოსრო და მანია ბახუტაშვილები, ვიქტორ და კოლია ელიაშვილები, სალომე და ლადო ბერიძეები, დათიკო კობიაშვილი, ძმები ვასო და დათიკო როინიშვილები, ვანო მეზვრიშვილი, მარო აბრამიშვილი, ვანო იშხანოვი („პიტირო"),

---

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება".1915, №16 გვ.14.

[2] იქვე

ანიჩკა ი'მხანოვი, დები მანია და ნატა'შა ავალოვები, ბაბო კეზელი და სხვა.

ამ სეზონ'ში დაიდგა სპექტაკლები: ბ. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან", ვ. გუნიას „ჩაორევას ჩაყოლა სჯობია" და სხვა.

დუშეთის სახალხო თეატრის მსახიობის გიორგი ზაქარიას ძე დალაქიშვილის ჩანაწერების მიხედვით 1919 წელს დუშეთ'ში ცოლ-შვილით დასასვენებლად ჩამოდის მსახიობი სოსო რევაზიშვილი. დუ'შელმა სცენისმოყვარეებმა იგი ჩამოსვლისთანავე რეჟისორად მოიწვიეს. მისი ხელმძღვანელობით დაიდგა „ჩვენი დროის გმირი" და სხვა პიესები. ს. რევაზიშვილმა დუშეთში იმუშავა 1920 წლის ბოლომდე.

1920 წლის შემოდგომაზე რეჟისორად მოუწვევიათ ალიოშა ჯაყელი, რომელიც დუშეთ'ში დარჩენილა 1921 წლის ზაფხულამდე[1] შემდეგ რეჟისორად ჩამოდის ბ. ლითანიშვილი.

1900 წლიდან 1921 წლამდე დუშეთის სახალხო თეატრმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა, დახვეწა და გაამდიდრა რეპერტუარი, დიდი ყურადღება მიაქცია სასცენო ხელოვნების დონის ამაღლებას. დასი თანდათან დაკომპლექტდა ადგილობრივი ძალებით. იმ დროისათვის დუშეთს უკვე ჰყავდა სახელმოხვეჭილი მსახიობები. სცენისმოყვარეებმა კვლავ ჩამოაყალიბეს მოსწავლეთა დრამატული დასი, ხელახლა შექმნეს სიმღერის გუნდი. სცენისმოყვარეთა მუშაობას დიდი ამაგი დასდეს დ. კობიაშვილმა, ლ.ხანდოელმა, გ. გოლაშვილმა და სხვებმა, რომელთაც თავი გამოიჩინეს, როგორც ნიჭიერმა მსახიობებმა და რეჟისორ-ხელმძღვანელებმა. თეატრის შემოსავალიც კვლავ საქველმოქმედო მიზნით იხარჯებოდა და მსახიობებიც სრულიად უსასყიდლოდ მოღვაწეობდნენ. წლებით დამკვიდრებული ტრადიცია კვლავ გრძელდებოდა.

საქართველო'ში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დუშეთის თეატრმა შექმნა საკუთარი თეატრალური ტრადიცია, რაც 40 წლის განმავლობაში დღითიდღე იხვეწებოდა და თანდათან უახლოვდებოდა პროფესიული თეატრის დონეს.

დუშეთის თეატრის 40-წლიანი მოღვაწეობა 1880-1920 წლებში წარმოგვიდგება, როგორც წარმატებითი შემოქმედებითი მუშაობის სახელოვანი გზა. მართალია, ამჯერად ჩვენს ხელთ არ არის ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, მონაწილეობდა თუ

---

1 ალ. ჯაყელი. „45 წელი ხახოელი ხალხის სცენაზე". თბ., 1955. გვ.33

არა დუშეთის თეატრი სცენის მოყვარეთა I ყრილობაზე, რომელიც 1914 წელს ჩატარდა. ასევე არაფერი ვიცით დუშეთის თეატრის სცენის მოყვარეთა დამოკიდებულების შესახებ 1917 წელს შექმნილ მსახიობთა კავშირთან და არც 1920 წელს ჩატარებულ მსახიობთა I ყრილობაზე მათი მონაწილეობის შესახებ, მაგრამ გუმანი იქითკენ იხრება, რომ როგორც ერთ-ერთი მოწინავე პერიფერიული თეატრი უშუალო კავშირში იქნებოდა ზემოხსენებულ მოვლენებთან.

1921—1959 წლები

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თეატრალურმა ცხოვრებამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც საქართველოში დაიწყო უდიდესი სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებათა პერიოდი, რომელიც საფუძვლად დაედო ქართველი ხალხის შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურის განვითარებას. თეატრალური ცხოვრების განახლების მძლავრმა ტალღამ საერთო სახალხო ხასიათი მიიღო. გამოცოცხლდა პერიფერიული დრამატული წრეების შემოქმედებითი საქმიანობაც.

1921 წელს დუშეთის სახალხო თეატრის რეჟისორად დაინიშნა ბორის (ბორია) ლითანიშვილი. მისი ხელმძღვანელობით გადახალისდა დრამატული დასი, დაიდგა მრავალი სპექტაკლი.

გ. დალაქიშვილის ჩანაწერების მიხედვით, ბ. ლითანიშვილის ხელმძღვანელობით დუშელმა სცენისმოყვარეებმა დადგეს შემდეგი პიესები: ა. ცაგარელის „ციმბირელი“ და „ქართველი დედა“, ვ. გუნიას „და-ძმა“, „ავგაროზი“ და „ნიღაბქვეშ“, ა. დენერის „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“, ია ეკალაძის „№21 ჯვრით“, ა. ყაზბეგის „არსენა“, ა. ცაგარლის „ორი ობოლი“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და „ხანუმა“, ჰაჯიბეგოვის „არშინ მალალან“...

გიორგი დალაქიშვილი სიყვარულით იგონებს ბ.ლითანიშვილს და მას თავის მასწავლებელს უწოდებს: მან აღმზარდა და ჩამინერგა სცენისადმი სიყვარული და პატივისცემაო.

ბორია ლითანიშვილის ხელმძღვანელობით დუშეთის სახალხო თეატრმა უჩვეულო წარმატებას მიაღწია. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1925 წლის 18 იანვრის ნომერში ათავსებს

ბორია ლითანიშვილის სურათს, რომელიც დაუხატავს ალ. ციმაკურიძეს. იქვე მოთავსებულია საყურადღებო კორესპონდენცია, რომელშიც ეკითხულობთ: „ქ. დუშეთის თეატრის მუშაობა მოისუსტებდა, იყო დრამწრე, იყვნენ საქმის მოყვარულნი, მუშაობის მსურველნი, მაგრამ მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა წინ, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა პროვინციის თეატრებისათვის. არ იყო მტკიცე, მცოდნე, ენერგიული და საქმისათვის თავდადებული ხელმძღვანელი... ბოლო დროს მოწვეული იქნა რეჟისორ-ხელმძღვანელად ამხ. ბორია ლითანიშვილი — ჩვენს სახალხო სცენაზე უკვე ცნობილი მსახიობი. ერთხანად იგი მუშაობდა პლეხანოვის კლუბში, შემდეგ სახალხო სახლში, იყო ქვიშხეთის თეატრის რეჟისორ- ხელმძღვანელად და სხვა. დუშეთში მის მიერ შედგენილია დასი, რომელშიც ირიცხება 25 წევრამდე და სისტემატურად უკვე იმართება წარმოდგენები. საზამთრო სეზონი დაიწყო კვირას, 21 დეკემბერს, მგალობლიშვილის პიესით „რევოლუციის რიჟრაჟზე“. მოთამაშეთა შორის აღსანიშნავია ბ. ლითანიშვილი, გ. ლაგაზაშვილი, მ. აბრამიშვილი, ბეჟანიშვილი, გოძიაშვილი, მოწაფე როინიშვილი და სხვა. საერთოდ ეტყობათ ყველას მუშაობის ხალისი და სიცოცხლე. სჩანს გამოცდილი ხელმძღვანელის ხელი“.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ შემდგომ ნომერში ბეჭდავს დუშეთის დრამატული დასის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობის ფოტოსურათს პიროვნებათა ვინაობის მიხედვით: ნ. ავალოვი, ი. ბრეგვაძე, ნ. რთველიაშვილი, ლ. აზრუმელაშვილი (თავმჯდომარე), რ. ძიძიგური, ალ.კობიაშვილი, ალ. კორინთელი, დ. ამირიძე, ი. ჭურღულია და ლ. ლალიაშვილი.

იქვე მოთავსებულია დუშეთის დრამატული დასის მთელი შემადგენლობის ფოტოსურათი, რომელზედაც აღბეჭდილია 25 პიროვნება. ესენია: რ. კორინთელი, ნ. რთველიაშვილი, თ. ჩოხელი, ე. ავალოვი, ალ. ჩოხელი, არ. კორინთელი, ან. ფსუტური, მ. აბრამიშვილი, ბ. ლითანიშვილი (ხელმძღვანელი), ე. ნავაძე, ბ. ჟღენტი, ს. როინიშვილი, ვ. იშხანოვი, ლ. ზაქაიძე, ვ. როინიშვილი, ს. ნავაძე, დ. კობიაშვილი, გ. ბუხუტაშვილი, გ. ლაგაზაშვილი, ად. კობიაშვილი, გრ. კანდელაკი, იას.გაგოშიძე, ლ. აზრუმელაშვილი, შ. კახიანი და ა. კარიაული[1].

---

[1]ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1925, №5, გვ. 15

ამგვარად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დუშეთში თეატრალურმა საქმიანობამ ორგანიზებული ხასიათი მიიღო. რუსთაველის თეატრის სტუდიაში სასწავლებლად გაიგზავნა ახალგაზრდა ნიჭიერი სცენისმოყვარე გიგუცა ლაგაზაშვილი.

მოსწავლე ახალგაზრდობაში თეატრისადმი სწრაფვას კვლავ სახალხო თეატრის სცენისმოყვარენი უწევენ ხელმძღვანელობას. გაზეთი „კომუნისტი" იტყობინებოდა: „9 აპრილს, საღამოს 7 საათზედ დუშეთის მუშათა კლუბში, შრომის მთლიანი სკოლის მესამე და მეოთხე კლასის მოწაფეთა მიერ, სცენის მოყვარე ვ. მეზვრიშვილის დახმარებით წარმოდგენილ იქნა ორი საბავშვო პიესა: „ლადოს ოინები" — სამ მოქმედებად და „ამერიკელნი" — ორ მოქმედებად"[1] კორესპონდენტი გაკვირვებულია: „მოწაფეების მიერ იდგმება წარმოდგენა და არცერთი მასწავლებელთაგანი არ დაესწრო ამ წარმოდგენას, რას მიეწერება ეს?"

ბ. ლითანიშვრილი დუშეთში დარჩენილა 1925 წლის სეზონის დამთავრებამდე, ხოლო შემდეგ იგი თბილისის რკინიგზის კლუბში გადაუყვანიათ რეჟისორად.

დუშეთის დრამწრეს დროებით სათავეში ჩასდგომია ქაიხოსრო (ქუცა) ბახუტაშვილი. მალე თეატრთან ჩამოყალიბებულა სიმებიანი და სასულე ორკესტრები (ხელმძღვანელები: შაქრო დიაკვნიშვილი, რეზო შაბურიშვილი).

1923 წლიდან დუშეთში გაიხსნა კინოთეატრი.

1925 წელს დუშეთის სცენაზე დ. ჩარკვიანის რეჟისორობით იდგმება სპექტაკლები: ა. წერეთლის „თამარ ცბიერი" და „კინტო", ნ. შიუკაშვილის „ამერიკელი ძია", ს.ბელოვის „იუდას ამბორი" და სხვა, ხოლო ქაიხოსრო ბახუტაშვილის რეჟისორობით დუშეთის დრამწრემ მოამზადა სპექტაკლები: „ძველ სასამართლოში" და „წითელი კეტი". ამ უკანასკნელში როლებს ასრულებდნენ: შურა ფარესიშვილი (I კომკავშირელი), სონია ჯაფარიძე (II კომკავშირელი), არჩილ გედევანიშვილი (თავადი), გიგუშა კარიაული (დიაკვანი), ტუკასა ავალოვი და ჟორა დალაქიშვილი (ებრაელი), ტოსია ჯაფარიძე (ვენერა), კოლია სეთურიძე (ბიუროკრატი).

დასმა ქ. ბახუტაშვილის რეჟისორობით მომზადებული ორივე სპექტაკლი დადგა ლენინგორში, მუხრანში, ოძისში, ქსოვრის-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1923, №87

ში, მჭადიჯვარ'ში და წილკან'ში. განსაკუთრებული მოწონებით შეხვდნენ ჟორა დალაქი'შვილს (ებრაელი). მის „ებრაელის სიმღერას" დუშელი ახალგაზრდობა 2–3 წლის განმავლობა'ში მღეროდა. 1925–1926 წლებ'ში ლადო ბერიძის რეჟისორობით დასმა მოამზადა ორი პიესა: „პარიზის ღარიბ-ღატაკნი" და „ავგაროზი".

ჟ. დალაქიშვილის მოგონების მიხედვით, იმ დროს თბილისიდან დუშეთში დასასვენებლად ჩამოსულან ცოლ-ქმარი – მი'შა სარაული და თინა ჩარკვიანი. მიშა სარაულმა მიიღო დუშელ სცენისმოყვარეთა რეჟისორად მიწვევა და შეუდგა ნ. შიუკა'შვილის „ამერიკელი ძიას" დადგმას. სპექტაკლი წარმატებით დაიდგა დუშეთსა და ფასანაურ'ში.

1926 წელს დუშელი სცენისმოყვარენი ურეჟისოროდ მუშაობდნენ, მაგრამ თეატრალური საქმიანობა არ ჩამქრალა. მათ ხელმეორედ დადგეს ადრე მომზადებული პიესები.

ერთხანს რეჟისორის მოვალეობის შესრულება იკისრა ჟორა (გიორგი) დალაქიშვილმა, რომლის ხელმძღვანელობით განახლდა „არშინ მალ-ალან". ხალხიც ინტერესით ელოდებოდა სპექტაკლს. როლები ასე განაწილდა: ასკარი – ჟ. დალაქიშვილი, სულთანბეგი – ვანო მეზვრი'შვილი და ა. გედევანიშვილი, სულეიმანი – ბორის ჭელიძე, ხალა – ანიჩკა იშხანოვი, გულჩორა – ტოსია ჯაფარიძე, ასია – სონია ჯაფარიძე, თელი – ელისო ნავაძე, ვალი – გიგუშა კარიაული.

ოპერეტა დიდი წარმატებით დაიდგა. მსახიობებს დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან. ახალგაზრდა რეჟისორს ხმასა და გარჯას უქებდნენ. წარმატებამ გაახალისა მსახიობები და მალე შეუდგნენ უ. ჰაჯიბეკოვის ოპერეტა „მაშტი იბადის" დადგმის განხორციელებას. მაყურებელმა კვლავ კმაყოფილებით მიიღო სპექტაკლი, რომელიც რამოდენიმეჯერ დაიდგა ამ სეზონში.

1927–1928 წლებში დუშეთის დრამატული დასის რეჟისორად მუშაობდა საშა მიქელაძე, რომელმაც ეროი პიესა დადგა – ს. ტრეტიაკოვის „იღრიალე ჩინეთო!" სამაგიეროდ იმავე წლებში დუშეთის სცენისმოყვარეებმა ლ. ბერიძის რეჟისორობით დადგეს სპექტაკლები: ა. დენერის „პარიზის ღარიბ-ღატაკნი", ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი", ა. ყაზბეგის „არსენა", ა. ცაგარლის „ორი ობოლი", ხოლო რეჟისორ დ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობით – „ავგაროზი".

1929—1930 წლებში კვლავ ს. რევაზიშვილის ხელმძღვანელობით დრამატული დასი ახალი შემართებით შეუდგა მუშაობას და მაყურებელს ზედიზედ უჩვენა ახალი სპექტაკლები: ა. ყაზბეგის „დილა ქორწილის შემდეგ“, შილერის „ვერაგობა და სიყვარული“, უ. ჰაჯიბეკოვის „მაშტი იბად“, „არშინ მალ-ალან“ (განაახლეს), დან.ჭონქაძის „სურამის ციხე“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.

1929 წლის 29 სექტემბერს დუშელთა სპექტაკლ „სიმდიდრის მსხვერპლში“ ითამაშა სახელოვანმა მსახიობმა, საქართველოს სახალხო არტისტმა ვ. გუნიამ, ხოლო 1930 წლის 16 მარტს მაყურებლებს თავისი ხელოვნება უჩვენა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ელისაბედ ჩერქეზიშვილმა.

1931—1932 წლებში დუშეთის სცენისმოყვარეთა საქმიანობას სათავეში ჩაუდგა წითლიშვილი. წარმოადგინეს სპექტაკლები: რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, ა. ცაგარლის „ჭკუისა მჭირს“, ტ. რამიშვილის „მეზობლები“„სტუმარ-მასპინძლობა“ და სხვა...

1932 წელს ს. ჟივიძის რეჟისორობით დაიდგა რამდენიმე სპექტაკლი, მათ შორის ს. ჭანტურიშვილის „მორევში“.

1933 წელს რეჟისორად ინიშნება შ. მჟავანაძე. მისი ხელმძღვანელობით 1933—1934 წლებში დუშეთის სახალხო თეატრის სცენაზე დაიდგა ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“, „კომისარი მოსკოვიდან“, „რობინ ჰუდი“, „კაცი შავი სათვალეებით“, „დედის მკვლელი“, „იმბურგ“, „ძმები“, „უმუშევარი“...

1934 წელს ი. მეზვრიშვილის ხელმძღვანელობით დაიდგა შ. დადიანის „გეგეჭკორი“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, დ. აწყურელის „ორი მშიერი“, ა. წერეთლის „პატარა კახი“.

30-იან წლებში თეატრალურმა ცხოვრებამ დუშეთის რაიონში ფართო ხასიათი მიიღო. იგი გასცდა ქ. დუშეთის ფარგლებს და პერიფერიებშიც მოიკიდა ფეხი. ამ მოძრაობას ბიძგი მისცა დუშეთის თეატრის წარმატებითმა მუშაობამ. დრამატული წრეები შეიქმნა სასოფლო კლუბ-სამკითხველოებთან. ინტელიგენციის თაოსნობით სოფელ ჭოპორტში ენთუზიასტი სცენისმოყვარეების მიერ მრავალი სპექტაკლი დაიდგა. მაღაროსკარში (ფშავი) ამოქმედდა დრამატული წრე, რომელშიც აქტიურ როლს ასრულებდნენ პედაგოგები, განსაკუთრებით მაღაროსკარის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი შალვა მწითური (ამჟამად სამამულო ომის ვეტერანი, დუშეთის რაიაღმასკომის ყოფილი თავ-

მჯდომარე), ალექსი ხუცურაული (სას. საბჭოს თავმჯდომარე), მი'შა მაისურაძე (მასწავლებელი), თომა ბაიაშვილი (სკოლის დირექტორი, დაიღუპა დიდ სამამულო ომში) და სხვ.

მახსოვს, თომა ბაიაშვილმა მოსწავლეებს ფრონტიდან გამოგვიგზავნა წერილი, რომელ'შიც მოგვიწოდებდა კარგად გვესწავლა და გვესახელებინა სამ'შობლო; მე მალე დავბრუნდები, სწავლაში შერცხვენილი არავინ დამხვდესო — გვიბარებდა. მისი წერილი „ბუხრიან კლასში" წაგვიკითხა მისმა მეუღლემ მარიამ მასწავლებელმა, რომელიც ქიმიას გვასწავლიდა მეშვიდე კლასამდე. წერილს თან ახლდა ლექსი, რომელიც მაშინდელ მოსწავლეებს დღემდე დაგვამახსოვრდა:

ეეტრფი მე ჩემსა სამშობლოს,
ათასფრად აყვავებულსა,
ბუნებას ჩემი ქვეყნისას,
მთა-ველებს ამწვანებულსა;
დავცხებთ და გავანადგურებთ
მტერს სხვაზე გალაღებულსა,
გჯეროდეთ, არც აქ შეეარცხვენთ
წინაპრებს, ომში ქებულსა,
ჩემს საქართველოს ლამაზსა,
ცეცხლის მზით განათებულსა!

მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ფრონტიდან აღარ დაბრუნებულა. მისი სიცოცხლე შეიწირა სევასტოპოლის სისხლიანმა დღეებმა.

ერთხელ, 1935 წელს კუდოს დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა მიხეილ მაისურაძემ ჩვენ, პირველი კლასის მოსწავლეები „წარმოდგენაზე" დასასწრებლად წაგვიყვანა ს. მაღაროსკარში. ამ სოფლამდე მანძილი ერთი კილომეტრია. ის წარმოდგენა ჩემს მეხსიერებას ასე შემორჩა: ავადმყოფი ქალი იწვა ლოგინში (მე მაშინ ნამდვილად ავადმყოფი მეგონა), რომელმაც სევდიანად იმღერა გიტარაზე (გიტარა პირველად ვნახე!), შემდეგ ცრემლები გადმოსცვივდა და გიტარა ხელიდან ჩამოუვარდა. წარმოდგენა დაიდგა ე. წ. „ნანებათ სახლში". მაღაროსკარში მაშინ მხოლოდ სამი სახლი იდგა. ახლაც როცა ამ ადგილს გავივლი, მუდამ ის სცენა მიდგას თვალწინ. რა სპექტაკლი იყო, არ მახსოვს. მაღაროსკარის სცენისმოყვარეთა თვითმოქმედი ჯგუფი შემდგომშიც აქტიურად მოღვაწეობდა.

დრამატული წრეები შეიქმნა სხვა სასოფლო საბჭოების ცენ-

ტრებშიც. დუშეთის დრამატულ კოლექტივს მაინც არახელსაყრელ პირობებში უხდებოდა მუშაობა. სპექტაკლები იდგმებოდა ყოფილი კლუბისა და შემდეგ ყოფილი პოლიკლინიკის (ამჟამად საცხოვრებელი სახლის) შენობაში (ნ. შამანაურისა და რუსთაველის ქუჩების გადაკვეთაზე). დუშეთის მშრომელებმა გადაწყვიტეს საკუთარი სახსრებით აეშენებინათ თეატრი. 1935 წელს დაიწყო სახალხო მოძრაობა თეატრის აშენებისათვის საჭირო თანხების მოსაგროვებლად. რისთვისაც მუშა-მოსამსახურეთა შორის გაიშალა ინდივიდუალური სოციალისტური შეჯიბრება. რაიონული გაზეთის მეშვეობით გაჩაღდა ურთიერთ გამოწვევა საქველმოქმედო თანხის შეტანაზე. გაზეთი „სტალინური გზით“ აქვეყნებდა განცხადებებს რუბრიკით „დავამთავროთ თეატრის მშენებლობა“. განცხადებები ასეთი შინაარსისა იყო: „ამხ. ვ. სამსონიძის და დ. მდივნიშვილის გამოწვევით შემომაქვს 50 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს“[1] ჩამოთვლილია შვიდი კაცი. გაზეთის შემდეგ ნომერში მოთავსებულია ვანო წერეთლის განცხადება, რომელსაც რეზო კორინთელის გამოწვევით შეუტანია 50 მანეთი და თავის მხრივ 13 ამხანაგი გამოუწვევია. საყურადღებოა, რომ გაზეთი ასეთ განცხადებასაც ბეჭდავს: „დუშეთის თეატრის მშენებლობის შესატანი ფული მიიღება სახბანკის დუშეთის განყოფილებაში, ანგარიშის №155/29“. ჩვენ არ ვიცით, რამდენი მანეთი შეადგინა საქველმოქმედო თანხამ, მაგრამ თეატრი არ აშენდა. შემდეგ რაიკოოპკავშირის შენობაში მოთავსებული სასადილო დარბაზი გადაკეთდა კლუბად, მოეწყო სცენა, სადაც კულტურის სარაიონო სახლის აშენებამდე (1957 წლამდე) იმართებოდა როგორც დუშეთის სცენისმოყვარეთა დადგმები, ისე საგასტროლოდ ჩამოსული დრამატული კოლექტივების სპექტაკლები. ამჟამად იქ სარაიონო ცენტრალური ბიბლიოთეკაა მოთავსებული.

გაზეთის ცნობით, თეატრის მშენებლობისათვის თანხის შესაგროვებლად ერთმანეთის გამოწვევა ქ. დუშეთიდან სოფელში გავრცელდა: მჭადიჯვრის საბჭოს თავმჯდომარემ ანტ. კობიაშვილმა გაზეთში დაბეჭდილი განცხადების მიხედვით, თეატრის მშენებლობისათვის შეიტანა 50 მანეთი და 11 ამხანაგი გამოიწვია მჭადიჯვრიდანვე.

დუშეთის დრამატულ კოლექტივს ხშირად ეცვლებოდა ხელმძღვანელი, რაც ერთგვარად უარყოფითად მოქმედებდა სისტე-

---

[1] გაზ. „სტალინური გზით“, 1935, 20 მაისი, №8

მატურ და შეუფერხებელ მუშაობაზე. 1937–1938 წლებში სცენისმოყვარეთა საქმიანობას ხელმძღვანელობდა კ. გეგეჭკორი, 1939 წელს – შ. ფირცხალაიშვილი, 1940–1944 წლებში – ელისო ნავაძე, ილია ბექაური, ა. ნამორაძე, მ. თაბორიძე, ხოლო 1945–1946 წლებში – ვ. გოზიტაშვილი, მაღლაკელიძე, ნამორაძე, ი. ბექაური და ა. შ.

1937–1938 წლებში კ. გეგეჭკორის ხელმძღვანელობით დუშელმა სცენისმოყვარეებმა რამოდენიმე სპექტაკლი დადგეს, მათ შორის: პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, კარლო კალაძის „როგორ?“ და „ხატიძე“, ს. ერთაწმინდელის „გრენადა“, ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა“ და სხვა.

ს. ერთაწმინდელის პიესა „გრენადა“ 1938 წლის სექტემბერ-ოქტომბერში რამოდენიმეჯერ დაიდგა დუშეთის კლუბის სცენაზე. მასში ასახული ესპანელი ხალხის გმირული ბრძოლა თავისუფლებისათვის და სამართლიანობისათვის მაყურებელზე დიდ ზეგავლენას ახდენდა. პიესაში ასახულია სამშობლოსათვის ქალთა გმირული ბრძოლაც და საბჭოთა ხელისუფლების სიმპათიური დამოკიდებულება ესპანელი ხალხისადმი.

დასახელებულ სპექტაკლში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კ. გეგეჭკორი, ს. ბერიძე, ე. ნავაძე, ვ. ელიაშვილი და სხვები. მაყურებელს სპექტაკლი ძალიან მოსწონებია.

იმავე წლის ოქტომბერში დუშელმა მსახიობებმა წარმოადგინეს ნ. შიუკაშვილის სამმოქმედებიანი დრამა „მეგობრობა“. სპექტაკლში როლის საუკეთესო შესრულებით თავი ისახელა ვ. ელიაშვილმა, „რომელმაც შექმნა სრულყოფილი სახე არჩილისა“. ასევე დახვეწილი სცენური ოსტატობით წარსდგა მაყურებლის წინაშე ს. ბერიძე (კატო).

გაზეთი აღნიშნავდა, რომ ტექნიკური თვალსაზრისით დრამატულ კოლექტივს კვლავ მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა წინ, მაგრამ მაინც დაუწყიათ ახალი სპექტაკლის დადგმისათვის მზადება.

1939 წლის თებერვალში დუშეთის სახალხო თეატრის სცენაზე დაიდგა კარლო კალაძის გახმაურებული პიესა „ხაჯიტე“. რაიონულმა გაზეთმა მის შესახებ მოათავსა ა. თომაძის რეცენზია, რომელშიც ხაზია გასმული ამ პიესის პოპულარობაზე, მრავალი წლის განმავლობაში რომ იდგმებოდა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

პიესის კომპოზიციური ქარგა აჭარის ცხოვრების ფონზეა გაშლილი. მისი გმირი, ახალგაზრდა ინჟინერი დაუღალავად

შრომობს, რაოა აჭარლებსაც პქონდეთ ილიჩის ნათურა. მოხუცი გულბათის წინააღმდეგობა ტრაგიკულად მთავრდება... იგი ჰკლავს საკუთარ ქალიშვილს მამა-პაპური ადათების დარღვევის გამო. საკუთარი ვაჟკაცი მამის წინააღმდეგ მიდის... აჭარლები კი აღფროთოვანებით ხვდებიან პირველი ელსადგურის ამუშავებას.

დუშელი სცენისმოყვარეების შემოქმედებითმა ნიჭმა და სცენურმა ოსტატობამ თავისი გაიტანა. მათ დამაჯერებელი შთამბეჭდავი სახეები შექმნეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გიგუცა ლაგაზაშვილის თამაში, რომელმაც განახორციელა გულბათის რთული სახე და მაყურებლის მოწონება დაიმსახურა. ასევე კარგად თამაშობდნენ: ო. ფირცხალაიშვილი (ჯემალი), რ. ქარელიძე (მირზა), ს. ბერიძე (მეპრუ), ს. არაქელოვი (ტელვასი) და სხვები, რომელთაც აჭარელთა მართალი სახეები წარმოგვიდგინეს.

ამავე პიესაში ბადულის როლი შეასრულა ახალგაზრდა პოეტმა ს. ავეტიკოვმა, რომელიც ერთი წლის შემდეგ დაიღუპა ფინეთის ომში.

იმავე წლის მაისში სცენისმოყვარეებმა მაყურებელს უჩვენეს მოლიერის პიესა „ძალად ექიმი". რაიონული გაზეთი წერდა ახალგაზრდა კოლექტივის კარგ მუშაობაზე და ცალკე გამოყოფდა სერგო ავეტიკოვს, რომელსაც აღნიშნულ სპექტაკლში საუკეთესოდ შეუსრულებია გლეხის როლი. კარგად უთამაშიათ აგრეთვე რ. ქარელიძეს, ვ. ელიაშვილს, ო. ფირცხალაიშვილს და სხვებს.

ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირზე მუხანათური თავდასხმით დაიწყო დიდი სამამულო ომი. საბჭოთა ხალხი იძულებული გახდა ჩაბმულიყო სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა დუშელი ახალგაზრდობაც. შეთხელდა გამოცდილ სცენისმოყვარეთა რიგებიც.

თეატრის წინაშე დადგა დიდი ამოცანა: გაეღვიძებინა მოსახლეობაში მტრისადმი სიძულვილის გრძნობა და აღეგზნო მასები პატრიოტული სულისკვეთებით. ამიტომ სახალხო თეატრის რეპერტუარიც შესაბამისად გარდაიქმნა. იდგმებოდა პატრიოტულ თემაზე შექმნილი სპექტაკლები. სპეციალური სპექტაკლები ეწყობოდა წითელ არმიაში გაწვეული ახალგაზრდებისათვის, რომლებიც სპექტაკლის შემდეგ ფრონტზე მიემგზავრებოდნენ... ისინი ზოგჯერ თვითონაც გამოდიოდნენ სცენაზე.

სცენის მოყვარულთა დასი, 1921 წ.

სცენის მოყვარეთა ერთი ჯგუფი. 1922 წ.

სცენის მოყვარეთა დასის ერთი ჯგუფი 1923 წ.

სცენის მოყვარეთა დასის ერთი ჯგუფი 1923 წ.

სცენის მოყვარეთა დასი 1924 წ.

სცენის მოყვარეთა დასი, 1925 წ., შუაში ბ. ლ ი თ ა ნ ი შ ვ ი ლ ი.

სცენის მოყვარეთა დასის ერთი ჯგუფი.
საგასტროლო გასელა ფასანაურში, 1927 წ.

ელისაბედ ჩერქეზიშვილი დუშელ
სცენის მოყვარულებთან 1930 წ. 16 მარტი.

დუშეთის თეატრის დრამატული დასი, 1925 წ.

ჰუაში რექისორი ბ. ლ ი თ ა ნ ი შ ე ი ლ ი.

ე. გუნია და დ. ჩარკვიანი დუშეთის თეატრის
დრამატული დასის წევრებთან 1931 წ.

ილო ბექაური ფასანაურელ ნორჩ მოცეკვაეთა შორის.

ს ა ლ ო მ ე ბ ე რ ი ძ ე – დუშეთის თეატრის
ღვაწლმოსილი მსახიობი.

სცენა სპექტაკლიდან „რობინ ჰუდი“ დადგმა შ. მჟავანაძისა, 1933 წელი. მონაწილეობენ: ე. ნაკაძე, ბ. ჭელიძე, შ. მჟავანაძე, ნ. წითლიშვილი

მსახიობი ილია ბექაური



ელენე როსტოშიანი (ელინა) დუშეთის თეატრის მსახიობი.

მაღარიოსკარის ხალხური თვითმოქმედი კოლექტივი 1948 წ.

უნდა აღინიშნოს, რომ 1941–1942 წლებში დუშეთის დრამატული კოლექტივის მრავალფეროვანი მუშაობის შესახებ რაიონულ გაზეთში არცერთი ინფორმაცია არაა მოთავსებული. სინამდვილეში კი ამ პერიოდში დუშელი სცენისმოყვარეები აქტიურად იღვწოდნენ სცენაზე. მთელი სამამულო ომის პერიოდში (შემდგომშიც) განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის მსახიობ ელისო ნავაძეს, რომელიც საათავეში ჩაუდგა დუშეთის დრამატულ დასს და მნიშვნელოვანი დადგმები განახორციელა. მისი რეჟისორობით დუშელმა სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს ჰ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, ქოჩარიანის „ბრმა მუსიკოსი“, ვ. გაბესკირიას „მათი ამბავი“, ლ. ჭუბაბრიას „უცნაური ბეჭედი“, ა. ცაგარლის „ლეკის ქალი გულჯავარ“, ა. ცაგარლის „ხანუმა“, ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“, ა. სუმბათაშვილის „ღალატი“ და სხვა.

1944 წლის 17 მაისს დუშეთის დრამატულმა წრემ წარმოადგინა ა. ნავროზოვის სამმოქმედებიანი პიესა „ჩემი დედა“, რომელშიც გამოხატულია სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული. მისი დადგმა მთლიანად შეესაბამებოდა სამამულო ომის ქარიშხლიან დღეებში მოსახლეობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის ამოცანებს.

სპექტაკლის დადგმას ხელმძღვანელობდა ელისო ნავაძე, მხატვრულად გააფორმა კ. მერაბიშვილმა, მუსიკალურად კი – ო.ხუციშვილმა.

როლების საუკეთესო შესრულებით მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს: სალომე ბერიძემ (მარია დობრანოვა), ვოვა ბურდულმა (ომში დაღუპული საშას ძმა). მოხდენილი ოამაშით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს დ. შაბურიშვილმა, ვ. ელიაშვილმა, ვ. გოზიტაშვილმა და გ. ნავაძემ.

ზოგჯერ რაიონული გაზეთი სპექტაკლებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებასაც იჩენდა. კორესპონდენციებში აღნიშნული იყო დადგმების ნაკლოვანი მხარეებიც. კერძოდ, მითითებული იყო, რომ გრიმი კარგად არ იყო შერჩეული, ამა თუ იმ გმირის სახე კარგად არ იყო გადმოცემული და სხვა[1]

1944 წლის 15 ივნისს დუშელმა სცენისმოყვარეებმა მაყურებელს უჩვენეს ა. ცაგარლის სამმოქმედებიანი დრამა „ლეკის ქალი გულჯავარ“. სპექტაკლის დადგმის გამო გაზეთი „სტალინური გზით“ აღნიშნავდა: „გულახდილად უნდა ითქვას, რომ

[1] გაზ. „სტალინური გზით“, 1944, №23

დრამწრის მიელმა შემადგენლობამ ძირითადად გადალახა ის სიძნელეები, რაც ამ პიესის დადგმასთან იყო დაკავშირებული. ეს იმას მოწმობს, რომ თითოეული სცენისმოყვარე ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობით მოსულან როლებთან... მაყურებელთა დაძაბული ყურადღება მიპყრობილი იყო პიესის მთავარი გმირისადმი, როგორიცაა გულჯავარი, რომლის ეროვნული სახე და განცდები ნათლად დაგვიხატა ამ როლის შემსრულებელმა ქეთევან ქურდოვანიძემ: გულჯავარი ანთებულია შურისძიების გრძნობით კახელებისადმი და კერძოდ, ერეკლე მეფისადმი, რომელსაც სურს დაღუპული მამის, ძმისა და ქმრის სისხლი აიღოს. იგი ამ მიზნის მიღწევისათვის მაცდური სიყვარულის ქსელს აბამს ერეკლე მეფის უახლოეს თანამებრძოლებთან ლევანთან და რამაზთან"[1] წერილში გაანალიზებულია მსახიობთა სცენური სახეები. აღნიშნულია სპექტაკლის მხატვრული (კ. მერაბიშვილი) და მუსიკალური (ო. ხუციშვილი) გაფორმების მაღალი დონე და მითითებულია, რომ დადგმას (ე. ნავაძისა) უდიდესი სიხარულით შეხვდა მაყურებელი და საერთო აღფრთოვანება გამოიწვია.

1944 წლის 7 სექტემბრის რაიონის იგივე გაზეთი მკითხველებს აუწყებდა, რომ დუშეთის დრამატული კოლექტივი შეუდგა ა. ოსტროვსკის ოთხმოქმედებიანი პიესის „უდანაშაულო დამნაშავენის" დადგმის განხორციელებას: დადგმა გათვალისწინებული იყო 28 სექტემბრისათვის.

როლებს ასრულებდნენ: სალომე ბერიძე, ვიქტორ ელიაშვილი, ვ. ელიაშვილი, ვახტანგ გოზიტაშვილი, დავით შაბურიშვილი, ამირან ოთარაშვილი და მ. თაბორიძე. რეჟისორი იყო მ. თაბორიძე.

მანიკო თაბორიძის რეჟისორობით სცენისმოყვარეებმა მაყურებელს უჩვენეს აგრეთვე შ. დადიანის „გეგეჭკორი", ვ. გუნიას „და-ძმა", ა. ყაზბეგის „არსენა", თუ ამას დავუმატებთ აგრეთვე ამავე წელს ელისო ნავაძის ხელმძღვანელობით დადგმულ ექვს სპექტაკლსაც, ნათელი გახდება თუ რამდენად ინტენსიურად მუშაობდა დუშეთის სახალხო თეატრი სამამულო ომის პერიოდში. ამიტომაც დაისვა მაშინ დუშეთის თეატრის სახელმწიფო თეატრად გადაკეთების საკითხი.

1945 წელს ვახტანგ გოზიტაშვილის ხელმძღვანელობით დაიდგა ა. ყაზბეგის „მოძღვარი", გ. ბერძენიშვილის „ტირიფის

---

[1]გაზ. „სტალინური გზით", 1944, №25

ქვეშ“ და განახლდა ა. ყაზბეგის „არსენა“, მაგრამ 1945 წელს მუშაობა მაინც ერთგვარად შესელდა, რადგან ამ ხანებში რეჟისორები ხშირად იცვლებოდნენ. ამ დროს ა. ნამორაძის თაოსნობით დაიდგა ს. შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა“, მაღლაკელიძის ხელმძღვანელობით — ცაგარლის „ქართველი დედა“, ხოლო ი. ბექაურის რეჟისორობით — „პატარა გმირი“. ეს იყო და ეს. თეატრის მუშაობა აშკარად შეფერხდა.

1947 წელს საგაზეთო წერილით კულტსახლის დირექტორი მკითხველს აუწყებდა დრამწრის მუშაობის განახლებას და პირდებოდა, რომ დრამატული კოლექტივი მიმდინარე სეზონში დადგამდა ს. შანშიაშვილის „ხევისბერ გოჩას“ და დ. ერისთავის „სამშობლოს“, აღადგენდა ა. წერეთლის „პატარა კახს“ და მ. ქაჩარიანის „ბრმა მუსიკოსს“[1]. კულტსახლის ხელმძღვანელობის შეცვლამ, დაინტერესებულ და ენთუზიასტ ადამიანთა შერჩევამ თავისი ნაყოფი გამოიღო. 1947 წლის 1 მაისს გაზეთი „სტალინური გზით“ მკითხველს აცნობებდა, რომ დუშეთის კულტსახლის სცენაზე წარმატებით დაიდგა „ხევისბერი გოჩა“ და სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად. მაყურებელი აღტაცებაში მოიყვანა გოჩას როლის შემსრულებელმა დ. ნავაძემ, რომელიც შესანიშნავი იყო შვილის დალოცვის, შვილის მოკვლისა და ჭკუაზე შეშლის სცენებში. მადლიერი მაყურებელი დამსახურებული ტაშით აჯილდოვებდა მას.[2]

ამავე სპექტაკლში საუკეთესოდ შესასრულეს როლები დანარჩენმა მსახიობებმა: ს. ბერიძემ (ხაზუა), ვ.გოზიტაშვილმა (ონისე), შოთა ლაგაზაშვილმა (მოციქული), ტარიელ კობაიძემ (მოხუცი ხადილა), დოდო ცოცხალაშვილმა (ძიძია), ავ. ნამორაძემ (გელა), ივანე გულბათიშვილი (გონჯილა) და სერგო არაქელოვმა (ციგრო). მათიას როლი ბრწყინვალედ შეასრულა შოთა გრიგოლიამ, რომლის ცეკვა „ეთიულურმა“ დიდი მოწონება დაიმსახურა.

სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა კ. მერაბიშვილმა, ხოლო მუსიკალურად — გ. შაბურიშვილმა. სპექტაკლის საერთო ფონზე მთის სიმღერებისა და ეთნიკური დეტალების უკმარისობა იგრძნობოდა.

საქართველოს კ.პ. დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ტოგონიძე და აღმასკომის თავმჯდომარე ლ. კობიაშვილი დიდ მზრუნველობას იჩენდნენ რაიონის კულტურული ცხოვრების

---

[1] გაზ. „სტალინური გზით“, 1947, №22.

[2] გაზ. „სტალინური გზით“, 1947, №34-35.

აღმავლობისა და შემდგომი განვითარებისათვის; კვლავ მოქმედებდა დრამატული წრეები მაღაროსკარის, მჭადიჯვრის, ფასანაურისა და სხვა სასოფლო-საბჭოების ცენტრებში. დაიწყო დიდი მზადება ხალხური მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერების ჩასატარებლად.

გამოცოცხლდა დუშეთის დრამატული კოლექტივის მუშაობაც (დ. ნავაძე). აქ სპექტაკლების გარდა ეწყობოდა კონცერტებიც. ადგილობრივი ძალებისაგან შეიქმნა მომღერალთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში შემდეგ შედიოდა ცნობილი მომღერალი ილია ზაქაიძეც.

დუშეთის დრამატულმა კოლექტივმა სექტემბერში მორიგ პრემიერად წარმოადგინა გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორა". დადგმა ავთ. ნამორაძისა.

1947-1948 წლებში დუშეთის რაიონის დრამატულ კოლექტივს ხელმძღვანელობდა ავთანდილ ნამორაძე. მისი რეჟისორობით სცენისმოყვარეებმა მაყურებელს უჩვენეს ს. მთვარაძის „სახსოვარი" და „სურამის ციხე", ხოლო შემდგომ წლებში: „შვილი", „განაჩენი აღარ გასაჩივრდება" და სხვა.

1948 წლის ბოლოს დუშეთის სახალხო თეატრის სცენისმოყვარეთა მუშაობას სათავეში ჩაუდგა მ. იარალი. გაზეთში ვკითხულობთ: „უკვე დაძლეულია ის სიძნელეები, რომელიც წინ გვეღობებოდა სცენისათვის საჭირო ძალების შერჩევისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის. კოლექტივის პირველი დადგმის (იგულისხმება ახლად გადახალისებული კოლექტივი. ი.გ.). „დაგვიანებული სინანულის" პრემიერამ მაყურებელზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. კოლექტივი მალე უჩვენებს ახალ სპექტაკლს — აკ.დევიძის სამმოქმედებიან კომედიას — „სადიპლომო სპექტაკლს"[1]. ეს სპექტაკლი მარტში დაიდგა (რეჟისორი მ. იარალი, მხატვარი ტარიელ ოთარაშვილი, მუსიკა მ. ფირცხალაიშვილისა).

ივნისში სცენისმოყვარეებმა ახალ პრემიერად წარმოადგინეს ა. კერესელიძის სამმოქმედებიანი პიესა „მეგობრობა", სპექტაკლი საზოგადოებამ გულთბილად მიიღო.

1949 წლის 1 აგვისტოდან დაიწყო მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადა. სარაიონო დათვალიერება დაიწყო სექტემბერში. ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებული ვრცელი ინფორმაციის თანახმად, მასში მონაწილეობა მიიღო დუშეთის სოფლე-

---

[1] გაზ. „სტალინური გზით", 1949, №3.

ბის: მჭადიჯვრის, ჭოპორტის, მლეთის, მაღაროსკარის, ფასანაურის და სხვა მხატვრულმა კოლექტივებმა...რესპუბლიკურ ოლიმპიადაში, რომელიც ოქტომბრის ბოლოს ჩატარდა, დუშეთის კულტსახლის კოლექტივთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ფასანაურისა და მაღაროსკარის თვითმოქმედმა კოლექტივებმაც.

დუშელი სცენისმოყვარეები ცდილობდნენ ახლოს გასცნობოდნენ პროფესიონალ მსახიობთა შემოქმედებით მოღვაწეობას. გრძელდება ურთიერთობითი ტრადიცია.

1950 წლის 2 აპრილს დუშელებმა საბჭოთა კინემატოგრაფიაში მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით შეხვედრა მოუწყვეს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს ნატო ვაჩნაძეს. მას მიესალმნენ ადგილობრივი დრამატული კოლექტივისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თამარ ჭავჭავაძე, კირა ანდრონიკაშვილი, შაქრო ბერიშვილი და ო. ჩიტაია.

1946 წლიდან დუშეთში მოღვაწეობს შესანიშნავი მსახიობი და მთიულური ცეკვების დამდგმელი ილია ბექაური. მისი ხელმძღვანელობით 1950 წლის აგვისტოში ფასანაურელმა სცენისმოყვარეებმა დუშელ მაყურებელს უჩვენეს სპექტაკლი „ელეონორა“ (თ.სვანიძისა და დ. კილასონიძის პიესა ა.ყაზბეგის იმავე სახელწოდების რომანის მიხედვით). გაზეთი „სტალინური გზით“ ხაზს უსვამდა, რომ „დადგმა წარმატებით ჩატარდა და მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. აღსანიშნავია ი. ბექაურის (ასლან გირეი), ე. ბუჩუკურის (ელეონორა) კარგი თამაში. წარმატება ხვდა აგრეთვე ს. აფციაურს (სელიმ) და ჯ. დვალს (ლევანი). სპექტაკლი კარგად იყო გაფორმებული მხატვრულად ბ. ყაზაიშვილისა და ვ. მანჯავაძის მიერ“[1].

იმავე წლის სექტემბერში ილია ბექაურისა და მანიკო თაბორიძის რეჟისორობით დუშეთის დრამატულმა კოლექტივმა კულტურის სახლში წარმატებით დადგა ვაჟა ფშაველას დრამა „მოკვეთილი“. რაიონულ გაზეთში დაიბეჭდა რეცენზია სპექტაკლის შესახებ. მოგვყავს იგი მცირეოდენი შემოკლებით.

„ხანგრძლივი დუმილის შემდეგ დუშეთის კულტურის დრამატულმა წრემ მაყურებელს უჩვენა ვაჟა ფშაველას ხუთმოქმედებიანი დრამა „მოკვეთილი“.

სპექტაკლით დაინტერესებულ მაყურებელს დარბაზი ვერ იტევდა.

---

[1] გაზ. „სტალინური გზით“, 1950, №63

მაყურებელი კარგად იცნობდა დრამწრის ძირითად შემადგენლობას: ა. ნამორაძეს, დ. ნავაძეს, ვ. ელიაშვილს, ს. ბერიძეს, მ. თოთიაურს, ა. ცოცხალაშვილს, ა. ოთარაშვილს, მ. მალანიას და სხვებს. იციან მათი შესაძლებლობა და უნარი პერსონაჟების წარმოსახვის საქმეში და ამიტომაც იმედიანად შეპყურებდა მათ. მოლოდინი გამართლდა კიდეც.

ძნელია ნაკლის მოძებნა და შენიშვნის შეტანა ს. ბერიძის თამაშში. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ჯავარას სახე მან უნაკლოდ წარმოადგინა. როგორც აქამდე განხორციელებულ დადგმებში, კვლავ მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს: ვ. ელიაშვილმა (შუშანა), ა. ნამორაძემ (ბახა), ა. ოთარაშვილმა (ჩონთა), მ. თოთიაურმა (მოქრისი), დ. ნავაძემ (ივანე), დ. ცოცხალაშვილმა (გულქანი), მ. ვარძელაშვილმა (მზექალა) და მ. მალანიამ (ხვთისო).

უნაკლოდ ჩატარდა მეოთხე მოქმედება, განსაკუთრებით კი სრულყოფილი იყო მეხუთე მოქმედება. აღსანიშნავია სცენაზე პირველად გამოსული ა. ქავთარაძის (გულსუნდა) თამაში, რომელმაც ბუნებრივი სისადავით განასახიერა ახალგაზრდა გულუბრყვილო ქალის სახე. ბუნებრიობა, შესაფერისი ხმა, მიმზიდველი ჟესტი ახასიათებდა ა. ქავთარაძის თამაშს, ამიტომაც სპექტაკლიდან ყველაზე მეტი მოწონება მან დაიმსახურა...

მიუხედავად მცირეოდენი ნაკლოვანებისა, დრამწრის ნამუშევარმა საერთოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

კარგი იყო მხატვრული გაფორმება. მხატვრებს კ.მერაბიშვილსა და ტ. ოთარაშვილს გულმოდგინედ უმუშავიათ ფშავისა და დაღესტნის (უნდა იყოს „ფშავისა და ქისტეთის“.ი. გ.) ამსახველი ტილოების შექმნისათვის. ამ სპექტაკლმა ცხადყო, რომ დუშეთის კულტსახლს საუკეთესო ძალები ჰყავს. საჭიროა მხოლოდ მეტი მონდომება, ხელმძღვანელობის გაუმჯობესება და ინტერესი წარმატებათა მიღწევისათვის“[1].

1950 წელს საქართველომ ქართული თეატრის აღდგენის 100 წლისთავი იზეიმა. ოქტომბრის ბოლოს ქ. დუშეთშიც ჩატარდა საიუბილეო საღამო, რომელმაც სახალხო ზეიმის ხასიათი მიიღო და რასაკვირველია, მასში აქტიურად მონაწილეობდნენ დუშელი სცენისმოყვარენი. საღამოს დასასრულს ილია ბექაურმა წაიკითხა კარაპეტას მონოლოგი გ. ერისთავის კომედია „ძუნწიდან“, რითაც მაყურებელში დატოვა წარუშლელი შთაბეჭდილება, როგორც მსახიობმა.

---

[1] გზა. „სტალინური გზით“, 1950, №78.

1951—1952 წლებში დუშეთის სცენისმოყვარეთა საქმიანობას კვლავ ხელმძღვანელობდა ავთანდილ ნაბორაძე. 1952 წლის მაისში მისი რეჟისორობით დაიდგა მ. გოგიაშვილის კომედია „გულსუნდა", რომელიც მხატვრულად გააფორმა ტ. ოთარაშვილმა. როლებს ასრულებდნენ: მ. გედევანიშვილი (გულსუნდა), მ. კარიაული (ისიდორე), დ. ნავაძე (პაჭუტია), ს. ბერიძე (ზენათი), ე. ნავაძე (ვასასი), ი. ქასაშვილი (თათამურა), ა. ნაბორაძე (ლონგინოზი), ტ. მოლოდინი (ალმასხანი), ვ. ხულუზაური (სენეფო), გ. შერმადინი (ბუბალა), ა. ბერიძე (ფარნა), ი. ზაქაიძე (ავთანდილი). სპექტაკლი მაყურებელმა კარგად მიიღო. დუშეთში საგასტროლოდ ჩამოდიოდნენ და სპექტაკლებს მართავდნენ აგრეთვე გორის, თბილისისა და სხვა თეატრები, რასაც უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც მაყურებლის ესთეტიკური გემოვნების, ასევე სცენისმოყვარეთა ოსტატობის სრულყოფისათვის.

1952 წლის ოქტომბრის ბოლოს რაიონის დრამატული დასის სცენა დაეთმო მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების დათვალიერებას, რომელშიც დუშელი სცენისმოყვარეებიც მონაწილეობდნენ. 1952 წლის 2 ნოემბერს გაზეთი „სტალინური გზით" ათავსებს ვრცელ რეცენზიას დათვალიერების შედეგების შესახებ. იქვე მოთავსებულია მაღაროსკარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის თვითმოქმედი კოლექტივის ფოტოსურათი.

დუშელებმა წარმატებით გაართვეს თავი რესპუბლიკურ ოლიმპიადასაც. ამ წარმატებას დიდად შეუწყო ხელი პირადად პარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივნის ა. ს. ბექაურის ენერგიულმა დახმარებამ. რაიონის კულტურის სახლთან სიმღერის და ცეკვის ანსამბლი ჩამოყალიბდა 1950 წელს და დიდი წარმატებით გამოვიდა საქართველოს მეშვიდე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე.

ხალხური მხატვრული თვითშემოქმედების ისეთი სახეები, როგორიცაა ხალხური მუსიკა და ქორეოგრაფია, ერთი შეხედვით, თითქოს არ წარმოადგენენ თვითმოქმედი დრამატული დასის უშუალო ნაწილს, მაგრამ მათ შორის საერთო არის. გარდა იმისა, რომ ერთი პიროვნება ერთდროულად შეიძლება იყოს დრამატული დასის წევრიც და ქორეოგრაფიულ, ან მუსიკალურ ანსამბლშიც გამოდიოდეს, როგორც შემსრულებელი. ამასთან ერთად მომღერალი, თუ მოცეკვავე სცენას იმითაც უკავშირდება, რომ სცენის მოყვარესავით ისიც ასახიერებს როლს. ისინი წინამორბედ მომღერლებსა და მოცეკვავეებს იმეორებენ, რომელთაც საწყისი სათავე დაუდეს ამა თუ იმ ილეთსა, თუ მუსი-

კალურ მელოდიას („ხმას“) და თვითონ კი დროთა სვლის ბურუსში გაუჩინარდნენ.

ანგარიშგასაწევია ამ მხრივ დუშეთის სახალხო თეატრის ტრადიციული წანამძღვრებიცა და დიდი ილიას შეგონებაც არ არის მოძველებული. იგი ბრძანებდა: „ნუთუ კარგი არ იქნებოდა, რომ ჩვენმა დრამატულმა დასმა ეს ახალი საქმე ხოროთ გალობა ქართული ხმებისა ზედ გადააბას წარმოდგენებს. ეს აზრი და სურვილი ბევრმა გამოთქვა თვით თეატრშივე და ჩვენც სხვასთან ეროად გვგონია, რომ ეს ორი საქმე ერთმანეთს შეავსებს და ერთმანეთს უშველის“[1] ამაზე დაფიქრება ახლაც ღირს.

1953 წლიდან 1958 წლამდე დუშეთის დრამატულ კოლექტივს შენაცვლებით ხელმძღვანელობენ ელისო ნავაძე, ვახტანგ გოზიტაშვილი და ავთანდილ ნამორაძე — როგორც დამდგმელ-რეჟისორები.

1953 წლის 14 ივლისს დუშელმა სცენისმოყვარეებმა მაყურებელს უჩვენეს აკ. წერეთლის „პატარა კახი“ (დადგმა ვახტანგ გოზიტაშვილისა). როლებს ასრულებდნენ მ. ფარესიშვილი (თეიმურაზი), გ. ოთარაშვილი (კახი), ვ. გოზიტაშვილი (ლევანი), ვ. გამიაშვილი (გივი), მ. მალანია (გელა), თ. მეზვრიშვილი (დედოფალი), ი. გურჯია (ტურფა), ტ. მოლოდინი (რევაზი) და შ. ხუციშვილი (ბადური).

1953 წელს დუშეთის სახალხო თეატრმა დანაკლისი განიცადა. ფასანაურში, სცენაზე გამოსვლის დროს მოულოდნელად გარდაიცვალა სახელოვანი მსახიობი, მოცეკვავე და ქორეოგრაფი ილია ბექაური. მისმა სიკვდილმა სახალხო გლოვა გამოიწვია რაიონში. მისი სახით დუშელმა სცენისმოყვარეებმა დაკარგეს ერთგული მასწავლებელი და ხელოვანი, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული „მთიულური“ ცეკვების აღდგენა და პოპულარიზაცია.

1956 წლის 17 იანვარს მაყურებლის წინაშე ახალი სპექტაკლით წარსდგა დუშეთის თეატრის ღვაწლმოსილი მსახიობი და რეჟისორი ელისო ნავაძე. სცენისმოყვარეებმა მისი ხელმძღვანელობით წარმოადგინეს ნიკოლოზ ანანიაშვილის სამმოქმედებიანი პიესა „მეგობრობა და სიყვარული“. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: რ. კარიაული, მ. ინაშვილი, ნ. დავითური, ს. უმბრიევი, ვ. გოზიტაშვილი, ვ. გამიაშვილი, ა. კუპრაშვილი, ჯ. კარიაული და დ. ნავაძე. სპექტაკლმა მოწონება დაიმსახურა.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრ. ტ. II, 1941, გვ. 134.

დრამწრე იმავე წლის იანვრის ბოლოს შეუდგა ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელის“ დადგმისათვის მზადებას ვახტანგ გოზიტაშვილისა და ბორის ლითანიშვილის თაოსნობით. პრემიერა აპრილში შედგა. მაია წყნეთელის როლის საუკეთესო შესრულებით თავი ისახელა ლ. დავითურმა. მისი მაია წყნეთელი ჭეშმარიტად გმირობისა და მამაცობის განსახიერება იყო — თამამი, პირდაპირი, გამბედავი, მკვირცხლი და მოსაზრებული. ერეკლე მეფისა და მაიას მამის როლები შესანიშნავად შეასრულა ვ. გოზიტაშვილმა. კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ: ტარიელ მოლოდინი (ანდუყაფარი), გ. ნავაძე (ნანუჩა სარკინეთელი), დ. ნავაძე (ჯემალ ვერძაძე), ი. კაკალაშვილი და ს. უმბრიევი. ამ სპექტაკლზე დადებითი რეცენზია დაიბეჭდა რაიონულ გაზეთში.

დუშეთის თეატრალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს რესპუბლიკის თეატრების კოლექტივებთან შემოქმედებითი ურთიერთობების დამყარება პროფესიული დაოსტატების თვალსაზრისით.

1956 წელს გორის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა პირველ სპექტაკლად დუშელ მაყურებელს უჩვენეს პ. ჯაკომეტის ოთხმოქმედებიანი დრამა — „დამნაშავის ოჯახი“, რომელშიც კორადის როლის განსახიერებით განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ახალგაზრდა მსახიობმა გ. ციცქიშვილმა. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს აგრეთვე მსახიობებმა: ბ. ღონღაძემ, ელ. ცაბაძემ, ერ. არაქელოვმა, რ. ცაბაძემ, ს. ტალიაშვილმა...

მეორე სპექტაკლი იყო „ნაცარქექია“. ნაცარქექიას როლს შესანიშნავად ასრულებდა მსახიობი ვ. მაზმიშვილი. ასევე მოწონებით შეხვდა მაყურებელი კახნიაშვილსა და სხვებს.

თეატრალური საქმიანობა თანდათან ფართო ხასიათს იღებდა. რაიონის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა ყურადღებით ეკიდებოდა როგორც სახალხო თეატრის მუშაობას, ისე ხალხური მხატვრული თვითმოქმედების განვითარებას. კულტურის სახლთან მუშაობა განაახლა ლიტერატურულმა წრემ (ხელმძღვანელი ვ. კასრაძე), რომელშიც გაერთიანდნენ როგორც ახალგაზრდა და დამწყები პოეტები, ასევე ხალხური მოლექსეები და მთქმელები.

თბილისის ავტოსატრანსპორტო ქარხნის თეატრალურმა კოლექტივმა 1956 წლის აპრილის ბოლოს დაბა ფასანაურის მშრომელებს უჩვენა ა. ცაგარლის „ციმბირელი“.

პერიფერიებში მოქმედი დრამატული კოლექტივები მხარს უბამდნენ ქ. დუშეთის სცენისმოყვარეთა მუშაობას. სონდისველის

კოლმეურნეობის თვითმოქმედი კოლექტივი 1956 წლის მაისში დგამს გ. ერისთავის კომედია „ძუნწს“, ხოლო ძოსწავლეთა დრამწრე — „ნიშნების გასაუბრებას“. 1952-56 წლებში მაღაროსკარელმა სცენისმოყვარეებმა რამდენიმე სპექტაკლის დადგმა განახორციელეს. მათ შორის დადგეს ა. წერეთლის „პატარა კახი“, ვაჟა- ფშაველას „მოკვეთილი“, ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“.

1956 წლის ივნისში დუშეთში საგასტროლოდ ჩამოვიდა თბილისის სანკულტურის სახლთან არსებული თეატრი და დუშელ მაყურებლებს წარმოუდგინა ლ. კულიჯანოვის ოთხმოქმედებიანი პიესა „ჩვენი ქალიშვილი“ (დადგმა ვ. ნინიძისა).

ასევე სასიამოვნო მოგონებად დარჩა დუშელებისათვის ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით ახალგაზრდობის მეოთხე ფესტივალის ლაურეატის, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი დუშეთის კულტურისა და დასვენების პარკის საზაფხულო ესტრადაზე. ერთი თვის შემდეგ ამავე ესტრადაზე საღამო-კონცერტი ჩაატარეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობებმა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

1956 წლის ივლისში დუშეთის კულტურის სახლში საღამო-კონცერტი გამართეს კ. მარჯანიშვილის, ხოლო დაბა ფასანაურში — რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობებმა.

სექტემბრის თვეში დუშეთს კვლავ ეწვია სანკულტურის სახლთან არსებული თეატრი. მშრომელებმა ნახეს მათი ახალი დადგმა გ. გოგიჩაიშვილის „უეცარი შეხვედრა“. სამი დღის შემდეგ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს სამმოქმედებიანი კომედია „ცოცხალი პორტრეტი“.

1957 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ახალი სარაიონო კულტურის სახლი, რითაც გაცილებით უკეთესი პირობები შეიქმნა როგორც სასცენო მუშაობისათვის, ისე სხვა კულტურულ ღონისძიებათა გაშლა-გაფართოებისათვის.

1957 წელს დუშელებს ორჯერ ეწვია მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი. პირველად წარმოადგინეს მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, მეორედ კი — რ. ებრალიძის „ნანა“. იმავე წელს „არსენა მარაბდელი“ დუშელ მაყურებლებს უჩვენა გ. ერისთავის სახელობის გორის თეატრმაც. თოჯინების სახელმწიფო თეატრის მხატვრულმა ბრიგადამ კი მაყურებელს უჩვენა ორი სპექტაკლი: „ორი ქოსატყუილა“ და „კაცია-ადამიანი?!“.

დუშელი სცენისმოყვარეები თანდათან ხვეწდნენ სცენურ ოს-

ტატობას, თავიანთ რიგებში აერთიანებდნენ მზარდ და ნიჭიერ ახალგაზრდობას. გულდასმით ემზადებოდნენ თითოეული სპექტაკლისათვის. დაარსდა აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელიც მიმზიდველი და შინაარსიანი პროგრამით გამოდიოდა მისდერის მშრომელების წინაშე და მთაში — მწყემსებთან.

სხვა სპექტაკლებთან ერთად წარმატებით დადგეს ლ. ჭუბაბრიას და პ. გრუზინსკის სამმოქმედებიანი კომედია „მზრუნველები". დადგმა ეკოვნოდა ავთანდილ ნამორაძეს. ეს სპექტაკლი იმით იყო საყურადღებო, რომ მასში მთავარ როლებს ასრულებდნენ ახალგაზრდა სცენისმოყვარენი, რომლებიც დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით მოეკიდნენ მინდობილ საქმეს და სცენაზე პირველი გამოსვლისთანავე მოწონება დაიმსახურეს.

1958 წლის მაისში გაზეთი „სტალინური გზით" წერდა: „უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გარდაიქმნა მუშაობა დუშეთის სარაიონო კულტურის სახლის დრამატულ კოლექტივში. რამდენიმე ხნის წინათ სცენისმოყვარეებმა მაყურებელს უჩვენეს საკოლმეურნეო ცხოვრების თემაზე დაწერილი ნ. კანდელაკის სამმოქმედებიანი კომედია „მეცნიერი სოფელში", რომლის დადგმა განახორციელა ა. ნამორაძემ"[1].

„მეცნიერი სოფელში" უჩვენეს ბაზალეთის, მჭადიჯვრისა და ანანურის კლუბებშიც. შემდგომში დრამატულმა კოლექტივმა დასადგმელად შეარჩია ა. ცაგარლის ისტორიული დრამა „ლეკის ქალი გულჯავარ". იმავე წლის 16 მაისს ეს სპექტაკლი წარმატებით დაიდგა სარაიონო კულტურის სახლის სცენაზე[1].

1959—1980 წლები

1959 წელი ღირსშესანიშნავია დუშეთის მშრომელთა კულტურული ცხოვრების მატიანეში. ამ წელს დუშეთის თეატრს ოფიციალურად მიენიჭა სახალხო თეატრის საპატიო წოდება.

1959 წლის დასაწყისში რეჟისორად მსახიობი შალვა ჩერქეზიშვილი მოიწვიეს. მან ბევრი რამ გააკეთა მსახიობთა სცენური ოსტატობის სრულყოფისათვის.

1959 წლის 31 ოქტომბერს სახალხო თეატრის განახლებულმა კოლექტივმა მისი რეჟისორობით წარმატებით დადგა მ. კიკვა-

[1] გაზ. „სტალინური გზით", 1958, №52.

კოლმეურნეობის თვითმოქმედი კოლექტივი 1956 წლის მაისში დგამს გ. ერისთავის კომედია „ძუნწს“, ხოლო მოსწავლეთა დრამწრე — „ნიშნების გასაუბრებას“. 1952-56 წლებში მაღაროსკარელმა სცენისმოყვარეებმა რამდენიმე სპექტაკლის დადგმა განახორციელეს. მათ შორის დადგეს ა. წერეთლის „პატარა კახი“, ვაჟა- ფშაველას „მოკვეთილი“, ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“.

1956 წლის ივნისში დუშეთში საგასტროლოდ ჩამოვიდა თბილისის სანკულტურის სახლთან არსებული თეატრი და დუშელ მაყურებლებს წარმოუდგინა ლ. კულიჯანოვის ოთხმოქმედებიანი პიესა „ჩვენი ქალიშვილი“ (დადგმა ვ. ნინიძისა).

ასევე სასიამოვნო მოგონებად დარჩა დუშელებისათვის ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით ახალგაზრდობის მეოთხე ფესტივალის ლაურეატის, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი დუშეთის კულტურისა და დასვენების პარკის საზაფხულო ესტრადაზე. ერთი თვის შემდეგ ამავე ესტრადაზე საღამო-კონცერტი ჩაატარეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობებმა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

1956 წლის ივლისში დუშეთის კულტურის სახლში საღამო-კონცერტი გამართეს კ. მარჯანიშვილის, ხოლო დაბა ფასანაურში — რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობებმა.

სექტემბრის თვეში დუშეთს კვლავ ეწვია სანკულტურის სახლთან არსებული თეატრი. მშრომელებმა ნახეს მათი ახალი დადგმა გ. გოგიჩაიშვილის „უეცარი შეხვედრა“. სამი დღის შემდეგ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს სამმოქმედებიანი კომედია „ცოცხალი პორტრეტი“.

1957 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ახალი სარაიონო კულტურის სახლი, რითაც გაცილებით უკეთესი პირობები შეიქმნა როგორც სასცენო მუშაობისათვის, ისე სხვა კულტურულ ღონისძიებათა გაშლა-გაფართოებისათვის.

1957 წელს დუშელებს ორჯერ ეწვია მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი. პირველად წარმოადგინეს მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, მეორედ კი — რ. ებრალიძის „ნანა“. იმავე წელს „არსენა მარაბდელი“ დუშელ მაყურებლებს უჩვენა გ. ერისთავის სახელობის გორის თეატრმაც. თოჯინების სახელმწიფო თეატრის მხატვრულმა ბრიგადამ კი მაყურებელს უჩვენა ორი სპექტაკლი: „ორი ქოსატყუილა“ და „კაცია-ადამიანი?!“.

დუშელი სცენისმოყვარეები თანდათან ხვეწდნენ სცენურ ოს-

ტატობას, თავიანთ რიგებში აერთიანებდნენ მზარდ და ნიჭიერ ახალგაზრდობას. გულდასმით ემზადებოდნენ თითოეული სპექტაკლისათვის. დაარსდა აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელიც მიმზიდველი და შინაარსიანი პროგრამით გამოდიოდა მინდვრის მშრომელების წინაშე და მთაში — მწყემსებთან.

სხვა სპექტაკლებთან ერთად წარმატებით დადგეს ლ. ჭუბაბრიას და პ. გრუზინსკის სამმოქმედებიანი კომედია „მზრუნველები". დადგმა ეკოვსოდა ავთანდილ ნამორაძეს. ეს სპექტაკლი იმით იყო საყურადღებო, რომ მასში მთავარ როლებს ასრულებდნენ ახალგაზრდა სცენისმოყვარენი, რომლებიც დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით მოეკიდნენ მინდობილ საქმეს და სცენაზე პირველი გამოსვლისთანავე მოწონება დაიმსახურეს.

1958 წლის მაისში გაზეთი „სტალინური გზით" წერდა: „უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გარდაიქმნა მუშაობა დუშეთის სარაიონო კულტურის სახლის დრამატულ კოლექტივში. რამდენიმე ხნის წინათ სცენისმოყვარეებმა მაყურებელს უჩვენეს საკოლმეურნეო ცხოვრების თემაზე დაწერილი ნ. კანდელაკის სამმოქმედებიანი კომედია „მეცნიერი სოფელში", რომლის დადგმა განახორციელა ა. ნამორაძემ"[1].

„მეცნიერი სოფელში" უჩვენეს ბაზალეთის, მჭადიჯვრისა და ანანურის კლუბებშიც. შემდგომში დრამატულმა კოლექტივმა დასადგმელად შეარჩია ა. ცაგარლის ისტორიული დრამა „ლეკის ქალი გულჯავარ". იმავე წლის 16 მაისს ეს სპექტაკლი წარმატებით დაიდგა სარაიონო კულტურის სახლის სცენაზე[1].

1959—1980 წლები

1959 წელი ღირსშესანიშნავია დუშეთის მშრომელთა კულტურული ცხოვრების მატიანეში. ამ წელს დუშეთის თეატრს ოფიციალურად მიენიჭა სახალხო თეატრის საპატიო წოდება.

1959 წლის დასაწყისში რეჟისორად მსახიობი შალვა ჩერქეზიშვილი მოიწვიეს. მან ბევრი რამ გააკეთა მსახიობთა სცენური ოსტატობის სრულყოფისათვის.

1959 წლის 31 ოქტომბერს სახალხო თეატრის განახლებულმა კოლექტივმა მისი რეჟისორობით წარმატებით დადგა მ. კიკვა-

[1] გაზ. „სტალინური გზით", 1958, №52.

ძის ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამა „ცისკრის ვარსკვლავი“. სპექტაკლს მაღალი შეფასება მისცა მაყურებელმა და რესპუბლიკურმა პრესამ. ამით კვლავ დადასტურდა დუშელ სცენისმოყვარეთა კოლექტივის შემოქმედებითი უნარის პოტენციალური შესაძლებლობა და პროფესიული სრულყოფისადმი დაუოკებელი სწრაფვა, შინაგანი ენთუზიაზმი.

ლამაზად გაფორმებული პროგრამა მაყურებელს წინასწარ აწვდიდა შესაბამის ცნობებს სპექტაკლის შესახებ. სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ უფროსი და უმცროსი თაობის დუშელი მსახიობები: ს. ჭიაბრიშვილი და ლ. დავითური (ქართლის დედა), ვ. გოზიტაშვილი (დიმიტრი), ლ. ოსეფაშვილი და ჯ. ბადაგაძე (მზექალა), ვ. გამიაშვილი (ხუტლუბუღა), ე. ბურდული და ნ. ფოცხვერაშვილი (ჯიქთახათუნი), მ. კარიაული (იბრაჰიმი), ბ. ლითანიშვილი (კათალიკოსი), შ. გრიგოლია და შ. ხუციშვილი (ნოინი), ა. ნამორაძე (ბაღათური), ი. კაკალაშვილი (გიგია), ტ. მოლოდინი (ნამუსა), ირ. წიკლაური (ელიზბარი), ტ. კობაიძე (ნუგზარი), ი. კაკალაშვილი (ხოჯა), ნ. ხევსურიშვილი (ელთუ).

დადგმა მხატვრულად გააფორმა ტ. ოთარაშვილმა, ხოლო მუსიკალურად — შ. დიაკვნიშვილმა.

სპექტაკლის მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვით: ლოტბარ ს. იაშვილს, ცეკვებისა და ფარიკაობის დამდგმელ შ.გრიგოლიას, რეჟისორის თანაშემწეს ი. კაკალაშვილს, მხატვარ-გრიმიორ ს. ისაბეგოვს, გარდერობის გამგე ნ. კობიაშვილს, სადადგმო ნაწილის გამგე ტ. ოთარაშვილს, მუსიკალური ნაწილის ხელმძღვანელ გ. დიაკვნიშვილს, რომელთაც საერთო ხელმძღვანელობას უწევდა და მათს მუშაობას შესაბამისი მიზნისაკენ წარმართავდა თეატრის მთავარი რეჟისორი შალვა ჩერქეზიშვილი.

ამ დიდებული სპექტაკლის დადგმამდე, იმავე წლის ზაფხულში დუშეთის სახალხო თეატრმა გასვლითი სპექტაკლები მოაწყო ყაზბეგსა და ორჯონიკიძეში. საგასტროლოდ შეირჩა ვ. გუნიას ისტორიული დრამა — „ორი გმირი“. ყაზბეგის რაიონში იგი უჩვენეს დაბა ყაზბეგში და სოფლებში — სნოსა და სიონში. იქაურმა მაყურებელმა სპექტაკლი დიდი მოწონებით მიიღო. შემდეგ დუშელები ეწვივნენ ქ. ორჯონიკიძეს და ვაგონშემკეთებელი ქარხნის კლუბში მაყურებელს წარუდგინეს ეს სპექტაკლი. სპექტაკლის შესახებ ვრცელი რეცენზია მოათავსა გაზეთში ჩრდილო ოსეთის ასსრ სახალხო შემოქმედების სახლის მეთო-

დისტმა ო.ბიჟიევმა. წერილში ვკითხულობთ: „ამასწინათ ქალაქ ორჯონიკიძის ვაგონშემკეთებელი ქარხნის კლუბში მაყურებელთა წინაშე ვ. გუნიას ისტორიული დრამით „ორი გმირი“ წარსდგა საქართველოს სსრ დუშეთის რაიონის კულტურის სახლის სახალხო თეატრი.

სპექტაკლმა დიდ წარმატებას მიაღწია. მაყურებელმა მსახიობები გულთბილი ოვაციებით დააჯილდოვა. ამ მზარდ სახალხო თეატრს, მის შრომისმოყვარე კოლექტივს დიდი მუშაობა ჩაუტარებია ვ. გუნიას პიესის „ორი გმირის“ დადგმით. თვითეულ სახეს აქვს თავისი ხასიათი, თავისი ისტორია. თვითეულ გმირს აქვს თავისი მეტყველებითი მხარე. შეასრულეს თუ არა თავისი მისია მსახიობებმა? დიახ, თვითეულმა შემსრულებელმა, ეს იქნება ლევან გურიელი (ვ. გამიაშვილი), მისი შვილი პირველი ცოლისაგან ტარიელი (ვ. გოზიტაშვილი), ლევანის მეორე ცოლი დუხანი (ე. ბურდული), თუ მამია (ტ. მოლოდინი), — გმირის სახე თავისებურად გახსნა.

მსახიობები ცდილობდნენ მაყურებლისათვის დაენახვებინათ გმირის მთელი შინაგანი ცხოვრება. განსაკუთრებით კარგად გადმოსცეს გმირის შინაგანი ფსიქოლოგია ვ. გოზიტაშვილმა, ი. კაკალაშვილმა და ჯ. ბადაგაძემ, რომელიც ასრულებდა ტარიელის როლს. იგი პირველად გამოდის სცენაზე და თავი უჭირავს თავისუფლად, რაც მისასალმებელია. ეუსურვებ მათ შემდგომ წარმატებებს. კარგად თამაშობდა აგრეთვე ი. კაკალაშვილი, რომელიც ასრულებდა ჯაშუშ ბაღათარალის როლს. ამ სახის განსახიერება ყველაზე რთულია და, მართალია, ზოგიერთ ადგილებში შეინიშნება როლის არასათანადო დამუშავება, შემსრულებელმა მაინც შეძლო ეჩვენებინა ამ ვერაგი ბოროტმოქმედის სახე, რომელსაც მხოლოდ სიავე მოაქვს ადამიანისათვის.

ზოგიერთ ადგილას მიზანსცენები დაუმუშავებელია, ტარიელი ქალიშვილს ხანდახან უხეშად ეპყრობა, რაც შესამჩნევია... მაგრამ, მიუხედავად ამისა, სპექტაკლმა მაყურებელზე დატოვა დადებითი შთაბეჭდილება. კიდევ ერთხელ ეუსურვებთ მათ წარმატებებს შემდგომ მუშაობაში“[1].

სახალხო თეატრის ირგვლივ თანდათან შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდობა. თაობათა სცენური გამოცდილების, ახალგაზრდობის მონდომებისა და ტემპერამენტის ურთიერთ შერწყმით

---

[1] გაზ. „სტალინური გზით“, 1959, №92

თანდათან იხვეწებოდა თეატრის კოლექტივი სცენური ოსტატობის თვალსაზრისით. ამ მოვლენით აღფრთოვანებას გამოთქვამდნენ უფროსი თაობის წარმომადგენლები. დუშეთის სახალხო თეატრის მსახიობი და გულშემატკივარი ვახტანგ გოზიტაშვილი რაიონულ გაზეთში მოთავსებულ წერილში, სახალხო თეატრის გახსნის გამო, აღფრთოვანებული აღნიშნავდა: „ყველა ახალ მოვლენას, წამოწყებას სათანადო მხარდაჭერა და დახმარება სჭირდება; დუშეთის სახალხო თეატრი, რომელსაც ენერგიული და საქმის მცოდნე რეჟისორი შალვა ჩერქეზიშვილი ჰყავს, ემზადება სეზონისათვის. მზადდება მ. კიკვაძის ისტორიული დრამა „ცისკრის ვარსკვლავი“ და თანამედროვეობის ამსახველი ეგონ რანეტის პიესა „გზააბნეული შვილი“[1]. ბოლოს ავტორი დასძენს: „ფაქტია, რომ ახალგაზრდობის აქტიური საქმიანობისა და მასში პრაქტიკული მონაწილეობის გარეშე სახალხო თეატრი ვერ იარსებებს“. კვლავაც საჭიროა მსახიობთა კადრების გამოვლინება.

დუშეთის სახალხო თეატრში მაროლაც მოვიდა საიმედო ახალგაზრდობა. რაიონულ გაზეთში დაიბეჭდა იმავე ავტორის სტატია „ახალგაზრდობა თეატრის საიმედო ძალაა“, სადაც ნათქვამია, რომ „უკანასკნელ ხანს დუშეთის სახალხო თეატრმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. სახალხო თეატრის ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა აქტიური მონაწილეობით განხორციელდა მ. კიკვაძის „ცისკრის ვარსკვლავის“ დადგმა... სტატიის მიხედვით, სპექტაკლის სრულყოფას დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდობამ, რომელთა უმრავლესობამაც პირველად შედგა ფეხი სცენაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი ოითოეული ნაბიჯი და მოქმედება დამაჯერებელი იყო. მადლობისა და ქების ღირსნი არიან ახალგაზრდა მსახიობები: ე. ბურდული, ლ. ოსეფაშვილი, ლ. დავითური, ს. ჯავახიშვილი, ზ. ქაფიაშვილი, ნ. ფოცხვერაშვილი, ჯ. კირვალიძე, გ. დავითურია, ნ. რომელაშვილი, ი. ფიცხელაური, ი. ბედოშვილი, ტ. მოლოდინი, ი. კაკალაშვილი, შ. ხუციშვილი და სხვები... იმედია, რომ მომავალ მუშაობაში ახალგაზრდობა კიდევ უფრო მეტ წვლილს შეიტანს“[2].

1959 წელს ბათუმის სახელმწიფო თეატრმა დუშეთის კულტურის სახლის სცენაზე უჩვენა ა. ყაზბეგის „ციცია“ (ინსცენირება ე. ყირიმელაშვილისა). სპექტაკლმა, რომელიც დადგა სა-

---

[1] გაზ. „სტალინური გზით“, 1959, №101

[2] გაზ.„სტალინური გზით“, 1959, №139.

ქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. ინასარიძემ და მხატვრულად გააფორმა ფილიპოვმა, მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

წლის ბოლოს დუშელებს ეწვია ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრი და მაყურებელს უჩვენა ოპერეტა „ტრფობის ბადეში“ (მუსიკა გ. ცაბაძის, ლიბრეტო დ. კეჟერაძისა).

შემდგომში თეატრმა მუშაობა შეასუსტა, რის გამოც 1960 წლის საახალწლო ნომერში გაზეთი „სტალინური გზით“ „საახალწლო მილოცვაში“ თეატრს ასე მიმართავდა:

ვინ არის, ვიღას არ მოსწონს,
თქვენი დადგმა და ცეკვები,
აქ გააკვირვეთ დუშეთი,
იქ, დაღისტანში — ლეკები.
სერგო, შენ როგორა ფიქრობ,
განა არ არის ეს ნაკლი,
რომ ძლივსძლივობით გვიჩვენეთ
ამ ხანში ერთი სპექტაკლი?
ჩვენო სახალხო თეატრო,
დასო, შექმნილო ახლადა,
გთხოვთ, რომ დადგმები გვიჩვენოთ,
ახალ-ახალი მრავლადა!

თეატრმა საკმაო ავტორიტეტი მოიხვეჭა, მაგრამ მაყურებელი მისგან მაინც მეტს მოითხოვდა და სულმოუთქმელად ელოდებოდა ახალ დადგმებს.

1959—1960 წლების სეზონში დუშეთის სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ი. ჯავახიშვილის „ჩრდილი ყვავილებზე“ (დადგმა შ. ჩერქეზიშვილისა, მხატვარი კ. კვალიაშვილი) და „გულმართალი ადამიანები“ (დადგმა შ. ჩერქეზიშვილისა, მხატვარი ტ. ოთარაშვილი, მუსიკა შ. დიაკვნიშვილისა).

ნიჭიერი რეჟისორის ხელმძღვანელობით თანდათან იხვეწებოდა დუშეთის სახალხო თეატრის მსახიობთა საშემსრულებლო კულტურა და საერთო სცენური ოსტატობა. ი. ჯავახიშვილის კომედიის „გულმართალი ადამიანების“ დადგმის გამო გამოქვეყნებულ ვრცელ რეცენზიაში (ავტორები ა. თომაძე და ნ. მერაბიშვილი) ჯერ მოკლედ გადმოცემულია ნაწარმოების სიუჟეტური ქარგა, ხოლო შემდეგ ნათქვამია:

„თეატრის კოლექტივს ნიჭიერი რეჟისორის შ. ჩერქეზიშვილის ხელმძღვანელობით „გულმართალი ადამიანების“ დადგმაზე მართლაც გულმოდგინედ უმუშავნია და ა'ხრი, რაც პიესა'ში ავტორს გაუტარებია, სწორედ გადმოუცია მაყურებლისათვის.

როლების შესრულება'ში არ შეიძლება არ აღინიშნოს ქალი მსახიობების ბუნებრივი თამა'ში. თაფლოს, ამ სოფლელი, გულმართალი, ოჯახის მოსიყვარულე ქალის სახე მოხდენილად განასახიერა ლ. დავითურმა. მსახიობის სახეზე ამოვიკითხავდით როგორც „მოღალატე“ ქმრისადმი სიძულვილს, ისე სიყვარულსაც. ასევე ითქმის გულიკოს როლის შემსრულებელ ე. ბურდულზე.

დათო კუპრა'შვილის როლს ასრულებს იოსებ კაკალა'შვილი. მან ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა თავისი ნიჭი და მონდომებული მუშაობა როლზე. დათო, რომელიც კეთილშობილური თვისებებით შემკული ადამიანია, ცილისწამებას იმდენად განიცდის, რომ ტრაგედიამდე მიდის მისი მდგომარეობა.

დასამახსოვრებელი სახე შექმნა ტ. კობაიძემ, რომელიც იმერელი მზარეულის — კირილეს როლს ასრულებს. პიესაში სახასიათო როლია დათო პაპა. ამ სპექტაკლში, მოხუცის როლი როგორც ყოველთვის, ახლაც მოხდენილად შეასრულა დ. ნავაძემ.

ვ. გოზიტაშვილი გამოცდილი და ნიჭიერი აქტიორია. მას არც ახლა დაუზოგავს ენერგია დიმიტრის როლის მაღალმხატვრული შესრულებისათვის, რითაც მაყურებელს სიამოვნება მოუგვარა... პიესა კარგად არის შეკრული, დაწერილია ხატოვანი ქართულით, სავსეა მხიარული დიალოგებით, ლირიული სცენებით, სიმღერებითა და ცეკვებით.

აღსანიშნავია სპექტაკლის კარგი მუსიკალური გაფორმება. შ. დიაკვნი'შვილმა არა მარტო დაწერა მუსიკა, არამედ თვითონ უდირიჟორა თეატრის ორკესტრს.

სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობს აგრეთვე ტ. ოთარაშვილის მხატვრობა. დადგმას ეტყობა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის შ. ჩერქეზიშვილის ფაქიზი ხელი, მისი მხატვრული ნიჭი და ორგანიზატორული უნარი...

სპექტაკლი „გულმართალი ადამიანები“ დუშეთის სახალხო თეატრის კიდევ ერთი ახალი გამარჯვებაა!“[1]

ასევე წარმატებით დაიდგა იმავე წლის ივნისში სპექტაკლი „ჩრდილი ყვავილებზე“, რომელშიც როლებს ასრულებდნენ

---

[1] გაზ. „სტალინური გზით“, 1960, №50.



ლუშეთის სარაიონო სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, 1952 წ. (ხელმძღვანელები ვალერიან ჭუმბურიძე და ილო ბექაური).

სცენა სპექტაკლიდან „მაია წყნეთელი“. მეუე ერეკლე
მსახიობი ე. გ ო ზ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, დადგმა
ე. გოზიტაშვილისა. 1956 წ. აპრილი.



დუშეთის სახალხო თეატრის მსახიობთა ერთი ჯგუფი.

დუშეთის ქორეოგრაფიული ანსამბლის ერთი ჯგუფი 1952 წ.
(ცეკვავენ დოდო ცოცხალაშვილი და ილო ბექაური)

სცენა სპექტაკლიდან ვ. გუნიას „ორი გმირი", 1949 წ. რეჟისორი
ვ. გოზიტაშვილი.

შალვა ჩერქეზიშვილი – რეჟისორი (1959-63 წ. წ.)

სცენა სპექტაკლიდან მ. კიკვაძის – „ცისკრის ვარსკვლავი"
რეჟისორი შ. ჩერქეზიშვილი, 1959 წ.

სცენა სპექტაკლიდან ე. კიკეაძის „ცისკრის ვარსკვლავი" რეჟისორი შ. ჩერქეზიშვილი, 1959 წ. (ი. კაკალაშვილი და ტ. მოლოდინი).

დუშეთის თეატრის დრამატული დასი.

ოსორი შ. ჩერქეზიშვილი, 1960 წ.

მსახიობი ბ. ლ ი თ ა ნ ი შ ვ ი ლ ი კათალიკოსის როლში („ცისკრის ვარსკვლავი“) რეჟისორი შ. ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი.

სცენა სპექტაკლიდან მ. კიკვაძის
„ცისარის ვარსკვლავი“, რეჟისორი შ. ჩერქეზიშვილი, 1959 წ.

სცენა სპექტაკლიდან ჰ. კიკვაძის – „ცისკრის ვარსკვლავი“.
რეჟისორი შ. ჩერქეზიშვილი, 1959 (წინა პლანზე
ე. გოზიტაშვილი და ლ. ოსეფაშვილი)

სცენა სპექტაკლიდან ვ. კიკვაძის „ცისკრის ვარსკვლავი"

ᲛᲮᲐᲮ. ᲕᲐᲮᲘᲚ ᲒᲐᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲮᲣᲢᲚᲣᲑᲣᲚᲐ (Ⲛ. ᲙᲘᲙᲕᲐᲫᲔ „ᲪᲘᲮᲚᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ")

ᲛᲮᲐᲮ. ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲙᲝᲑᲐᲘᲫᲔ ᲜᲣᲒᲖᲐᲠᲘ (Ⲛ. ᲙᲘᲙᲕᲐᲫᲔ – „ᲪᲘᲮᲚᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ")

ი. გოგოლაური. საკუთარი ლექსის მხატვრული კითხვა. 1960 წ. (ოპერის თეატრში).

დუშეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლა ოპერის თეატრში, 1960 წ. „მეცხვარეთა ზეიმი“.

ჟ. ბოსიტაშვილი (ლევას კაიშაური), დ. ნავაძე (ფიდო), ი. კაკალაშვილი (ავთანდილი), ქ. რამიშვილი (მარინე), ე. ბურდული (სათელა), ლ. დავითური (თინა), ა. ნამორაძე (გოგი), ტ. მოლოდინი (მგელა), ი. წიკლაური (ფოსტალიონი), ს. ინაშვილი (ექიმი) და სხვა.

აღნიშნული სპექტაკლის დადგმით ადგილობრივმა დრამატულმა კოლექტივმა რეჟისორ შალვა ჩერქეზიშვილის ხელმძღვანელობით ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი შემოქმედებითი ზრდა.

რაიონული გაზეთის რედაქტორი ბორის ბაჯელიძე, ბ. ქისტაურის ფსევდონიმით, კორესპონდენციაში აჯამებს დუშეთის სახალხო თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების გზას და აღნიშნავს, რომ „ცისკრის ვარსკვლავი" დუშეთში ორჯერ დაიდგა, სოფლად — ხუთჯერ, რაიონის გარეთ (გალავანში) კი — ერთხელ. „გულმართალი ადამიანები" დუშელებმა ოთხჯერ ნახეს და ოთხჯერვე მადლობა უძღვნეს სახალხო თეატრის ნიჭიერ კოლექტივს. აღნიშნული პიესა შორეულ სოფლებშიც უჩვენეს, სადაც დიდი მოწონება ხვდა წილად. მესამე დადგმა („ჩრდილი ყვავილებზე") თითქმის სეზონის დასასრულს განხორციელდა, მაგრამ თეატრალურმა კოლექტივმა მაინც შეძლო მისი მაყურებლისათვის სამჯერ ჩვენება"[1] ე. ი. ერთ სეზონში (1959—1960 წწ.) 15-ჯერ უჩვენა სპექტაკლი.

ამავე წერილში ნათქვამია, რომ თეატრმა დანიელ ჭონქაძის დაბადების 130 და გარდაცვალების 100 წლისთავს უძღვნა „სურამის ციხის" ფინალური სცენა ერთ მოქმედებად. აქვე მითითებულია, რომ თეატრს განზრახული აქვს წინა დადგმებთან ერთად მაყურებელს უჩვენოს ხუთი ახალი სპექტაკლი.

საყურადღებოა, რომ დუშეთის სახალხო თეატრს ჰყავდა საკუთარი ორკესტრიც. იგი 30-იან წლებში შეიქმნა და ხელახლა გაღახალისდა 1959 წელს კომპოზიტორ შაქრო (ზაქრო) ილარიონის ძე დიაკვნიშვილის ხელმძღვანელობით. თეატრის მუსიკალურ გაფორმებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვით აგრეთვე არჩილ ჩორგოლაშვილს, ო. ხუციშვილს, გოგი დიაკვნიშვილს და სხვა.

როგორც ზემოთაც ითქვა, სცენა ხშირად ეთმობოდა რესპუბლიკის სხვა თეატრებსაც, სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლებს, მხატვრული თვითმოქმედების სიმღერებს, შეხვედრებს, ოლიმპიადებს...

---

[1] გაზ. „სტალინური გზით", 1960, №91.

1960 წელს დუშეთში ორჯერ ჩამოვიდა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, რომელმაც კულტურის სახლის სცენაზე წარმოადგინა მ. ბარათაშვილის სამმოქმედებიანი პიესა „ჩემი ყვავილი“ და ჯაკომეტის სამმოქმედებიანი დრამა „დამნაშავენი“.

ორჯერ გამართეს კონცერტი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობებმაც (მარტში და აგვისტოში).

თოჯინების ქართულმა სახელმწიფო თეატრმა უჩვენა ბ. ნარეკლიშვილის სამმოქმედებიანი კომედია „ზარმაცი კიკო“. აგვისტოში დუშელებს ეწვია თიანეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი და მცხეთის სახალხო თეატრის კოლექტივი, რომელთაც მაყურებელს უჩვენეს თავისი დადგმები, სიმღერები და ცეკვები.

დუშეთს ეწვია აგრეთვე სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი, რომელმაც მშვენივრად შეასრულა ოსური, ქართული და სომხური ხალხური სიმღერები. მაყურებელი მოხიბლა ქორეოგრაფიული ჯგუფის ტემპერამენტიანმა ცეკვებმა: „სინდი“, „ხორუმი“, „ქართული“, „შეჯიბრი“, „მწყემსური“, „ფარიკაობა“, „სახუმარო“. შეასრულეს უკრაინული და ჩინური ცეკვებიც“[1].

დუშეთის სახალხო თეატრის მსახიობებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეცხვარის დღისადმი მიძღვნილ ზეიმში, რომელიც სექტემბერში გაიმართა.

სექტემბერშივე ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა დუშელ მაყურებელს უჩვენა ოსი დრამატურგების გ. ხეგაევისა და რ. ხუბეცოვას სამმოქმედებიანი კომედია „გაზაფხულის სიმღერა“.

იმავე წლის ოქტომბერში დაიწყო მზადება საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული თვითმოქმედების რაიონული ოლიმპიადისათვის.

მეცხრე რესპუბლიკური ოლიმპიადა 30 ოქტომბერს გაიხსნა. იგი დაიწყო რესპუბლიკის სახალხო თეატრების დათვალიერებით. 9 ნოემბერს დუშეთის სახალხო თეატრის კოლექტივმა თბილისის რკინიგზელთა სახლში მაყურებელს უჩვენა მ. კიკვაძის ისტორიული დრამა „ცისკრის ვარსკვლავი“. სპექტაკლმა მოწონება დაიმსახურა. დიდი წარმიატებით გამოვიდნენ თბილისელი მაყურებლის წინაშე ინდივიდუალური შემსრულებლე-

---

1 გაზ. „სტალინური გზით“, 1960, №80.

ბიც: ილია ზაქაიძე (სიმღერა) და ირაკლი გოგოლაური (საკუთარი ლექსი).

დუშეთის სახალხო თეატრიდან შალვა ჩერქეზიშვილის წასვლამ ერთგვარად შეაფერხა სახალხო თეატრის აღმავლობა. რაიონის მა'შინდელმა ხელმძღვანელობამ კი ამ მოვლენას სათანადო ანალიზი ვერ გაუკეთა.

1962 წლის თებერვალში დუშეთის სახალხო თეატრმა მოახერხა მაყურებლის წინაშე წარმდგარიყო ვოდევილით „ჯადო" (გადმოქართულებული ჰ. გრუზინსკის მიერ). მისი დადგმა განახორციელა ახალმა რეჟისორმა კ. მაკარაშვილმა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ჯ. კირვალიძე (გოგა), ლ. ოსეფაშვილი (ნინიკო), ს. ინაშვილი (მარო), ი. კაკალაშვილი (სერგო), ტ. კობაიძე (მილიციელი) და ლ. დავითური (მკითხავი).

სპექტაკლის დასასრულს დუშეთის სახალხო თეატრის კოლექტივს მიესალმნენ თბილისის მ. გორკის სახელობის კულტურის სახლის მსახიობები.

დამყარდა მეგობრული ურთიერთკავშირი ამ ორ თეატრალურ კოლექტივს შორის. გორკის სახელობის კულტურის სახლის თეატრმა იმავე წლის 13 თებერვალს დუშელი მშრომელებისათავის უფასოდ წარმოადგინა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ი. ჯავახიშვილის ოთხმოქმედებიანი დრამა „ჩრდილი ყვავილებზე". პიესის დადგმა ეკუთვნოდა შალვა ჩერქეზიშვილს, მხატვრობა — ნ. ყაზბეგს, მუსიკა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. ცაბაძეს.

სპექტაკლის მონაწილენი დუშელმა მაყურებელმა არაერთხელ დააჯილდოვა ტაშით, ამით ისინი თავის ყოფილი რეჟისორისადმი ღრმა პატივისცემას გამოხატავდნენ...

1962 წლიდან თეატრის მუშაობაში ადგილი ჰქონდა ხანგრძლივ შესვენებებსა და შეფერხებებს.

1962 წლის მარტში რაიონული გაზეთი „კომუნიზმის დროშა" აქვეყნებს კულტსახლის დირექტორის ტ. კობაიძის წერილს. ავტორი მკითხველს ატყობინებდა, რომ თეატრის კოლექტივი ახლო მომავალში მორიგ პრემიერად უჩვენებდა გრ. ბერძენიშვილისა და ო. დგებუაძის სამმოქმედებიან პიესას „სიმართლისათვის", ამის გარდა მზადდებოდა ოთხი ახალი დადგმა... შეხვედრას მოუწყობდნენ მსახიობ ქალებს, რაიონის ახალგაზრდა პოეტებსა და ხალხურ მოლექსეებს და ა. შ., მაგრამ როგორც ჩანს, თეატრმა მთლიანად ვერ შეასრულა დანაპირები სხვადასხვა გარემოებათა გამო. სამაგიეროდ, დუშეთის სახალხო თეატ-

რის სცენაზე ამ წელს თავიანთი დადგმები უჩვენეს მარჯანიშვილის სახელობის (პ.გრუზინსკის მიერ გადმოქართულებული ა. ზაკისა და ი. კუზნეცოვის სამმოქმედებიანი დრამა „ორი ფერი“) და გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრებმა (მეოდა ენეკინის სამმოქმედებიანი კომედია „ჯოჯოხეთური აურზაური“, — დადგმა ტ. აბრამიშვილისა და დ. ფლეტჩერის სამმოქმედებიანი კომედია „როგორ მოვარჯულოთ ცოლი“, — დადგმა ი. კიკალეიშვილისა).

1963 წლის მარტში დუშეთის სახალხო თეატრმა, როგორც იქნა, წარმოადგინა ახალი დადგმა — ქსენია ხაფავას „შვილი“. როლებს ასრულებდნენ: თ. კობიაშვილი, ც. თანიაშვილი, ც. ფოთოლაშვილი, ტ. ოთარაშვილი, ტ. კობაიძე, ი. კაკალაშვილი, ტ. მოლოდინი, ლ. დავითური, ე. ბურდული და ვ.გოზიტაშვილი.

1962 წლის ბოლოს, 1963 წლისათვის, მოხდა დუშეთისა და მცხეთის რაიონების გაერთიანება. ადმინისტრაციულ ცენტრად გამოცხადდა ქ. დუშეთი. გაერთიანებული რაიონის ახალმა ხელმძღვანელობამ თავიდან ჯეროვანი ყურადღება ვერ გამოიჩინა რაიონის კულტურული ცხოვრებისადმი, რის გამოც ვერც სახალხო თეატრის საქმე წარიმართა ტრადიციებისა და ახალ მოთხოვნათა შესაბამისად. ხშირად იცვლებოდნენ რეჟისორებიც...

1963 წლის ბოლოს რაიონული გაზეთი გულისტკივილით აღნიშნავდა: „უკვე რამდენიმე თვეა დუშეთის სახალხო თეატრს ახალი დადგმით არ გაუხარებია მაყურებელი“[1]... თეატრმა როგორც იქნა, მოახერხა ერთი სპექტაკლის ჩვენება. ეს იყო დგებუაძის „სიმართლისათვის“, რომელიც დადგა ახალმა რეჟისორმა ზ. მელაძემ. დასახელებული სპექტაკლი დუშეთის სახალხო თეატრმა საგასტროლოდ წაიღო რაიონის სოფლებშიც.

საქართველოს კულტურის სამინისტრომ და ხალხური შემოქმედების სახლმა 1964 წლისათვის გამოაცხადა კონკურსი — „თანამედროვე თემაზე საუკეთესო დადგმისათვის სახალხო თეატრებსა და თვითმოქმედ კოლექტივებში“. პირველ ტურში შეირჩა 16 კოლექტივი. მათ შორის დუშეთის სახალხო თეატრიც.

1965 წელს სახალხო თეატრის კოლექტივი მონდომებით შეუდგა მუშაობას. 19 თებერვალს მაყურებელს უჩვენა ალ. ყაზბეგის „ელგუჯა“ ოთხ მოქმედებად და თერთმეტ სურათად. სპექტაკლი დადგა გ. ჩერქეზიშვილმა, მხატვრულად გააფორმა ტ.

---

[1] გაზ. „კომუნიზმის გზა“, 1963, №170.

ოთარაშვილმა. როლებს ასრულებდნენ: ე. გოზიტაშვილი, ჯ. კირვალიძე, ე. ბურდული, ც. პირმისაშვილი, ზ. პაპიაშვილი, ი. წიკლაური, ტ. მოლოდინი, თ. ჭიაბრიშვილი, ბ. ლითანიშვილი და სხვა.

იმავე წელს წარმოადგინეს ახალი სპექტაკლი — ლ. მილორავას სატირული კომედია „სად იყო ჭკუა". რეჟისორი ავთანდილ ნამორაძე იყო. რაიონულ გაზეთში მოთავსებულ კორესპონდენციაში აღნიშნულია, რომ „სახალხო თეატრის მთელი კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა სპექტაკლის მომზადებისა და დადგმის საქმეს. ამიტომ მიიღო იგი მაყურებელმა გულთბილად"[1]. ამ სპექტაკლში მთავარ როლს ასრულებდა ტარიელ მოლოდინი, რომელმაც კარგად განახორციელა შრომისმოყვარე, მაგრამ ამპარტავანი გლეხის დოროთე კეჭეყმაძის სახე. მოწონება დაიმსახურა ს. ინაშვილის ეკვირინემ. კომენდანტ ასლან მოდებაძის როლი შეასრულა ფირან ლოთიკაშვილმა. მაყურებელი დიდი აღტაცებით შეხვდა ახალგაზრდა მსახიობ ეთერ ბურდულს, რომელმაც კვლავ დაუდასტურა მაყურებელს თავისი სცენური ნიჭიერება. შთამბეჭდავი იყო ი. კაკალაშვილის ჭიკოია. მსახიობმა კვლავ მოხიბლა მაყურებელი.

გაზეთის კორესპონდენტი შენიშნავდა, რომ ეს სპექტაკლი დაიდგა „დიდი შესვენების" შემდეგ.

1965 წლის აგვისტოში გორის სახელმწიფო თეატრმა დუშეთის კულტურის სახლის სცენაზე წარმოადგინა ნ. არეშიძის პიესა „დამნაშავენი" (რეჟისორი გიორგი აბრამიშვილი), ხოლო 13—14 ნოემბერს დაიწყო შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა რაიონული დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რვა სასოფლო კლუბმა და ერთმა კულტურის სახლმა. ოლიმპიადამ ბევრი ნიჭიერი შემსრულებელი გამოაელინა.

1966 წელს დაიდგა აბდულ მომუნოვის დრამა „განაჩენი აღარ გასაჩივრდება". (დამდგმელი რეჟისორი — ა. ნამორაძე, მხატვარი — ტ.ოთარაშვილი, მუსიკალური გაფორმება — გ. დიაკვნიშვილისა). ამის შესახებ რაიონული გაზეთი წერდა: „სპექტაკლის წარმატება იმანაც განაპირობა, რომ ჯერ ერთი, მასში ძველ

[1] გაზ. „კომუნიზმის გზა", 1965, №20.

სცენას შეჩვეულ მსახიობებთან ერთად ახალგაზრდა ნიჭიერი სცენისმოყვარენიც იღებდნენ მონაწილეობას და, მეორე, რეჟისორმა გაითვალისწინა ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებლის მუსიკალური მონაცემები და სპექტაკლი გარდაქმნა მუსიკალურ დრამად"[1]...სწორედ მთავარმა შემსრულებელმა ნანა ნაღებაშვილმა მოხიბლა მაყურებელი თავისი მიმზიდველი გარეგნობით, უშუალო, გულწრფელი თამაშითა და სასიამოვნო ხმით.

უზადოდ შეასრულა თამაზის როლი ვ. გოზიტაშვილმა, ნოდარის როლი — ა. ნამორაძემ; საუკეთესო იყო ი. კაკალაშვილი ნოდარის მძღოლის სურენას როლში. კარგად შეასრულეს როლები აგრეთვე ტ. მოლოდინმა, ფ. ლოთიკაშვილმა და ახალგაზრდა მსახიობმა ავთანდილ ჯარიაშვილმა. მიუხედავად ამისა, თეატრის მუშაობა ერთგვარად შეფერხდა. სცენიდან წავიდნენ გამოცდილი სცენისმოყვარეები. კულტგანყოფილება და კულტსახლი მშრომელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მოწეული თეატრებისა და მხატვრული კოლექტივების გამოსვლებითღა ახერხებდა.

1967 წლის აპრილში თბილისის სანკულტურის თეატრის კოლექტივმა დუშელ მაყურებელს უჩვენა სპექტაკლი მ. ედიშერაშვილის „უფსკრულის პირას".

ივნისში ჩატარდა სახალხო მოლექსის ნ. ბულალაურის დაბადების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ დუშეთის სახალხო თეატრის მსახიობები.

აგვისტოში თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობებმა ჩაატარეს დიდი კონცერტი. სექტემბერში მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა დუშელ მაყურებელს უჩვენა შილერის „ვერაგობა და სიყვარული". 11 სექტემბერს გორის სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა პოლკანტენისა და ჟორჟ ბალკის პიესა „მკვლელები".

1968 წლის იანვარში დუშეთში სტუმრად იყო აზერბაიჯანის მუსლიმ მაგომაევის სახელობის ფილარმონიის საესტრადო ანსამბლი „ბაქო" (ხელმძღვანელი ა. გურიანოვი), რომელმაც დუშეთის კულტსახლის სცენაზე ჩაატარა კონცერტი.

ივნისში გორის სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი „მეხდაცემული კაკალი" (დადგმა გ. მაცხონაშვილი-

[1] გაზ. „კომუნიზმის გზა", 1967, №3.

სა, მხატვარი ი. ხუროშვილი, მუსიკალური გაფორმება ა. ლეჟავასი).

სექტემბერში საგასტროლოდ ჩამოვიდა ქ. ფოთის ვ. გუხიას სახელობის სახელმწიფო თეატრი და დუშელ მაყურებელს უჩვენა ორი დადგმა: შ. როყვას „დედა“ (დრამა ორ ნაწილად) და კ. მეძველიას „შეხვედრა მეორედ“ (კომედია ორ მოქმედებად). იმავე თვეში სპექტაკლის პრემიერა უჩვენა საქართველოს ფილარმონიის ქართული მინიატურების ახალმა თეატრმა „ენკიბენკი“. ამგვარად, 60-იან წლებში დუშეთის სახალხო თეატრის სცენა უმეტესად გასტროლებს დაეთმო.

დუშეთის სახალხო თეატრს კვლავ დაუბრუნდა რეჟისორი შალვა ჩერქეზიშვილი. 1968–1969 წლების სეზონი გაიხსნა ო. დგებუაძის დრამით „ოთხი სიცოცხლე“. ამ სპექტაკლის გამო რაიონული გაზეთი აღნიშნავდა: „შ. ჩერქეზიშვილს დუშელი მაყურებელი კარგად იცნობს. მისი ხელმძღვანელობით სახალხო თეატრს მაყურებლისათვის ბევრი კარგი სპექტაკლი უჩვენებია და ეს უკანასკნელიც მათ შორისაა. უყურებთ სპექტაკლს და გრძნობთ, რამდენი შრომაა გაწეული, რათა ავტორის ჩანაფიქრი მაყურებლამდე დაუბრკოლებლად მისულიყო, მასზე ზეგავლენა მოეხდინა“. სპექტაკლის მიმოხილვა ასე მთავრდება: „გულწრფელად გვინდა მივულოცოთ სახალხო თეატრის კოლექტივს კიდევ ერთი გამარჯვება და ვუსურვოთ ახალ-ახალი სპექტაკლებით უფრო ხშირად წარმდგარიყოს მაყურებლის წინაშე“[1].

დუშეთის სახალხო თეატრი ამ სპექტაკლით საგასტროლოდ წავიდა ჯერ ყაზბეგის რაიონში, ხოლო შემდეგ – ქ. ორჯონიკიძეში. სპექტაკლი იქაური ქართველებისათვის ვაგონშემკეთებელი ქარხნის კლუბში ჩატარდა. ამის შესახებ ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურმა გაზეთმა პირველ გვერდზე სპეციალური წერილი გამოაქვეყნა. წერილში აღნიშნულია, რომ ეს უკვე მათი მეორე შეხვედრა იყო ქართველ თვითმოქმედ მსახიობებთან... სპექტაკლმა „ოთხი სიცოცხლე“ დიდი წარმატებით ჩაიარა. მაყურებელმა თბილად მიიღო იგი. განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა ტარიელ მოლოდინს, რომელმაც ურთიერთ განსხვავებული ხასიათის ორი როლი შეასრულა“[2].

---

[1] გაზ. „კომუნიზმის გზა“, 1968, №114.

[2] გაზ. „სოციალისტიჩესკაია ოსეტია“, 1968, №216.

სეზონის დამთავრების შემდეგ თეატრი ურეჟისოროდ დარჩა. შ. ჩერქეზიშვილს კვლავ არ უქმნიან პირობებს. დუშელი მაყურებელი კი სპექტაკლების ნახვის სურვილს კვლავ მხოლოდ საგასტროლოდ ჩამოსული თეატრების დადგმებით იკმაყოფილებს.

1970 წლის ზაფხულში ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე" ღია ცის ქვეშ დუშეთის სპორტულ მოედანზე წარმოადგინა. სპექტაკლით მაყურებელი აღფრთოვანებული დარჩა.

დუშეთის სახალხო თეატრის რეჟისორად დაინიშნა ფირან ლოთიკაშვილი, 1970 წლის ოქტომბერში მისი ხელმძღვანელობით დუშეთის სახალხო თეატრმა წარმოადგინა ლირიკული დრამა „სად ხარ, ჩემო მებაღეო".

ნაწარმოებში ნაჩვენებია დიდი სამამულო ომის შემდგომი საქართველოს ერთ-ერთი სოფლის მკვიდრის, ტყის მცველ პეტრე თამარაშვილის ოჯახის ტრაგედია.

სპექტაკლში მოწონება დაიმსახურეს: ფ. ლოთიკაშვილმა, ც. ფოთოლაშვილმა, გ. ხუციშვილმა, ვ. ველთაურმა, ე. პაპიაშვილმა და სხვებმა. სპექტაკლი დადებითადაა შეფასებული, მაგრამ იქვე გამოთქმულია რამდენიმე შენიშვნა თეატრის მუშაობაზე: „სცენისმოყვარენი მრავალმხრივ საჭიროებენ როგორც საზოგადოების, ასევე სათანადო ორგანოების მიერ განუწყვეტელ მხარდაჭერას და ზრუნვას"[1] ერთ-ერთი დაბრკოლება ის იყო, რომ „სახალხო თეატრის კოლექტივი განიცდის სცენისმოყვარეთა ნაკლებობას. რატომ უნდა წასულიყვნენ თეატრიდან წინა თაობის გამოცდილი სცენისმოყვარეები, რომელთა მონაწილეობა სპექტაკლებში სასარგებლოა სახალხო თეატრის მუშაობაში?" — კითხულობს რეცენზენტი ბ. წვერაძე.

1971—1972 წლებში დუშეთის სახალხო თეატრის მუშაობა კვლავ წელიწადში ერთი-ორი სპექტაკლის დადგმით თუ ამოიწურებოდა, სამაგიეროდ, რაიონის კულტურის განყოფილება მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის კვლავ სხვა თეატრების კოლექტივებს იწვევდა, რაც ერთგვარად ავსებდა დუშეთის სახალხო თეატრის შესუსტებულ მუშაობას. 1971 წლის თებერვალში დუშელ მაყურებლებს თავიანთი ხელოვნება უჩვენეს თბილისის საესტრადო და საცირკო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლების სტუდენტებმა (ხელმძღვანელი გ. ქარ-

---

[1] გაზ. „კომუნიზმის გზა", 1970, №128.

თველი"შვილი). სტუდენტებმა შეასრულეს ქართველი და საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები, წარმოადგინეს იუმორისტული სცენები.

1971 წლის 23 სექტემბერს დუშეთის კულტურის სახლის სცენაზე რუსთაველის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა წარმოადგინა გიორგი მდივნის ორმოქმედებიანი კომედია „კონსული მოიპარეს" (რეჟისორი — გ. ანთაძე, მხატვარი — მ. მალაზონია, მუსიკალური გაფორმება ა. მაჭავარიანისა).

1971 წლის ოქტომბერში დუშეთის სახალხო თეატრის დრამატულმა კოლექტივმა წარმოადგინა გ. სუნდუკიანცის ორი ვოდევილის („საღამოს ერთი ცხვირი ხეირია" და „ოსკან პეტროვიჩი საიქიოს") მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „ხეირის მაძიებელი".

უნდა აღინიშნოს, რომ რაიონული გაზეთი მუდამ მხარში ედგა დუშეთის სახალხო თეატრს ინფორმაციებით, რეცენზიებით, სურვილებით. ამ სპექტაკლის შესახებ გაზეთში დაიბეჭდა ზ. სიანაიძის ვრცელი რეცენზია, სადაც პირუთვნელადაა საუბარი როგორც სპექტაკლის დადებით მხარეებზე და ნაკლზე, ისე დუშეთის სახალხო თეატრის მუშაობის საერთო მდგომარეობაზე. წერილის დასასრულს ავტორი საგანგებოდ შენიშნავს: „იყო დრო, როდესაც დუშეთის სახალხო თეატრი ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა ნაკლებობას განიცდიდა: ახლა კი, როცა ეს ახალგაზრდობა ასე თუ ისე მოვიდა, თეატრი კვლავ სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა: სცენა მიატოვეს გამოცდილმა სცენისმოყვარეებმა. ამის შესახებ ჩვენი გაზეთი წერდა. ჩვენ აქ არ შეეუდგებით იმ მიზეზების ძიებას, თუ რამ გამოიწვია „ძველი თაობის" სცენისმოყვარეთა წასვლა, მაგრამ იმას კი შევნიშნავთ, რომ მათი არყოფნა საკმაოდ ემჩნევა თეატრს... მას საზოგადოებისა და სათანადო ორგანოების გულისხმიერება, აქტიური მხარდაჭერა ესაჭიროება"[1]

1971 წელს დუშეთის კულტურის სახლთან სცენისმოყვარეთა ძალებით ჩამოყალიბებულ საესტრადო ანსამბლს ეწოდა „არაგველები", რომელსაც სათავეში ჩაუდგა გ. დიაკვნიშვილი. ანსამბლი წარმატებით გამოვიდა სატელევიზიო კონკურსში — „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს". კონკურსი მოაწყო საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს ტელევიზიის ახალგაზრდობის გადაცემათა რედაქციამ.

---

[1] გაზ. „კომუნიზმის გზა", 1971. №27.

ანსამბლი „არაგველები“ 1971 წლის 8 მარტს ქართველ მაყურებელთა წინაშე ასეთი შემადგენლობით წარსდგა: სოლისტები ნ. ნაღებაშვილი, ე. გათენაშვილი, ვ. ველითაური; ორკესტრი: დ. ბარათაშვილი, ნ. შაღაშვილი, ო. ბეკურიშვილი, დ. გათენაშვილი, გ. დიაკვნიშვილი, ლ. შაბურიშვილი და რ. მენაბდე.

ეს იყო რაიონის გარეთ ანსამბლის პირველი გასვლა, თანაც წარმატებით: ნიჭიერმა სოლისტმა ნ. ნაღებაშვილმა დასკვნით ტურში გაიმარჯვა და 191 ქულით რესპუბლიკის ლაურეატი გახდა, ხოლო შემდეგ, იმავე წლის 10 აპრილს, კვლავ წარმატებით გადალახა ცენტრალური ტელევიზიის მესამე საკავშირო კონკურსი – „ალო, ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“ ზონალური ტური და უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიეღო ამ კონკურსის დასკვნით ტურში, რომელიც იმავე წლის იელისში მოსკოვის ტელევიზიით გადაიცა. ამ კონკურსში ნანა ნაღებაშვილის რეპერტუარში დუშელი კომპოზიტორის მზისა დიაკვნიშვილის სიმღერა „გელათიც“ შედიოდა.

დუშეთის საესტრადო ანსამბლი მიიწვია მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიის ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციამ სპეციალურ ტელეგადაცემაში მონაწილეობის მისაღებად. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ანსამბლმა კონცერტები გამართა რაიონის სოფლებში.

ამით ერთხელ კიდევ დადასტურდა დუშელი ახალგაზრდობის დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. ასეთი ნიჭიერი კოლექტივი ხელმძღვანელობისაგან გულისხმიერ დამოკიდებულებას მოითხოვდა, საჭირო იყო სათანადო ორგანოებს მეტი ეზრუნათ მათი ბედისათვის.

1972 წლის თებერვალში დუშეთის სარაიონო კულტურის სახლთან არსებულმა სამხატვრო საბჭომ თავის სხდომაზე დაამტკიცა სახალხო თეატრის 1972 წლის სეზონის რეპერტუარი: ვაჟა ფშაველას „მოკვეთილი“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ი. ჯავახიშვილის „ჩრდილი ყვავილებზე“, ა. პატარაიას „მელა და მისი კუდი“, ნემიროვასი და კალანდაძის „ვერმახტის საიდუმლო საქმე“ (სცენარი ვ. გოზიტაშვილისა). იმავე სხდომის გადაწყვეტილებით თეატრის სეზონი „სამშობლოთი“ უნდა გახსნილიყო, მაგრამ გეგმა რატომღაც გეგმად დარჩა. ვ. გოზიტაშვილის ინიციატივით დრამატული კოლექტივი მხოლოდ წლის ბოლოს შეუდგა „ვერმახტის საიდუმლო საქმის“ დადგმაზე მუშაობას.

დუშეთის სახალხო თეატრის მუშაობა აშკარად შეფერხდა. ძველი სცენისმოყვარეები წავიდნენ თეატრიდან, ახალგაზრდო-

ბაც შიშოიფვასტა. ამ შდგომარეობის გამო რაიონის გაზეთში ქვეყნდება „ძველი სცენისმოყვარეთაგანის“ — თამარ თურქაძის წერილი სათაურით „ჩვენი გულისტკივილი“:

„დუშეთის სახალხო თეატრი, როგორც ცნობილია, არსებობის მრავალ წელს ითვლის. ბევრი სიძნელეების გადატანა მოუხდათ ამ ხნის მანძილზე თეატრის მსახიობებს, მაგრამ სცენის სიყვარული, სახალხო საქმისადმი უანგარო დამოკიდებულება ყოველგვარ დაბრკოლებას ადვილად სძლევდა ხოლმე. სწორედ ამის შედეგი იყო ის წარმატებები, რასაც დუშელი მოყვარული მსახიობები თავიანთ სასცენო მოღვაწეობაში აღწევდნენ.

იმ პერიოდში, როდესაც რაიონის თვითმოქმედ თეატრალურ დასს არა ჰქონდა კეთილმოწყობილი კულტურის სახლი, არ გააჩნდა ზოგჯერ სამუშაო პირობები — გარდერობი, გათბობა, განათება და სხვა ხელშემწყობი პირობები, იდგმებოდა რთული პიესები, სადაც დუშელი თვითმოქმედი მსახიობები მაყურებელთა სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდნენ.

შემთხვევითი არ იყო, რომ დუშელების დრამატულ დასს სახალხო თეატრის საპატიო წოდება მიენიჭა.

რაიონის სცენას ჰყავდა ნიჭიერი მსახიობები, რომელთაც მოსაწონად განახორციელეს სცენაზე ცნობილი პიესები „ცისკრის ვარსკვლავი“, „მაია წყნეთელი“ და სხვა. ამ უკანასკნელში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ვასო გოძიაშვილმა და რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ელენე ყიფშიძემ. ჩვენი დრამატული დასის წევრებმა ასეთ გამოჩენილ მსახიობებსაც კი ღირსეული პარტნიორობა გაუწიეს. სად არიან დღეს ძველი, ან თუნდაც ზოგიერთი საშუალო თაობის დუშელი მსახიობები? რატომ არ ეხმარებიან ისინი ამჟამად სახალხო თეატრში მომუშავე ახალგაზრდობას?

გამოცდილ და ახალბედა სცენისმოყვარეთა ურთიერთკავშირი, დახმარება და მტკიცე მეგობრობა ხომ დიდ სარგებლობას მოუტანდა საერთო, სახალხო საქმეს, გამოაცოცხლებდა საქმიანობას, როგორც მასების ესთეტიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებას, აგრეთვე მიიზიდავდა ბევრ ახალგაზრდა სცენისმოყვარეს, რომლებიც დღეს არ მონაწილეობენ რაიონის კულტურულ ცხოვრებაში.

მე მიყვარს ხელოვნება. ჩემი სიყვარული თეატრისადმი დაიწყო მაშინ, როდესაც 1930 წელს, 15 წლისამ პირველად შევდგი ფეხი სცენაზე და რეჟისორ კოლია წითლიაშვილის პარტნიორად მომიხდა მუშაობა აჯიბეგოვის ოპერეტაში „არშინ მალ-

ალან“, სადაც ძოავარი როლი შეეასრულე. დღესაც არ გამნელებია თეატრალური ხელოვნებისადმი სიყვარული. მჯერა, რომ ასეეე უყვართ იმ ვეტერან მსახიობებსაც სცენა, რომლებიც დღეს ჩვენთან არ თანამშრომლობენ და მხოლოდ მაყურებლის როლში გამოდიან. მაშ რატომ არ მოდიან ისინი ჩვენთან?“ — ასეთი მრავალმნიშვნელოვანი კითხვით მთავრდება ეს წერილი. წერილს ახლავს რედაქციის შემდეგი მინაწერი: „რედაქცია სთხოვს დუშელ სცენისმოყვარეებს, გაზეთის მკითხველებს, რაიონის კულტურის მუშაკებს, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოსთქვან თავიანთი მოსაზრება თ. თურქაძის წერილში აღძრულ საკითხებზე“[1]

1973—1974 წლებში დუშეთის სახალხო თეატრმა სამი ახალი სპექტაკლის დადგმა შეძლო. 1973 წლის იანვარში თეატრმა მაყურებელს უჩვენა ი. არაყიშვილისა და კ. თეთრაძის ორმოქმედებიანი პიესა „განა ასე უყვართ?“, რომლის შესახებ რაიონულ გაზეთში დაიბეჭდა რედაქციის მუშაკების ბ. წვერაძისა და ზ. სიანაიძის რეცენზია, რომელშიც სპექტაკლი დადებითად არის შეფასებული: „ახალგაზრდა სცენისმოყვარეთ გულდასმით, სერიოზულად უმუშავიათ სპექტაკლზე; სასიამოვნოა მათი მოწადინება, საქმის ერთგულება... რეჟისორი (ფირან ლოთიკაშვილი. ი. გ.) საინტერესოდ იყენებს განათებას, ჩრდილებს... ორსართულიანი სცენა მეტ შესაძლებლობას აძლევს რეჟისორის ფანტაზიას“[2] მაგრამ რეცენზიის ავტორები მიუთითებენ, რომ თეატრის კოლექტივმა რეპერტუარის შერჩევას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს: „ჩვენს მაყურებელს სულიერ საზრდოდ უფრო მაღალმხატვრული, აქტიორულად დახვეწილი, სიცოცხლით სავსე სპექტაკლები ესაჭიროება“ — შენიშნავდნენ ისინი. რეცენზიაში აგრეთვე ხაზგასმულია იუმორის უკმარისობა სპექტაკლის ცალკეულ აუცილებელ მომენტებში.

იმავე წლის თებერვალში დუშეთის სახალხო თეატრის დრამატულმა კოლექტივმა წარმოადგინა ვაჟა ფშაველას „სტუმარმასპინძელი“. იგი სცენურად გამართა და დადგა ვახტანგ გოზიტაშვილმა. მაყურებელში მოწონება დაიმსახურა ლია ჭონქაძის აღაზამ, თამაზ გოზიტაშვილის ზვიადაურმა, თამარ თურქაძის დედამ და ა. შ.

---

[1] გაზ. „კომუნიზმის გზა“, 1972, №155.

[2] გაზეთ „კომუნიზმის გზა“, 1973. №9.

სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა ალბერტ ჭინჭარაულმა, მუსიკალურად — ნოდარ თოფურიამ.

1974 წლის სექტემბერში დაიდგა „ვერმახტის საიდუმლო საქმე“ (სცენარის ავტორი და სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი ვახტანგ გოზიტაშვილი, მხატვარი — ა. ჭინჭარაული, მუსიკალური გაფორმება — დ. ბარათაშვილისა). მთავარი გმირის, კაპიტან სიმონ წიკლაურის სახე განახორციელა ვახტანგ გოზიტაშვილმა. სპექტაკლმა სცენაზე გააცოცხლა დუშეთის რაიონის მკვიდრი სიმონ წიკლაურისა და მისი თანამებრძოლების გმირული საქმეები. თეატრის კოლექტივმა შეძლო ეჩვენებინა მტრის ტყვეობაში მოხვედრილი საბჭოთა მებრძოლების მტკიცე ნებისყოფა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, მებრძოლი სული.

1975 წელს დუშეთის სახალხო თეატრის კოლექტივი საგასტროლოდ ეწვია რაიონის სოფლებს (ფასანაურს, ჭოპორტს, მჭადიჯვარს, მაღაროსკარს) და მშრომელებს უჩვენა მერაბ ბერიძის „მზე ნეკერჩხლის ტყეში“.

დუშეთის სცენისმოყვარეთაგან შედგენილმა აგიტმხატვრულმა ბრიგადამ კონცერტები გამართა ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე გამგზავრებულ მწყემსებისათვის იშჩორსკაიასა და აჩალუკებში, რომელსაც ესწრებოდნენ ჭართელი, ანანურელი, გუდამაყრელი, ფასანაურელი, მლეთელი, მაღაროსკარელი, არაგვისპირელი და მეზობელი რაიონების მეცხვარეები.

შემდგომ წლებში დუშეთის სახალხო თეატრის მუშაობას გაუმჯობესება დაეტყო. რაიონის ახალი ხელმძღვანელობა ყურადღებით მოეკიდა თეატრის საქმეს.

დუშელთა მაღალ თეატრალურ გემოვნებას ვერ აკმაყოფილებდა დუშეთის თეატრი. ამ ნაკლს დუშელები თბილისის სახელმწიფო თეატრების სპექტაკლებზე კოლექტიური დასწრებით ივსებდნენ. 1976 წლის თებერვალში კოლექტიურად ინახულეს რუსთაველის სახელობის თეატრის დადგმა „კავკასიური ცარცის წრე“. დუშელები მოიხიბლნენ როგორც სპექტაკლის დადგმის ორიგინალური გადაწყვეტითა და ნაწარმოებში ჩაქსოვილი ჰუმანიზმისა და სიკეთის გამარჯვების რწმენით, ასევე რ. ჩხიკვაძის, ი. გიგოშვილის, ჟ. ლოლაშვილის, გ. საღარაძის, მ. თბილელის, კ. კავსაძის, კ. საკანდელიძის, ჯ. ღაღანიძის და სხვების საშემსრულებლო ოსტატობით.

1976 წლის მარტში დუშეთის სახალხო თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“, რომელ-

'ბიც მონაწილეობა მიიღო ქართული კინოსა და თეატრის პოპულარულმა მსახიობმა ბორის წიფურიამ. დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს სახელმოხვეჭილ მსახიობს.

1976 წელს დაიწყო და 1977 წელს გაგრძელდა რესპუბლიკის მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი რესპუბლიკური ფესტივალი, რომელიც რამდენიმე ტურად მოეწყო. მისი მიზანი იყო ხალხური თვითმოქმედების შემდგომი განვითარებისათვის ხელის შეწყობა, ფართო მასების ჩაბმა ამ საქმეში და ხალხური ტალანტების გამოვლინება.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღო დუშეთის რაიონის მშრომელთა თვითმოქმედმა მხატვრულმა კოლექტივებმაც.

სამ დღეს გრძელდებოდა რაიონის კულტურის სახლში თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების შემოქმედების დათვალიერება.

მეორე რაიონული ტური გაიმართა ქ. გორში, სადაც მონაწილეობდნენ დუშეთის სიმღერისა და ცეკვის, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

1977—1978 წლებში დუშეთის სახალხო თეატრის საქმიანობა მხოლოდ წინათ დადგმული სპექტაკლების განმეორებით ამოიწურებოდა. თეატრს კვლავ აკლდა დახმარება და მხარდაჭერა. თეატრის საქმე თითქმის დახურვამდე მივიდა. რაიონის ახალმა ხელმძღვანელობამ პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის ჰ. კერესელიძის თაოსნობით სერიოზულად იმსჯელა ამ საკითხზე და დროულად მიიღო ქმედითი ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად. კულტურის სახლის დირექციამ (დირექტორი გ. დიაკონიშვილი) თავის მხრივ ყველა ღონე იხმარა თეატრისათვის სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად, კვალიფიციური რეჟისორის მოსაძებნად და სცენიდან წასული მსახიობების მოსაბრუნებლად.

1979 წელს დუშეთის სახალხო თეატრის რეჟისორად მოიწვიეს ნუგზარ გაჩავა, რომელმაც ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს. პირველ სპექტაკლად წარმოადგინეს გ. ბათიაშვილის პიესა „ლალი, სიყვარული და სხვები". სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა. დუშეთის სახალხო თეატრმა მონაწილეობა მიიღო სახალხო თეატრების რესპუბლიკურ დათვალიერებაში, რომელიც ჩატარდა დეკეზით — „თანამედროვეობა სცენაზე".

1979 წელს საქართველოს თეატრალური საზოგადოების ჟურნალ „თეატრალურ მოამბეში" დაიბეჭდა ქეთევან ხუციშვილის წერილი სათაურით: „იზრდება სცენისმოყვარეთა მხატვრული

ოსტატობა". ავტორი წერს: „რეჟისურის პრობლემასთან დაკავშირებით შევჩერდები დუშეთისა და წულუკიძის სახალხო თეატრების სპექტაკლებზე „ლალი, სიყვარული და სხვები". დუშეთის სახალხო თეატრში უკანასკნელ წლებში თითქმის ჩაშლილი იყო შემოქმედებითი მუშაობა, მაგრამ რეჟისორმა ნ. გაჩავამ დახურვის კარს მისული თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება პირველივე სპექტაკლით გარდაქმნა. დუშელები სერიოზული შემოქმედებითი განაცხადით წარსდგნენ თბილისელთა წინაშე. ამის მიზეზი ავტორის მიერ პიესაში დასმული პრობლემების სწორი ამოხსნა და მსახიობთა საშუალებით მისი მაყურებლამდე დამაჯერებლად მოტანაა. დუშელთა სპექტაკლში ცხოვრებისეული დრამატული მომენტები მსახიობთა ღრმა განცდითაა მოტანილი. წულუკიძელთა სპექტაკლში კი ანეტას სახის არასწორმა გაგებამ შექმნა საშიშროება პიესის ჟანრობრივი ცვლილებებისა"[1] .

ავტორი ეხება მსახიობთა მხატვრულ ოსტატობასაც: „უნდა აღინიშნოს აგრეთვე წულუკიძელთა სპექტაკლში „ლალი, სიყვარული და სხვები" გ. ყანაძის გულწრფელი განცდით განსახიერებული ლალი და დუშეთის სახალხო თეატრის იგივე პიესაში ლალის (მ. დათოშვილი), ანეტას (თ. თურქაძე), კოტეს (თ. ნარიმანიძე) როლების შემსრულებელ მსახიობთა სერიოზული შემოქმედებითი განაცხადი. ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ სახალხო თეატრებში სერიოზული ყურადღება ექცევა შემსრულებელთა მხატვრული ოსტატობის ამაღლებას".

ეს მაღალი შეფასება დუშეთის სახალხო თეატრის ნიჭიერმა კოლექტივმა ენერგიული შრომისა და სასცენო საქმისადმი დიდი სიყვარულით მოიპოვა.

გამოცდილი და ნიჭიერი რეჟისორის წყალობით დუშელ სცენისმოყვარეებს რწმენა დაუბრუნდათ. ისინი გაორკეცებული ენერგიით შეუდგნენ მუშაობას და მოკლე დროში მეორე ახალი დადგმა უჩვენეს მაყურებელს: 1980 წლის იანვარსა და თებერვალში თეატრმა წარმატებით დადგა ალ. ჩხაიძის „შთამომავლობა", რითაც ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი პოტენციური შესაძლებლობანი. წარმატებით წახალისებულმა კოლექტივმა თეატრის საიუბილეო დღეებისათავის ახალი სპექტაკლის მომზადება დაიწყო. ეს იყო ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი". იუბილეზე დაიდგა მხოლოდ ერთი მოქმედება.

---

1 ჟურნ. „თეატრალური მოამბე", №3, გვ.73

დუშეთის სახალხო თეატრში უფროსი თაობის სცენისმოყვარეებს მუდამ მხარს უმშვენებდნენ ახალგაზრდები. მაყურებელი გულითადი კმაყოფილებით იხსენებს მათ მიერ შესრულებულ როლებს, მათეულ გმირებს. გასაკუთრებული სიყვარული დაიმსახურეს ახალგაზრდა მსახიობებმა: ეთერ ბურდულმა, ლამზირა ოსეფაშვილმა, ლამარა დავითურმა, გოგი ხუციშვილმა, თამაზ ნარიმანიძემ, მანანა დათოშვილმა და სხვებმა, რომელთა საშემსრულებლო ოსტატობას მაღალი შეფასება მისცეს როგორც რაიონულ, ისე რესპუბლიკურ პრესაში.

მსახიობის როგორც ხელოვანის ავტორიტეტი, არ განისაზღვრება მხოლოდ სცენაზე მისი ხანგრძლივი მოღვაწეობითა და მრავალი როლის შესრულებით, თუმცა ამას თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს, არამედ გარდასახვის ნიჭითა და ოსტატობით. ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ სახალხო თეატრის მსახიობთა შეფასებასაც.

1981—1995 წლები

საიუბილეო დღეების წარმატებით ჩატარების შემდეგ დუშეთის სახალხო თეატრმა ნაყოფიერად გააგრძელა მოღვაწეობა და თავის ირგვლივ კიდევ უფრო მეტად შემოიკრიბა ახალი ძალები. ნაბიჯი გადაიდგა ბავშვთა თეატრის შესაქმნელად. წარიმართა მუშაობა შემუშავებული გეგმის მიხედვით. ამასთან ერთად დუშეთის თეატრის სცენის მოყვარეებმა და მაყურებლებმა კარგი საჩუქარიც მიიღეს: 1983 წელს გამომცემლობა „ხელოვნებამ" დასტამბა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, მწერლისა და ფოლკლორისტის ირაკლი გოგოლაურის მონოგრაფიული ნაშრომი — „დუშეთის თეატრი". ერთ წიგნად იქნა აკინძული დუშეთის თეატრისა და მისი დრამატული დასის მოღვაწეობის ასწლიანი მატიანე.

წიგნის რეზიუმეში ავტორი სასურველად მიიჩნევდა იმასაც, რომ დუშეთის თეატრის დრამატული დასი ახალგაზრდა ნიჭიერი კადრებით შევსებულიყო, რომლებიც თეატრალური ხელოვნებით სკოლის მერხიდანვე იქნებოდა დაინტერესებული. ამიტომ საჭირო იყო რაიონის სკოლებში დრამატული წრეებისა და საბავშვო თეატრების დაარსება.

განათლების განყოფილების რჩევითა და სკოლებში ცალკეული ენთუზიასტი პედაგოგების ინიციატივით სკოლებში ამ მხრი-

[illegible] ი. დ[illegible]ბ[illegible]ძ[illegible] „ხ[illegible]ლ[illegible]ბ[illegible]ლ[illegible]ბ[illegible]ბ[illegible]ბ



ო. დ უ მ ბ ა ძ ე – „სიმართლისათვის“ რეჟისორი
ზ. მ ე ლ ა ძ ე, 1963 წ. მსახიობი ი. ქ ა ქ ა ლ ა შ ვ ი ლ ი.

ვ. ბერიაშვილი „სადა ხარ, ჩემო მეგობარო“, რეჟისორი
ფ. ლოთიკაშვილი, დათო – გოგი ხუციშვილი, 1970 წ.

სპექტაკლი. „სადა ხარ, ჩემო მეგობარო“ – მონაწილენი
(პრემიერა 1970 წ. 24 ოქტომბერი)

ბერიაშვილი „ხალხ ხალ, ჩემი მეგობარი", რეჟისორი
ფ. ლოთიკაშვილი, მარიამი
ელენე პაპიაშვილი, 1970 ⅴ



სპექტაკლი „საიდა სარ, ჩემო მეგობარო“. რეჟისორი
ფ. ლოთიკაშვილი, ფ. ლოთიკაშვილი
პეტრეს როლში, 1970 წ.

სცენა სპექტაკლიდან „სადა ხარ, ჩემო მებაღეო". ც. ფოთოლაშვილი. ტ. მოლოდინი, ე. პაპიაშვილი. 1970 წ.

დუშეთის რაიონის ცეკვის ანსამბლის გამოსვლა

ვერის თეატრში. „ეშმაური ცოლი“ 1952 წ.

სპექტაკლი ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“,
დადგმა ე. გოზიტაშვილის, 1973 წ.
ჯოყოლა – თამაზ ნარიმანიძე.

სპექტაკლი ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“,
რეჟ. ე. გოზიტაშვილი, ზეიადაურის დედა
თამარ თურქაძე, 1973 წ.

სპექტაკლი ეაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“,
სცენარი და დადგმა ვ. გოზიტაშვილისა,
სპექტაკლის მონაწილენი 1973 წ.

ჯუშეთის თეატრის დრამატული დასის ერთი ჯგუფი,
სპექტაკლის – „განა ასე უყვართ" – მონაწილენი, 1973 წ.



სცენა სპექტაკლიდან „სიკვდილზე ძლიერი
(„ვერმახტის საიდუმლო საქმე")
დამდგმელი რეჟისორი ... 1973წ.
მსახიობები: მირიან ... ,
ვალიკო ხელუჩაური, იოსებ კაკალაშვილი.



თამაზ ნარიმანიძე – დუშეთის სახალხო თეატრის ახალგაზრდა მსახიობი.

სპექტაკლი ვაჟა-უშაველას „სტუმარ-მასპინძელი", რეჟისორი ე. გოზიტაშვილი, ზეიადური – თ. გოზიტაშვილი. 1973 წ.

სცენა სპექტაკლიდან ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“,
რეჟისორი ე. გოზიტაშვილი. 1973 წ

ვაც სასურველი ნაბიჯები გადაიდგა, რის შედეგადაც შეიქმნა დრამატული წრეები, ხშირად ეწყობოდა მხატვრული თვითმოქმედების საღამოები, სადაც მსიშვნელოვანი ადგილი პქონდა დათმობილი ინსცენირებებს.

და ამავე 1983 წელს დუშელი მაყურებელი მეტად საინტერესო მოვლენის მოწმე გახდა: დუშეთის სარაიონო კულტურის სასლთან ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ბავშვთა თეატრი დუშეთის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეთა ბაზაზე, რომელმაც მაყურებელს პირველ პრემიერად უჩვენა გ. ნახუცრიშვილის პიესა „ნაცარქექია“.

დუშეთის თეატრს 1983 წლიდან სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ზურაბ კახიანი, რომელიც ენერგიულად შეუდგა თავის საყვარელ საქმეს და წარმატებებსაც მიაღწია. მის სახელთან არის დაკავშირებული დუშეთის ბავშვთა თეატრის დაარსებაც.

1982—1983 წლების სეზონისათვის დუშეთის თეატრმა მოამზადა და მაყურებელს უჩვენა გიორგი ხუხაშვილის ორმოქმედებიანი დრამა „მოსამართლე“.(რეჟისორი ნუგზარ გაჩავა, მხატვარი ალბერტ ჭინჭარაული, რეჟისორის თანაშემწე იოსებ კაკალაშვილი).

როლებს ასრულებდნენ: ი. კაკალაშვილი (მოსამართლე, დავითი), მ. პეტრიაშვილი (ნატო), თ. ლიქოკელი (გვანცა), ლ. ჭონქაძე (გვანცა), თ. თურქაძე (დედა), გ. ქავთარაძე (დათო), ზ. ქავთარაძე (ცოტნე) ხ. ლიქოკელი (იოსები), გ. ხუციშვილი (გაგა), ტ. მოლოდინი (კაპია), დ. ჭონქაძე (თეოფილე), თ. ნარიმანიძე (ლაშხი), ო. ძუძუშვილი (ტყვე).

1983—1984 წლების სეზონისათვის დუშეთის თეატრმა მაყურებელს ახალი სპექტაკლი შესთავაზა. წარმოდგენილი იქნა ნიკოლოზ არეშიძის ვოდევილი ორ მოქმედებად „მე, ცოლი და სიდედრი“.(დადგმა ზურაბ კახიანის, მუსიკა ა. ოვანოვის, მხატვარი ალბერტ ჭინჭარაული, ქორეოგრაფი დ. ჭონქაძე, რეჟისორის თანაშემწე მერი ხორნაული); როლებს ასრულებდნენ: პაპიაშვილი ელენე (ნელი), ხვთისიაშვილი მედეა (დარეჯანი), კაკალაშვილი იოსები (მერაბი), ჭონქაძე დანიელი (ოთარი), ლიქოკელი ხვთისო (ექიმი), ძუძუშვილი ოთარი (პირველი სანიტარი), ქავთარაძე ზაზა (მეორე სანიტარი).

1984—1985 წლების სეზონისათვის დუშეთის თეატრმა წინა სპექტაკლების ჩვენების პარალელურად პრემიერად მოამზადა ოტია იოსელიანის ორმოქმედებიანი დრამა „ადამიანი იბადება

ერთხელ“ (დადგმა ზურაბ კახიანის, მუსიკალური გაფორმება იაკობ ბობოხიძის); როლებს ასრულებდნენ: ე. პაპიაშვილი და ე. ქარაული (თათია), დ. ჭონქაძე (სოსო), თამარ თურთაძე (მართა დედა), ვ. გოზიტაშვილი (მინაგო მამა), მ. პეტრიაშვილი (ივდითი მამიდა), ხ. ლიქოკელი, გ. ხუციშვილი (გოგი სანიკიძე — ექიმი), ა. ნამორაძე (ფოსტალიონი), ი. კაკალაშვილი (ფრონტელი).

1987—1988 წლების სეზონს დუშეთის სახალხო თეატრი ახალი სპექტაკლის დადგმით შეეგება. წარმოდგენილი იქნა ნოდარ დუმბაძის ორმოქმედებიანი პიესა „საბრალდებო დასკვნა“. დადგმა ზურაბ კახიანის (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი), მხატვარი ტარიელ ოთარაშვილი, მუსიკა იაკობ ბობოხიძის (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), რეჟისორის თანაშემწე ირაკლი ველთაური, თეატრის დირექტორი იოსებ კაკალაშვილი.

სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ: ბ. ჩანადირი (ზაზა ნაკაშიძე), თამარ თურქაძე (დედა), დ. ჭონქაძე (გამომძიებელი გაგუა), ვ. ხულუზაური (ზედამხედველი), მ. ქარაული (ნუნუ ექთანი), ხ. ლიქოკელი (ჭიჭიკო გოგოლი), გ. ხუციშვილი (გალაქტიონ ჭეიშვილი), ი. კაკალაშვილი (ტიგრან გულოიანი), ი. ველთაური (ლიმონა დევდარიანი), გ. მთიულიშვილი (შოშია გოგოლაძე), გ. წიკლაური (გამცემლიძე), ვ. გამიაშვილი (გიგლა შოშიაშვილი).

რაიონული გაზეთი „კომუნიზმის გზა“ ამ სპექტაკლის შესახებ წერდა: „დუშეთის სახალხო თეატრის დასი ამ დღეებში ახალი სპექტაკლით წარსდგა მაყურებლის წინაშე. გაიმართა პრემიერა ნ. დუმბაძის ორმოქმედებიანი პიესის „საბრალდებო დასკვნა“. ახალმა სპექტაკლმა კიდევ ერთხელ ნათელჰყო დუშელ სცენის მოყვარულთა მაღალი თეატრალური ოსტატობა, წარმოაჩინა მათი შესაძლებლობანი ნაირსახოვანი როლების გახსნისა.

პიესა დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ზურაბ კახიანმა, მხატვრულად გააფორმა კაცილა დავითურმა, მუსიკა კი ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს იაკობ ბობოხიძეს... მაყურებელმა ახალი სპექტაკლი გულთბილად მიიღო“[1]

---

1 გაზეთი „კომუნიზმის გზა“, 1988, 24 მაისი.

გაზეთის იმავე ნომერში კორესპონდენციასთან ერთად მოთავსებულია სპექტაკლის სცენების ამსახველი ვლ. ქისტაურის ორი ფოტოსურათიც.

1988–1989 წლების სეზონში დუშეთის სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა რ. მამულაშვილის ორმოქმედებიანი დრამა „გამოცდა“ (დადგმა ზ. კახიანის, მხატვარი კ. დავითური, მუსიკა ი. ბობოხიძისა).

სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ: ა. ნამორაძე (ვიქტორი – სკოლის დირექტორი), ე. პაპიაშვილი (რუსუდანი – კლასის დამრიგებელი), დ. ჭონქაძე (დიმიტრი – მოხუცი მასწავლებელი), მ. ქარაული (კლარა – ახალგაზრდა ორგანიზატორი), მოსწავლეები: ი. ვერძეული (თამარი), მ. მეზვრიშვილი (ირმა), თ. მეზვრიშვილი (ლალი), რ. ველთაური (ჯონი), შ. ქარაული (ბადრი), ე. ჯარიაშვილი (კახა), ა. გოლიკოვი (ბიძინა – კომკავშირის მდივანი), თ. თურქაძე (ასმათ – თამარი ბებია), ი. კაკალაშვილი (ბუხუტი – ირმას მამა), მ. ბადაგაძე (ეკა – ლალის დედა), მ. პეტრიაშვილი (მაგნოლია – ჯონის დედა), ი. ველთაური (ელდარი – კახას მამა), თ. კოლხიტაშვილი (ტრიფონი – ბადრის მამა).

საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმების პირობებშიც დუშეთის თეატრმა შეინარჩუნა წონასწორობა და საქმის ერთგულება და 1989-1990 წლების სეზონისათვის ახალი დადგმა მოამზადა. მათ მაყურებელს პრემიერად წარუდგინეს გივი გონიაშვილისა და ზურაბ კახიანის ორმოქმედებიანი კომედია „მეცამეტე შეხვედრა“ (დამდგმელი რეჟისორი ზურაბ კახიანი, მხატვარი მანანა სუარიძე, ხოლო მუსიკალური გაფორმებისათვის გამოყენებული იქნა გ. ცაბაძისა და შ. მილორავას მუსიკალური ნაწარმოებები).

აღნიშნულ სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ: გ. ჭიკაიძე (რეზო), ნ. ბექაური (თამარი), ე. პაპიაშვილი (მარიამი), დ. ჭონქაძე (ბონდო), ი. კაკალაშვილი (ლუკა), ხ. ლიქოკელი (ლევანი).

დაბრკოლებები მატულობს... კულტურულ საქმიანობის მეურვეობაზე სახელმწიფო თანდათან თავს იკავებს. მშრომელთა დიდ ნაწილს და განსაკუთრებით ინტელიგენციას სოციალური უმწეობა დაემუქრა, მაგრამ დუშეთის სახალხო თეატრის კოლექტივი მაინც ინარჩუნებს ხვალინდელი დღის იმედს და 1993-1994 წლების სეზონს ახალი სპექტაკლით ხვდება. წარმოდგენილი იქნა ვაჟა-ფშაველას დრამა „მოკვეთილი“ ორ მოქმედებად.

(დადგმა ზურაბ კახიანის, მხატვარი მანანა სუარიძე, მუსიკალური გაფორმება იაკობ ბობოხიძის).

აღნიშნული სპექტაკლის დადგმა მიეძღვნა დუშეთის სახალხო თეატრის 110-ე წლისთავს.

სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ: ავ. ნამორაძე (შუშანა ცხვრის პატრონი), ი. კაკალაშვილი (ივანე – მწყემსი შუშანასი), კ. ღარიბაშვილი (გარეშე მწყემსი), მ. წიკლაური (შალვა – ძმისწული შუშანასი), ხ. ლიქოკელი (ჩონთა – გამოჩენილი მოლაშქრე), მ. დათოშვილი (მოქრისი – დედა ჩონთასი), ე. ავლახაშვილი (მზეევინარი – ცოლი ჩონთასი), მ. ბექაური (ბიძაშვილი ჩონთასი), ბ. ჩანადირი (ბახა), ო. ძუძუშვილი (ხვთისო – ბიძაშვილი ბახასი), ე. პაპიაშვილი (ჯავარა – დედა ბახასი), თ. მთიულიშვილი (საზანდარი), ვ. გოზიტაშვილი (იანვარა – ხევისბერი), დ. ჭონქაძე (მოლა მუსა), თ. თეთრუაშვილი (გულსუნდა – ქალიშვილი მუსასი), მ.წიკლაური და კ.ღარიბაშვილი (დროშიონნი), ა. აბრამიშვილი, ჯ. ჯავახიშვილი, ა. ახალაშვილი, გ. დიაკვნიშვილი, ი. ზაქაიძე, ა. იორდანაშვილი, თ. მირზიაშვილი, ფ. მირზიაშვილი, ზ. პაპიაშვილი, გ. სუარიძე, ნ. შაღაშვილი, მ. ხორნაული, გ. ჯანგირაშვილი (მლოცავნი).

1995 წლის ბოლოსათვის დუშეთის სახალხო თეატრის ხელმძღვანელობაში ცვლილებები მოხდა. თეატრის რეჟისორმა ზ. კახიანმა დაასრულა დუშეთის სახალხო თეატრში მოღვაწეობა. მის ნაცვლად რეჟისორის თანამდებობაზე მოწვეული იქნა კვლავ ნუგზარ გაჩავა, რომლის ხელმძღვანელობით დასი შეუდგა ახალი სპექტაკლის მომზადებას. შერჩეული იქნა ნ. დუმბაძის „ღმერთო, რისთვის ?!“ ინსცენირება ნ. გაჩავასი და ნ. ხუნწარიასი.

ასეთია მოკლედ დუშეთის თეატრალური ცხოვრების განვლილი გზა, მისი 115-წლიანი მოღვაწეობის მოკლე ისტორია.

თეატრმა თავისი არსებობის მანძილზე მრავალი სასიკეთო საქმე გააკეთა. იგი ღირსეულად ედგა მხარში რაიონის მშრომელთა კულტურულ ცხოვრებას და, რაც მთავარია, საფუძველი ჩაუყარა საბავშვო თეატრის დაარსებას ქ.დუშეთში, რითაც „საშვილიშვილო წვლილი შეიტანა მოზარდი თაობის ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდის საქმეში.

სცენური პორტრეტების მაგიერ

მსახიობის ხელოვნებაზე შეუმცდარად წერა, როგორც ჩანს, შეუძლებელია. სცენაზე ხომ წუთიერად ცხოვრობს მსახიობი, როგორც მისი ოცნებით წარმოდგენილი გმირის მხატვრული ხორცშესხმა. ძნელია მაყურებლის მიერ სცენაზე მსახიობის შემოქმედებითი წვის სისრულით აღქმა, რადგან მის მიერ განსახიერებულ პიროვნებად გარდასახვა რთული ფსიქოლოგიური პროცესია. შემოქმედებითი გარდასახვაა განეითარებული მისი სულის რხევათა ნიუანსებში, ხმის ცვალებად ინტონაციებსა და მოძრაობათა მანერებში, რომელთა უეცარი დაჭერა მთლიანობაში და მერე ქაღალდზე შეუმცდარად გადატანა მკვლევარ-კრიტიკოსის ძალ-ღონეს აღემატება. ალბათ თვით უაღრესად გამოცდილ მსახიობსაც კი არ ძალუძს ერთი და იგივე როლის სხვადასხვა დროს ზედმიწევნით ზუსტად, ერთნაირად განმეორება. მსახიობი, როგორც ხელოვანი, სცენაზე თვითონაა ცოცხალი შემოქმედებითი ლაბორატორია დინამიურ მთლიანობაში. რამდენადაც ძლიერია შინაგანი ცეცხლი, შემოქმედებითი წვის უნარი და განჭვრეტის ალღო, იმდენად ძლიერია მსახიობი, როგორც გმირი და ხელოვანი. მისი ტემპერამენტი, პლასტიკური გამომსახველობის უნარი, ხმის ჟღერადობა და ა.შ. ინდივიდუალობის განმსაზღვრელი ფაქტორებია.

ქართულმა პროფესიულმა თეატრმა თავისი სახელოვანი კორიფეების ღვაწლით სახელოვანი სამსახიობო სკოლა შექმნა რეალისტური, გმირულ-რომანტიკული იერითა და შინაარსით.

ცხადია, რომ ქართული თეატრი მუდამ შემოქმედებით კავშირში იყო ქართულ ხალხურ სამსახიობო ტრადიციებთანაც. ცნობილი ფაქტია, რომ თეატრის ავტორიტეტი მაინც სამსახიობო ოსტატობის დონით განისაზღვრება. თეატრის სიმძლავრე ეს მსახიობის ხელოვნების სიძლიერეა. მსახიობის პიროვნების ინდივიდუალობაში იმალება სცენაზე სრულყოფილი სახის შექმნის საიდუმლოება, ხოლო შესრულებულ როლთა ერთობლიობა კი მსახიობის სცენური „მეს“ გამოკვეთისა და შემოქმედებით შესაძლებლობათა დემონსტრირებისა, აგრეთვე ხალხის სუ-

ლიერი ცხოვრების გამოვლინების საშუალებად იქცევა. როცა თეატრის მსახიობთა სცენურ ოსტატობაზე ვმსჯელობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ სახალხო თეატრის მსახიობთა შემოქმედებით ზრდასა და დახელოვნებას მაინც საკუთარი ინიციატივა და სცენისადმი ტრფიალი განსაზღვრავს. ისინი არავითარ გასამრჯელოს არ იღებენ. ძალიან ხშირად კოსტიუმებიც საკუთარი ხარჯით უნდა შეიკერონ. მათი მორალური წახალისება მხოლოდ მაყურებლის ტაშით განისაზღვრება. რატომღაც წესად დადგენილი არაა სახალხო თეატრების ღვაწლმოსილ მსახიობთა შემოქმედებითი საღამოების მოწყობა, არც რაიმე წოდების მინიჭებით არიან გალაღებულნი. ცხადია, რომ ასეთი ვითარება ერთგვარად აფერხებს სახალხო თეატრის დრამატული დასის საქმიანობას. ეს საკითხი უდავოდ იმსახურებს სერიოზულ ყურადღებას.

დუშეთის სახალხო თეატრმა სახელოვანი და საკმაოდ გრძელი გზა განელო. მისი შემოქმედებითი ძალების მაღალი დონე ბევრჯერ აღნიშნულა როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ პრესაში. ქებით არის მოხსენიებული მსახიობთა ერთი ნაწილი, რომელთაც თავიანთი საშემსრულებლო ოსტატობით „მოლოდინს გადააჭარბეს“.

ახლა კი გვინდა მკითხველს წარვუდგინოთ რამდენიმე მსახიობის მოკლე სცენური ბიოგრაფია, რათა ერთგვარად მაინც ნათელი გავხადოთ სცენისმოყვარეთა ამაგი სახალხო თეატრების განვითარების საქმეში და ამ გზით მათი სახელებიც დავიწყებას გადავარჩინოთ. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ სწორედ სახალხო თეატრების სცენებიდან მოვიდნენ ქართულ პროფესიულ თეატრებში ისეთი უზარმაზარი ფიგურები ქართულ სასცენო ხელოვნებაში, როგორებიც იყვნენ: ვ. აბაშიძე, ნატო გაბუნია, ა. ხორავა, ვ. გოძიაშვილი და სხვები.

ამ რამდენიმე წლის წინათ ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან დუშეთის სახალხო თეატრის საკმარისად სახელმოხვეჭილი მსახიობები: გ. ლაგაზაშვილი, ს. ბერიძე, ელისო ნავაძე, ვიქტ. ელიაშვილი, თ. თურქაძე, ბ. ლითანიშვილი, ლ. ნავაძე, შ. მალანია, ტ. ოთარაშვილი, თ. ნარიმანიძე, ა. ოთარაშვილი და სხვები, რომ რაიმე უბრალო მორალური წახალისების მომსწრენიც ვერ გახდნენ.

ჩვენ შევეცადეთ წიგნში წარმოგვეჩინა დუშეთის თეატრის მსახიობთა ერთი ნაწილი მაინც, უფრო კი ისინი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სცენური ოსტატობით, თეატრისადმი უანგარო

თავდადებითა და სამსახურით და შაყურებელთა საერთო აღიარება მოიპოვეს. პიროვნება, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობასთან ერთად აქტიურადაა ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში და დიდის რუდუნებითა და სიყვარულით ასრულებს მას, აუცილებლად უნდა გამოირჩეს დანარჩენებისაგან.

დუშეთის სახალხო თეატრის მსახიობების სცენურ ბიოგრაფიებს შეძლებისდაგვარად ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოვადგენთ, რომლებიც ძირითადად ეყრდნობა პრესის საინფორმაციო მასალებს, რეცენზიებს, თვით მსახიობთა და მათთან ახლო მყოფ პიროთა გადმოცემებს, მოგონებებს, პირად არქივებსა და ჩანაწერებს, აგრეთვე, მცირე საარქივო მასალებს, დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შეკრებილ სამუზეუმო ექსპონატებს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ წიგნის ეს ნაწილი აღძრავს გულშემატკივართა ინტერესს და ხელს შეუწყობს ახალ-ახალი ცნობების წარმოჩინებას დუშეთის სახალხო თეატრისა და მისი მოღვაწეების შესახებ.

*

იმ პირთა შორის, რომელთაც ღვაწლი დასდეს დუშეთის სახალხო თეატრს მისი არსებობის გარიჟრაჟიდან, პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ გამოჩენილი მსახიობი ნატო გაბუნია. მისი პირადი მონაწილეობითა და მხარდაჭერით დაიწყო აღორძინება სცენისმოყვარეთა საქმიანობამ ქ. დუშეთში. დიდი სცენური ნიჭით დაჯილდოვებული, უაღრესად კეთილშობილი, მომხიბლავი ხმის პატრონი და თავმდაბალი მანდილოსანი 1880 წლის ზაფხულში დუშეთის სახალხო თეატრის პირველი დრამატული დასის შემქმნელისა და ამ სამამულიშვილო წამოწყების ინიციატორის თამარ კვალიაშვილის მოწვევით ამოვიდა დუშეთში და მონაწილეობა მიიღო სპექტაკლ „ბიძასთან გამოხუმრების“ მომზადება-დადგმაში და ადგილობრივ სცენისმოყვარეებთან ერთად გამოვიდა სცენაზე. სამწუხაროდ, კორესპონდენციაში არაა მითითებული, თუ რომელი როლი შეასრულა. დუშელ მსახიობებს მისივე თანამონაწილეობით დაუდგამთ გ. ერისთავის კომედია „გაყრა“. სპექტაკლი ჩატარდა იმ სახლში, სადაც დუშეთში ყოფნის დროს ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე. სახლი ეკუთვნოდა იოსებ ვასილის ძე მოზდოკელს. „გაყრაში“ ნატოს თათელას როლი შეუსრულებია და ხალხი მოუხიბლავს

თავისი მოხდენილი თამაშით. დუშელებმა ნატოს გარდაცვალება დიდად განიცადეს.

დუშეთის სახალხო თეატრის სცენისმოყვარეები მუდამ გარემოსილი იყვნენ ქართული თეატრის უეროგულესი ქურუმის ვასო აბაშიძის მხარდაჭერითა და დახმარებით. ვასო აბაშიძე დუშელად თვლიდა თავს და ძლიერ ახლო ურთიერთობა ჰქონდა დუშეთის სახალხო თეატრთან.

ვასო აბაშიძე ქ. დუშეთში დაიბადა. ქალაქის ცენტრში, ახლანდელი უნივერმაღის შენობაზე გაკეთებულია მემორიალური დაფა, რომელზეც ქართულ და რუსულ ენებზე ვკითხულობთ: — „ამ ადგილას იდგა სახლი, სადაც დაიბადა და 1854-1858 წწ. ცხოვრობდა დიდი ქართველი მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვასილ (ვასო) ალექსის ძე აბაშიძე. 1854-1926“. დიდ მსახიობს დუშეთში თავისიანები ეგულებოდა და ხალისით შემოპყვებოდა არაგვის ჭალებს დუშეთისაკენ.

დუშეთის სახალხო თეატრთან ასეთივე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ: ვალერიან გუნიას, ელენე ჩერქეზიშვილს, ალ. კავსაძეს, დ. ჩარკვიანს, ტასო აბაშიძეს, ნუცა ჩხეიძეს, სოსო ჟივიძეს, ელენე აბაზაძეს, ვ. გოძიაშვილს, ელენე ყიფშიძეს და სხვა ქართველ მოღვაწეებსა და მსახიობებს.

არ შეიძლება აქვე არ მოვიხსენიოთ პირველი ქართველი ფოტოგრაფის და მხატვარ-შემოქმედის ალ. როინიშვილის ღვაწლი, რომლის მოღვაწეობას დიდად აფასებდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვები...

მისი თაოსნობით დუშეთში გაიხსნა „სახლი კითხვისა“, რამაც დიდი როლი შეასრულა დუშელ სცენისმოყვარეთა საერთო განათლების დონის ამაღლებაში.

ALEXANDRE ROINASHVILI — პირველი ქართველი ფოტოგრაფი და საზოგადო მოღვაწე, დუშეთის თეატრის აღორძინებისათვის მზრუნველთა რიგებს ეკუთვნის. ამ უანგარო ადამიანისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში 1898 წელს ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა: „გარჯისა და მხნეობის მაგალითი ხომ თავის-თავად კარგია და საქები, მაგრამ განსვენებული ალ. როინაშვილი მარტო ამით არ არის ჩვენ-მიერ სახსენებელი და პატივსაცემი. მას გულში ეჯდა იგი პატიოსანი გრძნობა, რომელსაც მამულიშვილურ სიყვარულს ეძახიან, რომელიც დედაა, მშობელია გარჯისა და მხნეობისა და რომელიც იქა ჰსადგურობს, საცა უბრყვილო, უანგარო და პატიოსანი გულია. ამ სიყვარულის სხივებით

გულგამთბარი და გაძლიერებული იგი იღეწვოდა, ირჯებოდა, პშველოდა ობოლს, ქვრივსა, უმწეოს, უნუგეშოს. თვითონ იკლებდა, ზოგს სხვას პმატებდა, ზოგს ინახავდა, გროშს გროშზე აწებებდა და ბოლოს თავისი ნაღვაწ-ნაამაგევი, პატიოსნის შრომით მოგებული თავისს ქვეყანას მიართვა".[1]

ძალიან საინტერესოა ა. ცაგარელის მოგონებაც: „1870 წელს ერთ ჟღმურტლიან შემოდგომის საღამოს სასახლის ქუჩაზე მოვდიოდი, გზაში შემხვდა აწ განსვენებული დავით ერისთავი და თავისებურად ფიცხლად მკითხა: „სად მიდიხარ, პა? მოდი, შევიდეთ როინაშვილის ფოტოგრაფიაში, რეპეტიციას დავესწროთო". გავყევი განსვენებულს. წარმოდგენები თეატრში ათი წლიდან მენახა, შინაურ წარმოდგენებზედაც ხშირად დავსწრებივარ ბავშვობისას და ჩემ ტოლებთან მონაწილეობაც მიმიღია, მაგრამ დიდ ხელოვან მოთამაშეთა რეპეტიცია არ მენახა და ამიტომ დიდი სიამოვნებით შევყევი დათიკოს ფოტოგრაფიაში. სუფთა და ლაზათიანად მორთულ ოთახში ჩემს თვალს წარმოუდგა ძვირფასი ჯგუფი ყმაწვილ ქალთა და კაცთა, რომელნიც მხიარულად ბაასობდნენ. ოთახში ერთი ჟრიამული იდგა. ეს ყმაწვილები ჩაის მიირთმევდნენ და სტოლზე ნაირ-ნაირი შესატანებლები ელაგათ (შემდეგ გავიგე, რომ განსვენებულს ალექსანდრე როინაშვილს ყოველი რეპეტიცია ათ-თხუთმეტი მანეთი უჯდებოდა). ამ კრებაზე დამსწრენი მახსოვს: კოტე და ელენე (აწ განსვენებული დიმიტრი ყიფიანის შვილები), მარიამ ყიფიანის ქალი, ბარბარე კორინთელის ქალი, იულია და სტეფანე (და-ძმა) აღმუროვის შვილები, თ. ზაალ მაჩაბელი, აწ განსვენებული ნიკო შიშნიაშვილი, ადამ ჩუბინაშვილი, ნოდარ ჯორჯაძე, ალექსანდრე როინაშვილი და მოთავე ნიკო ავალიშვილი... საერთო მისწრაფება იყო, როგორც მოგახსენეთ, მუდმივი სცენის დაარსება. რეპეტიციები იმართებოდა განსვენებული დიმიტრი ყიფიანისა და ნიკო ავალიშვილის ოჯახებში და როინაშვილის ფოტოგრაფიაში".

გარდა მსახიობების მასპინძლობისა, იოსებ გრიშაშვილის მოწმობით, ალექსანდრე როინაშვილი მსახიობობდა კიდეც „თუ რომელიმე პიესაში მსახიობის ქესატობა იყო". ამიტომაც „ჩვენმა დიდმა მოღვაწეებმა ილიამ და აკაკიმ, პ. უმიკაშვილმა, აქვ. ცაგარელმა და სხვებმა, რომლებმაც კარგად იცოდნენ ქართუ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრული კრებული, ხუთ ტომად. ტ. II. გვ. 340, 1941 წ.

ლი თეატრის ისტორია, მათ როინაშვილი გამოაცხადეს განახლებული ქართული თეატრის ერთერთ ფუძემდებლად".[1]

ალექსანდრე როინაშვილის ინიციატივით 1880 წლის 1 აპრილს დუშეთში გაიხსნა „სახლი კითხვისა". ამასთან ერთად იგულისხმება, რომ იგი საქველმოქმედო დახმარებას უწევდა დუშელ სცენისმოყვარეებსაც სათეატრო საქმიანობის აღორძინებაში და თავისი მშობლიური კუთხის წინაშე ამითაც იხდიდა ვალს.

უჩინარი ღარიბი გლეხის შვილს ალექსანდრე როინაშვილს ეროვნული მნიშვნელობის საქველმოქმედო მოღვაწეობამ საპატიო ადგილი მოუპოვა მეცხრამეტე საუკუნის ეროვნულ მოღვაწეთა რიგებში და ბევრად წინ წავიდა იმათზე, ვინც სიმდიდრითა და გვარიშვილობით იწონებდა თავს და მამა-პაპათა სახელს იყო ამოფარებული.

ალექსანდრე როინიშვილი ჭეშმარიტად ღირსია ხსოვნისა და პატივისცემისა.

დავით ხიზანაშვილს ქართველი საზოგადოება იცნობს, როგორც ფშაური ლექსების შემკრებსა და გამომცემელს. 1887 წელს გაზეთ „ივერიის" რედაქციამ ცალკე წიგნად გამოსცა მის მიერ შეკრებილი და გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებული ფშაური ხალხური ლექსების კრებული სახელწოდებით „ფშაური ლექსები", რასაც აღფრთოვანებული წერილი მიუძღვნა ვაჟა-ფშაველამ. იგი წერდა: „მადლობის ღირსია ბ-ნი დ.ხიზანიშვილი ,,ფშაური ლექსების შეკრებისათვის, უფრო პატივსაცემია ავტორი იმ მიზნისათვის, რომელსაც ყველა ამგვარი შრომა ემორჩილება"...[2] „ივერიამ" დასტამბა აგრეთვე მისი ეთნოგრაფიული წერილების სერია „ფშავეთი და ფშავლები". მისი კორესპონდენციები იბეჭდებოდა ჯერ „დროებაში", შემდეგ კი „ივერიაში".

დ. ხიზანაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას ვრცელი მონოგრაფიული ნარკვევი მიუძღვნა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ელიზბარ მგელიაშვილმა[3].

დავით ვასილის ძე ხიზანაშვილი დაიბადა 1860 წლის აპრილში ფშავის ერთერთ ულამაზეს სოფელ არტანში, გლეხის ოჯახში. თერთმეტი წლისამ დაიწყო სწავლა 1872 წელს ახლად გახსნილ არტნის ორკლასიან სკოლაში. მისი მასწავლებელი ყო-

---

[1] ბ. ტაბიძე, ალექსანდრე როინაშვილი, 1976, გვ. 24-25.
[2] ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. IX, გვ. 53
[3] იხ. მეგზური, გამომცემლობა „განათლება", 1980, გვ. 285-348.

ფილა აფრასიონ ჯაფარიძე. დავითს არტისის სკოლა წარმატებით დაუმთავრებია. შემდეგ მაძას კავკავში წაუყვანია, სადაც კარგად დაუფლებია რუსულ ენას და როცა თიანეთში დაბრუნებულა, სასამართლოს მდივნად მოწყობილა, თანაც თვითგანათლებას დასწაფებია. მას თიანეთში ბევრი მეგობარი ჰყავდა, მათ შორის — ნიკო ურბნელი, რომელმაც დავითი ილია ჭავჭავაძეს გააცნო და გზა გაუკაფა მის ფოლკლორულ-შემკრებლობით მოღვაწეობას. ილიას „ივერიაში“ ფართოდ გაულო კარი მის მიერ ფშავში შეკრებილ ლექსებს და შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოსცა. 1894 წლის 1 იანვრიდან დ. ხიზანაშვილი დუშეთის მაზრის სასამართლოს მდივნად დანიშნეს. დუშეთში დავითი 1905 წლამდე მუშაობდა და 11 წლის განმავლობაში საზოგადოებაში დიდი სიყვარულიც დაუმსახურებია, როგორც ხალხის მოსარჩლეს, სამართლიანსა და კეთილშობილ პიროვნებას. ირკვევა, რომ დ. ხიზანაშვილი დუშეთში სახელმწიფო მოხელის მოვალეობის პირნათლად შესრულებასთან ერთად საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი აქტიურად ყოფილა ჩაბმული საქველმოქმედო საქმიანობაში და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა სათეატრო საქმით დაინტერესებულ დუშელ ენთუზიასტებს, რასაც კარგად გვამცნობს მაშინდელი პრესაც. დ. ხიზანაშვილის ვერაგული მკვლელობის გამო გაზეთ „საქართველოში“ 1916 წლის 13 გიორგობისთვეს გამოქვეყნებულ სამძიმრის წერილში „დუშელი ვანო“ (ივანე დიმიტრის ძე ლუარსამიძე) ასეთ შეფასებას აძლევდა დუშეთში დ. ხიზანაშვილის მოღვაწეობას: „განსვენებული დავითი არ იყო მოკლებული შნოს და უნარს საზოგადო საქმისადმი: თავისუფალ დროს სხვა მოხელეებისამებრ უქმად არ ჰკარგავდა, და შეძლებისამებრ საქმეს ანდომებდა. თეატრი იქნებოდა თუ საღამო, განსვენებულს თავისი წვლილი უნდა შეეტანა. რონაშვილისეულ წიგნთსაცავსამკითხველოს დაარსებაში განსვენებულს თავისი შრომა არ დაუშურებია... დიახ, დავით ხიზანაშვილი მოკეთე იყო ჩვენი და მტრებმა უდროოდ ხელიდან გამოგვტაცეს“...

1905-1912 წლებში დავითი კვლავ თიანეთში მუშაობს, ხოლო 1912 წლიდან თბილისში გადაიყვანეს სასამართლოს ბოქაულის თანამდებობაზე. 1916 წელს იგი ავაზაკებმა ვერაგულად მოკლეს. დ. ხიზანაშვილი გულწრფელად დაიტირეს მეგობრებმა, რასაც გვაუწყებს პრესაში გამოქვეყნებული მათი სამძიმრის წერილები და საარქივო მასალები.

ვაჟა-ფშაველას ურთიერთობაზე დუშელ საზოგადოებასთან

და სახალხო თეატრთან ცოტა ვიციო. ი'შვიათადღა შემორჩნენ ვაჟას თანამედროვენიც. ჩვენ საშუალება გვქონდა თავის დროზე დუშეთში შეგვეკრიბა მოგონებანი დიდი მგოსნის შესახებ.

დუშეთთან ვაჟას ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდა. მისი ცოლისდა ნინო გათხოვილი იყო დუშეთში იაგორ კიკოლას ძე წვერაძეზე. ვაჟა მათი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო, იცნობდა დუშელ ინტელიგენციას.

1915 წლის 15 აპრილს დუშეთის დრამატულმა დასმა დადგა ვ. გუნიას ისტორიული დრამა „და-ძმა", სადაც ძალიან მოხდენილად ითამაშა ლადო ხანდოელმა (ფაიად-ფაშა). წარმოდგენა აჭარელი თანამოძმეების დასახმარებლად დაიდგა. ამ სპექტაკლს ვაჟა-ფშაველაც დასწრებია, რასაც კორესპონდენტი სიხარულით აუწყებდა საზოგადოებას: „ხალხი ბლომად დაესწრო, დაესწრო აგრეთვე, ჩვენი მგოსანი ვაჟა-ფშაველა"[1].

ვაჟა დუშეთიდან თბილისს გაემგზავრა სამკურნალოდ. ეს მგზავრობა საბედისწერო გამოდგა მისთვის...

1915 წლის 27 ივლისს ვაჟა გარდაიცვალა. კვირას, 2 აგვისტოს, დაკრძალვის დღეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დუშეთის განყოფილების გამგეობამ ვაჟას მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა დუშეთში. კორესპონდენტი „სახალხო ფურცელში" იუწყებოდა, რომ დუშეთის თეატრალური დასის წევრებმა „3 აგვისტოს კიდევ გამართეს წარმოდგენა, 2 აგვისტოს უნდა გამართულიყო, მაგრამ უკვდავ ვაჟას დაკრძალვის გამო აღნიშნული დღისათვის გადასდეს. წარმოდგენილი იქნა „ქართველი დედა" ა. ცაგარელისა".[2]

დუშეთის თეატრალურმა საზოგადოებამ ასე გამოხატა თავისი მწუხარება და პატივისცემა დიდი ქართველი პოეტისადმი.

ბორია ლითანიშვილი 1921 წლის სექტემბრიდან დუშეთის თეატრის რეჟისორად დაინიშნა.

მოსვლისთანავე ბ. ლითანიშვილმა ჩამოაყალიბა დრამატული დასი შემდეგი შემადგენლობით: ელისო ნავაძე, სიმონ ნავაძე (მუდმივი მოკარნახე), ქაიხოსრო ბახუტაშვილი, მანია ბახუტაშვილი, ლადო ბერიძე, სალომე ბერიძე, გიგუცა ლაგაზაშვილი, ვანო მეზვრიშვილი, დავით კობიაშვილი, მარო აბრამიშვილი, სამსონ როინიშვილი, კოლია როინიშვილი, ვიქტორ როინიშვილი, ვანო იშხანოვი (პიტირო), ანიჩკა იშხანოვი, ვასო როინიშვილი და ჟორა დალაქიშვილი.

---

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1915, № 17, გვ. 15.
[2] გაზ. „სახალხო ფურცელი", 1915, № 360.

ბ. ლითანიშვილმა დიდი სიყვარული დაიმსახურა დუშეთში. მან სახელი გაითქვა როგორც ნიჭიერმა რეჟისორმა.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1925 წელს თავის ფურცელზე ათავსებს ბ. ლითანიშვილის სურათს (ალ. ციმაკურიძის ნახატი) ასეთი წარწერით: „დუშეთის დრამ-დასის ხელმძღვანელ-რეჟისორი“. იქვე მოთავსებულია მოკლე სტატია „დუშეთის თეატრი“, რომელშიც ვკითხულობთ: „ქ. დუშეთის თეატრის მუშაობა მოისუსტებდა, იყო დრამ წრე, იყვნენ საქმის მოყვარულნი, მუშაობის მსურველნი, მაგრამ მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა წინ, მაგ. მთავარი ის, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა პროვინციის თეატრებისათვის: არ იყო მტკიცე, მცოდნე, ენერგიული და საქმისათვის თავდადებული ხელმძღვანელი.

აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბრეგვაძე, როგორც საეროოდ კულტურულ საქმიანობას, ისე თეატრალურსაც დახმარებას უწევდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ბოლო დროს მოწვეული იქნა რეჟისორ-ხელმძღვანელად ამხ. ბორია ლითანიშვილი, ჩვენს სახალხო სცენაზე უკვე ცნობილი მსახიობი“[1]. ამავე წერილიდან ჩანს, რომ მარტო 1925 წლის ზამთრის სეზონში ბორისის ხელმძღვანელობით დუშელ სცენისმოყვარეებს წარმოუდგენიათ მგალობლიშვილის „რევოლუციის გარიჟრაჟზე“, ბელოვის „იუდას კოცნა“, ავქ. ცაგარლის „ციმბირელი“, ხოლო გ. დალაქიშვილის მოგონების მიხედვით, დუშელ სცენისმოყვარეებს ბორია ლითანიშვილის ხელმძღვანელობით კიდევ 15-ზე მეტი ახალი დადგმა განუხორციელებიათ.

ბორია ლითანიშვილის ხელმძღვანელობით დრამატული დასი თანდათან გაიზარდა. 1925 წლისათვის მასში გაერთიანებული იყო 25 სცენისმოყვარე. პრესა ასე მიესალმებოდა თეატრის კოლექტივს: „სალამი დუშეთის თეატრს, დასს და მის ხელმძღვანელს, ვუსურვებთ გაორკეცებულ ნაყოფიერ მუშაობასა და გამძლეობას, დუშელთა სასახელოდ და ხელოვნების სასიკეთოდ!“.

ბორია ლითანიშვილი 1925 წელს დუშეთიდან თბილისში გადაიყვანეს რკინიგზელთა კლუბის რეჟისორად. იგი 1930 წელს გარდაიცვალა.

დუშეთის სახალხო თეატრის მოამაგეთა შორის არიან ისინი, ვინც თითქმის მთელი სიცოცხლე შეალიეს სცენას და მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობით თავიანთი მხრებით ზიდეს

---

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1925, № 2, გვ. 15.

სახალხო თეატრის ძმიმე ტვირთი. მათ შორის ერთი პირველთაგანია მარიამ აბრამიშვილი.

მარიამ აბრამიშვილი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე — დუშეთის დრამატული დასის აქტიური წევრი გახდა ოციანი წლების დასაწყისიდან. 1921-1925 წლებში მინდობილი როლების მომხიბვლელი შესრულებით მარიამმა საუკეთესო ოსტატის სახელი მოიხვეჭა.

დუშეთის გარდა მ. აბრამიშვილი მოღვაწეობდა ბათუმში, ჭიათურაში, თელავში, ქუთაისში, შემდეგ კოტე მარჯანიშვილმა ჩარიცხა თავის დასში. მარიამი მოღვაწეობდა თბილისის თოჯინების თეატრში, ბოლოს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თოჯინების თეატრს ჩაუდგა სათავეში და დიდხანს ახალგაზრდული გატაცებით ემსახურებოდა ამ საქმეს, მაგრამ ვაჟასი არ იყოს, „გულიც იქ იწევს, სულიცა, სად რომ მაღალი მთებია“ და მარიამიც თავისი დასით მთის ხშირი სტუმარი იყო, რითაც იქაურ ბავშვებშიც აღძრა ჯადოსნური თოჯინებისადმი ინტერესი. ამ შთაგონების ძალით შეიქმნა ათიოდე წლის წინ დუშეთის კულტურის სახლთან თოჯინების თეატრი. პატარები აღტაცებაში მოიყვანა მოყვარულთა მიერ დადგმულმა წარმოდგენებმა. მთიელი ქალი მარიამ აბრამიშვილი მსახიობთა ძველი თაობის ღირსეული წარმომადგენელი, გულაჩუყებული ელოდა დუშეთის სახალხო თეატრის 100 წლის იუბილეს, მაგრამ წინა დღეებში გარდაიცვალა.

ნანა ღვინეფაძე „თეატრალურ მოამბეში“ აღნიშნავდა მარიამ აბრამიშვილის გარდასახვის უნარს, როგორც მსახიობის ერთ საინტერესო თვისებას:

„სხარტი, ტანმორჩილი ქალი ადვილად ახერხებდა ვაჟად გარდასახვასაც. მან განასახიერა ხევსურის, ზანგის, მეგობარი ბიჭუნების როლები „ლამარაში“, „სამ ბღენძში“ და „ესკადრის დაღუპვაში“, თელავის თეატრში მოღვაწეობისას კი — „სურამის ციხეში“. სხვადასხვა დროს ზურაბიც უთამაშნია და დედაც“[1]. აქვე უნდა დავუმატოთ ისიც, რომ დუშეთის თეატრში მოღვაწეობის დროსაც ბევრჯერ ბრწყინვალედ შეასრულა ვაჟის როლი.

მარიამ აბრამიშვილი, თანამედროვეთა დახასიათებით, დუშეთის სახალხო სცენის დამამშვენებელი იყო. ამიტომაც იგი დუშეთის სახალხო თეატრის იუბილეს თავის დღესასწაულად თვლიდა და გულითაც უხაროდა, მაგრამ სამწუხაროდ აღარ დასცალდა.

---

[1] ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, 1975, № 6, გვ. 30.

ბიბუცა ლაგაზაშვილი დუშეთის ძველი თაობის სცენისმოყვარეთა შორის გამოირჩეოდა თავისი დახვეწილი სცენური ოსტატობით.

1974 წელს იგი ბაზალეთში საკუთარ ბინაში ვისახულეთ. იმ ხანად უკვე მოხუცებული და დასნეულებული იყო, მაგრამ მისი კეთილშობილური გამომეტყველება და საუბარი სიამით ავსებდა ადამიანს. მოკითხვამ სიმხნევე შემატა, მადლობა გადაგვიხადა და გვიამბო: „1918 წლიდან დავიწყე მუშაობა დუშეთის თეატრალურ დასში. ჩვენი რეჟისორი იყო მსახიობი ალიოშა ჯაყელი. სეზონი გავხსენით პიესა „ორი გმირით". ამ პიესაში ვითამაშე ლევან გურიელის როლი. ტარიელის როლს ა. ჯაყელი ასრულებდა, დესპინეს როლს — ნინა ამირიძე, მამის როლს — დ. კობიაშვილი. მონაწილეობდნენ აგრეთვე ესიკა ებრალიძე, მიშა ელიაშვილი და სხვა. ჩვენმა დასმა ეს პიესა იმავე წელს გაიტანა სოფლებში: ჭოპორტში, საგურამოში, წილკანში, მუხრანში და სპექტაკლს ყველგან მოწონებით ხვდებოდნენ. 1921 წლიდან უფრო ინტენსიურად შევუდექით მუშაობას. ჩვენი რეჟისორები იყვნენ ბ. ლითანიშვილი, სოსო რევაზიშვილი, დ. ჩარკვიანი... დავდგით შილერის „ყაჩაღები", სადაც კარლ ბოორის როლი შევასრულე; „ბატონი და ყმაში" — გაბრიელის, „გეგეჭკორში" — გეგეჭკორის, „არსენაში" — არსენას, „და-ძმაში" — გაიოზისა და მრავალი სხვა"...

გიგუცა ლაგაზაშვილი როგორც საიმედო მომავლის მქონე, მსახიობური ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდა, 1925-1926 წლებში დუშეთის რაიონის ხელმძღვანელებმა სასწავლებლად მიავლინეს „პროლეტკულტში", დაინიშნა სტიპენდია და მეცადინეობდა მარჯანიშვილის თეატრში. მას ლექციებს უკითხავდნენ რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი და სხვები.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გიგუცა ლაგაზაშვილი კვლავ დუშეთს დაუბრუნდა და აქტიურად ჩაება თეატრალურ საქმიანობაში. იგი წარმატებით გამოდიოდა ლენინგორის, ფასანაურისა და ყაზბეგის სცენებზე.

დუშეთის თეატრალური ცხოვრების მიმოხილვისას პრესა მუდამ ქებით იხსენიებდა გ. ლაგაზაშვილს, რომელიც მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებდა. კორესპონდენტი იტყობინებოდა: „დუშეთში საზამთრო სეზონი დაიწყო კვირას, 21 დეკემბერს მგალობლიშვილის პიესით „რევოლუციის გარიჟრაჟ-

ზე". მოთამაშეთა შორის აღსანიშნავი არიან: ბ. ლითანიშვილი, გ. ლაგაზაშვილი"[1].

გიგუცა ლაგაზაშვილი დუშეთის სახალხო თეატრის წამყვანი მსახიობი იყო. რეჟისორები მას ანდობდნენ მთავარი როლების შესრულებას. გ. ლაგაზაშვილის სცენური ოსტატობა ხასიათდებოდა დახვეწილი საშემსრულებლო მანერებით. მას ფანატიკურად უყვარდა სცენა და მუდამ თავდაუზოგავად იღვწოდა დუშეთის თეატრის სახელისათვის. იგი მუდამ ღრმად სწვდებოდა გმირის შინაგან ბუნებას, ჰქონდა გარდასახვის საოცარი უნარი და მუდამ ინარჩუნებდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს, მხოლოდ მისეულ სახეთა შექმნის ხიბლსა და ნიჭს; მუდამ შემოქმედებითი ძიების გზაზე მდგომი მსახიობი ჰქმნიდა შთამბეჭდავ სახეებს; ჰქონდა საოცარი უნარი მაყურებლის სრული დამორჩილებისა. მისთვის არ არსებობდა მთავარი და მეორეხარისხოვანი როლი. იგი მუდამ გამოირჩეოდა მოვალეობისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით და განუწყვეტელი თვითკონტროლით. ჩვენგან წასული მსახიობის ნაოელი სახე მუდამ იცოცხლებს მისი ნიჭის თაყვანისმცემლების გულში.

სალომე ბერიძე დაბადებულა 1895 წელს თელავში. მამით ადრე დაობლებულა. მისი ძმა ალექსანდრე ბერიშვილი, პროფესიით ექიმი, სამუშაოდ დუშეთში გადმოუყვანიათ და დედა და და თან წამოუყვანია. დუშეთშიეე დაოჯახებულა. სალომეს მეუღლე ლადო ბერიძეც აქტიურად მონაწილეობდა დუშეთის სასცენო მუშაობაში. სალომეს განმარტებით, ლადოს დედა ხანდოდან ყოფილა და ამიტომ ლადო „ხანდოელადაც" იწერებოდა. საგაზეთო ინფორმაციებში „ლადო ხანდოელი" ხშირადაა მოხსენიებული, როგორც მსახიობიც და რეჟისორიც.

ჩვენ სალომე ღრმად მოხუცებული ვინახულეთ 1970 წლის 16 მარტს საკუთარ ბინაზე, სადაც დუშეთში ყოფნის დროს ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე. თელავის პანსიონის დამთავრების შემდეგ სწავლა გაუგრძელებია ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის პანსიონში. დუშეთის რაიონში ჯერ გრემისხევში იყო დაწყებითი სკოლის მასწავლებლად, შემდეგ დუშეთში რუსულ ენას ასწავლიდა. მისი მეუღლეც მასწავლებელი იყო.

სალომე ბერიძე დუშეთის სახალხო თეატრის სცენაზე 1914 წელს მოვიდა. ღრმა მოხუცებულობამდე აქტიურად მონაწილე-

---

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1925, № 2, გვ. 14.

ელისო ჩოხელი-
ნავაძისა –
დუშეთის თეატრის
ღვაწლმოსილი
მსახიობი.

სპექტაკლი
„საბრალდებო დასკვნა“ –
რეჟისორი
ფ. ლოთიკაშვილი
1976 წ. სალარიძე
– მირიან მალანია.

სცენა სპექტაკლიდან „საბრალდებო დასკვნა“ რეჟისორი
ფ. ლოთიკაშვილი, 1976 წ.


ბიბლიოთეკა
საბავშვო თეატრი
ი. ჯავახიშვილი
ჩგლილი
ყვავილებზე



სცენა სპექტაკლიდან – „საბრალდებო დასკვნა" –
დადგმა ფ. ლოთიკაშვილისა. მსახიობები:
გ. მთიულიშვილი, ფ. ლოთიკაშვილი და
ი. კაკალაშვილი, 1976 წ.

ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲐ
ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲮᲠᲔ
1972-1980 წ. წ. ᲡᲐᲮᲔᲚᲘ
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ
ᲗᲘᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ
ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲜ ᲛᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ
Გ. ᲛᲔᲜᲐᲠᲘᲫᲔ

ელენე პაპიაშვილი – დუშეთის
თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

ალბერტ ჭინჭარაული
– დუშეთის სახალხო
თეატრის მხატვარი

ავთანდილ ნამორაძე – დუშეთის თეატრის ყოფილი რეჟისორი და მსახიობი. ამჟამად საბავშვო თეატრის რეჟისორი

ტარიელ ოთარაშვილი – დუშეთის თეატრის ყოფილი მხატვარი და მსახიობი

სპექტაკლი „განა ასე უყვართ“. ეოთა ლომიძის როლში მსახიობი
გ. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი

ნ. დ უ ე ბ ა ძ ე – „საბრალდებო დასკვნა“. ზედამხედველი –
ვ. ხ ულ უ ზ ა უ რ ი

მსახიობი
ცირა ფოთოლაშვილი

სპექტაკლი „სამანიშვილის დედინაცვალი“. რეჟისორი ილო ბექაური. ბეკინა — ტარიელ მოლოდინი



დუშეთის სახალხო თეატრის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს პრეზიდიუმი. წინა პლანზე. საქ. სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სსრკ სახალხო არტისტი დ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, საქ. კპ დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი პ. კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე, საქ. სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. გ უ რ ა ბ ა ნ ი ძ ე, დუშეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარე გ. წ ი კ ლ ა ურ ი.

დუშეთის სახალხო თეატრის რეჟისორი ნუგზარ გაჩავა

ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს პრეზიდიუმი
1981 წ. 14 იანვარს ქ. დუშეთში. მიკროფონთან საქ. კპ დუშეთის რაიკომის
პირველი მდივანი პ. შ. კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე



მოსაწვეული ბარათი

ოძისში 1981 წლის 14 იანვარს გ. ერისთავის ძეგლის საძირკველის ნაყრა (წინა პლანზე საქ. თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე დ. ალექსიძე და საქ. კპ დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი პ. კერესელიძე)



ქართული თეატრის დღის მონაწილენი გ. და დ. ერისთავების კარმიდამოში სოფ. ოძისში 1981 წლის 14 იანვარს. საზეიმო მიტინგს ხსნის საქ. კპ ლუშეთის რაიკომის პირველი მდივანი პ. კერესელიძე

ზაქარია დიაკონიშვილი
დუშეთის თეატრის მუსიკალური
ხელმძღვანელი და დირიჟორი



გოგი დიაკონიშვილი –
დუშეთის სახალხო თეატრის
დირექტორი

ობდა სპექტაკლებში, თამაშობდა ყველა ასაკის ქალის როლებს, ხოლო ხანში შესვლის შემდეგ ბრწყინვალედ ასახიერებდა დედას. მას შეეძლო სცენაზე მოულოდნელად გამოემჟღავნებინა ურთიერთსაწინააღმდეგო ემოციები, რითაც მაყურებელი აღტაცებული რჩებოდა. იგი დღემდე ახსოვს დუშელ მაყურებელს, როგორც ნიჭიერი მსახიობი. „ჩემი ძმაც, აწ განსვენებული, აქტიურად მონაწილეობდა თეატრის მუშაობაში, ზოგჯერ თვითონ რეჟისორობდა. მთელი ოჯახი ჩაბმული ვიყავით თეატრალურ მოღვაწეობაში. ვცდილობდით, რომ სპექტაკლი კარგი გამოგვსლოდა. დუშეთის თეატრში დიდი ღვაწლი მიუძღვით: გიგუცა ლაგაზაშვილს, ალექსანდრე ისაშვილს, თამარ ფაელენიშვილს, ვერა სიდამონიძეს, სიმონ ნამორაძეს და სხვ. თვალწინ მიდგას ვასო აბაშიძის, ვალერიან გუნიას, ტასო აბაშიძის და ნუცა ჩხეიძის მიერ შესრულებული როლები ქ. დუშეთში და ტკბილად ვიგონებ მათ მხარდამხარ შესრულებულ სახეებს“, — მოგვითხრობს სალომე ბერიძე და თან ქ. დუშეთში ვალერიან გუნიასთან გადაღებულ სურათს გვიჩვენებს.

50 წელზე მეტ ხანს ემსახურებოდა ს. ბერიძე დუშეთის სახალხო თეატრს. თანამედროვეთა დახასიათებით, ს. ბერიძის შესრულებული როლები მუდამ გამოირჩეოდა დახვეწილი პროფესიონალიზმითა და მაღალი სცენური ოსტატობით, რითაც მაყურებლის აღტაცებას იწვევდა. ამაგდარი ქალი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა.

სალომე ბერიძემ მთელი მოღვაწეობის მანძილზე შეინარჩუნა ახლის ძიებისა და ძლიერი შთაგონების უნარი. იგი დაუშრეტელი ენერგიით გამოირჩეოდა ხელოვნების სამსახურშიც და პირად ცხოვრებაშიც, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ მისი აღმაფრენა იყო ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარული, სიცოცხლისა და სამყაროსადმი აშაღლებული დამოკიდებულება, — ქალის, როგორც ბუნების მშვენიერი ქმნილების, კეთილშობილებისა და თავდადების სცენური ხორცშესხმა.

ბიორგი დალაქიშვილი ძველი თაობის სცენისმოყვარეთა დასის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. იგი დაიბადა 1904 წელს ქ. დუშეთში. 8 წლისა დუშეთ-თიანეთის სამაზრო ხუთკლასიან რუსულ სკოლაში მიაბარეს. მსახიობური ნიჭი ადრევე გამოავლინა. ისწავლა გიტარაზე და თარზე დაკვრაც. მისი პირველი გამოსვლა დუშეთის სახალხო თეატრის სცენაზე 1919 წელს სპექტაკლ „ჩვენი დროის გმირში“ სრულიად უბრალო შემთხვევამ განაპირობა: ბოლო მოქმედების წინ აღმოჩნდა, რომ „ჩის-

ტილშჩიკი“ არა პყავთ. საჭირო იყო სასწრაფოდ გამონახულიყო ვინმე, რათა მოქმედება არ ჩავარდნილიყო. დრამატული დასის წევრმა გიგუცა ლაგაზაშვილმა რეჟისორ სოსო რევაზიშვილს წარუდგინა გიორგი და უთხრა: ეს მომავალი მსახიობია და ახლა ამის მეტი ვერავინ გამოგვადგებაო. რეჟისორმა აათვალჩაათვალიერა და... მალე თავის ატრიბუტებით გამოცხადდა სცენაზე „ჩისტილშჩიკი“ (ფეხსაცმლების მწმენდავი) და ისე მოხდენილად შეასრულა თავისი როლი, რომ საერთო მოწონება დაიმსახურა... ასე დაიწყო გიორგი დალაქიშვილმა მოღვაწეობა თვითმოქმედ თეატრალურ კოლექტივში. მას განსაკუთრებით გაუთქვა სახელი „წითელ კეტში“ ებრაელის როლის შესრულებამ. გიორგიმ ეს მეორეხარისხოვანი როლი საუკეთესო შესრულებით მთავარ როლად აქცია.

ნიჭიერ ახალგაზრდას დუშეთის სამაზრო განათლების განყოფილების წინაშე დასმა უშუამდგომლა, რათა სასწავლებლად გაეგზავნათ თეატრალურ სტუდიაში, მაგრამ გიორგის მამა ზაქარია ამის წინააღმდეგი იყო. მას სურდა, რომ მის შვილს ვაჭრობისათვის მოეკიდა ხელი. თავისი ხელით გადაწერილი 150-მდე პიესა მამამ ცეცხლში ჩაუყარა და დაუწვა, რომელთა აღდგენას გიორგი ორი წელი მოუნდა (იგი ქმნიდა პიესების საკუთარ ბიბლიოთეკას).

„თეატრისადმი სიყვარულში ბზარი მაინც არ გაჩნდა. ძირითადად დუშეთის სცენამ შემაყვარა თეატრალური მუშაობა“, — წერდა თავის ავტობიოგრაფიაში გ. დალაქიშვილი.

იგი წარმატებით ასრულებდა როლებს ისეთ სპექტაკლებში, როგორიცაა: „ციმბირელი“, „არშინ მალ-ალან“ და „ამერიკელი ძია“. ოპერეტა „არშინ მალ-ალანში“ ასკარის როლის შესრულებამ მას უფრო გაუთქვა სახელი. სპექტაკლიდან გამოსულს დაუნახავს, რომ ვანო იშხანოვს (პიტიროს) შეუკრებია კლუბის წინ მუსიკოსები და ელოდებოდნენ მის გამოსვლას. გამოსვლისთანავე ატყდა ტაში. იქვე იყვნენ ძველი სცენისმოყვარენი, მათ შორის დათიკო კობიაშვილიც, რომელიც გადაგხვია, გადაკოცნა და 22 წლის ახალგაზრდას ასეთი სიტყვებით მიმართა: „ამხანაგო ჟორა, ჩემო საყვარელო მოწაფევ, მიყვარდი და ეხლა ყველასათვის საყვარელი იქნები, რომ შენ, ჯერ ასეთმა ახალგაზრდამ, ჩვენს დაუხმარებლად დუშეთის მაყურებელს გვიჩვენე მხიარული პიესა „არშინ მალ-ალან“. შემდგომისათვის გისურვებ, რომ შენი დაუშრეტელი ენერგია არ შეანელო და ახალი სცენისმოყვარეები აღზარდო ჩვენი პატარა კლუბისათვის.

ჩვენ, ძველები, მიმაელები ვართ და ჩვენი ადგილი სცენაზე ახალგაზრდობამ უნდა შეავსოს". სიტყვის დამთავრებისთანავე იქუხა ტაშმა და „პიტიროს" ორკესტრმა დაუკრა, ასკარის სიმღერა შეასრულა. გიორგიმაც არ დააყოვნა სიმღერა: „ვინც არ გიყვარს, არც იცნობ, მას ცოლად ნუ გაპყვები"...

გახალისებულმა მსახიობმა დაიწყო მზადება პაჯიბეკოვის ოპერეტა „მაშდი იბადის" დასადგმელად, რომელიც წარმატებით განახორციელა. გიორგი 1926 წელს გაიწვიეს არმიაში, მაგრამ დუშეთის სამხედრო კომისარიატმა სამუშაოდ თავის აპარატში დატოვა.

1928 წლის დეკემბერში, დუშეთის სამხედრო კომისარიატის გაუქმების გამო გიორგი დალაქიშვილი სამუშაოდ თბილისში გადაპყავთ და იქაც მაშინვე ებმება თეატრალურ საქმიანობაში ჯერ ჯარისკაცთა კლუბში, შემდეგ კი თბილისის სცენისმოყვარეთა კლუბში.

1959 წლის 26 მაისს სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის კლუბის გამგეობამ და ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა გ.დალაქიშვილს მოუწყეს თვითმოქმედ თეატრალურ კოლექტივში მუშაობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო[1]. მან მრავალი მისალმება მიიღო მეგობრებისაგან, მათ შორის დუშელებისაგანაც. ელისო ნავაძემ, დუშეთის დრამწრის უხუცესმა წეერმა, აღფრთოვანებული დამოკიდებულება იუბილარისადმი თავისი ერთადერთი ლექსით გამოხატა.

გიორგი დალაქიშვილი ამ რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა.

ელისო ჩოხელი-ნავაძისა დაიბადა 1896 წელს ერწოში (საჯრიონში) მღვდლის ოჯახში. შემდეგ ცხოვრობდა ფასანაურში და იქვე დაოჯახდა. მისი მეუღლე სიმონ ნავაძე დუშეთში დასახლდა. პირველ ხანებში იგი სუფლიორად მუშაობდა, ელისო კი — მეგარდერობედ.

დუშეთის სახალხო თეატრის ამაგდარმა მსახიობმა და რეჟისორმა ელისო ნავაძემ მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე სახალხო სცენას შეალია. იგი ფარვანასავით თავს დასტრიალებდა დუშეთის სახალხო თეატრს და ენერგიულად იღვწოდა მისი წარმატებისათვის. სალომე ბერიძესთან ერთად იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პერი-

[1] გაზ. „თბილისი", 1959, № 123.

ოდ'ში, გარდაცვალებამდე, აქტიურად იყო დაკავშირებული თეატრთან. ორი ვაჟიშვილიც, დათიკო და გიორგი, სასცენო ხელოვნების სიყვარულით აღზარდა. ხშირად სპექტაკლებ'ში მშობლები და შვილები ერთად გამოდიოდნენ. მთელი ოჯახი თეატრალური ცხოვრებით ცხოვრობდა.

ე. ნავაძემ სახალხო თეატრის სცენაზე 40 წელზე მეტი გაატარა. იგი მუდამ აღაფროთოვანებდა მაყურებელს დახვეწილი მანერებით, მიმიკით, მიმზიდველი ხმითა და, რაც მთავარია, გმირის სულიერ სამყარო'ში წვდომითა და გარდასახვის ხელოვნებით.

ე. ნავაძე სამამულო ომის წლებში თვითონ ხელმძღვანელობდა დუშეთის სახალხო თეატრს. მისი რეჟისორობით მრავალი სპექტაკლი დაიდგა.

ე. ნავაძე თავის ირგვლივ იკრებდა ნიჭიერ ახალგაზრდებს.

ელისო ნავაძე გარდაიცვალა 1961 წელს 65 წლის ასაკ'ში.

ილია ბეძაური დაბადებულა 1913 წელს ქ. კრასნოდარ'ში, ხელოსნის ოჯახში. მამა, მიხეილი, ჩოხებს კერავდა. დროის ავბედობამ მშობლიურ კუთხეს მოსწყვიტა იგი. წინაპრები გუდამაყრიდან იყვნენ.

მიხეილი კარგად ცეკვავდა. შვილებისათვისაც ადრევე უსწავლებია ქართული ცეკვები და ქართველ მთიელთა ცეკვის ილეთები. 1918 წელს კრასნოდარის საზოგადოებას მოუწყვია საღამო-კონცერტი. მის მესვეურებს საუკეთესო ნომრის შესრულებისათვის სამი პრიზი დაუწესებიათ. იმ საღამოს 5 წლის ილიას ქართული ცეკვა ისე მოხდენილად და ტემპერამენტით შეუსრულებია, რომ საზოგადოება და ჟიური აღტაცებაში მოუყვანია და პირველი პრიზიც — ვერცხლის პორტსიგარი მისთვის გადაუციათ.

აღტაცებაში მოსულ აუდიტორიაში ყოფილა მოხუცი ქართველი ცოლ-ქმარი. ისინი ბავშვის ცეკვით მოხიბლულან და ცხარე ცრემლით ატირებულან. როცა უკითხავთ ტირილის მიზეზი, უპასუხიათ: მთელი სიცოცხლე რუსეთში გავატარეთ, სამშობლოსაგან მოწყვეტილებს მაგ ბიჭის ცეკვამ თვალწინ დაგვიყენა ჩვენი სამშობლო და მძლავრად გვაგრძნობინა მისგან დაშორებაო — და უფრო აქვითინებულან. მოხუცი ცოლ-ქმრის განცდებს ჩაუფიქრებია ილიას მამაც და დაუწყია მზადება სამშობლოში წამოსასვლელად. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, 1921 წელს დაბრუნებულა თავის ოჯახით და ფასანაურში დასახლებულა. 8 წლის ილია მაშინვე

შეუყვანია ფასანაურის სკოლაში, რომელიც წარმატებით დაუმთავრებია 1930 წელს.

სკოლაში სწავლის პერიოდში ილია სათაეში ჩასდგომია მოსწავლეთა მხატვრულ თვითმოქმედებას. იგი ამ საქმიანობის სული და გული გამხდარა. მისი ხელმძღვანელობით იმართებოდა საღამო-კონცერტები, იდგმებოდა სპექტაკლები, საგასტროლოდ მიდიოდნენ გუდამაყრისა და მოიულეთის სოფლებში.

1930-1933 წლებში ილია თბილისში სწავლობდა. იქ დაასრულა საშუალო სკოლის კურსი და სწავლა განაგრძო თბილისის თეატრალურ სასწავლებელში ქორეოგრაფიული განხრით, შემდეგ, 1937 წელს თეატრალურ სტუდიაში სამსახიობო ფაკულტეტი დააამთავრა.

ჯერ კიდევ სტუდენტი იყო ილია, როდესაც რუსთაველის თეატრის სცენაზე „არსენაში" ყრუ-მუნჯი გლეხის როლი შეასრულა, რომელიც შემდგომში სპექტაკლის უშუალო ნაწილად იქცა.

სპექტაკლს თურმე გერმანელი მხატვარიც ესწრებოდა. მას ისე მოსწონებია ილიას გამოსვლა, რომ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მოუთხოვია მოხუცის როლის ახალგაზრდა შემსრულებლის გაცნობა. გამოუყვანიათ ჯერ არსენას მამა, შემდეგ პაპა, მაგრამ უთქვამს, ის მოხუცი სხვა იყო, იგი ხელების მიხედვით ძალიან ახალგაზრდა უნდა იყოსო. შემდეგღა უჩვენებიათ ილია ბექაური. ილიას გერმანელმა მხურვალედ მიულოცა წარმატება და მერე იმავე სპექტაკლს სპეციალურად დაესწრო, რომ მსახიობი როლში დაეხატა.

ყრუ-მუნჯი გლეხის სახემ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ქართველ ხელოვანთა შორისაც. როცა ილია თეატრს ჩამოშორდა, მსახიობი ალექსანდრე კუპრაშვილი შეხვდა ილიას და შორიდანვე შესძახა — მოდი ჩვენთან, ილია, დაბრუნდი თეატრში, აღარ შემიძლია, ვასაძე სულ იმას გაიძახის, მაჩვენეთ ბექაური ამ როლშიო.

ილია თამაშობდა „შემოდგომის აზნაურებში" (სიძე) და „გრაფის ქვრივში" (გრაფი). გრაფის როლის შემსრულებელზე გაზეთი „კომუნისტი" წერდა: თუ ბექაურმა აქტიურ როლებშიც ასე გამოიჩინა თავი, როგორც უხმო, პასიურ როლებში, მაშინ ბექაურის სახით რუსთაველის თეატრს ერთ-ერთი ძლიერი მსახიობი ეყოლებაო.

ილია ბექაური იმავე დროს რუსთაველის თეატრთან შექმნილი ქორეოგრაფიული ანსამბლის სოლისტი იყო, სადაც

თავის საყვარელ „მთიულურსა“ და „ყარაჩოხელის ცეკვას“ ასრულებდა.

1936 წელს მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადაში რუსთაველის სახელობის თეატრიც მონაწილეობდა. ილია ბექაურმა, როგორც ანსამბლის სოლისტმა, თავისი „მთიულურით“ მოხიბლა მოსკოველი მაყურებელი. გამოსვლის შემდეგ იგი ლოჟაში მიიღო ს. ორჯონიკიძემ, მხურვალედ მიულოცა წარმატება, გადაეხვია და გულთბილად ესაუბრა.

1940 წლის შემოდგომაზე ილია ბექაური წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში.

ომის დამთავრების შემდეგ ილია ფასანაურში დაბრუნდა, სათავეში ჩაუდგა ფასანაურელ ნიჭიერ ახალგაზრდობას და ჩამოაყალიბა დრამატული და ქორეოგრაფიული წრეები. მან მთიელთა ხალხური ცეკვების ილეთებზე დაყრდნობით შექმნა ცეკვები: „მასიური მთიულურიც“, „ხანჯლური“, „ორთა მთიულური“, „სამაია“, „ძმური“, „ცეკვა მზიური“, „ცეკვა მწყემსური“, „ცეკვა გუდამაყრული“ და სხვა.

უნდა ითქვას, რომ დუშეთის რაიონში ილია ბექაური პირველი იყო, რომელმაც აქაურ ახალგაზრდობას ფეხი აადგმევინა ცეკვაში; მისი ინიციატივით დაიდგა გახმაურებული მთიულური ცეკვები, რომლებიც ახლა ცნობილია „ყაზბეგურისა“ და „მთიულურის“ სახელწოდებით.

იგი იყო საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის აქტიური მონაწილე. როგორც მხატვრული კოლექტივის ხელმძღვანელმა და შემსრულებელმა, მან განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია მეშვიდე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე, რომელიც 1951 წელს ჩატარდა. ილია ბექაურმა კვლავ მოხიბლა მაყურებელი. ჟიურიმ გაამეორებინა ცეკვა. მაგრამ საოცარი თვისება ჰქონდა ილიას, იგი ცეკვას მხოლოდ ახალი ილეთებით იმეორებდა, რითაც ხელახალ აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი. იგი ახერხებდა სცენაზე ცეკვის რთულ კომპოზიციურ გარდაქმნას და გამეორებულის ახალი სახით წარმოდგენას მაყურებლისათვის.

მეშვიდე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ილია ბექაურისა და მისი პარტნიორის დოდო ცოცხალაშვილის შესრულებით ცეკვა „სახასიათო“ მთლიანად აღიბეჭდა ფირზე.

ი. ბექაური, როგორც ხალხური ხელოვნების უნიჭიერესი ოსტატი, შემსრულებელ-ხელმძღვანელი და სოლისტი, მრავალი სიგელით იყო დაჯილდოვებული.

ი. ბექაური ნაყოფიერად მოღვაწეობდა ფასანაურისა და დუშეთის თეატრალურ ცხოვრებაში. მისი რეჟისორობით დუშეთში რამდენიმე სპექტაკლი დაიდგა, მათ შორის „ხევისბერი გოჩა“ და „მოკვეთილი“, რომლებსაც დუშელმა მაყურებელმა მაღალი შეფასება მისცა. ფასანაურელი ახალგაზრდობის ძალებით რეჟისორმა მოამზადა ალ. ყაზბეგის „ელეონორა“. სპექტაკლი ფასანაურში ორჯერ ჩატარდა. იგი ინახულეს დუშეთშიც. სულ მალე წარმოდგენა თბილისელი მაყურებლის სამსჯავროზეც გაიტანეს. მაყურებელი ყველგან აღტაცებული რჩებოდა. ფასანაურში ი. ბექაურმა დადგა „ხანუმა“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „რევიზორი“, „სადგურის უფროსი“ და სხვა. მისი მეუღლე ე. ბუჩუკური იხსენებს: „1948 წლის ზაფხულში ფასანაურის ტურბაზაში ილია ბექაურმა კონცერტი გამართა. კონცერტს ესწრებოდა პოლონელი ტურისტი. ილიამ თავის ქალიშვილ იამზე ბექაურთან ერთად იცეკვა. აღფრთოვანებულმა პოლონელმა დახატა მამა-შვილის ცეკვა და სურათი თან წაიღო, ხოლო ილიას დაუტოვა საცეკვაო კოსტუმში დახატული ქალიშვილის სურათი, ასევე თავისი მისამართიც...“

ილია ბექაური შემდეგ ისევ თავის საყვარელ რუსთაველის სახელობის თეატრს დაუბრუნდა.

1953 წელს ფასანაურში ჩატარებული კონცერტი ილია ბექაურისათვის უკანასკნელი კონცერტი აღმოჩნდა. კონცერტს დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ილიამ უკანასკნელად შევარდენივით ჩამოუარა სცენაზე. მაყურებელი კვლავ სიამოვნების ჟრუანტელმა აიტანა. დამთავრდა ცეკვა. დარბაზმა დაჟინებით მოითხოვა განმეორება. მეტი გზა აღარ იყო, კვლავ გაშალა მხრები შევარდენმა... მაგრამ მოულოდნელად სცენაზე ჩაიკეცა. იგი ცეკვის დროს გარდაიცვალა ბრძოლის ველზე დაცემული რაინდივით.

მართლაც „მსახიობი ყოველდღიურად ქმნის, და მაშინაც კი, როცა ერთხელ ნათამაშებ იერსახეს იმეორებს, მაინც ახალს შობს, რაკი გაკეთებულს აღარ იმეორებს. მსახიობი მარადჟამს შექმნის პროცესშია, მისი სცენური პორტრეტი შტამპსა და სტერეოტიპს ვერ იტანს“[1].

ილია ბექაურის სახით ქართულმა თეატრმა და ქორეოგრაფიამ დიდი დანაკლისი განიცადა, ხოლო დუშეთის სახალხო თეატრმა კი დიდი გულშემატკივარი ხელოვანი დაკარგა. ილია

---

[1] ო. ეგაძე. „გასტროლები, შეხვედრები, შთაბეჭდილებები“, თბ., 1975, გვ. 178

ბექაურის ცეცხლოვანი ცეკვები შთამომავლობას ესტაფეტასავით გადაეცა. „ითიულური“ კვლავ და კვლავ შეინახავს თავისი შემოქმედის ლამაზ სახეს.

ფასანაური ილია ბექაურის გარეშე ძნელი წარმოსადგენია, იგი ბუნების ჯილდო იყო. სცენისათვის დაიბადა და სცენაზევე დაიფერფლა მისი სიცოცხლე. ხელოვნება იყო მისი ხატი და ამ ხატს ზვარაკივით შეეწირა იგი. არა, მას სხვანაირად სიკვდილი არც მოუხდებოდა, ლამაზი სიცოცხლე „ლამაზი სიკვდილით“ უნდა დასრულებულიყო.

ილია ბექაური 1949 წელს გავიცანი მხატვრული თვითშემოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. მას შემდეგ მის სახელს და ხსოვნას თავისი კუნჭული უკავია ჩემს გულში. მისი ცეცხლოვანი თვალები იმგვარადვე დამრჩა მეხსიერებაში, როგორც ენთო მაშინ, ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე გამოსვლისას. მისი მთიური სიამაყით სავსე მზერა და შინაგანი ტემპერამენტი ახლაც ცოცხლად დასადგურებულა ჩემს გულში.

ელენე (ეღინა) როსტომიანი დაიბადა 1915 წელს ქ.დუშეთში. 15 წლის ჩაირიცხა დუშეთის დრამატულ დასში და მიმზიდველი მუსიკალური ხმით მაშინვე მიიქცია ყურადღება. ქალბატონმა ელენემ ასე მოგვითხრო სცენაზე თავისი დებიუტის შესახებ: „ეს იყო 1930 წელს. სკოლიდან გამომიძახეს და მითხრეს: ოპერეტა „არშინ მალ-ალანში“ ასიას როლი უნდა შეასრულოო. აღტაცებისაგან დავიბენი. რეპეტიციები საღამოობით ეწყობოდა. მასწავლებელი რევაზ შაბურიშვილი გვერდით ამომიდგა, სამეცადინოდ მომყვებოდა და მიზანსცენებშიც მავარჯიშებდა. მუსიკას უკრავდა ვანო იშხანოვი. მან კარგად იცოდა ამ პიესის მუსიკა და მოტივები. უკრავდა და მღეროდა ჩინებულად და ჩემს მომზადებაშიც მონაწილეობდა... ერთი თვის შემდეგ პიესა მზად იყო. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. სცენაზე გასვლის წინ ხიფათს მაინც ვერ ავცდი: ყურები არ მქონდა გახვრეტილი და საყურეებში ყურში გაყრის მაგიერ ყურზე ჩამოვიკიდე, სცენაზე გასვლის წინ ჩავიხედე სარკეში და არ მომეწონა. ჯერ დავიწყე ტირილი, მაგრამ სწრაფად მოვიაზრე, სახელდახელოდ გამეხვრიტა ყურები, ტკენას ვინ დაეძებდა, ოღონდ საყურეები ლამაზად მქონოდა გაკეთებული, რომ სცენაზე უნაკლოდ გავსულიყავი. შევირბინე გარდერობში, დავწვდი მახათს და ორივე ყური სასწრაფოდ გავიხვრიტე. სისხლის გამოსვლას არ დავერიდე, ოღონდ მომესწრო როგორმე. დრო იწურებოდა, მოვასწარი... გავიკეთე საყურეები, გავედი სცე-

ნაზე, სისხლმა ყურებიდან წვეთ-წვეთად დაიწყო ჩამოდენა, მაყურებელმა შეამჩნია და სიცილი დაიწყო. გაკვირვებული ხალხი ფარდის დახურვის შემდეგ ამოვიდა სცენაზე და მეკითხებოდა, რა მოხდაო. ასეთი ხასიათი მქონდა, როცა მე ვთამაშობდი, მინდოდა ჩემს ირგვლივ ყველაფერი ლამაზი ყოფილიყო და კარგად შემესრულებინა შემოთავაზებული როლი".

ეღინა გულდაწყვეტით შენიშნავს: სულ სხვა იყო ძველი „არ'შინ მალ-ალანი", ახალი კი შეკეთებულ-შესწორებულია სიტყვითაც და სიმღერა-მოტივებითაც. დუშეთში ჩვენ ვდგამდით ძველ „არ'შინ მალ-ალანს" და მოწონებაც დიდი იყო მუდამ. დღეც რომ დაგვედგა, დარბაზი მაინც ხალხით იქნებოდა გაჭედილიო... ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს დასის წევრთა მაღალ ოსტატობაზე და თეატრის ავტორიტეტზე.

სამამულო ომის პერიოდში სხვებთან ერთად ეღინა იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი იმ საღამო-წარმოდგენებისა, რომლებიც ეწყობოდა ომში მიმავალი ვაჟკაცების გასაცილებლად. უფრო მეტიც, გამგზავრების წინ დრამატული დასის წევრები და არმიაში გაწვეულები ერთად დგამდნენ სპექტაკლებს, ხოლო მეორე დღეს ბიჭები პირდაპირ ფრონტზე მიდიოდნენ. ასეთ ღონისძიებას დიდი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა: გაწვეულთა შორის შეჰქონდა სიხალისე და პატრიოტული აღტკინება.

ეღინა აქტიურად მონაწილეობდა სცენის დეკორაციებისა და რეკლამა-აფიშების ესკიზების შედგენა-გაფორმებაში. კერავდა კოსტუმებს მსახიობებისათვის. იგი დიდი სიხარულით შეხვდა თავისი საყვარელი თეატრის 100 წლის იუბილეს.

თამარ თურძაძე დუშეთის სახალხო თეატრის ვეტერანი სცენისმოყვარეა. იგი დაიბადა 1914 წელს ქ. დუშეთში. 16 წლისა ეზიარა სასცენო ხელოვნებას. მისი დებიუტი შედგა ოპერეტა „არშინ მალ-ალანში", სადაც გულჩორას როლი შეასრულა. ეს იყო 1930 წელს. თამარის მომხიბლავმა ხმამ მაყურებელი მისადმი სიყვარულით განაწყო. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. იგი ახალგაზრდლი შემართებით იღვწოდა თეატრის მუშაობაში. ხანდაზმულობის მიუხედავად, მსახიობი მუდამ ახლის ძიებაში და ერთგვარ შემაერთებელ ხიდს წარმოადგენდა დუშეთის ძველსა და ახალ თაობებს შორის. იგი ნამდვილად ცხოვრობდა ამ თეატრის ცხოვრებით, ხარობდა მისი წარმატებით, წაბორძიკება კი აღონებდა... 70-იან წლებში, იმის გამო, რომ მაშინდელმა რაიონის ხელმძღვანელობამ შეასუსტა თეატრისადმი ყურად-

ღება, სცენიდან წავიდნენ ძველი მსახიობები. თეატრის საქმე კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. თამარ თურქაძე ამ საკითხს პრესით გამოეხმაურა და თავისი გულისტკივილი მკითხველს გააცნო. იგი მოითხოვდა თეატრის მუშაობის ხელის შემშლელი მიზეზების აღმოფხვრისათვის რაიონის ხელმძღვანელობის დახმარებას, ძველი თაობის დაბრუნებას სცენაზე და ახალ თაობასთან ერთად სახალხო თეატრის მუშაობის გაუმჯობესებას. სად არიან დღეს ძველი ან თუნდაც ზოგიერთი საშუალო თაობის თვითმოქმედი დუშელი მსახიობები?.. მე მიყვარს ხელოვნება... მჯერა, რომ ასევე უყვართ იმ ვეტერან მსახიობებსაც სცენა, რომლებიც დღეს ჩვენთან არ თანამშრომლობენ და მხოლოდ მაყურებლის როლში გამოდიან. მაშინ რატომ არ მოდიან ისინი ჩვენთან?[1] — ასე მკვეთრად იყო დაყენებული საკითხი ამ წერილში, რომელსაც სათაურად „ჩემი გულისტკივილი" ჰქვია.

თურქაძე ერთხანს, 1934-1935 წლებში, გურჯაანში გადავიდა საცხოვრებლად. სცენის სიყვარულმა იგი გურჯაანის რკინიგზის კლუბში მიიყვანა. განსაკუთრებით წარმატება მოიპოვა ანუშის როლის შესრულებით. აღტაცებული მაყურებელი ყვავილების თაიგულებით ასაჩუქრებდა მსახიობს. ორი წლის შემდეგ იგი ისევ დუშეთშია და კვლავ თავის საყვარელ სცენას უბრუნდება. მალე გაირბინა დრომ. ბოლო წლებში შთამბეჭდავი იყო „სტუმარ-მასპინძელში" მისი ზვიადაურის დედა, ნ. დუმბაძის „საბრალოდებო დასკვნაში" ნინო ნაკაშიძის მისეული სცენური სახე, „სულით ძლიერნში" (ვერმახტის საიდუმლო საქმე) წიკლაურის დედის როლი და ა.შ.

თამარ თურქაძე მრავალ სპექტაკლში მონაწილეობდა. ესენია: კ. კალაძის — „ხატიჯე" (ხატიჯე), ვალ. გუნიას „და-ძმა" (მარინე), ა. ცაგარლის „ხანუმა" (სონია), ა. წერეთლის „პატარა კახი" (ტურფა), ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი" (თამარი), ქოჩარიანის „ბრმა მუსიკოსი" (გაიანე) და სხვა.

1979 წელს დუშეთის სახალხო თეატრმა ნუგზარ გაჩავას რეჟისორობით დადგა გ. ბათიაშვილის „ლალი, სიყვარული და სხვები", სადაც თამარ თურქაძემ ანეტა ბაინდურაშვილის როლი შეასრულა. ეს სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო, მსახიობებმა მოლოდინს გადააჭარბეს, მათ შორის იყო თამარ თურქაძეც.

---

[1] გაზ. „კომუნიზმის გზა", 1972, № 155.

ძიუხედავად ხანდაზმულობისა, თამარი მაინც ენერგიულად მოღვაწეობდა თეატრში. მისმა ფატი გურიელის სახემ 1979 წელს (ალ. ჩხაიძის „შთამომავლობა“) კვლავ დაადასტურა მისი სცენური ოსტატობა და მინდობილი როლისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა.

ტარიელ მოლოდინი დაიბადა დუშეთში. 11 წლისა იყო, როდესაც მიშკას როლი შეასრულა „წითელ ეშმაკუნებში“ (რეჟისორები ს. ჟიჟიძე და ე. ნავაძე). მას შემდეგ ორმოც წელზე მეტი გავიდა და ორმოცზე მეტ სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა. მათ შორის: „ხანუმაში“ (კოტე), „პეპოში“ (ზიმზიმოვი), „უცნაურ ბეჭედში“ (გერმანელი ოფიცერი), „სადგურის უფროსში“ (სადგურის უფროსი), „არსენაში“ (ფარსადანი), „დარისპანის გასაჭირში“ (დარისპანი), „განდეგილში“ (განდეგილი), „მოკვეთილში“ (ჩონთა), „ცისკრის ვარსკვლავში“ (ნამუსა), „ოთხ სიცოცხლეში“, „განაჩენი აღარ გასაჩივრდება“ (გამომძიებელი) და სხვა.

იგი მუდამ თეატრის ცხოვრების შუაგულში იყო, დაუზარელი ქომაგი და მოჭირნახულე დუშეთის სახალხო თეატრისა. მას ახასიათებდა ადამიანის სულიერი განწყობილების გამოხატვის ფაქიზი საშემსრულებლო კულტურა და ნაწარმოების მოქმედი პირის პიროვნების კოლორიტულად წარმოჩენის უნარი.

პიესა „შთამომავლობაში“ (რეჟისორი ნ. გაჩავა), რომელიც 1979 წლის ბოლოს დაიდგა, გაიოზ გომელაურის როლი მისი მაღალი საშემსრულებლო ხელოვნების დადასტურება იყო.

1968 წელს შ. ჩერქეზიშვილის რეჟისორობით დუშეთის სახალხო თეატრის სცენაზე განხორციელდა ო. დგებუაძის „ოთხი სიცოცხლე“, სადაც ტარიელ მოლოდინი ასრულებდა ლეონისა და პოპენდოპულოს როლებს. სპექტაკლისადმი მიძღვნილ რეცენზიებში რაიონული გაზეთი წერდა: „მაყურებელთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა ლეონის როლის შემსრულებლის ტ. მოლოდინის თამაშმა. მისი ლეონი თითქოსდა ჩრდილსაც გაურბის; დამფრთხალი, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილა და ყველაფრის წინაშე კრთება და თრთის; ასეთია ის გამომძიებელთან, მაგრამ მიუხედავად ამისა, პოულობს ძალას, რომ დაიცვას ადამიანის პატიოსნება და სიცოცხლე. კარგია მის მიერ განხორციელებული რეციდივისტ პოპენდოპულოს სახეც“[1].

იოსებ კაკალაშვილი სცენაზე სკოლიდან მოვიდა. მისი პირველი სცენური ნათლობა გოგოლის „რევიზორში“ დოფჩინსკის

[1] გაზ. „კომუნიზმის გზა“, 1968, № 115.

როლით დაიწყო. ეს იყო 1954 წელს, როცა საშუალო სკოლის IX კლასში სწავლობდა. მოსწავლეთა სპექტაკლი მაყურებელმა მოიწონა, ხოლო დამწყები მსახიობი წარმატებამ წაახალისა და თეატრალური ხელოვნებისადმი სიყვარული და ინტერესი გაუღვივა. იოსები საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე დუშეთის კულტურის სახლთან არსებულ დრამატულ დასში გაერთიანდა. ახალგაზრდა მსახიობს ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელში" გლეხი მიხოს როლი შესთავაზეს. იოსები სიამოვნებით იგონებს ერთ შემთხვევას: იმხანად მარჯანიშვილის თეატრშიც იდგმებოდა „მაია წყნეთელი", სადაც მეფე ერეკლეს როლს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვასო გოძიაშვილი ასრულებდა. დუშელმა სცენისმოყვარეებმა სთხოვეს დიდ მსახიობს, მათთან ერთად დუშეთში ეთამაშა მეფე ერეკლეს როლი. თხოვნა დაკმაყოფილდა. სპექტაკლში სხვებთან ერთად ი. კაკალაშვილიც მონაწილეობდა. სპექტაკლის დასასრულს მაყურებლები მსახიობებს სცენიდან აღარ უშვებდნენ და ოვაცია დიდხანს გაგრძელდა... მთავარი მაინც ის იყო, რომ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დიდმა მსახიობმა იოსებს თამაში მოუწონა და შეაქო.

იოსებ კაკალაშვილი ამჟამადაც აქტიურად იღვწის დუშეთის თეატრში და დამოუკიდებელ საბავშვო თეატრსაც მზრუნველობს. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში მან შექმნა მისებური სცენური სახეები: გ. ხუხაშვილის პიესაში „მოსამართლე" — მოსამართლე დავითის, ნ. არეშიძის პიესაში „მე, ცოლი და სიდედრი" — მერაბის, ო. იოსელიანის პიესაში „ადამიანი იბადება ერთხელ" — ფრონტელის, ა. თაბორიძის პიესაში „დედას ბიჭები" — ბრიგადირი წყალობასი, ალ. ლორიას პიესაში „ეს დაუდეგარი არდადეგები" — ბაღოსი, ვაჟა-ფშაველას დრამაში „მოკვეთილი" — ივანესი, გ. გოგნიაშვილისა და ზ. კახიანის „მეცამეტე შეხვედრაში" — ლუკასი. მასვე შესრულებული აქვს ეპიზოდური როლები კინოფილმებში „ცეცხლთან თამაში" და „ზოგი ჭირი მარგებელია".

იოსებ კაკალაშვილს დღემდე ორმოცდაათამდე დიდი და პატარა როლი აქვს შესრულებული. იგი დუშეთის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობია და საკმაოდ მაღალი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული მაყურებელთა შორის.

იოსებ კაკალაშვილი ძირითადად კომიკური როლების შემსრულებელია. მისი ჟესტები, მიხრა-მოხრა და მეტყველება, გრიმი, მიმიკა ერთიანობაში ცოცხლად ხატავს გმირს ჯაშუში იქნება თუ ოსიკო, ტიგრანა თუ სურენა — სულ ერთია.

ი. კაკალაშვილი კომიკურ როლებთან ერთად ასრულებს უნებისყოფო, უპრინციპო პერსონაჟებისა და მოხუცი გლეხის როლებს.

ავთანდილ ნამორაძე დუშეთის სახალხო თეატრის სცენისმოყვარეთა თვალსაჩინო წარმომადგენელია, როგორც მსახიობი და დამდგმელი რეჟისორი. იგი სამამულო ომის წინა წლებში მოვიდა დუშეთის სახალხო თეატრის დრამატულ დასში და ოცდაათ წელზე მეტ ხანს ემსახურა საყვარელ საქმეს. დუშელი მაყურებელი მუდამ ინტერესით ნახულობდა მის სპექტაკლებს, რომელიც მაღალი გემოვნებითა და მომთხოვნელობით გამოირჩეოდა.

როგორც მსახიობი, ავთანდილ ნამორაძე მუდამ გამოირჩეოდა საშემსრულებლო ოსტატობის სრულყოფისაკენ ლტოლვით. მის მიერ შესრულებული როლებიდან ბევრი სამუდამოდ დაამახსოვრდა მაყურებელს... მეტად შთამბეჭდავად განასახიერა არჩილი „ოთარაანთ ქვრივში", გელა — ა. წერეთლის „პატარა კახში", ლევანი — ა. ცაგარლის „ლეკის ქალი გულჯავარში", ბახა — ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილში", ოტია — ვ. გუნიას „დაძმაში", ასკარი — უ. ჰაჯიბეკოვის „არშინ მალ-ალანში" და სხვა.

ავთანდილ ნამორაძეს თეატრისადმი ინტერესი პატარაობიდანვე აღეძრა. ექვსიოდე წლის ბიჭს ხშირად ხედავდნენ მაყურებელთა დარბაზიდან სცენაზე ასასვლელ კიბეზე ჩამომჯდარს. პატარა ავთანდილი გაფაციცებით შესცქეროდა სცენაზე გამოსულ მსახიობებს, თვალს არ აშორებდა კულისების სიღრმიდან შემოჭრილი დ. კობიაშვილის ტკბილი „ურმულის" მომაჯადოებელ ხმის ფონზე სცენაზე სალომე ბერიძის მოთქმას; თვალწინ ედგა გ. ლაგაზაშვილის, ვ. ელიაშვილის, ე. ნავაძისა და სხვათა სცენური სახეები.

ავთანდილ ნამორაძე 1939 წელს ჩაება საშუალო სკოლის დრამატულ წრეში, რომელსაც შოთა ფირცხალაიშვილი ხელმძღვანელობდა. წრემ წარმატებით დადგა გ. ნახუცრიშვილის „ოთარაანთ ქვრივი". ავთანდილმა მაშინვე მიიქცია ყურადღება და იგი შოთა ხუციშვილთან ერთად დუშეთის „დიდ სცენაზე" (ასე ეძახდნენ დუშეთის თეატრს) მიიწვიეს.

იმჟამად დუშეთის დრამატულ დასს ხელმძღვანელობდა მეტად კოლორიტული სცენისმოყვარე, საკმაოდ ხანგრძლივი რეჟისორული და სამსახიობო გამოცდილების მქონე ვანო მეზვრიშვილი. მან ავთანდილს მაშინვე შესთავაზა „პატარა კახში"

გელას როლი, რომელიც დამწყებ მსახიობს მოხდენილად შეუსრულებია. თვით ავთანდილი ამ სპექტაკლს ასე იგონებს:

„მა'ინდელი შთაბეჭდილება კვლავ ცოცხალია და წარუშლელი დღესაც. ასე მგონია, ისეთი კარგი სპექტაკლი ბევრი აღარ შექმნილა... შესანიშნავი იყვნენ ვახტანგ გოზიტა'შვილი (ლევან ქვაბულიძე) და დავით შაბური'შეილი (რევაზ ბებურიშვილი). იქნებ სცენის სიმცირის გამო მეჩვენებოდნენ ისინი ისეთი მხარგა'ზლილნი, გალაღებულნი და წარმოსადეგნი... რა ვიცი, კარგები კი იყვნენ"...

შემდეგ ავთანდილ ნამორაძემ წარმატებით ითამაშა ვ. მეზვრიშვილისავე დადგმულ სპექტაკლ „ხანუმაში". მას შემდეგ ა. ნამორაძე სიყვარულით ემსახურება დუშეთის თეატრს და მაყურებელს თავი სამუდამოდ დაამახსოვრა.

ამჟამად ა. ნამორაძე დუშეთის საბავშვო თეატრს ხელმძღვანელობს.

ვახტანგ გოზიტაშვილი დუშეთის სახალხო თეატრის დრამატული კოლექტივის ამაგდარი წარმომადგენელია. წლების განმავლობაში წამყვანი ძალა იყო, როგორც მსახიობი და დამდგმელი რეჟისორი. იგი სამი სცენარის ავტორიცაა („ვერმახტის საიდუმლო საქმე", „მოძღვარი" და „სტუმარ-მასპინძელი"). ეს სპექტაკლები თვითონვე დადგა დუშეთის კულტურის სახლის სცენაზე, რომელიც მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ვ. გოზიტაშვილი მოსწავლეობის დროსვე ეზიარა სცენას. 1938 წლიდან გაერთიანდა დუ'შეთის პედსასწავლებლის დრამატულ წრეში. წრემ იმჟამად რამდენიმე სპექტაკლი დადგა, მათ შორის: ა. ცაგარლის კომედიები „ხანუმა", „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" და „ჭკუისა მჭირს". ვ. გოზიტაშვილი სამივეში წამყვან როლს ასრულებდა.

1939 წლიდან ვახტანგ გოზიტა'შვილი დუ'შეთის სახალხო თეატრის დრამატულ დასში გაერთიანდა და იმავე წელს რეჟისორ ნ. გეგეჭკორის მიერ დადგმულ სპექტაკლში „წამება საკანში" შეასრულა გიორგის, ხოლო ალ. ყაზბეგის „არსენაში" — არსენას როლი.

1940 წელს დუშელმა სცენისმოყვარეებმა მაყურებელს უჩვენეს უ. ჰაჯიბეკოვის ოპერეტა „არ'შინ მალ-ალან" (რეჟისორი შ. ფირცხალაი'შვილი). ამ სპექტაკლში ვახტანგ გოზიტაშვილი შესანი'შნავი იყო ასკარის როლში.

ვახტანგ გოზიტაშვილის ხელმძღვანელობით დუშელმა სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს: ა. ყაზბეგის „მოძღვარი", გ. ბერ-

ძენიშვილის „ტირიფის ქვეშ“, ჭუბაბრიას „უცნაური ბეჭედი“, ვ. გუნიას „ორი გმირი“ და სხვა. ვახტანგ გოზიტაშვილმა მრავალი სახე შექმნა. იგი 30 წლის განმავლობაში დაუზოგავად იღვწოდა სცენაზე. მაყურებელი ახლაც სიამოვნებით იგონებს მის მიერ განხორციელებულ როლებს „ცისკრის ვარსკვლავში“, „საბრალდებო დასკვნაში“ და სხვა.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი ახლაც ენერგიულად და მონდომებით იღვწის დუშეთის თეატრში.

ბორის ლითანიშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1908 წელს. პირველი სასცენო ნათლობა მიიღო ე.წ. „ლურჯხალათიანთა“ დრამატულ წრეში. „ლურჯხალათიანებად“ იწოდებოდნენ კომკავშირელი სცენისმოყვარე ახალგაზრდები. ამ წრის ბაზაზე შემდეგ ვოროშილოვის სახელობის კლუბი ჩამოყალიბდა. 1928 წლიდან ცხოვრობს ქ. დუშეთში, 1930 წლიდან დრამატული დასის წევრია. ვ. მეზვრიშვილისა და ქ. ბახუტაშვილის დადგმულ ლავრენევის „რღვევაში“ შეასრულა მეზღვაური ოფიცრის როლი.

ბ. ლითანიშვილის მოგონებით, სპექტაკლის მომზადება გაძნელებულა ქალი მსახიობების ნაკლებობის გამო. საქმეში ჩარეულა პარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი: ხუთი პედაგოგი ქალი მიუვლინებია დრამატულ დასში, აქედან ორი შეურჩევიათ: ქსენია დოლიძე და ტატიანა მახარაძე. ქსენიას შეუსრულებია ქსენიას, ხოლო ტატიანას – გლაშას როლი. ქსენია დოლიძემ შემდეგ თეატრალური განათლება მიიღო. ჯერ მოღვაწეობდა მარჯანიშვილის, შემდეგ სოხუმის თეატრში. მან თავის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმზე განაცხადა: ჩემი თეატრალური ცხოვრება ქ. დუშეთში დაიწყოო.

ბ. ლითანიშვილის მოგონებით, დუშეთის სახალხო თეატრს შემდგომ შეფობას უწევდა რუსთაველის სახელობის თეატრი.

ლავრენევის „რღვევისათვის“ „ავრორას“ მოდელი გაუკეთებიათ: შ. დიაკვნიშვილს, მ. თაბორიძეს, ა. ჩორგოლაშვილსა და გ. კარიაულს. დეკორაციები ეკუთვნოდა მედეა იურგენსს (ლითანიშვილისა). სპექტაკლი მუსიკალურად გაუფორმებიათ ა. ჩორგოლაშვილსა და შ. დიაკვნიშვილს.

ბ. ლითანიშვილის მიერ შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: კომისარი („კომისარი მოსკოვიდან“), რობინ ჰუდი („რობინ ჰუდში“), გიჟუა („რაც გინახავს, ველარ ნახავ“), კათალიკოსი („ცისკრის ვარსკვლავი“), პროფესორი ჩოხელი („გულმართალი ადამიანები“), ცოტა („უქნარა“) და ა.შ.

ბ. ლითანიშვილისათვის განსაკუთრებულად სასიამოვნო მო-

საგონარი იყო „მაია წყნეთელ'ში“ ერეკლეს როლის შესრულება. მაიას როლის შემსრულებლად მოწვეული იყო ელენე ყიფშიძე. ბოლო დროს ბ. ლითანი'შვილმა „საბრალდებო დასკვნა'ში“ შექმნა შოშიას დასამახსოვრებელი სცენური სახე, რითაც ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი ნიჭი და შესაძლებლობანი.

მირიან მალანია დუშეთის სახალხო თეატრის სცენაზე 1947-1958 წლებ'ში მოღვაწეობდა. ამ ხნის განმავლობა'ში აქტიურად მონაწილეობდა სპექტაკლების მომზადება'ში და მონდომებით ასრულებდა როლებს.

მაყურებელზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა მის მიერ განსახიერებულმა როლებმა: რუსი ოფიცერი („არსენა“), ხვთისო („მოკვეთილი“), მოძღვარი („მოძღვარი“), სალარიძე („საბრალდებო დასკვნა“), დიუკი („ვერმახტის საიდუმლო საქმე“), ლეიტენანტი ივანოვი („მეგობრობა“), მაიას მამა („მაია წყნეთელი“), გივი („პატარა კახი“) და ა.შ.

ტარიელ ოთარა'შვილი დუშეთის მკვიდრი, თვითნასწავლი მხატვარია. იგი 13 წლის განმავლობა'ში მხატვრულად აფორმებდა დუშეთის სახალხო თეატრის სპექტაკლებს. 30-მდე სპექტაკლის მხატვრობა უთუოდ დიდ შრომასა და ფანტაზიას მოითხოვდა. იგი ორჯერ დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით. პირველი ჯილდო „ცისკრის ვარსკვლავის“ მხატვრული გაფორმებისათვის მიეკუთვნა. მაყურებელმა კარგად მიიღო ეს სპექტაკლი და სახალხო თეატრების რესპუბლიკურ დათვალიერებაზეც თბილისელი მაყურებელი ნასიამოვნები დარჩა როგორც მსახიობთა ოსტატობით, ისე სპექტაკლის მხატვრული გაფორმებით.

ერთი ფარდა, რომელიც ფინალ'ში ეშვებოდა, ასე იყო გადაწყვეტილი: ფარდაზე დახატული იყო ფარი და ხმალი, მეტეხის ციხე და კუნძი ცულით, მის ქვეშ სისხლის წვეთებით იყო წარწერილი: „ასე წარკვეთეს თავი მეფე დემეტრესა“.

დუშეთის რაიონული გაზეთის ერთ-ერთ რეცენზიაში, რომელიც ეხება ო. დგებუაძის „ოთხი სიცოცხლის“ (რეჟისორი შ. ჩერქეზი'შვილი) დადგმას დუშეთის სახალხო თეატრის სცენაზე, ვკითხულობთ: „სპექტაკლის წარმატებას დიდად უწყობს ხელს ტ. ოთარაშვილის მხატვრული გაფორმება, განსაკუთრებით კარგია ღვინის სარდაფისა და თბილისის მახლობლად მდებარე ადგილის მხატვრული გადაწყვეტა“.

მასვე ეკუთვნოდა სახალხო თეატრის რამდენიმე სპექტაკლის მხატვრული გაფორმება.

ზაქარია დიაკონიშვილი დაიბადა 1908 წელს დუშეთში. აქვე მიიღო საშუალო განათლება. მან 30-იან წლებში დუშეთის თეატრთან ჩამოაყალიბა სიმებიანი ორკესტრი, რომელშიც შედიოდა 40-45 ჭაბუკი და ქალიშვილი. ზაქარია დუშეთის თეატრში წლების განმავლობაში მუშაობდა მუსიკალური ნაწილის გამგედ, შემდეგ ამავე თეატრის დირექტორადაც.

ზ. დიაკონიშვილი ამთავრებს ჯერ თბილისის მუსიკალურ ტექნიკუმს, შემდეგ — კონსერვატორიას. ერთხანს მუშაობს საოპერო თეატრის სიმფონიური ორკესტრის მსახიობად, აგრეთვე თბილისის სომხური თეატრის ორკესტრანტად, კონსერვატორიის მუსიკალური სახელოსნოს გამგედ... შემდეგ ინიშნება წულუკიძის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორად, საიდანაც ის დუშეთში გადმოსყავთ მუსიკალური სკოლის დირექტორად.

ზ. დიაკონიშვილი დუშეთის სახალხო თეატრში „ცისკრის ვარსკვლავის" მუსიკალური გაფორმებისათვის დაჯილდოვდა კულტურის სამინისტროს პირველი ხარისხის დიპლომით.

ზ. დიაკონიშვილი პენსიაზე გასვლამდე აქტიურად იყო დაკავშირებული დუშეთის სახალხო თეატრის მუშაობასთან.

მარიამ ბოგბიევა სცენისმოყვარეთა უფროსი თაობის წარმომადგენელია, რომელიც 1920 წლიდან 1936 წლამდე მონაწილეობდა დუშეთის თეატრის დრამატული დასის საქმიანობაში, როგორც მსახიობი.

მარიამს შევხვდით სცენისმოყვარე ტარიელ მოლოდინის ბინაზე. მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი კვლავ მხნედ გამოიყურებოდა და სასიამოვნოდ საუბრობდა. თუმცა მეხსიერებას უჩიოდა, მაგრამ დუშეთის თეატრისა და თავის სცენური ცხოვრების ეპიზოდებს მაინც კარგად იხსენებდა და თანმიმდევრობითაც გადმოსცემდა. მას დუშელ სცენისმოყვარეებთან ერთად თერთმეტი სპექტაკლის დადგმაში მიუღია მონაწილეობა.

მარიამი სიამოვნებით იგონებს მაშინდელ მსახიობებს: ელისაბედ ჩერქეზიშვილს, ევგენი მიქელაძეს, ვალერიან გუნიას, ვასო აბაშიძეს და მის ქალიშვილს ტასოს, დავით ჩარკვიანს, მიშა სარაულს, მანია შერმადინს, თედო მოლოდინს, ფაცია კოპლატაძეს, ბორის ჭელიძეს, მარიამ ბახუტაშვილს, სალომე ბერიძეს, ლადო ბერიძეს, გარასა როსტომიანს, ელისო ნავაძეს, ვიქტორ ელიაშვილს, ნიკო წითლიშვილს, გიგუშა კარიაულს, თამარ ნამორაძეს, დავით ნავაძეს, გიგუცა ლაგაზაშვილს, ვიქტორ ელიაშვილს, მიშა კორინთელს და თებრო ჩოხელს.

მარიამი ბავშვობიდანვე ეზიარა თეატრალურ ხელოვნებას. ექვსი წლისას ანგელოზის როლი შეასრულებინეს ერთ-ერთ სპექტაკლში, რომელშიც მღვდლის როლს ბენია კანდელაკი ანსახიერებდა. მარიამი ღიმილით იგონებს, თუ როგორ შეაშინა სცენაზე დიდწვერიანი კაცის (მღვდლის) დანახვამ: წვერმოშვებული კაცი არსად მენახა, ავტირდი და სცენიდან გამოვიქეცი.

მარიამმა ერთი საინტერესო ცნობაც მოგვაწოდა: სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ზოგიერთი გულშემატკივარი მაყურებელი ვახშამზე მიპატიჟებით გამოხატავდა სცენისმოყვარისადმი თანაგრძნობას. ამაზე ერთ-ერთ სცენისმოყვარეს ასეთი ლექსი გამოუთქვამს:

ბუჩაშვილმა დაგვპატიჟა,
მოგვიტანა ბუღლამაო,
თითო-თითო კერძი შეგეხვედა,
გულ გახეთქა ბოღმამაო.

მარიამს გულით უხაროდა მშობლიური თეატრის იუბილე. იგი ბოლოს თბილისში მუშაობდა № 1 აფთიაქში, მაგრამ დუშეთთან კავშირს მაინც არ წყვეტდა, ყოველ ზაფხულს ესტუმრებოდა ხოლმე მშობლიურ ქალაქს.

ვასილ გამიაშვილი დუშეთის სახალხო თეატრის სცენაზე მოღვაწეობს 1945 წლიდან. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ იგი დუშეთის დრამატული დასის აქტიური წევრი გახდა და 30 წლის განმავლობაში ასრულებდა სხვადასხვა როლს დუშეთის თეატრის სცენაზე დადგმულ სპექტაკლებში. მან შექმნა საკუთარი სცენური სახეები. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მისი ამილახვარი სპექტაკლ „მაია წყნეთელში“.

ვასილ გამიაშვილი დუშეთის მკვიდრია. ბოლოჟამს იგი თბილისში მუშაობდა მშენებლობაზე, მაგრამ მაინც მშობლიური თეატრის ცხოვრებით ცხოვრობდა.

მარიამ თაბორიძე. 1944 წელს მისი რეჟისორობით დაიდგა ა. ცაგარლის „ლეკის ქალი გულჯავარ“, რომელშიც მთავარი როლი საუკეთესოდ შეასრულა ქეთევან ქურდოვანიძემ. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა კ. მერაბიშვილმა, მუსიკალურად კი — ო. ხუციშვილმა.

ამ სპექტაკლს მოჰყვა ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენის“ დადგმა, რომელმაც მაყურებელი აღტაცებაში მოიყვანა. მ. თაბორიძის ხელმძღვანელობით კიდევ რამდენიმე სპექტაკლი დაიდგა. მათ შორის შ. დადიანის „ბეგეჭკორი“ და ე. გუნიას „და-ძმა“.

მ. თაბორიძე ამჟამად ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია და ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწევა თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ კვლევით ინსტიტუტში.

ნიკოლოზ მერაბიშვილი, თვითნასწავლი მხატვარი, წლების განმავლობაში იყო კულტურის სახლის დირექტორი. სამამულო ომის შემდეგომ წლებში აქტიურად თანამშრომლობდა დუშეთის თეატრში.

მის მიერ მხატვრულად გაფორმებული სპექტაკლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. ნავროზოვის პიესა „ჩემი დედა“ და ა. ცაგარლის „ლეკის ქალი გულჯავარ“. ეს სპექტაკლები ორივე 1944 წელს დაიდგა.

1947 წელს კ. მერაბიშვილმა მხატვრულად გააფორმა ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, რომელმაც მაყურებელზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა და პრესის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ორმოცდაათიანი წლებიდან კ. მერაბიშვილი სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით ჩამოსცილდა დუშეთის თეატრს. იგი მუშაობდა რაიონული გაზეთის სტამბის დირექტორად. სიცოცხლის ბოლო წლებში კი-თბილისში.

ნიკოლოზ სეთურიძე დუშეთის სცენისმოყვარეთა უფროსი თაობის წარმომადგენელია. იგი დუშეთის თეატრის სცენაზე სკოლიდან მოვიდა და მრავალ სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა. 1925-1926 წლებში დუშეთის თეატრის სცენაზე დაიდგა ქ. ბახუტაშვილის სპექტაკლი „წითელი კეტები“, რომელმაც მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ სპექტაკლში როლის საუკეთესო შესრულებით მოწონება დაიმსახურა ნ. სეთურიძემ. მასთან ერთად როლებს ასრულებდნენ: ლ. ბერძენიშვილი, ა. გედევანიშვილი, ჟ. დალაქიშვილი, გ. კარიაული, ტ. ჯაფარიძე, შ. ფარესიშვილი, ხოლო სიმებიან ორკესტრს შ. დიაკვნიშვილი ხელმძღვანელობდა. შემდეგ იგი კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოებზე დააწინაურეს. ამჟამად თბილისში ცხოვრობს და გულით უხარია მშობლიური თეატრის ყოველი გამარჯვება.

ლავრენტი ბერძენიშვილი დუშეთის თეატრის სცენისმოყვარეთა წინა თაობის წარმომადგენელია. იგი დაიბადა 1909 წელს დუშეთში. მოწაფეობის წლებშივე ჩაება სკოლის დრამატულ წრეში. შემდეგ დუშეთის თეატრის სცენაზე მიიწვიეს; მონაწილეობდა სპექტაკლებში: „წითელი კეტები“, „აშუღი ყარიბი“, „არშინ მალ-ალან“, „სასამართლო“ და სხვა. სპექტაკლ „წითელ

კეტებში“ ჩარჩის როლს ასრულებდა და სცენაზე სიმღერით შემოდიოდა.

ლ. ბერძენიშვილს კარგად ახსოვს 1922-1927 წლებში დუშეთის თეატრთან არსებული სასულე ორკესტრის შემადგენლობა. ესენი იყვნენ: ლ. ბერძენიშვილი, ვ. მანკოსიანცი, რ. შაბური'შვილი (ხელმძღვანელი), შ. დიაკვნიშვილი, კ. სეთურიძე, ა. ჩორგოლაშვილი, გ. კარიაული, ს. როინიშვილი, შ. სამაშვილი, ა. ახალშენიშვილი, ი. ჭონქაძე, დ. კორინთელი.

ლ. ბერძენიშვილი კარგად ცეკვავდა „ლეკურს“. ასევე საუცხოოდ ცეკვავდა ნ. სეთურიძეც. ლ. ბერძენიშვილი 1928 წლიდან კომკავშირულ სამუშაოზე დააწინაურეს. ბოლოს თბილისში დამკვიდრდა.

დათიკო ნაშაძე გამორჩეულად ნიჭიერი მსახიობი იყო. მისი მშობლები დუშეთის სახალხო თეატრში მოღვაწეობდნენ. დედა — ელისო ნავაძე — საკმაოდ სახელმოხვეჭილი მსახიობი გახლდათ.

დათიკო მინდობილი როლის ორიგინალური გადაწყვეტის უნარით იყო დაჯილდოვებული. მან დაუვიწყარი სახეები შექმნა სპექტაკლებში: „მაია წყნეთელი“ (ჯემალი), „გულმართალი ადამიანები“ (დათო პაპა), „ხანუმა“ (აკოფა), „სახსოვარი“ (გოდერძი), „არშინ მალ-ალან“ (სულთან ბეგი), „ლეკის ქალი გულჯავარ“ (ზურაბი), „უდანაშაულო დამნაშავენი“ (შმაგა) და ა.შ.

„გულმართალ ადამიანებში“ (რეჟისორი შ. ჩერქეზიშვილი) დათო პაპას მისეული სახე სამუდამოდ დარჩა მაყურებლის მეხსიერებაში. უნდა გენახათ, რა გულდასმით და გაფაციცებით შესცქეროდა შექეიფიანებული პროფესორის (ბ. ლითანიშვილი) ცეკვას, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ იმ ცეკვის ფონზე მისი ქართული ცეკვა ურიგოდ არ გამოჩნდებოდა, მოიხსნა ხურჯინი და ჩიტივით მსუბუქად ჩამოუარა წლებით დათოვლილმა მოხუცმა. ასევე განუმეორებელი იყო მისი პეპია (ი.-ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“), ჯემალა (ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“), დავით კუპრაშვილი (ივ. ჯავახიშვილის „გულმართალი ადამიანები“).

მისი ხევისბერი გოჩა ალბათ განუმეორებელ სახედ დარჩება. შთამბეჭდავი იყო მისი შინაგანი ენერგია, მზრუნველობა, მამაშვილური გრძნობის სიძლიერე. რამდენს ავალებდა მისი თვალები ონისეს, როცა არიგებდა: — „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ!“ რაოდენ თბილი და მამაშვილური იყო ამ დროს, რამდენად მტკიცე და შეუვალი — გასამართლების დროს და რაოდენ საცოდავი — შვილის ცხედარზე დამხობილი...

ანდა აკოფა „ხანუმაში“! „ჰარი-ჰარალე“ კაცი თანდათან გარდაიქმნა საქმიან და ჭკვიან ადამიანად, მაგრამ ეს გარდაქმნა ისე ბუნებრივად და უშუალოდ წარმოადგინა, როგორც მხოლოდ მაღალნიჭიერ ხელოვანს შეეძლო.

დათიკო ნავაძე მართლაც დიდი სცენისათვის იყო დაბადებული, მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა.

არჩილ გედევანიშვილი დუშეთის სახალხო თეატრის დრამატული დასის ძველი თაობის წარმომადგენელია. იგი დაიბადა 1909 წელს, სპეციალობით ვეტექიმია. იგი დუშეთის თეატრის სცენაზე პირველად გამოვიდა 1918 წელს ალ. ჯაყელის რეჟისორობით დადგმულ სპექტაკლში ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“ და შეასრულა მწყემსის როლი. ამავე სპექტაკლში ასრულებდა გიორგის როლსაც.

სადებიუტო როლის შესრულების შემდეგ იგი აქტიურად დაუკავშირდა დუშეთის თეატრის დრამატულ დასს და ღვთით მომადლებული ბუნებრივი მუსიკალური ხმისა და სმენის წყალობით ყურადღებაც მიიქცია. საინტერესო იყო მის მიერ უ. ჰაჯიბეკოვის „არშინ მალ-ალანში“ ასკარის როლის შესრულება, რითაც მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

ასევე წარმატებით შეასრულა თავადის როლი სპექტაკლში „წითელი კეტი“, რომელიც დ. ჩარკვიანის რეჟისორობით დაიდგა 1925 წელს, ხოლო უ. ჰაჯიბეკოვის „არშინ მალ-ალანში“, რომლის დადგმაც განაახლა გიორგი (ჟორა) დალაქიშვილმა 1926 წელს — სულთან-ბეგის როლი.

ასევე მოწონება ხვდა წილად მის მიერ შესრულებულ თარჯიმნის როლს ქ. ბახუტაშვილის რეჟისორობით დადგმულ სპექტაკლში „ძველ სასამართლოში“ და სპექტაკლ „არსენაში“ არსენას როლის მისეულ სცენურ სახეს.

არჩილ გედევანიშვილმა მაყურებელს თავი დაამახსოვრებინა ივანე მეზვრიშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლში ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ გიჟუას როლის შესრულებითაც, ასევე იმავე ავტორის „ხანუმაში“ აკოფას როლის განსახიერებით...

არჩილ გედევანიშვილი მონაწილეობას ღებულობდა სპექტაკლების მუსიკალურ გაფორმებაში, უკრავდა სასულე ორკესტრში, რომელსაც ხელმძღვანელობდა რეზო შაბურიშვილი. იგი კვლავაც მხნედ გამოიყურება და ხალისით ეგებება საყვარელი თეატრის საიუბილეო დღეებს. არის უაღრესად კეთილშობილი პიროვნება, ნიჭისა და ხელოვნების ტრფიალი, სასიამოვნო მოსაუბრე, დარბაისელი და აზრნათელი ნაღდი ქართველი.

 დავით კოსტანტინეს ძე შაბურიშვილი დუშეთის თეატრის ამაგდარ მოღვაწეთა წარმომადგენელია. იგი დუშეთის სათეატრო დასში გაერთიანდა 1930 წლიდან და პირველი სასცენო ნათლობაც ამავე წელს მიიღო ლავრენიევის „რღვევაში“ მეზღვაურის როლის შესრულებით.

დავით შაბურიშვილი, როგორც დუშეთის საბავშვო სახლის მოსწავლე 1924 წლიდან, აქტიურად მონაწილეობდა მოსწავლეთა ძალებით წარმოდგენილ მხატვრულ განყოფილებებში, ამასთან ერთად ხალისით ესწრებოდა დუშეთის თეატრის სპექტაკლებს და თან ოცნებობდა, როდის იქნებოდა, რომ უშუალოდ მონაწილეობა მიეღო სპექტაკლში, როგორც მსახიობს. დავითს, როგორც თვითონ იგონებს, ძალიან ხიბლავდა დუშეთის თეატრის მაშინდელი მსახიობების: გიგუცა ლაგაზაშვილის, ნიკოლოზ წითლიშვილის, ლადო ბერიძის, სალომე ბერიძის, ბორის ჭელიძის, არჩილ გედევანიშვილის, ელისო ნავაძის, ვლადიმერ ბექაურის სცენური სახეები და თავის მხრივ სტიმულს აძლევდნენ, თვითონაც ეთამაშა სცენაზე.

დავით შაბურიშვილმა მრავალ სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა. მათ შორის ვალერიან გუნიას „და-ძმაში“ (ოტია), აკაკი წერეთლის „პატარა კახში“ (ბებურიშვილი), „უდანაშაულო დამნაშავეში“ და სხვა. დავითს სურვილი ჰქონდა პროფესიონალი მსახიობი გამხდარიყო და შესაფერისი განათლებაც მიეღო, მაგრამ ოჯახურმა პირობებმა ამის საშუალება არ მისცეს, სამაგიეროდ წლების განმავლობაში ხელძღვანელობდა დუშეთის რაიონის კულტურის განყოფილებას, ყოველმხრივ ექომაგებოდა დუშეთის თეატრის წარმატებით მუშაობას და მზრუნველობას არ აკლებდა.

ამჟამად დავითი პენსიონერია, კვლავ იმედიანად უყურებს მომავალს და სიხარულით განიცდის დუშეთის თეატრის ახალ წარმატებას და მხნედ ეგებება მის საიუბილეო დღეებსაც.

ტარიელ კობაიძე დუშეთის თეატრის დრამატულ დასში 1947 წლიდან ჩაება, იმავე წელს შეასრულა პირველი როლიც აკ.წერეთლის „პატარა კახში“. მის მიერ შექმნილი ლევან ქვაბულიძის სცენური სახე მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

თეატრთან ტარიელ კობაიძის დაკავშირებას დიდად შეუწყო ხელი ოჯახურმა ტრადიციამაც: მისი დედა დუშეთის თეატრის დრამატული დასის წევრი იყო, ხოლო მისმა ძმამ, შურამ, ხახულის ბრწყინვალე სახე შექმნა დუშელ სტუდენტთა მიერ დადგმულ სპექტაკლ პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებაში“.

სადებიუტო გამოსვლას სცენაზე მოყვა შემდგომ სხვადასხვა სცენური როლის შესრულება, მათ შორის: კირილეს როლის შესრულება სპექტაკლში – ივ. ჯავახიშვილის „გულმართალი ადამიანები“ და ნუგზარის როლის შესრულება სპექტაკლში „ცისკრის ვარსკვლავი“.

ტარიელ კობაიძე ერთხანს დუშეთის კულტსახლს ხელმძღვანელობდა, ხოლო 1963-1973 წლებში კი – კულტურის განყოფილებას და თავის მხრივ ხელს უწყობდა რაიონში მხატვრული თვითმოქმედების განვითარებასთან ერთად თეატრალური საქმიანობის გაუმჯობესებასაც. იგი უშუალოდ იყო დაკავშირებული დუშეთის თეატრთან, როგორც მსახიობი.

ტარიელ კობაიძე ამჟამად პენსიონერია და უხარია, რომ მასაც მიუძღვის წელილი დუშეთის თეატრის არსებობის ხანგრძლივ მატიანეში.

* * *

1980 წლის იანვარში დუშეთის თეატრს დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა. დუშეთის რაიონის ხელმძღვანელთა წარდგინებით საქართველოს კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა გადაწყვიტეს, საზეიმოდ აღნიშნულიყო ეს თარიღი. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა დუშეთში ჩატარებულიყო ქართული თეატრის დღის ტრადიციული დღესასწაულიც, რაც სიმბოლურად გამოხატავდა ახალი ქართული თეატრის ფუძემდებლის, გამოჩენილი დრამატურგის გიორგი ერისთავისადმი პატივისცემას. ზეიმი ოძისიდან უნდა დაწყებულიყო.

საქართველოს პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელობამ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს და დაიწყო მზადება აღნიშნული დღესასწაულების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

დუშეთის რაიონის მოსახლეობა აღფრთოვანებული შეხვდა ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებას. საქართველოს კპ დუშეთის რაიკომისა და სახალხო დეპუტატების დუშეთის რაიაღმასკომის ხელმძღვანელობით დაიწყო გაცხოველებული მზადება. გამოიყო კომისია, შესდგა სამუშაო გეგმა, გაიშალა მუშაობა.

საზოგადოება „ცოდნის“ დუშეთის განყოფილების ინიციატივით (პასუხისმგებელი მდივანი ტ. თუჯიშვილი) ქართული თეატრისა და დუშეთის სახალხო თეატრის განვლილი გზის შესახებ საჯარო ლექციები ჩატარდა ქ. დუშეთში, ჭოპორტში, ქვი-

შეოში, დაბა ჟინვალში, დუშეთის საშუალო სკოლებში (ლექტორი ირ. გოგოლაური); შემუშავდა კონკრეტული გეგმა ორდღიანი ზეიმის ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩასატარებლად. განსაკუთრებულად იმუშავა დუშეთის სარაიონო კულტურის სახლმა (დირექტორი გ. დიაკვნიშვილი), რომელმაც ქართული თეატრის დღისა და დუშეთის სახალხო თეატრის 100 წლისთავთან დაკავშირებით მშვენიერი საზეიმო გამოფენა მოაწყო.

მზიანი და უთოვლო იანვარი დადგა საქართველოში 1981 წელს. დუშეთის ქუჩებში გაკრული აფიშები მშრომელებს 14 იანვარს ქართული თეატრის ტრადიციულ დღესასწაულზე, ხოლო 15 იანვარს დუშეთის სახალხო თეატრის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე იწვევდა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების გაზეთი მოწინავეში წერდა: „დუშეთი, საქართველოს ულამაზესი კუთხე მასპინძლობს წელს ქართული თეატრის ტრადიციულ დღეს. აქედან იხსნება ვაჟა ფშაველას გენიალური პოემების სამყარო, აქ თავს გვადგა დიდი ილიას აჩრდილი... ვინ წარმოიდგენდა, რომ დუშეთის სახალხო თეატრი ასი წლისა იქნებოდა. ისტორია თავისი გზით მიდის და უკვალოდ არაფერი იკარგება. თვალნათლივ ვხედავთ საუკუნის უწინდელ პირველ წარმოდგენას, სანთლად რომ ანთია ქართული კულტურის დიდ გზაზე“[1].

წერილის ავტორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი დიმიტრი ალექსიძე მრავალ საყურადღებო და პრობლემურ საკითხს აყენებდა დედაქალაქისა და პერიფერიული თეატრების ურთიერთობისა და მათი პროფესიული ხელოვნების შემდგომი სრულყოფის შესახებ. „მიღწეულით გაამაყება საშიში რამ გახლავთ, — მოძღვარივით იძლეოდა გაფრთხილებას დიდი ხელოვანი, — მშვენიერების უკვდავი ღვთაება მარად მოუსვენარ სამსახურს მოითხოვს. კარგად ვიცით, რომ ყველა თეატრი ერთი დონისა ვერ იქნება, ვერც ყველა სპექტაკლი გაიმარჯვებს თანაბრად, მაგრამ დონეც არის და დონეც. ჩვენ იმ თეატრების ბედი გვაწუხებს, რაღაც საშუალო დონეს, სტანდარტულ საფეხურს რომ აღწევს და მერე უძრაობა ეუფლებათ. თუნდაც პერიფერიის თეატრებისათვის სრულიად შეუფერებელია დღეს გუშინდელი დონე, ან ადგილობრივი კრიტერიუმები. ხელოვნება ყველგან ხელოვნებაა, თუ ეს არ ვიწამეთ, პროვინციალობის

[1] გაზ. „თეატრალური გაზეთი“, 1981, 14 იანვარი, № 1.

მსახვრალი ხელი არ აგვცდება... ხელოვნების ღალატი იქ იწყება, სადაც დათმობაზე მიდიან დედაქალაქის თეატრებთან შედარებით მატერიალური ხელმოკლეობის მომიზეზებით. არა მგონია ფიროსმანს უკეთესი ტილოები პქონოდა, ვიდრე ღღეს აქვს ბევრ საშუალო მხატვარს... ნაკლებ საზრუნავი როდია ჩვენი სახალხო თეატრები. თუნდაც დუშეთის თეატრი აიღეთ.., ოღონდაც აქაც სტიქიურ მდინარებაზე მინებება ამ დიდი საქმისა არ ივარგებს. ყველა სახალხო თეატრს უნდა მისწვდეს ჩვენი ყურადღებიანი მზერა. ადამიანებს რომ საღამო ჟამს თავიანთ სახალხო თეატრში მიუხაროდეთ და იქ მშვენიერების ხელოვნებას ეზიარებოდნენ, ამაზე დიდი სიკეთე რა უნდა იყოს!"

ჩვენ საგანგებოდ მოვიტანეთ დასახელებული წერილიდან ეს ვრცელი ამონაწერი. დიახ, პერიფერიული თეატრები უდავოდ საჭიროებენ მეტ ყურადღებას. სხვაგვარად დგას ღღევანდელი პერიფერიების მცხოვრებთა გემოვნების საკითხიც.

დუშეთის რაიონულმა გაზეთმა სპეციალური ნომერი მიუძღვნა ორივე თარიღს. გაზეთმა მოათავსა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის დიმიტრი ალექსიძის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელი მდივნის კოტე ნინიკაშვილის, საქართველოს სახალხო არტისტის იაკობ ტრიპოლსკის, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის მანიკო თაბორიძის, მწერალ ირაკლი უგულავას, ადგილობრივი სცენისმოყვარეების: თამარ თურქაძის, ბორის ლითანიშვილის, იოსებ კაკალაშვილისა და სხვათა წერილები და მოგონებები. იგივე გაზეთი მკითხველს ატყობინებდა, რომ 14 იანვარს ღღის 11 საათზე ოძისში (გიორგი ერისთავის კარმიდამოში) გაიმართებოდა ქართული თეატრისადმი მიძღვნილი მიტინგი, ხოლო იმავე ღღის 17 საათზე დუშეთის რაიონის სარაიონო კულტურის სახლში — ქართული თეატრის ღღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. ხოლო მეორე ღღეს, 15 იანვარს, საღამოს 17 საათზე გაიმართებოდა დუშეთის თეატრის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

დაიწყო საზეიმო ღღეები. 14 იანვარს, ღილის 11 საათზე ოძისში თავი მოიყარეს ქართული თეატრისა და გიორგი ერისთავის თაყვანისმცემლებმა, რაიონის მშრომელებმა, სტუმრებმა დედაქალაქიდან, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან. აქ იყვნენ ქართული ხელოვნების ოსტატები, ცნობილი რეჟისორები და მსახიობები, თეატრის ღვაწლმოსილი მუშაკები, დუშეთის რაიონის პარტიული ხელმძღვანელი მუშაკები.

გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ერისთავისა და ცნობილი დრამატურგის დავით ერისთავის მემორიალური სახლ-მუზეუმის ეზო ხალხით აივსო.

ქართული თეატრისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ჰამლეტ კერესელიძემ. იგი გულთბილად მიესალმა სტუმრებს, ისაუბრა რაიონის მიღწევებზე და მდიდარ თეატრალურ ტრადიციებზე.

ქართული თეატრის მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე, გიორგი და დავით ერისთავების ღვაწლზე ქართული პროფესიული თეატრის აღორძინების საქმეში და ქართული თეატრის დიდ და სასახელო გამარჯვებაზე ისაუბრეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დიმიტრი ალექსიძემ, მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატმა, სსრკ სახალხო არტისტმა გიგა ლორთქიფანიძემ, გამომცემლობა „ხელოვნების" დირექტორმა ოთარ ეგაძემ, გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმის დირექტორმა გიორგი ბასილაშვილმა და ოძისის საშუალო სკოლის მოსწავლემ ხათუნა პავლიაშვილმა. მათ დამსწრეთ მიულოცეს ქართული თეატრის დღესასწაული. ზეიმის მონაწილეებმა სახლ-მუზეუმის ეზოში საფუძველი ჩაუყარეს გიორგი ერისთავის ძეგლს, რითაც უფრო დასამახსოვრებელი გახადეს დღესასწაული.

იმავე დღეს ქართული თეატრის დღესასწაულმა ოძისიდან ქ. დუშეთში გადმოინაცვლა. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მოეწყო ქართული თეატრალური ხელოვნების მოღვაწეებთან მშრომელთა გულითადი შეხვედრები. შემდეგ კი სარაიონო კულტურის სახლში ჩატარდა ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ჰამლეტ კერესელიძემ. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე დიმიტრი ალექსიძე.

ქართული თეატრის განვითარების გზებზე და მიღწეულ წარმატებებზე ისაუბრა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა ვასილ კიკნაძემ.

საზეიმო საღამოზე გამოცხადდა კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების მიმნიჭებელი მუდმივი კომიტეტის გადაწყვეტილება უკანასკნელი ორი თეატრალური სეზონის (1978-1980 წწ.) განმავლობაში შექმნილი საუკეთესო თეატრალური და თე-

ორიული ნაშრომისათვის პრემიების მინიჭების შესახებ. ამ პრემიის ლაურეატები გახდნენ: ამირან ვალერიანის ძე შალიკაშვილი და მიხეილ ივანეს ძე თუმანიშვილი. გამოაცხადეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ დაწესებული ყოველწლიური კონკურსის შედეგები. პრემიები მიენიჭათ: მედეა შალვას ასულ კუჭუხიძეს, რობერტ რობერტის ძე სტურუას, გაიოზ (გიზო) ეუკოლის ძე ჟორდანიას, ელენე ვასილის ასულ ყიფშიძეს, დაგმარა არისტრახოს ასულ გოგიჩაიშვილს, ნოდარ გრიგოლის ძე ჩაჩანიძეს, შარახა აბრაგის ძე ფაჩალიას, მიხეილ სიმონის ძე იოფეს, თამარ ნარიმანის ასულ დოლიძეს, მურმან ვასილის ძე ჯინორიას, მიხეილ დავითის ძე ჭავჭავაძეს და ნინო შალვას ასულ მაჭავარიანს.

პრემიებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე დუშეთის სახალხო თეატრის მსახიობები თამარ ილარიონის ასული თურქაძე და იოსებ ვასილის ძე კაკალაშვილი, რომელთაც ჯილდო დაიმსახურეს სცენაზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

საქართველოს კულტურის სამინისტროს დრამატული თეატრების განყოფილების უფროსმა ალექსანდრე შალუტაშვილმა დუშელებს საზეიმო ვითარებაში აუწყა, რომ მომავალ ათწლიან გეგმაში შეტანილია დუშეთში სახელმწიფო თეატრის დაარსება.

სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სახალხო არტისტი იაკობ ტრიპოლსკი, მოლდავეთის სახალხო არტისტი ვიქტორ ერლაკი და გუდამაყრელი კოლმეურნე ეთერ წიკლაური.

საზეიმო სხდომა დამთავრდა კონცერტით. მარჯანიშვილის, რუსთაველისა და პანტომიმის სახელმწიფო თეატრების მსახიობებმა უჩვენეს სცენები სპექტაკლებიდან: „პრემიერა“, „რეფორმატორი“, პანტომიმური ნოველები. კონცერტში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები: ელენე ყიფშიძე, იაკობ ტრიპოლსკი, ტარიელ საყვარელიძე, ნათელა მერკვილაძე, რევაზ კაკაბაძე; რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ამირან ტაკიძე, ზანდა იოსელიანი, ია ხობუა, თათია ხაინდრავა, ირინე იაშვილი, ქეთევან კიკნაძე, მედეა ფანიაშვილი; მსახიობები: ასმათ ტყაბლაძე, ნანა ჩიქვინიძე და სხვა.

15 იანვარს მოეწყო რაიონის მშრომელებთან ქართული ხელოვნების მოღვაწეთა შეხვედრები. სტუმრებს გულთბილად მასპინძლობდნენ ჟინვალის მშენებლობაზე, ფასანაურში, დუშეთის სასათბურო მეურნეობაში და პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატში.

იმავე დღეს დუშეთის რაიონის მშრომელებმა და სტუმრებმა კვლავ თავი მოიყარეს დუშეთის სახალხო თეატრის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე. დასწრების მსურველთ ვერ იტევდა სარაიონო კულტურის სახლი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ჰამლეტ კერესელიძემ.

დუშეთის სახალხო თეატრის ხანგრძლივი და მრავალფეროვანი გზის შესახებ მოხსენება გააკეთა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, პოეტმა ირაკლი გოგოლაურმა.

დუშეთის სახალხო თეატრის სცენაზე გატარებულ წლებზე გულთბილი მოგონებით გამოვიდა პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი მ. თაბორიძე.

დუშეთის სახალხო თეატრის კოლექტივს და რაიონის მშრომელებს სახელოვანი იუბილე მიულოცეს და ახალი შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს საქართველოს კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნოდარ ბურაბანიძემ, დუშეთის II საშუალო სკოლის პედაგოგმა მიმლი როსტიაშვილმა, საგარეჯოს რაიონის კულტურის განყოფილების გამგემ რამინ მარტიაშვილმა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელმა ია თუხარელმა, დრამატურგმა გიორგი ხუხაშვილმა, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრის წარმომადგენელთა სახელით მალვინა ახვლედიანმა, დუშეთის II საშუალო სკოლის მოსწავლემ მაია ჯავახიშვილმა. დუშეთის სახალხო თეატრის კოლექტივს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სახელით საქართველოს სახალხო არტისტმა იაკობ ტრიპოლსკიმ და ტარიელ საყვარელიძემ.

იმავე საღამოს, საზეიმო ვითარებაში საქართველოს კულტურის სამინისტროს კულტდაწესებულებათა განყოფილების გამგემ აბესალომ კალანდარიშვილმა კულტურის სამინისტროს სიგელები გადასცა დუშეთის სახალხო თეატრის ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლებს. სიგელებით დაჯილდოვდნენ დუშეთის სახალხო თეატრის რეჟისორები და მსახიობები: ნუგზარ გაჩავა, ნიკოლოზ სეთურიძე, ლავრენტი ბერძენიშვილი, ელენე როსტომიანი, არჩილ გედევანიშვილი, ბორის ლითანიშვილი, თამარ თურქაძე, ზაქარია დიაკვნიშვილი, გიორგი ნავაძე, ტარიელ კობაიძე, დავით შაბურიშვილი, სარა ინაშვილი, ვახტანგ გოზიტაშვილი, ავთანდილ ნამორაძე, ტარიელ ოთარაშვი-

ლი, მირიან მალანია, შოთა ხუციშვილი, იოსებ კაკალაშვილი, ფირან ლოთიკაშვილი, ჯემალ კირვალიძე, ვალიკო ხულუზაური, ელიკო პაპიაშვილი, ხვთისო ლიქოკელი, თამაზ ნარიმანიძე, მაყვალა პეტრიაშვილი, გოგი ხუციშვილი, მანანა დათოშვილი, ლია ჭონქაძე და სხვები.

დაჯილდოვებულთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა ნიკოლოზ სეთურიძემ. საზეიმო საღამო მხატვრული განყოფილებით დასრულდა. წარმოადგინეს სცენები სპექტაკლებიდან: „ლალი, სიყვარული და სხვები", „მოკვეთილი" და „შთამომავლობა", რითაც დუშეთის სახალხო თეატრის მსახიობებმა მაყურებელს ერთხელ კიდევ დაუდასტურეს თავიანთი სცენური ოსტატობა.

მაყურებელს თავიანთი ხელოვნება უჩვენეს სტუმრებმაც: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრის მსახიობებმა გაითამაშეს სცენა სპექტაკლიდან „ცაბუნია" (კ. ლორთქიფანიძის მოთხრობის მიხედვით).

კონცერტში მონაწილეობა მიიღო დუშეთის სარაიონო კულტურის სახლთან და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან არსებულმა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა, რომელთაც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

მშრომელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დუშეთის სახალხო თეატრის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაულად იქცა.

17 იანვარს დუშეთის სახალხო თეატრმა თბილისში მსახიობის სახლის სცენაზე წარმოადგინა დუშეთის სახალხო თეატრის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლი ალ. ჩხაიძის „შთამომავლობა".

სპექტაკლმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სსრკ სახალხო არტისტმა დიმიტრი ალექსიძემ საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით სამახსოვრო საჩუქარი გადასცა დუშეთის სახალხო თეატრის კოლექტივს და ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები უსურვა.

ეს დღეები დუშეთის მშრომელთა ცხოვრებაში მარად სამახსოვრო მოგონებად დარჩება.

* * *

1995 წლის 20 იანვარს შესრულდა დუშეთის სახალხო თეატრის დაარსებიდან 115 წლისთავი. დუშეთის რაიონის ხელმძღვანელობამ რაიონის გამგეობის თავმჯდომარის ბ-ნ კობა ბუჩუკურის ინიციატივით გადაწყვიტა საზეიმოდ აღნიშნულიყო ეს თარიღი. რაიონული გამგეობის 1996 წლის 20 აპრილის სხდომაზე

დამტკიცდა დუშეთის სახალხო თეატრის 115 წლისთავის აღნიშვნისათვის საჭირო ღონისძიებათა გეგმა. ღონისძიებათა შორის გათვალისწინებული იქნა: კულტურის სახლის სარემონტო სამუშაოები; ზემდგომი ორგანოების წინაშე საკითხის დასმა დუშეთის სახალხო თეატრისათვის ვაჟა-ფშაველას სახელის მინიჭების შესახებ; თეატრალური კვირეულის მოწყობა; თეატრის ისტორიის ამსახველი საიუბილეო ექსპოზიციის მოწყობა; ქ. დუშეთში იმ ქუჩას, სადაც კვლავ დგას ის სახლი — ვასილ იოსების ძე მოზდოკელისა, სადაც ილია ჭავჭავაძე ცხოვრობდა და სადაც 1880 წლის 20 იანვარს დასაბამი მიეცა სახალხო თეატრის დაარსებას დუშეთში ოფიციალურად, სწოდებოდა თეატრის ქუჩა და სახლზე კი გაკეთებულიყო მემორიალური დაფა; საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოცემულიყო ი. გოგოლაურის მონოგრაფიული ნაშრომი „დუშეთის თეატრის მატიანე". შესაბამისად მომზადებულიყო საიუბილეო თარიღის აღნიშვნა.

დასახელებულ ღონისძიებათა რეალიზაციის საქმეს სათავეში ჩაუდგნენ გამგებლის პირველი მოადგილე ქ-ნი ც. ბურდული და კულტურის განყოფილების გამგე ქ. წიკლაური.

დუშეთის სახალხო თეატრის დაარსების 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა შორის საინტერესოდ ჩატარდა „თეატრის კვირეული", რომელიც მიმდინარეობდა 5 დღის განმავლობაში, 5 ნოემბრიდან 10 ნოემბრამდე. იგი დაიწყო სოფელ ოძისიდან. 1996 წლის 5 ნოემბერს დღის 12 საათზე იქ, გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმში საზეიმოდ გაიხსნა „თეატრის კვირეული", რითაც დუშელებმა პატივი მიაგეს ახალი ქართული თეატრის ფუძემდებლის გიორგი ერისთავისა და დავით ერისთავის სახელს და ამაგს.

მეორე დღეს თეატრის კვირეულმა დუშეთში გადაინაცვლა. 6 ნოემბერს დუშეთის სარაიონო კულტურის სახლში დუშეთის საბავშვო თეატრმა წარმოადგინა გ. ნახუცრიშვილის ზღაპარი-კომედია „ჭინჭრაქა" 3 მოქმედებად და 6 სურათად. სპექტაკლი დადგა ავთანდილ ნამორაძემ და მხატვრულად გააფორმა დათო ველთაურმა. როლების კარგად შესრულებით მაყურებლის მოწონება დაიმსახურეს ნორჩმა მსახიობებმა: გიორგი ოდიშელიძემ (ჭინჭრაქა), ლელა ხულუზაურმა (მზია), ბესიკ უნდილაშვილმა (ვეზირი), ბესიკ ოდიშელიძემ (ქოსა მრჩეველი), შავლეგ დიაკვნიშვილმა (დევი), რეზო ნადირაშვილმა და კახი ნამაძემ (დათვი), ქეთინო ხუციშვილმა (მგელი), ლალი ნარიმანიძემ (მე-

ლა), ნინო ბეჟანიშვილმა (ტურა), ბესიკ უნდილაშვილმა (შუბოსანი).

სპექტაკლი მიეძღვნა დუშეთის სახალხო თეატრის 115-ე წლისთავს.

მესამე დღეს, 7 ნოემბერს, სახალხო თეატრის მსახიობებმა იუმორის საღამო შესთავაზეს მაყურებელს. საღამომ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

მეოთხე დღეს, 8 ნოემბერს, დუშეთის სახალხო თეატრმა უჩვენა პრემიერა სპექტაკლისა „ღმერთო, რისთვის?!" ნ. დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით (სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი ნუგზარ გაჩავა, მხატვარი დათო ველთაური).

ამ სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ: ნური ბექაური, მანანა დათოშვილი, ელიკო პაპიაშვილი, მაყვალა პეტრიაშვილი, იოსებ კაკალაშვილი, ავთანდილ ნამორაძე, დანიელ ჭონქაძე, ბონდო ჩანადირი, ოთარ ძუძუშვილი. სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

მეხუთე დღეს, 9 ნოემბერს, დუშეთის საბავშვო თეატრმა ხელმეორედ უჩვენა სპექტაკლი გ. ნახუცრიშვილის კომედია-ზღაპარი „ჭინჭრაქა". ნორჩი მსახიობების მიერ როლების მოხდენილად შესრულებამ კვლავ დაარწმუნა მაყურებელი, რომ ბავშვთა თეატრი მალე იქცევა მსახიობების სამჭედლოდ და რომ სამომავლო პროფესიად მსახიობობას აირჩევენ და სპეციალური ცოდნით აღჭურვილნი მშობლიურ თეატრს დაუბრუნდებიან, როგორც პროფესიონალი მსახიობები.

10 ნოემბერს, კვირას, დღის 12 საათისათვის დუშეთის ცენტრალურ მოედანზე თავი მოიყარეს თეატრის თაყვანისმცემლებმა და სტუმრებმა. საზეიმო ცერემონიალი დაიწყო დუშეთის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული სტუდიის გამოსვლით. ნორჩმა მოცეკვავეებმა მაყურებელს უჩვენეს თავიანთი ხელოვნება. შემდეგ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და სტუმრები ეწვივნენ იმ ქუჩას, სადაც დგას სახლი, რომელშიც დუშელმა სცენისმოყვარეებმა 1880 წლის 20 იანვარს გამართეს პირველი წარმოდგენა და დასაბამი მიეცა დუშეთის თეატრის დაარსებას ოფიციალურად.

სახლის კედელზე მიმაგრებულ მემორიალურ დაფას საზეიმოდ საბურველი ჩამოხსნეს ქალაქის მერმა ბ-ნმა ედუარდ ღარიბაშვილმა და საქართველოს კულტურის სამინისტროს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსმა ბორის მუნჯიშვილმა. მარმარილოს დაფაზე მკვეთრად გა-

მოწნდა წარწერები: „ამ სახლში 1880 წლის 20 იანვარს დუშეთის სცენისმოყვარეებმა გამართეს პირველი სპექტაკლი ქართულ და რუსულ ენებზე“; „ამ ქუჩას თეატრის სახელი ეწოდა დუშეთის სახალხო თეატრის 115-ე წლისთავთან დაკავშირებით“. იმავდროულად მოხდა თეატრის ქუჩის საზეიმოდ გახსნაც. ლენტი გაჭრეს დუშეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნმა კობა ბუჩუკურმა და ბ-ნმა ბორის მუნჯიშვილმა. გაიმართა საზეიმო მიტინგი. სიტყვები წარმოსთქვეს: დუშეთის მერმა ედ. ღარიბაშვილმა, საზოგადოება „არაგველის“ თავმჯდომარემ ოთარ დუდაურმა და კულტსახლის დირექტორმა იოსებ კაკალაშვილმა.

შემდეგ კი ზეიმის მონაწილენი, სტუმრები და მასპინძლები შეიკრიბნენ კულტურის სახლში, სადაც გაიმართა დუშეთის სახალხო თეატრის დაარსების 115 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. იხსნება სცენა, დარბაზში გაისმა ქართული „მრავალჟამიერის“ ტკბილი ჰანგი. სიმღერა შეასრულეს ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილმა ახალგაზრდებმა: მაია ბობოხიძემ, ზურაბ მირზიაშვილმა, მიხეილ წიკლაურმა და გია ჯანგირაშვილმა.

„მრავალჟამიერის“ საამური მელოდიის ფონზე სცენაზე ავიდნენ იუბილარი თეატრის მსახიობები და დაიკავეს ადგილები.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა დუშეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნმა კობა ბუჩუკურმა, რომელმაც თეატრის კოლექტივსა და დამსწრე საზოგადოებას გულითადად მიულოცა დღესასწაული და ახალი წარმატებები უსურვა. შემდეგ ბატონმა კობა ბუჩუკურმა სიტყვა გადასცა მწერალ ირაკლი გოგოლაურს, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა დუშეთის თეატრალური ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები და გამოთქვა სამომავლო მოსაზრებანიც.

მოხსენების მსვლელობაში მოხდენილად იქნა ჩართული სცენები დუშეთის სახალხო თეატრის მიერ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში დადგმული სპექტაკლებიდან. კერძოდ, წარმოდგენილი იქნა სცენები სპექტაკლებიდან: „ლალი, სიყვარული და სხვები“ (რეჟისორი ნუგზარ გაჩავა), „მოკვეთილი“ (რეჟისორი ზურაბ კახიანი), „ღმერთო, რისთვის?!“ (რეჟისორი ნუგზარ გაჩავა). აგრეთვე წარმოდგენილი იქნა ნაწყვეტები მწყემსებთან მოწყობილი საკონცერტო საღამოებიდან.

წარმოდგენებში მონაწილეობდნენ: მანანა დათოშვილი, ელიკო პაპიაშვილი, მარინა ხვთისიაშვილი, ნური ბექაური, მაყვა-

სპექტაკლი „განაჩენი აღარ გასაჩიერდება“.
რეჟისორი ა. ნაშორაძე, მსახიობი ტ. შოლოდინი:

სცენა სპექტაკლიდან „შვილი", რეჟისორი ზ. შელაძე (მსახიობები ი. კაკალაშვილი და ტ. ოთარაშვილი).



დუშეთის რაიონის კულტურის სახლი ქ. დუშეთში გაიხსნა 1957 წელს. სახლი ქ. დუშეთში, საიდაც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იყდმეებოდა სპექტაკლები (აშ სახლში დუშეთში ყოვნის დროს ცხოვრობდა ი. ჭაეჭაეაძე)

დუშეთის სახალხო თეატრის 115 წლისთავისადმი
მიძღვნილი საიუბილეო საღამო.
დუშეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე კ. ბ უ ჩ უ კ უ რ ი

მემორიალური დაფისა და თეატრის სახელობის ქუჩის გახსნა
ქ. დუშეთში 1906 წლის 10 ნოემბერს

დუშეთის სახალხო თეატრის 115 წლისთავისადმი
მიძღვნილი საიუბილეო საღამო.
საქართველოს კულტურის მინისტრი ე. ასათიანი



ეროვნულთა ჯგუფის გამოსვლა საიუბილეო საღამოზე
1996 წლის 10 ნოემბერს.



არჩილ გედეანიშვილი

დავით შაბურიშვილი



ტარიელ კობაიძე

ილია ზაქაიძე

შოთა გრიგოლია

ვანო თანიაშვილი

მაყვალა პეტრიაშვილი

ნანა ნაღებაშვილი

სცენა სპექტაკლიდან – ეაჟა-ფშაველას „მოკვეთილი"

მარცხნივ – იოსებ კაკალაშვილი (ივანე)
მარჯვნივ – თამაზ მთიულიშვილი (საზანდარი)

სცენა სპექტაკლიდან – ალ. თაბორიძე, „დედას ბიჭები"
ნათელა როშნიაშვილი (მანანა)
მზია ჯერვალიძე (საბედო)

ჯემალ კირეალიძე

ამირან ოთარაშვილი

ირაკლი წიკლაური

შანანა დათაშვილი



ვალიკო ველთაური

დანიელ ჭონქაძე

ოთარ ძუძუშვილი

ბონდო ჩანადირი



სცენა სპექტაკლიდან
ს. მთვარაძის
„სახსოვარი"
მსახიობი ტ. მოლოდინი
ნორჩი მსახიობი
ა. ხუციშვილი

სცენა სპექტაკლიდან „პეპი გრძელი
წინდა" ნორჩი მსახიობები: თ. ნონიეეი,
ი. ცხოვრებაშვილი



სცენა სპექტაკლიდან „ მოკვეთილი" (ვაჟა-ფშაველა)
ბ ო ნ დ ო ჩ ა ნ ა დ ი რ ი (ბახა)
ე ლ ე ნ ე პ ა პ ი ა შ ვ ი ლ ი (ჯავარა)



სცენა სპექტაკლიდან კომედია „გულსუნდა"
რეჟისორი მ. გოგიაშვილი (მსახიობები: მ. დიდებაშვილი,
ტ. მოლოდინი, ზ. ზარიძე)

ლა პეტრია'შვილი, იოსებ კაკალა'შვილი, დასიელ ჭონქაძე, ბონდო ჩანადირი, ხვოისო ლიქოკელი, მარადი კახურა'შვილი, ოთარ ძუძუ'შვილი.

მოხსენების დასასრულს ირ. გოგოლაურმა ზეიმის მონაწილეებს გაუზიარა თავისი მოსაზრებანი თეატრის სამომავლო მუ'შაობის 'შესახებ, კერძოდ, მას გამოთქვა სურვილი, რომ დუ'შეთის სახალხო თეატრის დრამატული დასის პროფესიონალი კადრებით 'შევსების საკითხი ახლო მომავალ'შია გადასაწყვეტი. კარგი იქნებოდა, თუ საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი და თეატრალური ინსტიტუტი დუ'შეთის სახალხო თეატრს გამოექომაგებოდნენ და ეს გამოქომაგება, უპირველეს ყოვლისა, დუ'შელი სცენისმოყვარე ახალგაზრდების ინსტიტუტ'ში მოწყობით დაიწყებოდა. იქნებ გადაიდგმებოდა პრაქტიკული ნაბიჯები დუ'შეთის სახალხო თეატრის მატერიალური პირობების 'შემდგომი სრულყოფისათვის და ა'შენდებოდა მისთვის თეატრის 'შენობა, რაც ჯერ კიდევ 1935 წელს იქნა წამოწყებული, ხოლო კულტურის სახლის სასცენო დარბაზი კი დუ'შეთის საბავ'შვო თეატრს დაეთმობოდა. მოგვარებას მოითხოვს მოზარდი თაობის თეატრალური ხელოვნებისადმი სიყვარულის აღზრდის ორგანიზაცია რაიონის პერიფერიებ'შიც. კარგი იქნებოდა, თუ რაიონის სა'შუალო სკოლებ'ში და სასოფლო საკრებულოების კულტურის სახლებ'შიც ამოქმედდებოდა საბავ'შვო-ახალგაზრდლი თეატრები, ხოლო ამ საქმის ინიციატორებს თანადგომით წაახალისებდნენ როგორც რაიონის განათლებისა და კულტურის განყოფილებები, ისე ახალგაზრდული კავ'შირები და სასოფლო საკრებულოები, რაც ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდასაც წაადგებოდა. ამასთანავე კარგი იქნებოდა, თუ დუ'შეთის სახალხო თეატრი თავის სამომავლო მუ'შაობა'ში დანერგავდა პარალელური სპექტაკლების მომზადების პრაქტიკასაც, რითაც გამოირიცხებოდა მსახიობთა იგნორირება, როლის მოლოდინ'ში ყოფნა, რაც თავის მხრივ დღის წესრიგ'ში აყენებს რეჟისურის ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტების საზრუნავსაც.

დაიწყო მისალმებები. თეატრის კოლექტივს გულთბილად მიესალმა პედაგოგი მიმლი როსტიაშვილი, შემდეგ უფროს კოლეგებს მიესალმნენ დამოუკიდებელი საბავ'შვო თეატრის მიერ დადგმული სპექტაკლის „ფიფქია და 'შვიდი ჯუჯას" მონაწილენი სალომე ვერძეული და დათო რუსიტა'შვილი (პირველი საშ. სკოლა), რომელთაც საუკეთესოდ 'შეასრულეს სიმღერა „ყვავილე-

ბის ქვეყანა“, რისოვისაც მხურვალე ტაშიც დაიმსახურეს.

იუბილარი თეატრის კოლექტივს მიესალმა საქართველოს კულტურის მინისტრი ბ-ნი ვალერი ასათიანი, რომლის გამოსვლა დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი. ბ-ნმა მინისტრმა ზეიმის მონაწილეებს გააცნო საქართველოს პრეზიდენტის მადლობის წერილი დუშეთის სახალხო თეატრის კოლექტივისადმი: „თქვენი თეატრის 115 წლის იუბილე მაძლევს საბაბს გამოვხატო ჩემი ღრმა პატივისცემა არა მხოლოდ თქვენი დასის, არამედ დუშელი თეატრალური ხელოვნების მოყვარულთა მიმართ.

დუშეთის სახალხო თეატრის სახით ქართულ თეატრალურ ხელოვნებას ჰყავს ერთი მეტად საინტერესო ხელწერის მქონე კოლექტივი, რომელიც სახელოვნად აგრძელებს საუკუნის წინათ დამკვიდრებულ ტრადიციებს.

ვიცი, როგორ უჭირს ახლა სახალხო თეატრებს, რა ძნელია შეინარჩუნო დღევანდელ პირობებში შემოქმედებითი კოლექტივი და მით უფრო ვაფასებ ამ დასის საოცარ ერთგულებას მუზების მიმართ.

გთხოვთ მიიღოთ ჩემი მადლობა და კეთილი სურვილები.

ედუარდ შევარდნაძე“

ბ-ნმა ვალერი ასათიანმა გამოაქვეყნა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება დუშეთის სახალხო თეატრის კოლექტივის წევრთა ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ: „სახალხო თეატრის მდიდარი ტრადიციების დამკვიდრებისა და შენარჩუნებისათვის, მაღალი პროფესიული შემოქმედებისათვის ღირსების მედლით დაჯილდოვდნენ დუშეთის სახალხო თეატრის კოლექტივის წევრები:

ნუგზარ გაჩავა — მთავარი რეჟისორი;

ვახტანგ გოზიტაშვილი — მსახიობი;

იოსებ კაკალაშვილი — დირექტორი. მსახიობი.

ავთანდილ ნამორაძე — მსახიობი, ბავშვთა თეატრის რეჟისორი.

ე.შევარდნაძე

ზეიმის მონაწილეებს ეუწყა ისიც, რომ სახალხო თეატრის ტრადიციების დამკვიდრებასა და შენარჩუნებაში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მადლობა გამოეცხადათ დუშეთის სახალხო თეატრის მსახიობებს: ნური ბექაურს, მანანა დათოშვილს, ხვთისო ლიქოკელს, ელენე პაპიაშვილს, დანიელ ჭონქაძეს, მარინე ღვთისიაშვილს, დირიჟორ მაია ბობოხიძეს.

მანვე დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს კულტურის მინისტრის ბრძანება დუშეთის სახალხო თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის წევრებისათვის მადლობის გამოცხადების შესახებ.

იუბილარს მიესალმნენ აგრეთვე: საზოგადოება „არაგველის“ თავმჯდომარე ოთარ დუდაური და გადასცა სამახსოვრო ადრესი, საქართველოს მწერალთა კავშირის დუშეთის განყოფილების მდივანი ბაღათერ არაბული, სახელმწიფოს რწმუნებულის პირველი მოადგილე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ბ-ნი ჯემალ ჩაჩუა და შემოქმედებითი ცენტრიდან ქ-ნი ნათია შალამბერიძე.

შემდეგ დაიწყო სამახსოვრო ფასიანი საჩუქრების გადაცემა. დუშეთის კულტურის განყოფილების გამგემ ქეთინო წიკლაურმა ზეიმის მონაწილეებს აუწყა, რომ იუბილარი თეატრის მსახიობებს ფასიანი საჩუქრები უძღვნეს:

1. სამხედრო გზის საექსპლუატაციო სამმართველოს უფროსმა რაულ ზიბზიბაძემ;
2. მიწის რეფორმისა და კადასტრის რაიონული განყოფილების გამგემ ვანო თეთრუაშვილმა;
3. შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონული განყოფილების უფროსმა ბესიკ წოწკოლაურმა;
4. ქონების მართვის რაიონული განყოფილების გამგემ შალვა ფოთოლაშვილმა;
5. განათლების რაიონული განყოფილების გამგემ თინათინ ბანცურმა;
6. ელექტროკავშირის დუშეთის ფილიალის უფროსმა გივი ოქროპირიძემ;
7. ფირმა „ჟენერის“ დირექტორმა ემზარ ჩაჩხიანმა;
8. ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორმა შალვა ჯანგირაშვილმა;
9. ენერგოკომპანია „დუშეთის“ დირექტორმა ედუარდ გოგიშვილმა;
10. საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორმა გოდერძი ბუჩაშვილმა;
11. რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ ეთერ ოქრუაშვილმა;
12. რაიონის პროკურორმა ბადა გოგოჭურმა;
13. რაიონის მთავარმა ექიმმა ამირან ჭონქაძემ;
14. აგრობანკის მმართველმა მანანა მოდრეკილაძემ;
15. ქართული ფოსტის უფროსმა ციცინო მჭედლიშვილმა;

16. გაერთიანება „ქართული ბანკის“ მმართველმა გაიოზ ზეიკიძემ;

17. სოცფონდის რაიონული განყოფილების გამგემ დონარ ხულუზაურმა;

18. დუშეთის რაიკოოპკავშირის თავმჯდომარემ თამაზ ავლახაშვილმა;

19. სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ მერაბ ლოსეურაშვილმა.

თეატრის კოლექტივს ფულადი საჩუქარი გადასცეს:

1. დუშეთის მკვიდრმა, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის რექტორმა ქ-ნმა მზია პაპიაშვილმა — სამასი დოლარი.

2. ქალაქის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა გია ბურდულმა — ასი ლარი.

3. ჯიმშერ პირმისაშვილმა — ასი ლარი.

პარლამენტარმა მარინა მოლოდინმა თეატრს უძღვნა თეატრის ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათები საოჯახო ფოტოარქივიდან და სცენის ახალი საფარდე კომპლექტი.

საზეიმო საღამოს ესწრებოდნენ პრეზიდენტის კანცელარიის დაჯილდოების განყოფილების გამგე ბ-ნი ანზორ კალმახელიძე, პარლამენტარები: მარინა მოლოდინი, ლევან ალავიძე და ვოვა ქარსელაძე. აგრეთვე მცხეთა-თიანეთის რეგიონის სამხარეო თეატრის დირექტორი რევაზ მიქელაძე.

იუბილარი თეატრის სახელზე მიღებული იქნა დეპეშა:

„დუშეთის კულტურის სახლი, სახალხო თეატრის კოლექტივს. გულწრფელად გილოცავთ სახელოვანი თეატრის 115 წლის იუბილეს. სიხარულს, წარმატებებს გისურვებთ. გული გვწყდება თქვენთან არა ვართ. გვწყინს რომ არა ხართ ჩვენთან — მოყვარულთა თეატრების რესპუბლიკური ფესტივალის სახელით ც. ქოჩეჩაშვილი, ირ. გოცირიძე, ნ. ბუცხრიკიძე, ვ. დარჩიაშვილი, გურჯაანის კულტურის განყოფილება“.

საზეიმო საღამო დასრულდა, რომელმაც მაღალი შთაბეჭდილება დატოვა საზოგადოებაზე. ყველას სახეზე ეხატა კმაყოფილება და მადლიერება, რომ ეს ლამაზი საღამო მალამოსავით დაედო მათს გაუსაძლისი ცხოვრების პირობებით გამოწვეულ ტკივილებს.

დუშეთის საბავშვო თეატრი

ქალაქ დუშეთში ამჟამად მოქმედებს დამოუკიდებელი საბავშვო თეატრი. მისი რეჟისორია ავთანდილ ნამორაძე. დუშეთში საბავშვო თეატრის ოფიციალურად დაარსებისათვის წლების განმავლობაში ნიადაგი თანდათან მზადდებოდა, იქმნებოდა ტრადიციული წანამძღვრები. გაზეთი „ცნობის ფურცელი" მკითხველს ატყობინებდა, რომ 1914 წლის 18 აგვისტოს პატარა დუშელმა ბავშვებმა ლიტერატურულ საღამოზე ალექსანდრე ინაშვილის რეჟისორობით წარმოადგინეს ლუკაშჩევიჩის საყმაწვილო ფანტასტიკური პიესა „ყვავილთა შორის", თარგმანი ლ. ბოცვაძისა. „საერთოდ ყმაწვილებმა კარგად ითამაშეს. საზოგადოებას უფრო მოეწონა ბუნებრივი თამაში ექვსი წლის თამარ ნამორაძისა".

გაზეთის ცნობა იმასაც ადასტურებს, რომ დუშეთის თეატრის სცენისმოყვარენი თავიდანვე ინტერესს იჩენდნენ ნორჩი მსახიობების გამოსავლინებლად და მათში თეატრალური ხელოვნებისადმი სიყვარულის გრძნობის აღზრდისათვის. პრესა იმასაც გვატყობინებს, რომ დუშეთში ჯერ „ნორჩ სცენისმოყვარულთა წრე" ჩამოყალიბებულა, შემდეგ კი „მოსწავლეთა დრამატული დასი". პრესისავე მოწმობით, დუშელი მოსწავლეები ხალისით ასრულებდნენ სპექტაკლებში მინდობილ როლებს და მოწონებასაც იმსახურებდნენ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თანდათან გაფართოვდა სკოლების ქსელი და მოსწავლეთა რიცხვობრივი შემადგენლობა, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა სკოლების ბაზაზე მოსწავლეთა დრამატული კოლექტივების შესაქმნელად. დუშეთის მაგალითს მიბაძეს პერიფერიის სკოლებმაც.

გაზეთი „კომუნისტი" მკითხველებს აუწყებდა, რომ 1923 წლის 9 აპრილს დუშეთის მუშათა კლუბში შრომის მთლიანი მესამე და მეოთხე კლასების მოწაფეებმა სცენისმოყვარე ვ.მეზვრიშვილის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს ორი პიესა: „ლადოს ოინები" და „ამერიკელნი"[1].

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1923, № 87.

ოცდაათიან წლებში კიდევ უფრო გაფართოვდა სკოლების რიცხვი. მოელი ახალგაზრდობა სწავლებაში იქნა ჩაბმული. თვით დუშეთში საშუალო სკოლასთან ერთად მოქმედებდა პედაგოგიური ტექნიკუმი. სკოლებში იქმნებოდა დრამატული წრეები, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები. ენთუზიასტი პედაგოგები უანგაროდ ეწეოდნენ მოსწავლეებში კლასგარეშე მუშაობას, რითაც ხელს უწყობდნენ მოსწავლეთა ნიჭის გამოვლენა-განვითარებას, ახალგაზრდობაში ესთეტიკური გემოვნების აღზრდას. ამასთან ერთად, დუშეთის თეატრის მოღვაწეობა სტიმულის მომცემ ზეგავლენას ახდენდა, როგორც ქალაქის, ისე პერიფერიების მოსწავლეებზე და ინტელიგენციაზე. სცენისმოყვარეები თვითონ ხელმძღვანელობდნენ მოსწავლეთა დრამატულ წრეებს და მოზარდთა ძალებით სპექტაკლების მომზადებას. წარმოდგენილი სპექტაკლები მაყურებელთა მოწონებას იმსახურებდნენ, ხოლო საუკეთესო ნორჩ მსახიობებს მოზრდილთა თეატრის სცენაზე იწვევდნენ.

ასეთი ურთიერთობა „დიდებსა“ და „პატარებს“ შორის დუშეთში ტრადიციად იქცა. დუშეთის საშუალო სკოლის (ვაჟაფშაველას სახელობის) მოსწავლეთა დრამატულმა წრემ, რომელსაც 'ოთა ფირცხალაი'შვილი ედგა სათავეში, 1939-1940 სასწავლო წელს წარმატებით დადგა გ. ნახუცრიშვილის „ოთარაანთ ქვრივი“. სპექტაკლმა მაყურებელში კარგი შთაბეჭდილება დატოვა და დუშეთის თეატრის მაშინდელმა რეჟისორმა ვ. მეზვრიშვილმა ამ სპექტაკლში მონაწილე „პატარა“ მსახიობებიდან ორი, მოსწავლე მსახიობი შ. ხუციშვილი და ავთ. ნამორაძე „დიდების“ სცენაზე სათამაშოდ მიიწვია და შესთავაზა, რომ ა. წერეთლის პიესაში „პატარა კახი“ ბაადურისა და გელას როლებში ეთამაშათ.

დასახელებულ სპექტაკლში თავიანთი უშუალობითა და გულწრფელობით აღსავსე თამაშით მოწონება დაიმსახურეს აგრეთვე: მ. ბუჩაშვილმა (ოთარაანთ ქვრივი), დ. მჭედლიშვილმა (კესო), ვ. ბურდულმა (პატარა გიორგი) და სხვ.[1]

დრამატული წრე შეიქმნა აგრეთვე დუშეთის პედაგოგიურ ტექნიკუმშიც. მომავალი პედაგოგები აქტიურად ჩაებნენ სასცენო საქმიანობაში და მაყურებელს უჩვენეს რამდენიმე სპექტაკლი, მათ შორის ს. მთვარაძის „სურამის ციხე“, რომელიც 1949 წელს წარუდგინეს მაყურებელს და მოწონებაც დაიმსახურეს.

---

[1] ცნობა მოგვაწოდა ავთ. ნამორაძემ.

ამ სპექტაკლ'ში როლებს ასრულებდნენ: ნ. ჭრუსი'შვილი (ვარ-დო), ჯ. ლალია'შვილი (დურმიშხანი), მ. ცალუღელა'შვილი (ოს-მან-აღა), ბ. ქერა'შვილი (ზურაბი), მ. გედევანი'შვილი, ვლ. გუ-ლა'შვილი, ჟ. ლითანი'შვილი და სხვა (დადგმა ა. ნამორაძის, მხატვრულად გააფორმა კ. მერაბი'შვილმა, მუსიკალურად — ლ. გეჯაძემ)[1].

მოსწავლე ახალგაზრდობა'ში თეატრალური საქმიანობით და-ინტერესებამ თანდათან ფართო ხასიათი მიიღო და თითქმის მთელი რაიონი მოიცვა. ყოველივე ეს განპირობებული იყო, ერთი მხრივ, დუშეთის თეატრის გავლენით, ხოლო მეორე მხრივ, სკოლების ხელმძღვანელთა და ენთუზიასტი პედაგოგების ინი-ციატივით. სკოლებისა და სასოფლო კლუბების სცენებზე იდ-გმებოდა ბავშვთა სპექტაკლები, იმართებოდა მხატვრული დი-ლა-საღამოები, სადღესასწაულო სანახაობანი და სხვ.

ამ მასობრივ მოძრაობა'ში პერიფერიებიდან გამოირჩეოდნენ ფასანაურის, ჭოპორტის, მაღაროსკარისა და სხვა სკოლები. ფასანაურელი მოსწავლეები ბედნიერები იყვნენ იმითაც, რომ მათ ქომაგად ჰყავდათ თანამემამულე ილია ბექაური, მსახიობი და ქართველ მთიელთა ცეკვების ვირტუოზი. მაღაროსკარის ახალგაზრდობა უფრო თვითინიციატივის ამარა ცდილობდა თავი ეცადა სპექტაკლების დადგმაში. უფროსთა წარმოდგენებით გა-ხალისებულნი დამოუკიდებლად ქმნიდნენ სცენურ სახეებს და წარმოდგენებსაც თვითონ წარმართავდნენ, მაგრამ მაინც მეხ-სიერებას მკვეთრად შემორჩა მაღაროსკარის საშუალო სკო-ლის დირექტორების თომა ბაიაშვილისა და ოლია ბურდულის სახელები, რომელთა მზრუნველობითა და წახალისებით მრავა-ლი ინსცენირება და სპექტაკლი განხორციელდა მოსწავლეთა ძალებით.

50-იანი წლების დასაწყისში მაღაროსკარის მოსწავლეებმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის თაოსნობით მოაწყეს საკუთარი სცენა თავისი დარბაზით, სადაც იმართებო-და როგორც ლიტერატურული საღამოები, გასამართლებები, ისე ლიტერატურული წარმოდგენები, იდგმებოდა სპექტაკლები, მათ შორის: „კაკო ყაჩაღი" (ი. ჭავჭავაძე — „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ"), ა. წერეთლის „პატარა კახი", ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები" და სხვ.

ცალკე მუშაობდა სასოფლო კლუბთან არსებული დრამატუ-

[1] ცნობა მოგვაწოდა ავთ. ნამორაძემ.

ლი წრე (კლუბის გამგე ნ. ქისტაური), რომელშიც სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებთან ერთად უფროსი კლასების მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. სხვა სპექტაკლებს შორის, რომელთა დადგმა ამ დრამწრემ განახორციელა, მაყურებელმა მოწონებით მიიღო ა. წერეთლის „პატარა კახი“ და ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“. განსაკუთრებით წარმატება ხვდა პირველს, რომელშიც როლებს ასრულებდნენ: ვ. ბულალაური (მეფე თეიმურაზი), ფ. ხადიაშვილი (გივი ჩოლაყაშვილი), ბ. რაზიკაშვილი (დედოფალი), შ. ტუქსიშვილი (ქვაბულიძე), ლევან მგელიაშვილი (რევაზ ბებურიშვილი), ირ. გოგოლაური (პატარა კახი), ლ. უძილაური (მოხუცი გელა) და სხვ. ეს სპექტაკლი სხვა სოფლებშიც იქნა გატანილი.

1954 წელს დუშეთის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა რუსულ ენაზე წარმოადგინეს გოგოლის „რევიზორი“, რომლის ინიციატორი იყო ამავე სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თამარ ბუზალაძე. აღსანიშნავია, რომ დასახელებული პედაგოგის მიერ რუსულ ენაზე ინსცენირებული იქნა აგრეთვე: მ. ლერმონტოვის „მწირი“, „ლტოლვილი“ და „დემონი“, ა. პუშკინის „ბოშები“ და სხვ.

„რევიზორის“ წარმოდგენაში მოწონება დაიმსახურეს მოსწავლეებმა: პაპუნა ბაცანკალაშვილმა (რევიზორი), გურამ ბუჩაშვილმა, ანზორ ბერიძემ, იოსებ კაკალაშვილმა და სხვ. „ლტოლვილის“ წარმოდგენაში როლები კარგად შეასრულეს: ოთარ დუდაურმა (გარუნი), ვახტანგ ბადაგაძემ (სელინი), ლიანა ნადიბაიძემ (გარუნის დედა), ნათელა ბაქრაძემ და სხვ. სხვა სპექტაკლებში როლებს ასრულებდნენ აგრეთვე: ალბერტ ამირეჯიბი, ელდარ როსტიაშვილი, მარგო რამაზაშვილი, ზაირა მოსიაშვილი, ვაჟა ფოფხაძე, უჩა მარგველაშვილი, ზაურ მარგველაშვილი და სხვ.

წლების განმავლობაში დრამატულ წრეს ხელმძღვანელობდა პირველ საშუალო სკოლაში გულო ბუჩაშვილი, რომლის თაოსნობით ნორჩი მსახიობების მიერ იდგმებოდა საბავშვო სპექტაკლები. ტრადიცია ახლაც გრძელდება. ამ მხრივ მუშაობით გამოირჩევიან ამავე სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლები: ლამარა ბუჩაშვილი, ნელი ბადაგაძე, ნათელა ხოსრიაშვილი. ისინი ნორჩ თაობაში ნერგავენ თეატრალური ხელოვნების სიყვარულს და უვითარებენ ესთეტიკურ გემოვნებას.

საყურადღებოა, რომ ნაზი ბადაგაძე და მისი მეორე კლასის მოსწავლეებისაგან შემდგარი თორმეტბავშვიანი ჯგუფი 1982

წელს ბავშვთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ნ. დუმბაძის ტექსტის მიხედვით წარმოდგენილ ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის — „მთები დგანან და ელიან“ — დადგმისათვის ოქროს მედლებით დააჯილდოვეს.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს დუშეთის პიონერთა სახლში მოქმედი საბავშვო თეატრი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1961 წელს რუსუდან მრევლიშვილის ხელმძღვანელობით. პირველი სპექტაკლი, რომელიც პიონერულმა თეატრმა წარმოადგინა, იყო ი. გოგებაშვილის „იავნანამ რა ქქმნა?“ როლებს ასრულებდნენ: ლილი კაკალაშვილი, იზოლდა სონიშვილი, მარიკა ღარიბაშვილი, ოთარ პაპუკაშვილი, ნუგზარ ივანიშვილი, ტურფა ოთარაშვილი.

შემდგომში პიონერულ თეატრს ხელმძღვანელობდა იოსებ კაკალაშვილი. მისი თაოსნობით წარმოდგენილი იქნა „აჩაკუნე“, „ამბავი ორი ბიჭისა“ და ოპერეტა „ნიშნების საუბარი“ (კომპ. ზაქ. დიაკვნიშვილი). გაზეთი „კომუნიზმის გზა“ წერდა: „დრამწრემ (ხელმძღვ. იოსებ კაკალაშვილი) მაყურებელს უჩვენა გ. ნახუცრიშვილის „აჩაკუნე“. პიესაში მონაწილე ყველა მოსწავლემ: ლილი კაკალაშვილმა, ეკ. სტეფანოვმა, გ. ბადაგაძემ, ნუგზარ ივანიშვილმა, ნ. ზოტიკიშვილმა, ნ. კაზალიკაშვილმა, მარიკა ღარიბაშვილმა და სხვებმა კარგი თამაშით მაყურებლის მოწონება დაიმსახურეს“[1].

პიონერულ თეატრს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ აგრეთვე ა. ნამორაძე და ვ. გოზიტაშვილი. პიონერთა სახლის მაშინდელი დირექტორი გულო დუდაური დიდად ზრუნავდა პატარების თეატრის წარმატებით მუშაობისათვის. მისი თაოსნობით პიონერთა თეატრი საჩვენებელი სპექტაკლებით გადიოდა რაიონის სკოლებში. სპექტაკლების მომზადებაში დიდი წვლილი შეექონდა მხატვრული კითხვის წრის ხელმძღვანელს თინა პატაშურს.

პიესაში „ამბავი ორი ბიჭისა“ როლებს ასრულებდნენ: ჯიმი ლალიაშვილი, ქეთო კარიაული, გია ქავთარაძე, ბადრი სვანიძე, ხოლო ოპერეტაში „ნიშნების საუბარი“ მონაწილეობდნენ: ნინო თომაძე, ზიგფრიდ ინაშვილი, ვასილ კაკალაშვილი, ალიკა ვალიშვილი, თამრიკო მოზდოკელი.

1964 წელს ვ. გოზიტაშვილის ხელმძღვანელობით ნორჩმა მსახიობებმა წარმოადგინეს ვაჟა-ფშაველას „ჩხიკვთა ქორწილი“.

---

[1] გაზ. „კომუნიზმის გზა“, 1963, 8 მაისი.

მოაწყეს აგრეთვე ლიტერატურული დილა: „იაკობ გოგებაშვილი“ და „დიდი მგოსანი“ (ა. წერეთელი).

50-60-70-იან წლებში და 80-იანი წლების პირველ ნახევარში რაიონის სკოლებში დრამატული წრეების მუშაობა საერთო აქტივობით გამოირჩეოდა. 60-70-იან წლებში საყურადღებო მუშაობა ტარდებოდა დუშეთის სკოლა-ინტერნატში. თვეში სამჯერ[1] ყოველ შაბათს ორგანიზებული იყო მხატვრული საღამოების ჩატარება მოსწავლეთა ძალებით, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ინსცენირებებსა და საბავშვო პიესების წარმოდგენებს. ყველა აღმზრდელი გულმოდგინედ იღვწოდა ამ მიმართულებით.

მოსწავლეთა შორის მხატვრული თვითმოქმედების მუშაობა კარგად იყო დაყენებული ჭოპორტის, ანანურის, მჭადიჯვრისა და სხვა სოფლების საშუალო სკოლებში, მაგრამ ასეთ მუშაობას უფრო თვითდინებითი ხასიათი ჰქონდა, ვიდრე მიზანმიმართული, და ბევრად იყო დამოკიდებული ენთუზიასტი პედაგოგების მოწადინებაზე. საბედნიეროდ, ასეთი პედაგოგები სკოლებში დღესაც დიდ როლს ასრულებენ მოზარდ თაობაში თეატრალური ხელოვნებისადმი სიყვარულის გრძნობის გაღვივებაში. მათ რიგებს ეკუთვნის მაღაროსკარის სკოლის პედაგოგი ს. თანდილაშვილიც.

ზემოაღნიშნული წანამძღვრების ფონზე ნამდვილ დამოუკიდებელ ბავშვთა თეატრს საფუძველი ჩაეყარა 1984 წელს. იმ დროინდელი კულტურის განყოფილების გამგის ე. არაბულის რჩევითა და კულტურის სახლის დირექტორის ი. კაკალაშვილის თაოსნობით სახალხო თეატრთან შეიქმნა ბავშვთა თეატრი-სტუდია, რომელშიც თავდაპირველად გაერთიანდნენ დუშეთის II საშუალო სკოლის მოსწავლეები. ბავშვთა თეატრ-სტუდიას სათავეში ჩაუდგა სახალხო თეატრის რეჟისორი ზურაბ კახიანი. დასადგმელად შეირჩა გ. ნახუცრიშვილის ზღაპარი-კომედია „ნაცარქექია“. განაწილდა როლებიც.

1984-1985 სასწავლო წლის დასაწყისიდანვე სპექტაკლის მოსამზადებლად გულმოდგინედ დაიწყო რეპეტიციები და 1985 წლის 14 აპრილს პრემიერაც შედგა. სპექტაკლს საკმაოდ დიდი წარმატება ხვდა წილად, როგორც მოზარდ, ისე მოზრდილ მაყურებელთა შორის. ეს სპექტაკლი დაიდგა ფასანაურში, ჟინვალში და აგრეთვე თბილისში — მაუდ-კამვოლის კომბინატის კულტუ-

[1] მეოთხე შაბათს, ე.ი. თვეში ერთხელ, აღსაზრდელები მშობლებს სახლში მიპყავდათ.

რის სახლის სცენაზე, რომლის შესახებ ფეიქარია გაზეთი წერდა: „შემდეგ სცენა დაეთმო სტუმრებს – დუშეთის სარაიონო კულტურის სახლთან არსებულ მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეთა თეატრს, რომელმაც წარმოადგინა გ. ნახუცრიშვილის ორმოქმედებიანი კომედია „ნაცარქექია". მაყურებელთა მოწონება ხვდა წილად პატარა შემსრულებლებს"[1]. ხოლო „ახალგაზრდა კომუნისტში" გამოქვეყნებულ ზურაბ ვარდანაშვილის წერილში „ნაცარქექია, დეევი და ათასი სიხარული" ვკითხულობთ: „სცენაზე მოსწავლეებმა მაყურებელს უჩვენეს გუგა ნახუცრიშვილის „ნაცარქექია", რომელიც დადგა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ზურაბ კახიანმა. მაყურებელს განსაკუთრებით დაამახსოვრდა ნაცარქექიას როლის შემსრულებლის მეცხრე კლასის მოსწავლის გელა ჭიკაიძის, მამუკა ჯანგირაშვილის (დეევი), ნინო ოსეფაშვილის (გიო), ირმა ცხოვრებაშვილის (თამრო), გელა ქეთელაურის (თომა), ბონდო ჩანადირის (ყაფლანი), ეკა მეზვრიშვილის (იბრუხდი), ლავრენტი ნამგალაურის (ვახუშტი) მიერ შექმნილი სახეები. ბავშვები თამაშობდნენ თავისუფლად, ყოველგვარი შებორკვისა და ძალდატანების გარეშე და უკვე პირველსავე წუთებიდან დამყარდა უხილავი კონტაქტი სცენასა და დარბაზს შორის".

სპექტაკლში მონაწილეობდნენ აგრეთვე თემურ ოსეფაშვილი (მოსამართლე), დ. ჯანიაშვილი (I ყაჩაღი), კობა სინჯარაძე (II ყაჩაღი).

ბავშვთა თეატრმა-სტუდიამ მეორე წელს წარმოადგინა ასტრიდ ლინდგრენის „პეპი გრძელიწინდა" (ინსცენირება და დადგმა ზ. კახიანისა, მხატვარი დათო ველთაური, მუსიკალური გაფორმება იაკობ ბობოხიძისა).

სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ: ხათუნა ლობჟანიძე (წამყვანი), ირმა ცხოვრებაშვილი (პეპი), ნინო ბუჩაშვილი (ანიკა), მირიან ნაცვლიშვილი (ტომი), ინგა ვერძეული (ვილი), ბონდო ჩანადირი (კარლი), გელა ჭიკაიძე (ბლომი), თინა ნონიევი (მასწავლებელი ქალი), ლავრენტი ნამგალაური (I პოლიციელი), ნიკო ხუციშვილი (II პოლიციელი), ნონა ბუჩაშვილი (პირველი მანდილოსანი), თამარ მეზვრიშვილი (მეორე მანდილოსანი), მაია მეზვრიშვილი (მესამე მანდილოსანი), ხათუნა ციგრიაშვილი (ელა), დათა ცხოვრებაშვილი (I ბიჭი), ნ. ხუციშვილი (II ბიჭი), კობა გოგოჭური (III ბიჭი), მამუკა ჯანგირაშვილი (IV ბიჭი),

---

[1] გაზ. „თბილისელი ფეიქარი", № 21, 28 მაისი, 1986 წ.

ქეთინო ჩანადირი (I გამყიდველი), ეკა მეზვრიშვილი (II გამყიდველი).

მაყურებელმა სპექტაკლი მოიწონა. იგი სამჯერ დაიდგა დუშეთში, შემდეგ წარმატებით მოიარა: ჟინვანი, ჭოპორტი, მაღაროსკარი, ბარისახო და ყველგან მოწონება დაიმსახურა.

დასახელებულმა სპექტაკლმა მონაწილეობა მიიღო გორში ჩატარებულ ბავშვთა თეატრების დათვალიერებაზე, თეატრალური სტუდიების რესპუბლიკურ დათვალიერებაში და მცხეთის ხალხური შემოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალისადმი მიძღვნილ ფესტივალზე.

მცხეთის ფესტივალში საქართველოს ოთხ საბავშვო თეატრთან ერთად მონაწილეობას იღებდა ლატვიის ქარხანა „ვეფის" კულტურის სახლთან არსებული თეატრალური სტუდია (ხელმძღვანელი ვერონიკა ლანცე). საქართველოდან მონაწილეობდნენ: დუშეთის სარაიონო კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა თეატრი-სტუდია, მახარაძის მოსწავლე ახალგაზრდობის თეატრი (ხელმძღვანელი ზაირა კალანდაძე), ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ვერტყვიჭალის სასოფლო კულტურის სახლთან არსებული მოსწავლეთა თეატრალური სტუდია (ხელმძღვანელი ნ. სამხარაძე) და მცხეთის კულტურის განყოფილებასთან არსებული თეატრი-სტუდია (ხელმძღვანელი გ. დათუაშვილი).

ამ მოვლენისადმი მიძღვნილ წერილში გაზეთი „სოფლის ცხოვრება" წერდა: „ჟიურის უპირატესობა არავისთვის მიუნიჭებია, ოღონდ მაინც გამოიკვეთა სპექტაკლი „პეპი გრძელიწინდა", როგორც თემატიკის, ისე შესრულების მხრივ"[1].

შემდგომი სპექტაკლი, რომელიც დუშეთის თეატრმა წარმოადგინა, გახლდათ თ. მაღალაშვილის „სადა ხარ, სოფიკო?" (დადგმა ზურაბ კახიანის, მხატვარი დათო ველთაური, მუსიკა იაკობ ბობოხიძისა). სპექტაკლში როლებს თამაშობდნენ: თ. ნონიევი (ქ-ნი თამარი — სკოლის დირექტორი), მ. ჯანგირაშვილი (გაბო — სასწავლო ნაწილის გამგე), ნონა ბუჩაშვილი (ანა მასწავლებელი), ი. ცხოვრებაშვილი (სოფიკო), ი. ვერძეული (მანანა), ნინო ბუჩაშვილი (გურანდა), თ. მეზვრიშვილი (ქეთი), მ. მეზვრიშვილი (მარიკა), გ. ჭიკაიძე (გიო), ბ. ჩანადირი (გურამი), ლ. ნამგალაური (დათო), მ. ნაცვლიშვილი (მერაბი), დ. ცხოვრებაშვილი (თემური), ე. მეზვრიშვილი (დედა), მ. ქარაული (თეკლა — დამლაგებელი).

---

[1] გაზ. „სოფლის ცხოვრება", 1987 წ. 10 ივნისი, № 133.

პრესაში ამ სპექტაკლის შესახებ არაფერი გამოქვეყნებულა. ამიტომ ბავშვთა თეატრის ახლანდელ რეჟისორს ავო. ნამორაძეს ვთხოვეთ, გადმოეცა საკუთარი შთაბეჭდილებანი ამ სპექტაკლის შესახებ. აი ისიც: „სპექტაკლი თავისი შინაარსით დღევანდელი სკოლის ცხოვრებას ეძღვნება. მასში არაფერია არაჩვეულებრივი და საიდუმლოებით მოცული, გამოუცნობი და მიმზიდველიც არაფერია. აქ ჩვეულებრივი მოსწავლეების, სკოლის ჩვეულებრივი ცხოვრების ჩვეულებრივი შეუფერადებელი თხრობაა მოცემული, რის დამაჯერებლად მიტანა მაყურებლამდის უფრო მეტ ნიჭსა და გარჯას მოითხოვს. ამიტომაც უფრო მეტად დასაფასებელია ის მონდომება და საქმის სიყვარული, თავდადებული შრომა და გულმოდგინეობა სცენურ სახეთა გამოკვეთისათვის, რამაც სპექტაკლის წარმატება უზრუნველყო.

იმდენად გულწრფელი და ალალი იყო სპექტაკლში როლების შემსრულებელთა მეგობრული სიყვარულიც, ერთმანეთისადმი წახუმრებაც, აღშფოთებაც, სასოწარკვეთაც, რომ მაყურებელმა ნამდვილად დაუჯერა ნორჩ მსახიობებს და გაიზიარა მათი სიხარულიცა და გულისტკივილიც.

სპექტაკლის ღირსება ისიც არის, რომ იგი მარტო პატარებს კი არ მოძღვრავს და უჩვენებს ცხოვრების სწორ გზას, დიდებსაც საკმაო შეგონებას სთავაზობს, თანაც არც თუ შეფარვით მიგვანიშნებს იმაზე, რომ მასწავლებლისათვის აუცილებელია პედაგოგიურად სწორი ტაქტი, თბილი გული, ბავშვის ბუნების გაგებისა და მის სათუთ სულში ჩახედვის უნარი. ნორჩმა მსახიობებმა შეძლეს სცენაზე იმის ხაზგასმაც, რომ ბავშვური სიცელქით ჩადენილი დანაშაულისათვის კი არ უნდა დაისაჯოს, არამედ უნდა განემარტოს მისი საქციელის უმართებულობა. განუკითხავი, უსულგულო მოპყრობით კი არ უნდა ვატკინოთ გული, შევუშფოთოთ სული, არამედ მათთან ურთიერთობაში ისეთები უნდა ვიყოთ, როგორიც იყო კლასის ხელმძღვანელი — ანა მასწავლებელი. ბავშვში მხოლოდ ცუდის დამნახავი კი არ უნდა ვიყოთ, როგორც სასწავლო ნაწილის გამგე — გაბო მასწავლებელი, რომელსაც, ვითომ სიმკაცრის მოტივით, იქამდე მიპყავს თავისი განუკითხაობით თავისი მოსწავლე სოფიკო, რომ ეს უკანასკნელი, აღშფოთებისაგან განსჯის უნარმოკლებული, სასოწარკვეთით მიაძახებს მას: „თუ არ გაჩუმდებით, მე თქვენ გიკბენთ!“ ამ ბავშვურ მუქარაში თავს იჩენს უტაქტო პედაგოგისადმი მძლავრი პროტესტი. ნორჩმა მსახიობებმა ყოველივე ეს შესძლეს სცენურად და მაყურებელიც კმაყოფილი დატოვეს“.

ბავშვთა თეატრის სცენის მოყვარეთა შემადგენლობა გაიზარდა. იგი ახალი წევრებით შეივსო. შეიცვალა რეჟისორიც. ზურაბ კახიანის შემდეგ საბავშვო თეატრს საოავეში ჩაუდგა სახალხო თეატრის გამოცდილი მსახიობი და რეჟისორი ავთ. ნამორაძე.

1992 წელს დუშეთის ბავშვთა თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნა ალ. ლორიას „ეს დაუდეგარი არდადეგები" (ინსცენირება და დადგმა ავთ. ნამორაძის, მხატვარი მანანა სუარიძე, სპექტაკლის მუსიკალური გაფორმებისათვის გამოყენებული იქნა თანამედროვე საესტრადო მუსიკა).

ამ სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ: ირმა კარიაული, ეკა ავლახაშვილი (ნინიკო), ნათია როშნიაშვილი (ნათია), მზია ჯერვალიძე (ლალი), ქეთინო მეზვრიშვილი (თინა), ნინო ნათელაშვილი (თუთია), მალხაზ წიკლაური (ლერი), ხვიჩა მჭედლიშვილი, კობა ღარიბაშვილი (ბუკა), ზვიად ორმოცაძე (გუბკა), ქეთინო ჭიკაიძე (ლენა), ჯულია როშნიაშვილი და ქეთინო ინაშვილი (მოხუცი ქალი), დათო ჯანგირაშვილი (გოგოძე), ლადო ჯარიაშვილი (მილიციელი), კ. ფრიდონაშვილი (კუსპარა).

სპექტაკლი ორჯერ დაიდგა, მაგრამ დიდი წარმატება და მოწონება ვერ დაიმსახურა.

ნორჩმა მსახიობებმა ახალი სპექტაკლის მომზადება დაიწყეს. მათ დასადგმელად შეარჩიეს დუშეთში დაბადებული და აღზრდილი ავტორის ალექსანდრე თაბორიძის „დედას ბიჭები". სპექტაკლი მაყურებელს შესთავაზეს 1993 წელს (რეჟისორი ავთ. ნამორაძე, მხატვარი მანანა სუარიძე). როლებს ასრულებდნენ: მ. წიკლაური (პეტრე და პავლე — ტყუპები), ქ. ჭიკაიძე (ტყუპების დედა — მარო), ირმა ბურდული (ქეთინო — სოფლის ექიმი), ჯ. როშნიაშვილი (კესარია — ქეთინოს დედა), კ. ღარიბაშვილი (ტარიელი — მეცნიერ მუშაკი), ნ. როშნიაშვილი (მანანა), მ. ჯერვალიძე (საბედო), ე. თოთიური (ცანგალა), ქ. ინაშვილი (ფანდურა), ი. კაკალაშვილი (წყალობა).

პრემიერამ სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. სპექტაკლი სამჯერ დაიდგა დუშეთში, ერთხელ — ჟინვანში, მაგრამ სატრანსპორტო დაბრკოლებების გამო, რაც ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, ვერ მოიარა მთელი რაიონი. სპექტაკლის რაიონის ფარგლებს გარეთ გატანა სასარგებლო იქნებოდა იმითაც, რომ ახალგაზრდობაში აღძრავდა ინტერესს თეატრისადმი და წაახალისებდა ნორჩ სცენის მოყვარეებს.

რაიონულ გაზეთში ამ სპექტაკლის შესახებ დაიბეჭდა მაყურებელთა შთაბეჭდილებების ამსახველი წერილი, სადაც ვკითხულობთ: „პიესის ავტორმა ალექსანდრე თაბორიძემ დუშური კოლორიტი შემოიტანა სცენაზე: უორუგაახი, საცვალაანთ ალექსანდრე, ჭონქაანთ ალექსი – ხშირად გაგვიგონია დუშელებს ეს სახელები... ამანაც და განსაკუთრებით ჩვენებურმა ლექსიკამ კიდევ ერთხელ განგვაცდევინა ამ დღეს დუშელობა. სხვაგან სად იტყვიან: „ცოტა სისტემატურად შოიქეციო“?

„მსახიობებს“ როლები კარგად ჰქონდათ შორგებული, ყველას თამაში მოგვეწონა.

ორი დედა – ორი განსხვავებული ხასიათი! ქეთინოს დედა – კესარია (ჯ. როშნიაშვილი), გურულობით თავმომწონე ქალი, იოლად უყურებს სიყვარულს, და მის ფონზე განსაკუთრებით დინჯი და დაფიქრებული ჩანს ტყუპების პეტრესა და პავლეს დედა ნონიკაანთ ლალი (ქ. ჭიკაიძე). ასეთი დედა კარგ შვილებს გაზრდის.

ნამდვილი, კარგი სოფლელი გოგოები არიან მზია ჯერვალიძე (საბედო) და ნათია როშნიაშვილი (შანანა). ორივე ძალიან კარგად და თავისუფლად, გულწრფელად ასრულებენ თავიანთ როლებს.

კობა ღარიბაშვილი სამ წელიწადს ლობიოს ახალი ჯიშის გამოყვანაზე თავგადაკვლით მომუშავე მეცნიერის მშვენიერი ტიპია.

გახარებული მალხაზ წიკლაური კი გვგონია, მართლაც აუხსნის სიყვარულს ცასაც, წყალსაც, ხესაც.

დასამახსოვრებელია სოფლის ახალგაზრდა ექიმის ქეთინოს (ირმა ბურდული) სახე.

გულწრფელია ბიჭების ფანდურა (ქეთინო ინაშვილი), ცანგალა (მამუკა თოთიაური) თამაში.

სპექტაკლი დუშელ მაყურებელს ძალიან მოეწონა“[1].

წერილს ხელს აწერენ დუშეთის მეორე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეები: თ. გიორგაძე და ა. ნიკაჭაძე.

ამ სპექტაკლმა კიდევ უფრო გააღვივა მოსწავლე ახალგაზრდობაში სასცენო საქმისადმი ინტერესი. ბავშვთა თეატრი-სტუდია რიცხობრივად გაიზარდა, იგი შეივსო პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებით. ბავშვთა თეატრის ხელმძღვანელობამ დუშეთის პირველი საშუალო სკოლიდან მოსული ნორჩი მსახი-

---

1 გაზ. „არაგვი“, 22 იელისი, 1993, № 69.

ობებისათვის ახალი ნაწარმოები შეარჩია. მათ წილად ხვდათ წარმოედგინათ მსოფლიოში ცნობილი მწერლის შარლ პეროს ზღაპარი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ (თარგმანი კ. მახარაძისა). განაწილდა როლები, დაიწყო ენერგიული მზადება და 1995 წელს გაიმართა სპექტაკლის პრემიერა.

პიესაში, ავტორისაგან განსხვავებით, შემოყვანილი იქნა სხვა პერსონაჟებიც. ყვავილები: გვირილა (ნინო სვანიძე), ვარდი (ნინო ჭოხონელიძე), ია (ნათია ჭოხონელიძე), ზამთარი (ნატა ხუციშვილი), ენძელა (მეკო ხუროძე) და სპექტაკლიც მზისადმი მიძღვნილი სიმღერით იწყება. სპექტაკლის სრული მუსიკალური გაფორმება წარმატებით შეასრულა სამუსიკო სკოლის მასწავლებელმა მაია სავაძემ. მის მიერ ზუსტად შერჩეულმა მუსიკალურმა ნაწარმოებებმა გაამშვენიერეს სპექტაკლი და უფრო მიმზიდველი გახადეს იგი. სპექტაკლი დადგა ავთანდილ ნამორაძემ, მხატვრულად გააფორმა მანანა სუარიძემ.

ერთწლიანი მუშაობის შემდეგ მაყურებლის წინაშე წარსდგნენ სპექტაკლის მონაწილენი: ფაქიზი და გულკეთილი ფიფქია (გვანცა წიკლაური), მშვენიერი უფლისწული (სოსო ლოსეურაშვილი), ბოროტი და ავი დედინაცვალი (თამთა წიკლაური), მისი უსიტყვო მსახური (მარიკა ხუციშვილი), სახლთუხუცესი (პაატა ხოსროშვილი), ეშმაკი მონადირე (ბესიკ უნდილაშვილი) და „ყველაზე კარგები“ (მაყურებლის შენიშვნა – ი. გ.) თავიანთ ჯღანფაჩუჩებსა და ჩაჩებში გამოწყობილი თვალებაბრიალებული, ზოგჯერ კი მოვალეობადავიწყებული და დარბაზისაკენ გულუბრყვილოდ მაცქერალ-მიყურადებული ჯუჯები: ორშაბათი (ბებურ გოჩიტაშვილი), სამშაბათი (ვასიკო ღარიბაშვილი), ოთხშაბათი (ვასიკო სოლოშვილი), ხუთშაბათი (აჩიკო ბურდული), პარასკევი (გიორგი ჭელიძე), შაბათი (ბაჩუკი ჯანგირაშვილი), კვირა (რეზიკო დოლიშვილი).

სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად. იგი რვაჯერ იქნა წარმოდგენილი: დუშეთში – სამჯერ, აგრეთვე ფასანაურში, არაგვისპირში, ჟინვანში, ჭოპორტში, ბულაჩაურში.

დუშეთის ბავშვთა მატიანეში საინტერესოა ერთი ფაქტი: დრამატული დასი ორ ჯგუფადაა გაყოფილი, ეს მეთოდურად მისაღებია იმდენად, რამდენადაც ორივე ჯგუფს შორის იბადება მოწინავეობის და საშემსრულებლო მანერების სრულყოფის სურვილი, მათი ლტოლვა პირველობისაკენ ხელს უწყობს სცენური ხელოვნების დონის ამაღლებას. ამ თვალსაზრისით დუშეთის პირველი და მეორე საშუალო სკოლების ბავშვთა თეატრალუ-

რი დასების ცალ-ცალკე მოღვაწეობა გამართლებულია. აქვე დაკძენთ, რომ დუშეთის ბავშვთა თეატრის წარმატებითი მოღვაწეობა დუშეთის სახალხო თეატრის დრამატული დასის ახალი კადრებით შევსების წყაროცაა.

ამჟამადაც დუშეთის ბავშვთა თეატრის ნორჩი მსახიობები ორ ჯგუფად არიან გაყოფილნი და სპექტაკლებს დასადგმელად ცალ-ცალკე ამზადებენ: მეორე სკოლის ნორჩი მსახიობები ამზადებენ გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქას", ხოლო პირველი სკოლელები — შ. პეროს „კონკიას". ისინი ორივე სპექტაკლს დუშეთის სახალხო თეატრის 115 წლისთავს უძღვნიან. სპექტაკლების მომზადებას ხელმძღვანელობს საბავშვო თეატრის რეჟისორი ავთანდილ ნამორაძე, რომელსაც სასცენო მოღვაწეობის 55-წლიანი გზა აქვს გავლილი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საყურადღებო მუშაობა ტარდება რაიონის ზოგიერთ სასოფლო ცენტრშიც. 1995 წლის 14 იანვარს, თეატრის საერთაშორისო დღეს, ოძისის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გიორგი და დავით ერისთაველების სახლ-მუზეუმის თეატრის სცენაზე წარმოადგინეს გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა". სპექტაკლს წინ უძღოდა ამავე მუზეუმის ფონდის მცველის ნარგიზა ბოჭორმელის მოხსენება თემაზე: „ქართული თეატრის 145 წელი". ამავე წლის ზაფხულში მაღაროსკარის ახალგაზრდობის თავისუფალი კავშირის ხელმძღვანელობით აქაურმა ახალგაზრდებმა საინტერესო მხატვრული საღამო ჩაატარეს მაღაროსკარის სასოფლო კულტურის სახლის დარბაზში, სადაც დიდი ადგილი ეკავა ინსცენირებებსა და მხატვრულ კითხვას. იმ საღამოზე ბევრი ნიჭიერი შემსრულებელი გამოვლინდა, რომელთა შორის იყვნენ ვაჟა ცქიფაშვილი, ლალი არაბული, ი. და ა. ბუთხაშვილები, თ. და თ. მუშტაშვილები, გ. დავითური და ფ. ბუთხაშვილი, ზ. ცქიფაშვილი და სხვები. ეს საღამო ორგანიზებული იყო მაღაროსკარის ახალგაზრდობის მხატვრულ-ლიტერატურული თვითმოქმედების საქმეთა კომისიის მიერ (ხელმძღვანელი მარიამ თურმანაული). მაღაროსკარელმა ახალგაზრდებმა დასახელებული კონცერტი დევიზით „სიყვარული აგვამაღლებს" ს. ბარისახოშიც გაიმეორეს და მაყურებლის აღფრთოვანებული კმაყოფილება დაიმსახურეს.

დუშეთის თეატრის მიერ 1880-1995 წლებში დადგმული სპექტაკლები

არასრული სია[1]

1. ადამიანი იბადება ერთხელ (ო. იოსელიანი) 1985 წ.
2. ადვოკატთან 1925 წ.
3. ამერიკელნი 1923 წ.
4. ავგაროზი (ვ. გუნია) 1926, 1928
5. ამერიკელი ძია (ნ. შიუკაშვილი) 1924, 1925
6. არსენა (ა. ყაზბეგი) 1902, 1915, 1923, 1927, 1945
7. არც აქეთ, არც იქით (ვ. გუნია) 1915
8. არშინ მალ-ალან (უ. ჰაჯიბეკოვი) 1915, 1924, 1929, 1940
9. ბეზ ჟენი 1898
10. ბიძიასთან გამოხუმრება 1880
11. ბრმა მუსიკოსი (ს. ქოჩარიანი) 1941
12. გამოცდა (მ. მამულაშვილი) 1980
13. განა ასე უყვართ? (ლ. არაყიშვილი, ვ. თეთრაძე) 1973
14. განაჩენი აღარ გასაჩივრდება (ა. მომუნოვი) 1966
15. გაყრა (გ. ერისთავი) 1884
16. გაცრუებული იმედები (აზიანი) 1928
17. გეგეჭკორი (შ. დადიანი) 1933, 1934, 1944
18. გლახის ნაამბობი (ი. ჭავჭავაძე) 1957
19. გრენადა (ს. ერთაწმინდელი) 1938
20. გულმართალი ადამიანები (ი. ჯავახიშვილი) 1959
21. გულსუნდა (გოგიაშვილი) 1951
22. დაგაევის გამცემლობა
23. და-ძმა (ვ. გუნია) 1915, 1931, 1944
24. დედას ბიჭები (ა. თაბორიძე) 1920
25. დედის მკვლელი 1933

---

[1] სპექტაკლების დასახელება ისეა წარმოდგენილი, როგორც წყაროშია მითითებული

26. დაგვიანებული სინანული 1948
27. დილა ქორწილის შემდეგ (ა. ყაზბეგი) 1923
28. დიმ ბეზ აგნია 1900
29. დრონი მფობენ (გულისაშვილი) 1911
30. ელგუჯა (ა. ყაზბეგი) 1965
31. ელეონორა (ა. ყაზბეგი) 1921
32. ეს დაუდეგარი არდადეგები (ა. ლორია)
33. ვაის გავეყარე, უის შევეყარე (ვ. გუნია) 1899
34. ვაი ჭკუისაგან (ა. გრიბოედოვი) 1917
35. ვერაგობა და სიყვარული (ფ. შილერი) 1929
36. ვერმახტის საიდუმლო საქმე 1974
37. ვინ არის დამნა'შავე? (ნ. ნაკაშიძე) 1933
38. თამარ ცბიერი (ა. წერეთელი) 1924
39. იმბურგი 1934
40. იუდას ამბორი (ს. ბელოვი) 1925
41. იღრიალე ჩინეთო (ს. ტრეტიაკოვი) 1923
42. იშჩუ ჟენიხა (ფარსი) 1898
43. კაცი შავი სათვალეებით 1933
44. კინტო (ა. წერეთელი) 1924, 1931
45. კოლმეურნის ქორწინება (პ. კაკაბაძე) 1940
46. კომისარი მოსკოვიდან 1933
47. კუდრაჭა 1920
48. ლადოს ოინები 1923
49. ლალი, სიყვარული და სხვები (გ. ბათიაშვილი) 1979
50. ლეკის ქალი გულჯავარი (ა. ცაგარელი) 1943, 1960
51. მათი ამბავი (ვ. გაბესკირია) 1941-1942
52. მაია წყნეთელი (ვ. კანდელაკი) 1956
53. მაშტი იბად (ჰაჯიბეკოვი) 1929
54. მეგობრობა (შიუკაშვილი) 1930, 1935
55. მეგობრობა და სიყვარული (ანანიაშვილი) 1956, 1958
56. მეზობლები (ტ. რამიშვილი) 1931, 1935
57. მეფის დალაქი 1927
58. მეცამეტე შეხვედრა (გ. გონიაშვილი, ზ. კახიანი) 1991
59. მეცნიერი სოფელში (ნ. კანდელაკი) 1958
60. მე, ცოლი და .სიდედრი (არეშიძე) 1984
61. მზე ნეკერჩხლის ტყეში (მ. ბერაძე) 1976
62. მზრუნველები (ლ. ჭუბაბრია, პ. გრუზინსკი) 1957
63. მოკვეთილი (ვაჟა-ფშაველა) 1950, 1952, 1993
64. მორეკში (ს. ჭანტურიშვილი) 1932

65. მოძღვარი (ა. ყაზბეგი) 1945, 1975
66. მსხვერპლი (ი. გედევანიშვილი) 1927, 1930
67. მუჟ ი ჟენა 1900
68. ნათლული 1932
69. ნაცარქექია (გ. ნახუცრიშვილი) 1985
70. ნა ხუტორე 1899
71. ნიღაბქვეშ (ვ. გუნია) 1921
72. ნეჩაინნოე ოგორჩენიე (ა. ცაგ.) 1898
73. №21 ჯვრით (ია ეკალაძე) 1921
74. ორი გმირი (ვ. გუნია) 1918, 1959
75. ორი დარაჯი 1924
76. ორი მშიერი (დ. აწყურელი) 1925, 1935
77. ორი ობოლი (ა. ცაგარელი) 1927
78. ოთხი სიცოცხლე (ო. დგებუაძე) 1958, 1972
79. პაემანზე 1943
80. პარიზელი ბიჭი 1919
81. პარიზის ღარიბ-ღატაკნი (ა. დენერი) 1926
82. პატარა კახი (ა. წერეთელი) 1914, 1915, 1934, 1947, 1949
83. პეპი გრძელიწინდა (ა. ლინდგრენი) 1989
84. პეპო (სუნდუკიანცი) 1946
85. რაც გინახავს, ვეღარ ნახავ (ა. ცაგარელი) 1934, 1941
86. რევოლუციის რიჟრაჟზე (მგალობლიშვილი) 1924
87. რობინ ჰუდი (ზაიცკი) 1933
88. როგორ? (კ. კალაძე) 1937
89. რღვევა (ბ. ლავრენიევი) 1923
90. საბრალდებო დასკვნა (ნ. დუმბაძე) 1976, 1989
91. სადა ხარ, სოფიკო? (თ. მაღალაშვილი) 1970
92. სად იყო ჭკუა (ლ. მილორავა) 1965
93. სადიპლომო სპექტაკლი (ა. დევიძე) 1948
94. სამიდან ექვსამდის (ა. ჩხაიძე) 1989
95. სამი უბედური 1931
96. სამშობლო (დ. ერისთავი) 1915, 1930
97. სამანიშვილის დედინაცვალი (დ. კლდიაშვილი) 1961
98. საღამოს ერთი ცხვირი ხეირია (სუნდუკიანი) 1915
99. სახსოვარი (ს. მთვარაძე) 1949, 1962, 1964
100. სიმართლისათვის 1964
101. სიმდიდრის მსხვერპლი (ვ. გუნია) 1925, 1929
102. სტუმარ-მასპინძელი (ვაჟა-ფშაველა) 1973
103. სტუმარ-მასპინძლობა (ტ. რამიშვილი) 1932

104. სულელი (ნ. შიუკაშვილი) 1920
105. სურამის ციხე (დ. ჭონქაძე) 1920
106. სურამის ციხე (ს. მთვარაძე) 1948
107. უბედური დღე 1919
108. უდანაშაულო დამნაშავენი (ა. ოსტროვსკი) 1944
109. უმუშევარი 1933
110. უქნარა (ი. ჯავახიშვილი) 1960
111. უეცარი შეხვედრა (გ. გოგიჩაიშვილი) 1956
112. უსლუჭ (ა. ცაგარელი) 1898
113. უცნაური ბეჭედი (ჭუბაბრია, პ. გრუზინსკი) 1943
114. ფიფქია და შვიდი ჯუჯა (შ. პერო) 1995
115. ქართველი დედა (ა. ცაგარელი) 1915, 1945
116. ქრისტინე (ე. ნინოშვილი) 1921
117. ყაჩაღები (ფ. შილერი) 1923
118. შვილი 1949
119. ყვარყვარე თუთაბერი (პ. კაკაბაძე) 1937, 1941
120. ყვავილთა შორის (ლუკაშევიჩი) 1914
121. ღმერთო, რისთვის? (ნ. დუმბაძე)
122. ჩვენი დროის გმირი (მ. ლერმონტოვი) 1919
123. ჩათრევას ჩაყოლა სჯობია (ვ. გუნია) 1915
124. ჩემი დედა (ა. ნავროზოვი) 1944
125. ჩრდილი ყვავილებზე (ი. ჯავახიშვილი) 1960
126. ძალად ექიმი (მოლიერი) 1939
127. ციმბირელი (ა. ცაგარელი) 1898, 1922, 1939
128. ცისკრის ვარსკვლავი (ა. კიკვაძე) 1959
129. ჭკუისა მჭირს (ა. ცაგარელი) 1931
130. ხანუმა (ა. ცაგარელი) 1880, 1884, 1925, 1930, 1943
131. ხატიჯე (კ. კალაძე) 1938, 1939
132. ხევისბერი გოჩა (ა. შანშიაშვილი) 1947
133. ჯადო 1962
134. ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს (რ. ერისთავი) 1915, 1931
135. პატარა გმირი 1945
136. ტირიფის ქვეშ (გ. ბერძენიშვილი) 1944
137. ძმები 1933
138. ძუნწი (გ. ერისთავი) 1950
139. წითელი კეტი 1925
140. აჩაკუნე (გ. ნახუცრიშვილი)

დუშეთის სახალხო თეატრის დამდგმელ-რეჟისორები

აბაზაძე ელენე
აბრამიშვილი მარო
ბახუტაშვილი ქუცა (ქაიხოსრო)
ბერიძე ლადო (ხანდოელი)
ბექაური ილია
გაბუნია ნატო
გაჩავა ნუგზარი
გეგეჭკორი კოლია
გოზიტაშვილი ვახტანგი
გუნია ვალერიანი
დალაქიშვილი გიორგი
ელიაშვილი ვიქტორი
თაბორიძე მანიკო
იარალი მ.
იაშვილი ბ.
იაშვილი ვ.
ინაშვილი ალ.
ინაშვილი ი.
კავსაძე ალ.
კახიანი ზურაბი
კვალიაშვილი დ.
კვალიაშვილი თამარი
კობიაშვილი დავითი
ლითანიშვილი ბორია
ლოთიკაშვილი ფ.
მაისურაძე არ.
მაკარაშვილი კ.
მაღლაფერიძე შ.
მეზვრიშვილი ივანე

მელაძე ზურაბი
მიქელაძე საშა
მჟავანაძე შ.
ნავაძე ელისო
ნამორაძე ავთ.
ჟვიბიძე სოსო
რევაზიშვილი სოსო
სარაული მ.
ფირცხელაიშვილი შ.
ქილირჯიშვილი მ.
ჩარკვიანი დ.
ჩერქეზიშვილი შალვა
ცქიტიშვილი ეთ.
წითლიშვილი (წითლიძე) ნიკოლოზი
ხერხეულიძე მ.
ჯაყელი ალ.

ს ი ა

იმ სცენისმოყვარე მსახიობებისა, რომლებსაც 1880-1995 წლებში, სხვადასხვა დროს, უთამაშიათ დუშეთის სახალხო და საბავშვო თეატრების სცენაზე

1. აბრამიშვილი მარო
2. ავალოვი ე.
3. ავალოვი მ.
4. ავალოვი ნატაშა
5. ავეტიქოვი სერგო
6. ავლახაშვილი ეკა
7. ამირიძე ნინა
8. ამირეჯიბი ალბერტი
9. არაქელოვი სერგო
10. არზრუმელაშვილი ლადო
11. ახალშენიშვილი თ.
12. ახალშენიშვილი რ.
13. ბადაგაძე ვ.
14. ბადაგაძე ჯულიეტა
15. ბალანჩივაძე ქეთ.
16. ბარნაბოვი ნ.

17. ბარნოვი ნ.
18. ბახუტა'შვილი ქაიხოსრო (ქუცა)
19. ბახუტა'შვილი მანია
20. ბახუტა'შვილი ქეთო
21. ბეჟანიშვილი (?)[1]
22. ბერიძე ლადო (ხანდოელი)
23. ბერიძე ა.
24. ბერი'შვილი ალექსანდრე
25. ბერიძე სალომე
26. ბერძენიშვილი ფედა
27. ბერძენი'შვილი ლავრენტი
28. ბერძენიშვილი ნ.
29. ბექაური ლადო
30. ბექაური ილო
31. ბექაური ნური
32. ბურდული ირმა
33. ბურდული მ.
34. ბურდული ეთერი
35. ბუჩაშვილი ტ.
36. ბუჩაშვილი ეთერი
37. ბუჩაშვილი მარო
38. ბუჩაშვილი ნონა
39. ბუჩაშვილი გ.
40. გაბუნია ნატო
41. გაგელიძე ქიტესა
42. გაგოშიძე იასონი
43. გაგოშვილი ი.
44. გამიშვილი ვასილი
45. გეგეჭკორი კოლია
46. გედევანიშვილი მაყვალა
47. გედევანიშვილი არჩილი
48. გედევანიშვილი ლ.
49. გელიაშვილი ვალია
50. გვრიტიშვილი ლილი
51. გიორგობიან (?)
52. გოგოჭური კობა

---

[1] მსახიობთა გვარი, სახელი და ინიციალები ისე ქვეყნდება, როგორც წყაროებშია მოცემული. ზოგჯერ მხოლოდ გვარია მითითებული, სახელი კი — არა.

53. გოდერძიშვილი ვ.
54. გოლიკოვი ალიკა
55. გოგიევა მარიამი
56. გორგიშვილი მანია
57. გოძიაშვილი (?)
58. გრიგოლაშვილი შალვა
59. გრიგოლია შოთა
60. გრძელიძე მარია
61. გულბათიშვილი ივანე
62. გურჯია მზია
63. დავითური გოგია
64. დავითური ნ.
65. დავითური ლამარა
66. დალაქიშვილი გიორგი (ჟორა)
67. დათოშვილი მანანა
68. დანილოვა მ.
69. დაფქვიაშვილი ვლადიმერი
70. დაფქვიაშვილი ნინა
71. დაფქვევაძე ნ.
72. დიდებაშვილი ნ.
73. დოლიძე ქსენია
74. ებიტაშვილი ს.
75. ებრალიძე ესიკა
76. ელიაშვილი ვიქტორი
77. ელიაშვილი ვ.
78. ელიაშვილი კ.
79. ელიაშვილი მიშა
80. ელჩიბეგაშვილი ნ.
81. ველთაური ვალიკო
82. ველთაური ვალოდია
83. ველთაური ირაკლი
84. ველთაური თამაზი
85. ვერძეული ინგა
86. ვლადიმიროვი ნინა
87. ვლადიმიროვი ალ.
88. ვლადიმიროვი გრიშა
89. თაბორიძე მანიკო
90. თანიაშვილი ც.
91. თეთრუაშვილი თამრიკო

92. თოთიაური მანია
93. თოთიაური მამუკა
94. თოფურია ნოდარი
95. თურქაძე თამარი
96. იაშვილი იულია
97. იაშვილი ვ.
98. ივანოვა ლ.
99. ინაშვილი მ.
100. ინაშვილი ალექსანდრე
101. ინაშვილი ბარბარე
102. ინაშვილი სარა
103. ინაშვილი ქეთინო
104. იშხანოვი ვანო (პიტირო)
105. იშხანოვი ანიჩკა
106. კაზალიკაშვილი თამარი
107. კაკალაშვილი იოსები
108. კანდელაკი თამარი
109. კანდელაკი გრიგოლი
110. კარიაული მიხეილი
111. კარიაული ირმა
112. კარიაული ნ.
113. კარიაული რ.
114. კარიაული ს.
115. კარიაული ა.
116. კარიაული გიგუშა
117. კაჩირიშვილი ვალიკო
118. კახიანი შ.
119. კარიაული ჯ.
120. კეზელი ბარბარე (ბაბო)
121. კეზელი თ.
122. კავსაძე ალ.
123. კირვალიძე ივრადი
124. კირვალიძე ჯემალი
125. კვალიაშვილი თამარი
126. კობაიძე ს.
127. კობაიძე ტარიელი
128. კობაიძე შურა
129. კობიაშვილი ალ.
130. კობიაშვილი დავითი

131. კობიაშვილი ო.
132. კობიაშვილი თამრიკო
133. კობიაშვილი ნინა
134. კობიაშვილი ს.
135. კობიაშვილი ტ.
136. კოლხიტაშვილი თემური
137. კორინთელი არჩილი
138. კორინთელი რეზო
139. კორინთელი პ.
140. კუპრაშვილი ა.
141. ლაგაზაშვილი გიგუცა
142. ლაგაზაშვილი შოთა
143. ლალიაშვილი ალექსანდრე
144. ლალიაშვილი ნოე
145. ლითანიშვილი ბორია
146. ლითანიშვილი ბორისი
147. ლიქოკელი ხვთისო
148. ლობჟანიძე ხათუნა
149. ლოთიკაშვილი ფ.
150. ლოთიკაშვილი მ.
151. მაისურაძე გიგო
152. მაისურაძე ტ.
153. მაისურაძე შალვა
154. მალანია მირიანი
155. მახარაძე ტატიანა
156. მეზვრიშვილი ვანო
157. მეზვრიშვილი ეკა
158. მეზვრიშვილი თამრიკო
159. მეზვრიშვილი მაია
160. მეზვრიშვილი ქეთინო
161. მერაბიშვილი ლადო
162. მეტრეველი (?)
163. მთვარელიშვილი ლ.
164. მთიულიშვილი თამაზი
165. მთიულიშვილი გურამი
166. მოზდოკლიშვილი (?)
167. მოზდოკელი გ.
168. მოლოდინი ტარიელი
169. მოლოდინი ვ.

170. მჭედლიშვილი დარიკო
171. მჭედლიშვილი ხვიჩა
172. მცხვეტაძე ნ.
173. ნავაძე ელისო
174. ნავაძე ცანა
175. ნავაძე სიმონი
176. ნავაძე გიორგი
177. ნავაძე დავითი
178. ნაზღაიძე სპირიდონი
179. ნათელაშვილი ნინა
180. ნამგალაური ლავრენტი
181. ნამორაძე თამარი
182. ნამორაძე ავთანდილი
183. ნამორაძე ტარიელი
184. ნამორაძე სიმონი
185. ნარმანიძე თამაზი
186. ნაღებაშვილი ნანა
187. ნაცვლიშვილი მირიანი
188. ოვაშვილი მიშა
189. ოთარაშვილი ამირანი
190. ოთარაშვილი ტარიელი
191. ორმოცაძე ზვიადი
192. ოსეფაშვილი თემური
193. ოსეფაშვილი ლამზირა
194. ოსეფაშვილი ნინო
195. ოსიტაშვილი მიშა
196. პაპიაშვილი ვასიკო
197. პაპიაშვილი ზაური
198. პაპიაშვილი ელიკო
199. პეტრიაშვილი მაყვალა
200. პეტრიაშვილი ლ.
201. პაიჭაძე ს.
202. პატარიძე გ.
203. პირმისაშვილი ციალა
204. ჟღენტი ბ.
205. რამიშვილი ქეთო
206. რატიშვილი (?)
207. რევაზიშვილი სოსო
208. რევაზიშვილი ციცო

209. რთველიაშვილი ნ.
210. როინიშვილი ვასო
211. როინიშვილი კ.
212. როინიშვილი სამსონი
213. როინიშვილი დათიკო
214. როსტომიანი ელენე (ელინა)
215. როსტომიანი ეფემია
216. როსტომიანი გ.
217. როშნიაშვილი ნათია
218. როშნიაშვილი ჯულია
219. სამაშვილი (?)
220. საყვარელიძე ქეთო
221. სეთურიძე კოლია
222. სვიანაიძე მ.
223. სიდამონიძე ვარვარა (ბარბარე)
224. სტეფნიაშვილი ილო
225. უმბრიევი სერგო
226. ფაველენიშვილი ი.
227. ფაველენიშვილი თ.
228. ფარესიშვილი მერაბი
229. ფარესიშვილი შურა
230. ფირცხალაიშვილი ოთარი
231. ფოთოლაშვილი ცირა
232. ფიცხელაური ივანე
233. ფიცხელაური ელისო
234. ფოცხვერაშვილი ნ.
235. ფრიდონაშვილი ზვიადი
236. ფსუტური ა.
237. ქავთარაძე აზა
238. ქავთარაძე ზაზა
239. ქარაული შმაგი
240. ქარაული მედიკო
241. ქარელიძე რეზო
242. ქასაშვილი კ.
243. ქაფიაშვილი ტრისტანი
244. ქაფიაშვილი ზაირა
245. ქეთელაური გელა
246. ქურდოვანიძე ქეთევანი
247. ღარიბაშვილი კობა

248. ღელუბნელი (?)
249. ყიფშიძე ელენე
250. შაბურიშვილი დავითი
251. შაბაშვილი ნინა
252. შახმარდიანი გ.
253. შერმადინი გულო
254. შერმადინი მაყვალა
255. ჩანადირი გიული
256. ჩანადირი ბონდო
257. ჩარკვიანი დავითი
258. ჩერქეზიშვილი ელისაბედი
259. ჩიხრაძე ს.
260. ჩოხელი ალ.
261. ჩოხელი თ.
262. ცოცხალაშვილი ა.
263. ცხვედაძე ნინა
264. ცხოვრებაშვილი დათო
265. ცხოვრებაშვილი ირმა
266. ძუძუშვილი ოთარი
267. წითლიშვილი კოლია
268. წიკლაური გია
269. წიკლაური ირაკლი
270. წიკლაური კაკო
271. წიკლაური მალხაზი
272. ჭიაბრიშვილი სიდო
273. ჭიაბრიშვილი თედო
274. ჭინჭარაული ნინო
275. ჭელიძე ბორისი
276. ჭიაბრიშვილი რ.
277. ჭიკაიძე ქეთინო
278. ჭონქაძე დანიელი
279. ჭონქაძე ლია
280. ჭიკაიძე გელა
281. ხევსურიშვილი ნინა
282. ხეკაშვილი გ.
283. ხორნაული მერი
284. ხულუზაური ვალიკო
285. ხუციშვილი შოთა
286. ხუციშვილი გოგი

287. ჯავახიშვილი გოგი
288. ჯავახიშვილი ს.
289. ჯავახიშვილი ლ.
290. ჯავახიშვილი მ.
291. ჯანგირაშვილი ნ.
292. ჯანგირაშვილი დათო
293. ჯანგირაშვილი მამუკა
294. ჯარიაშვილი ავთანდილი
295. ჯარიაშვილი დათო
296. ჯარიაშვილი ლადო
297. ჯაფარიძე სონია
298. ჯაფარიძე ტოსია
299. ჯერვალიძე მზია
300. ჯიქური ს.
301. ჯინჭველაძე შ.
302. ჯინჭველაძე ნ.

ბოლოთქმა

დუშეთის სახალხო თეატრმა ხანგრძლივი გზა განვლო. ას თხუთმეტი წელი დიდი დროა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა, ბევრი რამ შეიცვალა. ერთმანეთს ცვლიდნენ მოვლენები და თაობები, რასაც თან მოჰქონდა ახალი ფიქრები, იდეები, ახალი შემართება და პათოსი, სათეატრო საქმისადმი ახლებური დამოკიდებულება. თანდათან გროვდებოდა მდიდარი გამოცდილება, იქმნებოდა მუშაობის საკუთარი ტრადიცია.

დუშეთის სახალხო თეატრის დაარსების თარიღი ბევრად წინ უსწრებს ქ. თბილისში ამოქმედებულ მუშათა სახალხო თეატრების შექმნას. მაგალითად, ავჭალის მუშათა სახალხო თეატრი ოფიციალურად დაარსდა 1893 წელს, ავლაბრისა — 1895 წელს, 1903 წელს შეიქმნა ე.წ. არაქსიანის თეატრი, ხოლო ამის შემდეგ კი — ხარფუხის, ნავთლუღის, ნაძალადევის და სხვა მუშათა თეატრები.

პერიფერიული სახალხო თეატრებიდან ბათუმის თეატრის სცენისმოყვარეთა დასი დაარსდა 1880 წლის მარტში, მესხეთის თეატრის დაარსების თარიღად მიჩნეულია 1874 წელი, ხოლო სამხრეთ ოსეთის თეატრისა — 1876 წელი. მაგრამ თუ გათვალისწინებული იქნება, რომ არაოფიციალური ცნობებით, დუშეთში წარმოდგენები იმართებოდა გასული საუკუნის 70-იან წლებშიც, აშკარა ხდება, რომ დუშეთის სახალხო თეატრი ერთ-ერთი ძველი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა რესპუბლიკაში.

***

დუშეთის თეატრის მოღვაწეობის საკმაოდ გრძელი გზა კვლავაც წარმატებით გრძელდება. ამჟამად დუშეთის სახალხო თეატრის დრამატული დასი შედგება როგორც უფროსი, ისე საშუალო და უმცროსი ასაკის თაობის წარმომადგენელთაგან. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბევრი მათგანის სცე-

ნური ოსტატობა პროფესიონალიზმის დონეს უახლოვდება. დასს შესწევს უნარი, მაყურებელი მუდამ გაახაროს თავისი საშემსრულებლო კულტურის დონით. ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში ორასსამოცწლიან ქალაქში სახალხო თეატრის ბაზაზე სახელმწიფო თეატრიც დაარსდება და ამით დუშელთა მრავალწლიანი ოცნება სინამდვილედ იქცევა. მოწესრიგდება დუშეთის სახალხო თეატრის ადგილობრივი პროფესიული კადრებით უზრუნველყოფის პრობლემაც.

დუშეთის სარაიონო კულტურის სახლთან ბავშვთა დამოუკიდებელი თეატრი-სტუდიის დაარსებაც წინ გადადგმული ნაბიჯია და სასარგებლოა როგორც ახალგაზრდებში ქართული თეატრალური ხელოვნებისადმი სიყვარულის გრძნობის ამაღლებისათვის, ისე სახალხო თეატრის დრამატული დასის ახალი კადრებით შევსებისათვის, თუმცა მისი არსებობა რაიონის ცენტრში როდი გამორიცხავს პერიფერიებში დრამატული წრეებისა და ბავშვთა თეატრების დაარსების შესაძლებლობას. რაიონის სოფლის ბევრ სკოლაში საამისოდ საკმაო წანამძღვრები და ტრადიციები არსებობს.

რაიონის სკოლებში მოსწავლეთა დრამატული წრეებისა თუ კოლექტივების ამოქმედება დიდად გამოადგებოდა ახალგაზრდობის ქუჩის უსაქმურებისაგან არიდებას, ხელს შეუწყობდა მოზარდ თაობაში თეატრალური ხელოვნებისადმი ინტერესის აღზრდას. ამ მიმართულებით ბევრის გაკეთება შეუძლიათ სასოფლო კლუბებსა და კულტრის სახლებს. მათი უმოქმედობა მიუტევებელია. საჭირო იქნება აგრეთვე ამ თვალსაზრისით ახალგაზრდობის კავშირების საქმიანობის გააქტიურება.

დუშეთის თეატრის დრამატული დასის მუშაობის სისხლსავსეობის მისაღწევად კვლავ რჩება გადასაწყვეტ აუცილებლობად ერთდროულად პარალელური სპექტაკლების მომზადების პრაქტიკის დანერგვა მუშაობაში, რომ დასის წევრები დასაქმებული იყვნენ როლებით და ყურადღებას გრძნობდნენ. ასეთი მუშაობა მეტ დატვირთვას მოითხოვს, მაგრამ სასარგებლოა როგორც თეატრისათვის, ისე მაყურებლისათვის.

თეატრის წარმატებითი მოღვაწეობა ბევრადაა დამოკიდებული შესაფერის მატერიალურ ბაზაზე. ამ მხრივ საქმე ვერ არის კარგად და კულტურის სახლის სასცენო დარბაზი სივიწროვის გამო თეატრის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ასეთი მდგომარეობა კი დღის წესრიგში აყენებს თეატრისათვის შესაფერისი შენობის აშენების საკითხს.

„ერისთაობა“, როგორც ქართული თეატრის დღესასწაული, დაკავშირებულია გიორგი ერისთავის ღვაწლთან. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს დღესასწაული თავდაპირველად „ოძისობის“ სახელით იქნა დაარსებული, როგორც გ. ერისთავის ხსოვნის დღე*.

თავისი სახელოვანი განვლილი გზისა და ტრადიციების ერთგულ დუშეთის თეატრს ოთხმოციან წლებშიც კი არ შეუწყვეტია მუშაობა და ახლაც თავდადებით იღვწის. 1983 წლიდან 1995 წლის ბოლომდე მას რეჟისორობდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ზურაბ კახიანი. მისსავე სახელთანაა დაკავშირებული საბავშვო თეატრი-სტუდიის დაარსებაც. ამჟამად დუშეთის თეატრს კვლავ დაუბრუნდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ნუგზარ გაჩავა. მისი ხელმძღვანელობით დრამატულმა დასმა დასადგმელად მოამზადა ნ. დუმბაძის ორმოქმედებიანი პიესა „ღმერთო, რისთვის?!“ ეს სპექტაკლი დუშეთის თეატრის საიუბილეო დღეებს მიეძღვნა.

მაყურებელი მუდამ ინტერესით ეგებება დუშეთის თეატრში დადგმულ სპექტაკლებს, სადაც აშკარად იკვეთება მსახიობთა სცენური ოსტატობა, საშემსრულებლო კულტურის სრულყოფისადმი მისწრაფება, რეჟისურის დონის სიმაღლე. სპექტაკლებს თან ახლავს სცენური სიმეტრიულობა და სისადავე, მიზანსცენების შესაბამისი განათება საერთო განათების ფონზე, ასევე ქორეოგრაფიული და მუსიკალური გაფორმებით მიღწეული სილამაზე, რაც მაყურებელს იმედსა და რწმენას უნერგავს თავისი მშობლიური თეატრის მიმართ და მისდამი თანაგრძნობით განაწყობს.

მოზარდ თაობაში ლიტერატურისა და თეატრალური ხელოვნებისადმი სიყვარულის აღზრდისა და მათში ესთეტიკური გემოვნების გამომუშავების სრულყოფისათვის სასურველი იქნებოდა რაიონის საშუალო სკოლების ბაზაზე ყველა სასოფლო საკრებულოს ცენტრებში სასოფლო კულტურის სახლებსა და კლუბებთან ამოქმედდეს საბავშვო და ახალგაზრდული თეატრები. სასოფლო საკრებულოების, რაიონის განათლების და კულტურის განყოფილებათა ხელმძღვანელებიც ამ საქმისადმი ყურადღებას გაამახვილებდნენ და სარაიონო კულტურის სახლიც გააფართოვებდა თავის საქმიანობას.

ასევე სასურველია რაიონის ცენტრში ბავშვთა თეატრისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შექმნაც.

---

* შენიშვნა: (ამის თაობაზე 1975 წლის სექტემბერში ოძისში „ოძისობის“ დღესასწაულზე ჩემს საჯარო გამოსელაში ვთქვი, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ამ დღეობისთვის „ერისთაობა“ გვეწოდებინა, რაც ხელს შეუწყობდა დასახელებული დღის ქართული თეატრის დღესასწაულად გააზრებას. ეს აზრი შემდგომში გაიზიარეს.)

სარჩევი

წინათქმა ____ 3

ძველი და ახალი დუშეთი ____ 5

დუშეთის თეატრალური ცხოვრების მატიანე ____ 15

ა) 1880-1900 წლები ____ 19

ბ) 1900-1921 წლები ____ 28

გ) 1921-1959 წლები ____ 40

დ) 1959-1980 წლები ____ 75

ე) 1981-1995 წლები ____ 112

სცენური პორტრეტების მაგიერ ____ 133

დუშეთის საბავშვო თეატრი ____ 213

დუშეთის თეატრის მიერ 1880-1995 წლებში
დადგმული სპექტაკლები ____ 226

დუშეთის სახალხო თეატრის დამდგმელ-რეჟისორები ____ 230

სია იმ სცენის მოყვარე მსახიობებისა
რომლებსაც 1980-1995 წლებში სხვადასხვა დროს უთამაშიათ დუშეთის
სახალხო და საბავშვო თეატრის სცენაზე ____ 231

ბოლოთქმა ____ 240

ირაკლი გოგოლაური

დუშეთის თეატრალური ცხოვრების მატიანე

მთ. რედაქტორი ლ. წიკლაური
რედაქტორი ქ. არჩვაძე
ტექ. რედაქტორი რ. შუმლაძე
კორექტორი ნ. ქოიავა

შეკ № 141 ტირაჟი 1000

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „აღმაშენებელი“ გრ. რობაქიძის გამზ. 7

სააქციო საზოგადოება „ფარნავაზი“ გრ. რობაქიძის გამზ. 7